



წიგნი დასწავლის



აწიგნიანთა

აწიგნიანთა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ზურაბ ბაიპარაშვილი

**ჰერალდიკური არაბესკები**



უნივერსიტეტის  
ბამონცემლოზა

ნიგნში განხილულია ქართული ჰერალდიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომელთა ბლაზონირება და შექმნის მოტივის გააზრება საშუალებას იძლევა, გაკეთდეს დასკვნა, რომ ევროპიდან გერბის, როგორც კულტურული ფენომენის, ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა და დამკვიდრება ქრისტიანულ რელიგიასთან, საქართველოს ეკლესიის წიაღში მიმდინარე მოვლენებთან, ევროპული სამყაროსკენ სწრაფვასთან, დაშლილი სახელმწიფოს აღორძინების მცდელობასთან, კულტურულ აღმავლობასა და იმ მსოფლმხედველობრივ პლასტებთან არის დაკავშირებული, რომლებიც ზემოჩამოთვლილ პროცესებს განაპირობებს და ახლავს.

რედაქტორი **გურამ ლორთქიფანიძე**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

ISBN 978-9941-13-574-3

## რედაქტორისაგან

წიგნი ზურაბ გაიპარაშვილის ხანგრძლივი შემოქმედებითი კვლევის შედეგია. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მისი პირველი პუბლიკაციები მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გამოქვეყნდა და სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო.

სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, საისტორიო დისციპლინის ეს ე.წ. „დამხმარე დარგი“ ჩრდილში იყო მოქცეული მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ქართულ პერიოდიკაში ქართული ჰერალდიკის ისტორიისადმი მიძღვნილი სტატიები ქვეყნდებოდა.

შესაძლოა, გადუჭარბებლად ითქვას, რომ ზურაბ გაიპარაშვილმა უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა ჰერალდიკის პრობლემათა კვლევის საქმეში. ჰერალდიკის ისტორიის თეორიულ საკითხებთან ერთად მან კულტურულ-მსოფლმხედველობრივად გაიაზრა საქართველოში ჰერალდიკის განვითარების პროცესი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, კულტუროლოგიის თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, მან გამოიკვლია ქართული კულტურის ერთი ნაკლებად შესწავლილი ფაქტი – ეროვნული გერბი დროსა და სივრცეში.

სოლიდურია მკვლევრის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანთიმოზ ივერიელთან დაკავშირებული საარქივო მასალების წარმოჩენა და მათი ანალიზი, ქართველ მეფეთა მიერ ნაბოძებ სიგელთა ჰერალდიკური გააზრება და სხვ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის ღვაწლი ქართული საეკლესიო ჰერალდიკის კვლევის საქმეში. ბაგრატიონების გერბზე გამოსახული კვართი, იმავდროულად, ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოცაა, რაშიც შეუძლებელია არ დაეთანხმო მკვლევარს. ეს გერბი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია, ამდენად, დიდია მისი სპეციალური კვლევის მნიშვნელობაც!

აუღელვებლად ვერ წაიკითხავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბის შექმნის ეპოპეას, რომლის სათავეში ივ. ჯავახიშვილი იდგა. ავტორი დანვრილებით განიხილავს თსუ გერბის სემანტიკას, მისი ავტორის – დ. შევარდნაძის ღვაწლს და ჯეროვნად აფასებს მის შემოქმედებას.

1918 წლის 20 სექტემბერს კანონით დამტკიცდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი. ზურაბ გაიპარაშვილმა მოიძია ამ გერბის განხილვისადმი მიძღვნილი სხდომების საარქივო მასალები, რომლებიც ცხადყოფს მისი შექმნის შემოქმედებითი პროცესის დეტალებს; კერძოდ, წარმოდგენილია თეთრი გიორგის, საქართველოს მფარველის, იკონოგრაფიის თავისებურებანი და შვიდი მნათობის – შვიდი სამთავროს ერთიანობის იდეა.

საქართველოს საპატრიარქოში დაცული საარქივო მასალების საფუძველზე, ზურაბ გაიპარაშვილმა შეისწავლა საეკლესიო სიმბოლიკა და საპატრიარქოს გერბი. ირკვევა, რომ მისი ესკიზების შედგენაში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მხატვრები, როგორებიც არიან: ემირ ბურჯანაძე (თბილისის გერბის ავტორი), ჯემალ ლოლუა, ელგუჯა ამაშუკელი, ელგუჯა ბერძენიშვილი. კონკურსში სასულიერო პირმა – გურამ ბურჩუკურმა გაიმარჯვა. გერბის ძირითადი სახე წმინდა გიორგია, საქართველოს მფარველი, ხოლო ლაიტმოტივი – ეკლესიისა და ქართველი ერის ერთიანობა.

ავტორის მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგად გამოტანილია საყურადღებო დასკვნები. იგი კარგად იცნობს პრობლემის შესახებ გამოქვეყნებულ უცხოურ სპეციალურ ლიტერატურას, სხვადასხვა ცნობარს, იყენებს ნუმიზმატიკურ და სფრაგისტიკულ წყაროებს.

ზურაბ გაიპარაშვილი მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერია. მისი კვლევის შედეგები გამოადგებათ სალექციო კურსებსა და სემინარებზე, პირველ ყოვლისა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

**პროფ. გურამ ლორთქიფანიძე**

საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

## შესავალი

„ნუთუ ჭაბუკნი ვერასოდეს ვეღარ ვიქნებით, ახალგაზრდობა მშვენიერი ნუთუ გათავდა?“

*ვალერიან გაფრინდაშვილი*

ჩვენ დროსაც ასე იყო, როცა სევდას თავს ვერ ვალწვედით ან არ გვინდოდა, მისგან გავთავისუფლებულიყავით, რადგან სევდიანი იერი გამორჩეულობას გვძენდა რესპექტაბელურ, ერთ ყაიდაზე მორთულ-მოკაზმულ თანატოლებთან შედარებით (უფრო კი გვეგონა, რომ გამოგვარჩევდა, თორემ რომელი დენდები ჩვენ ვიყავით?!...) – ჩემი თაობა ისევე, როგორც ყველა თაობა ახალგაზრდობაში, თავის „ვუდსტოკს“ იგონებდა, თუმცა ჩვენ კონტრკულტურასა და კულტურულ რევოლუციასზე გააზრებულად თითქმის არ ვფიქრობდით, – პირიქით, უპირატესობას ეროვნულ, ტრადიციულ ფასეულობებს ვანიჭებდით, რადგან საზოგადოებას სჯეროდა (ალბათ, ასეც იყო), რომ მხოლოდ ნაციონალურობის, გვიან შუა საუკუნეებში, მცირე აღორძინების ხანაში ნაცადი მესიანიზმი იყო ეფექტური იარაღი ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების გასაძლიერებლად – მაშინ ხომ მთავარი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოხსნა გახლდათ... ამ საერთო პროცესის კონტექსტიდან ამოვარდნილ აქტივობას, რბილად რომ ვთქვათ, აღმაცერად შეხედავდა მასა და თავად პიროვნებასაც შინაგანი უხერხულობის განცდა დაეუფლებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ საერთო სახალხო მდინარეებს აყოლილები, მძლავრი ტალღების მიქცევა-მოქცევისას ჩამოვარდნილი სიჩუმის ოაზისებში მაინც ვახერხებდით განმარტობას ჩვენი მეგობრების მყუდრო სახლებში ანდა ნაქირავები ბინის ტკბილ მარტობაში და, ეპიკური პათეტიკისგან დაღლილები, ამოვიჩემებდით პოეტებს, რომლებსაც დიდად არ სწყალობდნენ ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები; ვკითხულობდით მათ ლექსებს, რომლებიც საერთო კულტურულ-იდეოლოგიურ ასპექტებს მთლად გამართულად ვერ ესადაგებოდა და ამით ერთგვარ პროტესტს ვუცხადებდით აწმყოს. ეს არ იყო საერთო პროტესტი, რომელიც ქუჩაში დროშების ფრიალით, მიტინგებით, ხელისუფლების წინააღმდეგ მკვახე შეძახილებით ახალგაზრდულ ენერჯიად გადმოედინებოდა. ეს უცხო, დამალული თუ ჯერ უცნობი ხელოვნების

ძიების სურვილი იყო – მამებს რომ მოსწონდათ ან გვაჩვენებდნენ, რომ მოსწონდათ – იმისგან განსხვავებული ესთეტიკის წყურვილი. ეს ის მამები იყვნენ, რომლებმაც, როგორც მოგვიანებით უნიჭიერესმა პოეტმა ზვიად რატიანმა თქვა, „უპასუხოდ გადაყლაპეს ყველა საყვედური, რომელიც ვუთხარით“, – ამიტომაც ვერ შედგა მეოცე საუკუნის მამათა და შვილთა ბრძოლა, კლასიკური გაგებით.

უნივერსიტეტში ყოველთვის იყვნენ პროფესორები, რომელთათვისაც შეგვეძლო მიგვენდო ჩვენი ნასათუთევი ოცნებები და მათგანაც მიგველო სულიერი თავშესაფარი. მათი რჩევით, მეოცე საუკუნის ქართული სიმბოლიზმი და ყველაზე „ორთოდოქსი“ პოეტის, ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედება ავირჩიე სტუდენტურ საკვლევ თემად. ქვეყანაში მიმდინარე ხმაურიან ეპიკურ-ჰეროიკული ხმაურისგან დაღლილ სტუდენტს მისი პოეტური ხილვები, სარკეში დანახული, ძვირფასი ქვებით გაფერადებული მიღმური სამყარო ერთგვარ ოაზისად მომეგვინა. ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ გასული საუკუნის ათიან წლებში გამეფებული მოსაწყენი ლიტერატურული მყუდროების დარღვევა სასურველ ლიტერატურულ-ისტორიულ დეჟავიუდ აღვიქვი. პოეტური დაისები, ოფელიები და ამარსიფალი იყო ჩემთვის ის კონტრკულტურული ღუზა, რომლის ჩაჭიდებაც საიმედოდ მიცავდა ნებისმიერი უგემოვნო, თუმცა, შეიძლება, მოდური ახალგაზრდული ამბოხის ცდუნებისგან. იქნებ მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე შექმნილი მაღალი ხელოვნების აღმოჩენამ გვიხსნა იმისგან, რომ კიჩმა არ წავგლეკა. ესეც იყო, თუმცა ჩემმა ახალგაზრდულმა მაქსიმალისტურმა გემოვნებამ და გამოუცდელობამ ვერ მოახერხა ვალერიან გაფრინდაშვილის ეპოქების მიხედვით დანაწევრებული სამყაროს ერთ მთლიანობად აღქმა და ცოტა ხნით „გავებუტე“ ჩემი სიჭაბუკისდროინდელ „თეთრი ვერსალივით“ მოწყენილ სიმყუდროვეს: ვერ „ვაპატიე“ ვალერიან გაფრინდაშვილს მომნუსხველ პოეტურ მისტიფიკაციასთან გამომშვიდობება და უღიმღამო სოციალისტური რეალიზმის ტიპურ წარმომადგენლად გარდაქმნა. ლიტერატურა და ხელოვნება ხომ ამგვარი თავხედობის უფლებასაც გვაძლევს ჩვენ, უბრალო მკითხველებს, რომ შევიყვაროთ და გადავიყვაროთ კიდევ არტისტები! ეს სიყვარული და უარყოფა მხოლოდ ჩვენი ემოციური უფლებაა, რომელსაც ხშირად არაფერი აქვს საერთო მეცნიერულად დასაბუთებულ ხელოვნებათმცოდნეობით არგუმენტებთან. ცხადია, ლიტერატურის ისტორიკოსის თვალთახედვით, თავდაპირველად „ცისფერი ორდენის ერთგული რაინდის“ – ვალე-

რიან გაფრინდაშვილის ამგვარი შემოქმედებითი მეტამორფოზა უფრო საინტერესო საკვლევია უნდა ყოფილიყო, მაგრამ სადისერტაციო თემაზე მუშაობა შევწყვიტე. ამასობაში ჩემი მეგობრების – უნივერსიტეტის „პრეს-კლუბის“ წევრების თხოვნით, დავინტერესდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბის ისტორიით, რომლის შესახებ, ბუნებრივია, ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებ, და სტატიაც დავბეჭდე ჟურნალში. ამ წერილის გამო მიმიხმო პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ, რომელსაც მხოლოდ მორიდებულ სალამს თუ ვეუბნებოდი ხოლმე, რადგან მისი ლექციების მოსმენის პატივი არ მქონია (მე ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ის ისტორიის ფაკულტეტზე ასწავლიდა), და შემომთავაზა, მუშაობა გამეგრძელებინა ჰერალდიკაში. წამაკითხა საკუთარი ახალგაზრდობისდროინდელი მშვენიერი გამოკვლევა შერვაშიძეების გერბზე და წამაქება.

ასე შემიყვარდა კულტურის თვალისმომჭრელად ლამაზი და მკაცრ სიმეტრიასა თუ წესრიგს დაქვემდებარებული დარგი – ჰერალდიკა.

\* \* \*

„მომწერე შენი არაბული ჭრელი სიზმარი,  
რომ მე უკულმა წავიკითხო მზეცა და მთვარეც“.

*გიორგი კეკელიძე*

მკაცრი რაციონალური სიზუსტით შექმნილ ევროპულ გერბთა სილამაზეს არაბული და სპარსული ზღაპრების ფერადოვნების ელფერი დაჰკრავს. ისინი ნორმანულ-სკანდინავიურ მიუვალ, გათოშილ და პირქუშ სასახლეებში აღმოსავლური მცხუნვარე მზის ნასხლეტებს უფრო მოაგონებენ მნახველს, ვიდრე – ჰერალდიკოსის განაფული ხელით ნაძერწ კანონიკურ დოკუმენტებს, რომლებზეც მემატიანის ხელს წინაპართა საბრძოლო საქმეები არაბესკებივით ჩაუნნავ-ჩაუხლართავს.

წიგნის სათაური – „ჰერალდიკური არაბესკები“ იმას როდი ნიშნავს, თითქოს იმ აზრს არ ვიზიარებდე, რომ გერბი ევროპული კულტურის წიაღში ჩასახულ-განვითარებული ფენომენია! არა, სათაური სხვა რამის გამო შევარჩიე: მთელი ცხოვრება ჰერალდიკის საკითხებზე მუშაობისთვის არ მიმიძღვნია, მაგრამ, როგორც არაბესკას ახასიათებს გეომეტრიული, მცენარეული თუ ეპიგრაფიკული გამოსახულებების დაუსრულებელი განმეორება, ასე განუშორებლად მომყვებოდა სხვადასხვა ჰერალდიკური არტიფაქტის შესახებ ფიქრი. არაბესკის რიტმი კლასიკური არაბული პოეზიისა და მუსიკის რიტმს ჰგავს. მისი აგების პრინციპია უსასრულო განვითარება და რიტმული გამეორება, და ამ რიტმულ მოძრაობაში ხომ ყოველთვის შეიძლება გაჩერებაც და, ამავე დროს, მისი ნებისმიერი ნერტილიდან ისე გაგრძელება, რომ მოხატულობის მთლიანობა არ დაირღვეს! ასე მეორდებოდა, განსაკუთრებით, უნივერსიტეტისა და ანთიმოზ ივერიელის გერბებთან დაკავშირებული ჰერალდიკური მოტივები სხვადასხვა გამოცემაში დასტამბულ წერილებსა თუ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებში.

ამ წიგნში თავი მოვუყარე ამ სტატიების გადამუშავებულ ტექსტებს, რომლებიც, როგორც რომელიმე გეომეტრიული ჩუქურთმის არაბესკული მოტივი, ცალკეც იკითხება, მაგრამ ერთად საქართველოში ჰერალდიკის განვითარების მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს გამოკვეთს.

\* \* \*

„-საოცარია! – ჩაილაპარაკა რაინდმა, – ამის-  
თანა ციხის ასაღებად უდროშოდ და უბაიროდ  
მოდიან!...

- ვინ მოუძღვით, ამას მაინც ვერ ხედავ?

- ყველაზე უფრო გარკვევით ერთი შავბჯა-  
რასხმული რაინდი ჩანს, სხვა არც არის ასე თავი-  
დან ფეხებამდე იარაღში ჩასხმული, ეტყობა ეგ მე-  
თაურობს.

- ფარზე რა ნიშანი აქვს? – ჰკითხა აივენჰომ.

- რკინის ჯოხების მსგავსი რალაცა... და იქვე  
ლურჯი კლიტეც.

- ლაჟვარდოვანი ბორკილები და ხუნდები! –  
თქვა აივენჰომ, – ნეტა ვისი ნიშანი უნდა იყოს? “

*უოლტერ სკოტი, „აივენჰომ“*

ჰერალდიკის, იმავე – გერბმცოდნეობის, როგორც დამხმარე  
საისტორიო დისციპლინის, მიზანია გერბების შესწავლა, რითაც ის  
ახერხებს, ნათელი მოჰფინოს ამა თუ იმ კულტურის, სახელმწიფოს  
ისტორიული ეტაპების ნაკლებად ცნობილ ფაქტებს, პროცესებს  
და ამით მკვლევარს ობიექტური სამეცნიერო დასკვნები გამოაყვან-  
ნინოს. ჰერალდიკა გერბის შექმნასა და მისი გამოყენების ტრადიცი-  
ასაც გულისხმობს. მას ემბლემატიკის შემსწავლელ დისციპლინათა  
ჯგუფს მიაკუთვნებენ. ტერმინების – „გერბი“, „ემბლემა“ და „სიმ-  
ბოლო“ – ერთმანეთთან დაუკავშირებელი განხილვა ხშირად ძნე-  
ლად გასაგებს ხდის ჰერალდიკის საკითხებს. სიმბოლო ის ნიშანია,  
რომელიც ქარაგმულად მიანიშნებს (ასახავს) რომელიმე საგანს ან  
მოვლენას (მაგალითად, მტრედი, პალმის რტო ან ორივე ერთად –  
მშვიდობის სიმბოლოა); ემბლემა ის სიმბოლოა, რომელიც საგნის არა  
– აბსტრაქტულ გაგებაზე, არამედ ამ სიმბოლოს ინდივიდუალურ ან  
კოლექტიურ პატრონზე მიანიშნებს (ამის მაგალითად უამრავი სა-  
ნარმოსა თუ ფირმის ნიშანი გამოდგება); გერბიც ემბლემაა, რომლის  
შედგენა, გამოყენება და სამართლებრივი სტატუსი დადგენილია ის-  
ტორიულად განსაზღვრული, განსაკუთრებული წესებით.

X საუკუნეში დასავლეთ ევროპაში გაჩენილი გერბი შემდგომ სა-  
უკუნეებში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანასა და სოციალურ ფე-  
ნაში გავრცელდა. შეიქმნა სასულიერო პირთა, მოქალაქეთა, ქალა-  
ქთა, კორპორაციათა, სახელმწიფოთა გერბები. შუა საუკუნეების

მინურულს ჰერალდიკაში შეზღუდვის გარკვეული სამართლებრივი ნესები შემოიღეს. თავადაზნაურობა ცდილობდა, ზოგადად, ჰერალდიკის თუ ვერა, გერბის განსაკუთრებულად საპატიო ფიგურების გამოყენება მაინც საკუთარ პრივილეგიად ექცია. სახელმწიფოსაც სურდა ჰერალდიკის გაკონტროლება. ეს ტენდენციები ფართოდ აისახა სწავლულთა ტრაქტატებში, რომლებიც მხოლოდ ჰერალდიკურ თხზულებებად ვერ ჩაითვლება, რადგან მათში ასახულია შუა საუკუნეების ცხოვრების სოციალურ-კულტურული ასპექტებიც. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჰერალდიკურ კანონმდებლობასა და, განსაკუთრებით, პრაქტიკაში მკაცრი ნესები ვერ დამკვიდრდა. ჰერალდიკაში მაინც დაუნერვლი კანონები მოქმედებდა.

არსებობს საერთაშორისო ჰერალდიკური ზოგადი ნესები, მაგრამ ხშირად ეს ნორმები, ქვეყნების მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდება. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნაციონალური ჰერალდიკის ნიმუშები მუშავებოდა კონკრეტული ერის კულტურისა და ისტორიის, ტრადიციების საფუძველზე, რომელთა სრულყოფილად შესწავლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია ეროვნული ჰერალდიკის გაუზრებლად და – პირიქით, ამგვარადვე, ცალკეული ქვეყნის ჰერალდიკის განხილვა – ზოგადევროპული კონტექსტისა და ურთიერთგავლენის გააზრების გარეშე არამეცნიერულია,<sup>1</sup> რადგან, როგორც აღინიშნა, ჰერალდიკის სამშობლოდ მიჩნეულია ევროპა.

ხშირად ნებისმიერ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელშიც, შესაძლოა, სიმბოლურად მოიაზრებოდეს რომელიმე ცალკეული ტერიტორია (ქვეყანა, ქალაქი), იურიდიული ორგანიზაცია, გვარი ან ამ გვარის ესა თუ ის წარმომადგენელი, გერბს უწოდებენ. „გერბის“ ამგვარი გაგებისას ზოგი ჰერალდიკოსი ემხრობა იმ მოსაზრებასაც, რომ მისი ძირი და ანალოგი ეძებონ კაცობრიობის კულტურის გარიჟრაჟზე წარმოქმნილ ყველა განმასხვავებელ ნიშანში, რომლებშიც კი კულტურულ ღირებულებასთან ერთად სამართლებრივ-საკუთრებითი პლასტები შეიმჩნევა.<sup>2</sup> ამგვარ ნიშნებს, რასაკვირველია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ისტორიულ წყაროებს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურის შესწავლის თვალსაზრისით, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა გერბს უწოდებს იმ გრაფიკულ გამოსახულებასაც, რომელიც განსაზღვრული

1 *Медведев М.*, Геральдика: введение в науку [ონლაინსტატია]. განთავსებულია 2007 წლიდან. მის.: <http://sovnet.geraldika.ru>

2 *Арсеньев Ю.*, Геральдика. Москва. 1908, გვ. 3.

ელემენტებისგან და რამდენიმე, თუნდაც, პირობითად შეთანხმებული, მაგრამ დადგენილი გამომსახველობითი ხერხით შეუდგენიათ.

როდესაც ჯვაროსნულ ლაშქრობათა და ტურნირთა მონაწილე მუზარადითა და მოსასხამით შემოსილი მხედრები იძულებული ხდებოდნენ, რაიმე ფორმით ერთმანეთისგან გამორჩეულიყვნენ, ფარის მკვეთრი ფერებით შეღებვისა და მუზარადზე სირაქლემის ბუმბულისა თუ სხვადასხვა ფრინველის ფრთის დამაგრებით მარტივად ახერხებდნენ. ფარსა და მუზარადს (გერბის უმთავრეს ელემენტებს) დროთა განმავლობაში ემატებოდა მოსასხამი, გვირგვინი, ფარისმტვირთველები და სხვა ელემენტები. რაინდთა ფენის მიერ შექმნილი გერბები, ჯერ პიროვნულ, მოგვიანებით კი – საგვარეულო ნიშნებად ქცეული, თაობიდან თაობას გადაეცემოდა, და სამხედრო დანიშნულებას მოკლებული, ყოფით ფუნქციას იძენდა. გერბებით ამკობდნენ ვერცხლის ჭურჭელს, ფაიფურს, მინის საგნებს, ქსოვილს, ეკიპაჟებს, შენობა-ნაგებობებს, საფლავებს, წიგნის ყდებს... განსაკუთრებით ინტენსიურად გამოიყენებოდა გერბები საბეჭდავებზე. მსოფლიო კულტურამ უამრავი არტეფაქტი შექმნა, რომლებზე ცნობებსაც მხოლოდ მასზე გამოსახული გერბი გვანვდის (საგნების წარმოშობის გეოგრაფიული არეალი, მისი მფლობელის სოციალური მდგომარეობა, დამზადების თარიღი და სხვ.). გერბის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებისას ჰერალდიკა ხშირად ამა თუ იმ საგნის შესახებ სრულიად ახალ მონაცემებს იძლევა ეკონომიკისა და მეურნეობის სფეროში, მით უფრო – სამეურნეო კომპლექსების ტრანსფორმაციის თაობაზე, მათი განადგურებისა და ცალკეული საგვარეულო-საოჯახო საკუთრების მფლობელთა ცვლილების დადგენის გზით. გერბი, როგორც განსაკუთრებული საისტორიო წყარო, შეიცავს ახალ მნიშვნელოვან მონაცემებს. საგერბო ექსპერტიზას, როგორც საისტორიო კვლევის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიის პრობლემათა ახლებური გადაჭრა.

გერბის სპეციფიკა გარკვეული საგნის პასპორტიზაცია და დათარიღებაა. ამავე დროს, ის არკვევს მის მფლობელს, ადგენს საკუთრების ქრონოლოგიურ თარიღებს და საგანი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს.

გერბმცოდნეობას, როგორც საისტორიო დამხმარე დისციპლინას, ამა თუ იმ ეპოქის კულტურულ-სამეურნეო საკითხებით დაინტერესებული მკვლევრისთვის ხშირად ფასდაუდებელი დახმარების

განევა შეუძლია. გერბის სწორი ატრიბუცია და ბლაზონირება ბევრ შემთხვევაში ისეთი ინფორმაციის შემცველია, რომელსაც სხვა საისტორიო წყარო ვერ შეინახავს. ევროპული და ქართული ჰერალდიკის განვითარების ეტაპებიც ზუსტად ასახავს შესაბამის ეპოქებში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს და მათთან დაკავშირებულ კულტურულ-მსოფლმხედველობრივ ვითარებას.

\* \* \*

„აჰა, მმონმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემონმებიან“  
შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“

„სად გაგონილა, რომ მოგზაურ რაინდს სატრფო არ ჰყავდეს?  
რაღა უვარსკვლავო ცა და რაღა უსატრფოო რაინდი!“  
მიგელ დე სერვანტეს საავედრა,  
„მახვილგონიერი იდაღო დონ კიხოტ ლამანჩელი“

იმ დროს, როდესაც გერბებისა და ჰერალდიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი – ჯვაროსნული ლაშქრობები იუდაისტურსა და ისლამურ ცივილიზაციებთან ევროპული ცივილიზაციის ყველაზე მძლავრ შეჯახებად იქცა, რა პოზიცია ეკავა ბიზანტიურ ცივილიზაციას – მედიატორის, მონაწილის, წაგებულისა თუ გამარჯვებულის?!

თუ გერბის წარმოშობისა და განვითარების ძლიერი წინაპირობა, ევროპულ სოციალურ გარემოსთან ერთად, საბეჭდავი იყო (აღმოსავლურ და ბიზანტიურ ცივილიზაციათა პროდუქტი), მაშ, რატომ იქცა გერბის სამშობლოდ დასავლეთი ევროპა? როდის შემოიჭრა იგი ბიზანტიურ კულტურაში, შესაბამისად, საქართველოში, და რამ შეუწყო ხელი ამ გარემოში მის დამკვიდრებას? რომელ ძლიერ კულტურულ დინებათა მიმოქცევასთან გვაქვს საქმე იმ არეალში, რომელსაც დასავლეთ ევროპულ-ბიზანტიური ცივილიზაციები მოიცავს? რა როლს თამაშობს ქრისტიანული რელიგია ჰერალდიკის განვითარების თვალსაზრისით?

ამ გლობალურ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გასაცემად მრავალი ნაშრომი დაინერა, ამ თემებს მომავალშიც არაერთი გამოკვლევა მიეძღვნება. მე მინდოდა, ქართული კულტურის მაგალითზე გამენაალიზებინა ის კულტურულ-მსოფლმხედველობრივი საფუძვლები, რომლებმაც განსაზღვრა საქართველოში ჰერალდიკის განვითარება.

კულტურის ძეგლთა შორის იშვიათად მოინახება გერბივით რთული არტეფაქტი, რომელიც მეცნიერული სიზუსტით, მხატვრული ფორმებითა და რთული ნიშან-სიმბოლოებით ინახავს ფასდაუდებელ, თუმცა ხშირად ძნელადამოსაცნობ, ინფორმაციას.

ჰერალდიკა, ზოგადად, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უაღრესად საინტერესო სეგმენტია, რომელმაც სიმბოლოთა ენით შემოინახა სახელმწიფოების, ქალაქების, საგვარეულოთა თუ ადამიანების ისტორიისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები. ქართული ჰერალდიკა ევროპულ-ქართულ კულტურულ დინებათა ურთიერთობის შედეგად განვითარდა. ამ პროცესში კიდევ ერთხელ გამოვლინდა ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი უნარი, რომელიც გულისხმობს უცხო ცივილიზაციის საუკეთესო მიღწევების ისე მიღებასა და შეთვისებას, რომ არ დაიკარგოს თვითმყოფადობა – ამ თვალსაზრისითაც, ვფიქრობ, აქტუალურია ქართული გერბშემოქმედების საუკუნოვანი პროცესის თვალის მიდევნება და სათანადო დასკვნების გამოტანა.

ჰერალდიკის მთავარი დოკუმენტური წყარო, ერთი მხრივ, მონუმენტური (ცალკეულ საგნებსა თუ ნაგებობებზე არსებული გერბების გამოსახულებები) და, მეორე მხრივ, წერილობითი ძეგლებია (ფართო პლასტი ჰერალდიკური მასალისა შემონახულია ქრონიკებში, პოემებსა და სხვა ეპიგრაფიკულ საბუთებსა თუ ნაბეჭდ პროდუქციაზე).

ისტორიული განვითარების შესატყვისად, საქართველოში ჰერალდიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ხასიათიდან გამომდინარე, მისი ობიექტურად შესწავლის პირველი და უტყუარი საფუძველი ისტორიული წყაროებია. ჰერალდიკის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, პირობითად, დასაშვებია, ორ ჯგუფად დაიყოს: ქართული და რუსული წყაროები. ეს განპირობებულია იმით, რომ ქართული ჰერალდიკის განვითარების პერიოდები, ძირითადად, ემთხვევა საქართველო-რუსეთის მრავალმხრივი ისტორიული ურთიერთობების ეტაპებს.

ზოგადად, ჰერალდიკური წყაროს სპეციფიკური ტიპია გერბთა კრებულები<sup>1</sup> და ნუსხები<sup>2</sup>. ამგვარ დოკუმენტაგან, სავარაუდოდ, უძველესად მიჩნეულია კონრად დე მურის (Konrad de mure) Clipearius Theutonicorum (დაახლ. 1240 წ.), რომელიც ლექსად აღწერილ 73 გერბს შეიცავს, და მათეოს პარიზელის (Matthaeus Parisiensis, 1200-1259 წწ.) ქრონიკების ჰერალდიკური ნაწილი. იგი გულისხმობს გერბების გა-

---

1 რუს. Гербовник, ფრანგ. და ინგ. Armorial, გერ. Wappenbuch

2 ფრანგ. Role d'arms, გერმან. Wappenrolle, რუს. Гербовый столбец – ვინრო გაგებით – გრაგნილის სახით არსებული გერბების ერთობლიობა, ფართო გაგებით კი – გერბების კრებული

მოსახულებებსა და აღწერილობებს. 1250-იან წლებს მიეკუთვნება გლოვერის (Roll, ინგლისი) და ბიგოს (Role d'armes, საფრანგეთი) „საგერბო ნუსხები“ (ეტრატები).<sup>1</sup>

1950 წელს ა. ვაგნერმა განახორციელა გერბების კრებულების კლასიფიკაცია და ფორმულირება, მათი შედგენის პრინციპთა მიხედვით.<sup>2</sup>

გერბების კრებულები ძირითადად იყოფა „მოვლენათა“ ან „საგანგებო“<sup>3</sup> („событийные“, „occasional“) ჯგუფებად, რომლებიც აერთიანებს რომელიმე ერთ მოვლენასთან – ლაშქრობასთან, ტურნირთან და მისთ. – დაკავშირებულ გერბებს; „კორპორაციული“ („корпоративные“, „institutional“); „საერთო“, რომელიც აერთიანებს გერბებს ტერიტორიული ნიშნით (local, provincial) და ცდილობს, თავი მოუყაროს მთელი მსოფლიოს გერბებს (general“); „ჩვეულებრივი“ („упорядоченные“ „ordinary“) კრებულები, გერბმცოდნეობის თვალსაზრისით, გერბებს ფორმათა მსგავსების ნიშნით აჯგუფებს; „მარგინალური“ ანუ არადამოუკიდებელი ჯგუფი რომელიმე ეპიგრაფიკული ძეგლის არაძირითადი ნაწილია (მაგალითად, მინეზინგერთა გერბები, რომლებიც ილუსტრაციებად ერთვის ჰაიდელბერგულ ხელნაწერს), ამგვარ კრებულთა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ რუსეთის მეფის, ალექსეის 1672 წლით დათარიღებული ჩვენთვის საყურადღებო „ტიტულიარნიკი“, რომელშიც ჩამოთვლილია ამ მეფის მფლობელობაში არსებული მიწები. დოკუმენტს ერთვის ამ ტერიტორიების სიმბოლოები. „ტიტულიარნიკში“ ქართული გერბებიც არის შეტანილი. ამავე ტიპისაა ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს რუკა, მასზე გამოსახული გერბების გამო.

თავმოყრილ ქართულ გერბებს პირველად ვხვდებით კავკასიის ვახუშტის მიერ შედგენილ ატლასზე.<sup>5</sup> როგორც ცნობილია, ვახუშტი

1 *Медведев М.*, Геральдика: введение в науку [ონლაინსტატია] განთავსებულია 2007 წლიდან. Александр Черных, Гербовники XIV века [ონლაინსტატია] განთავსებულია 2008 წლიდან, მის.: <http://sovnet.geraldika.ru>

2 *Wagner A.R.*, Heralds and Heraldry in the Middle Ages. 2 ed. Oxford, 1956, გვ. 35.

3 ქართული ჰერალდიკური ტერმინოლოგიის უქონლობის გამო, შეიძლება ტერმინები არაზუსტი იყოს და საჭიროებდეს დახვეწას.

4 ფრანგული ტრადიციის მიხედვით, ტერმინი general გამოიყენება, როგორც ლოკალური, ისე უნივერსალური გერბების, კრებულთა აღსანიშნავად.

5 *ბაგრატიონი ვ.*, საქართველოს ატლასი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი. 1997

ბაგრატიონი 1724 წელს, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, მამის, ვახტანგ VI-ის დიდ ამაღლასთან ერთად იძულებული გახდა, რუსეთში გადახვეწილიყო და სამეცნიერო მოღვაწეობა მოსკოვში გაეგრძელებინა. მან საქართველოსა და მისი რეგიონების ახალი 19 რუკა და 2 გენეალოგიური ტაბულა შექმნა..

პირველი ატლასი, რომელიც 1735 წლით არის დათარიღებული, ქ. ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოხვდა. ეს რუკები 1880 წელს კავკასიის სტატისტიკის კომიტეტმა სამი თვით თბილისშიც ჩამოიტანა.<sup>1</sup>

1 ვახუშტის ატლასთან დაკავშირებით, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი ფელეტონი „ჩვენებური საქართველოს გერბი“, რომლის ავტორიც იონა მეუნარგიაა. „ამ ზამთარში, – წერს ავტორი, – კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტმა დაიბარა ყაზანის უნივერსიტეტიდან ვახუშტის ხელით შედგენილი საქართველოს კარტა. ეს კარტა, ანუ უფრო ნამდვილად რომ ვსთქვათ, ატლასი, რადგანაც, ის წინა პირველათ, ყოფილა შემდგარი 8 თაბახიდან, რომელთაგან ეხლა ოთხ თაბახ ნახევარიღა დარჩენიღა, არ ვიცით ნამდვილათ საიღამ უშოვნია ყაზანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ზოგი ამბობს, ეს კარტა პოტემკინის ბიბლიოთეკიღამ ერგო უნივერსიტეტსაო, მაგრამ თითონ კარტიღამ არა სჩანს-რა. უჭევეღია, ბოლოს ფურცლებზე იქნებოღა წარწერა, მაგრამ ეს ფურცლები არავინ იცის სად არის, ეს ატლასი დროებით იყო გამოგზავნილი თბილისში. ყველამ დიდის სიამოვნებით ვნახეთ ის, ყველას ჩვენგანს მოჰგვარა იმან პატრიოტული წერწყვი და კიდევ ერთჯერ მოვიგონეთ ჩვენი დიდებული წარსული... მაგრამ ამ მოგონებებით ან-მყოს კი არავითარი ნუგეში არ მიეცა.. ქართულ საზოგადოების რჩეულთა, რომელთაც ნახეს ატლასი, ბევრი ატრიალეს ის, ბევრი ათვალეერეს, ბევრი იძახეს: „რა მშვენიერია“, „რამდენი შრომა გაუნევია“, „რამდენი ცოდნა ჰქონია“, და ხელში სიგარით გააბეს ამ ატლასზე დარბაისლური, ბრძნული ქართული მუსაიფი... მაგრამ არავის თავში არ მოუვიღა, გადაეღებინებინათ ეს ატლასი და რამდენიმე ათი ეგზემპლარი მაინც გაეცვრცელებინათ საქართველოში. რომ გეკითხა, ყველას ესმოდა ამ ატლასის დიდი მნიშვნელობა, ყველას უნდოდა თავისი კაბინეტის გასამშვენიერებლად ჰქონოდა ამისი პირი. ბევრს შეეძლო ერთი სიტყვა ეთქვა და იქვე, იმავე წამს, მოეკრიფა 30-40 თუმანი, რომელიც საჭირო იყო ამ ატლასის ლიტოგრაფიით გადაღებისათვის; მაგრამ... ყველამ ქებული სიფრთხილე და სიჩუმე არჩია ჩვენში ნაძრახ საქმეს... ატლასი იყო ჩვენში სამიოდე თვე და ისევ უკან გაგზავნეს რუსეთში... ნეტარ-ხსენებულმა ვახუშტმა, რომელსაც კლიომ უსაყვედურა ამ ნაირი ქართველების დაუდევნელობა, სთქვა, თურმე: „მე რა მეთქმის, იგი ქვეყანასა შინა იყო და ქვეყანამ იგი ვერ იცნო“ და მიუბრუნდა თავის დაუსრულებელ ფიქრს საქართველოზე...“. 1997 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ თბილისში გამოსცა ვახუშტის კარტოგრაფიული მემკვიდრეობის ატლასი.

ქართული ჰერალდიკით დაინტერესებული მკითხველი მნიშვნელოვან ინფორმაციას ნახავს ერეკლე მეორის მიერ სათავადო ნოდებებისა და მასთან დაკავშირებულ გერბის ბოძების სიგელებზე, რომლებშიც მოთხრობილია ამა თუ იმ გვარის ისტორია, მისი დამსახურება და მინიჭებული გერბის აღწერილობა.<sup>1</sup> საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ გახშირდა გერბების გამოსახულებები ნაბეჭდ პროდუქციაზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე, საფლავის ქვებზე და სხვ.

გერბების ზოგი კრებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქმნებოდა და ივსებოდა. მასში გერბი შეჰქონდათ აღწერილი ფორმით ან ფარის გამოსახვით – ნახატის შემთხვევაში ხან გამოსახავდნენ მხოლოდ ფარს, ხან – გერბს სრულად, ყველა შემადგენელი ნაწილით: მუზარადით, ბურელეგით, ლამბრეკენით, მანტიით...

ქართული ჰერალდიკის ისტორიის შესწავლისას ხშირ შემთხვევაში ერთადერთი წყაროა მეფის რუსეთისდროინდელი დოკუმენტური მასალა, რომლის სრული სისტემატიზაცია, სამწუხაროდ, რუსულმა ისტორიოგრაფიამ ვერ მოახერხა იმ ცნობილი შეხედულების გამო, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა პერიოდში ჰერალდიკა, როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინა, საგანგებოდ უგულებელყვეს – სოციალიზმის ეპოქაში საბჭოთა იდეოლოგიისათვის ნაკლებად მომგებიანი იყო საგვარეულო გერბის, როგორც ერთი გაბატონებული კლასის, ყოფიერების ატრიბუტის, შესწავლა. იმ პერიოდის ერთგვარ მეთოდოლოგიურ განზოგადებად შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა მეცნიერის, ა. ვედენსკის მოსაზრება, რომ ჰერალდიკა საბჭოთა ისტორიისთვის უსარგებლო და მიუღებელი იყო.<sup>2</sup>

ოცდაათიან წლებში „ოფიციალური“ ისტორიული მეცნიერება აქტიურად ცდილობდა, დაემცრო ჰერალდიკა, რასაც მოჰყვა გერბების უნიკალური მუზეუმის დახურვა რუსეთში, იმ საზოგადოებათა (ექსლიბრისტების, კოლექციონერების) დაშლა, რომელთა საქმიანობაც, ამა თუ იმ ფორმით, საგვარეულო გერბებს უკავშირდებოდა. ამგვარმა ქმედებამ განაპირობა ჰერალდიკის ტრადიციების მივიწყება, ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის შეფერხება-შეჩერება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაშინაც და მოგვიანებითაც, გან-

1 ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში. გამოსაცემად მოამზადა გ. ზარდალიშვილმა. თბილისი. 1971

2 *Введенский А.А.*, Вспомогательные исторические науки в работе архивистов. *У. Вопросы архивоведения*, N2, 1962. გვ. 31

საკუთრებით, პოსტსაბჭოთა რუსული ისტორიოგრაფია გერბებით ყოველთვის ინტერესდებოდა, მაგრამ ასწლელულების განმავლობაში დაგროვილი რუსეთის იმპერიის საგვარეულო გერბების გამოსახულებიანი დოკუმენტების დიდი უმრავლესობა, საბოლოოდ, გაუშიფრავი დარჩა. მასალა კი დიდი მოცულობისაა.

ქართული წარმომავლობის გვართა გერბების ძიებისას გასათვალისწინებელია რუსეთის იმპერიისდროინდელი რამდენიმე დოკუმენტური წყარო, რომელთაგან თითოეული ასობით და ათასობით გერბს აერთიანებს. ესენია:

1. ფეოდალთა საგვარეულო გერბები, რომლებიც „სრულიად რუსეთის იმპერიის თავადაზნაურთა გერბების საერთო კრებულშია“ („Общий Гербовник дворянских родов Всероссийской Империи“)<sup>1</sup> ოფიციალურად რეგისტრირებული, – მათი რაოდენობა 3127-ს აღწევს (აქედან I-XX ტომშია 3066 გერბი, ხოლო 61 გერბი დამტკიცებულია დროებითი მთავრობის მიერ 1917 წელს).

2. გერბები, რომლებიც არ შესულა „გერბების საერთო კრებულში“, მაგრამ მათი გამოსახულებები შემორჩა რუსეთის იმპერატორთა მიერ XVII-XX საუკუნეებში (1917 წლამდე) ნაბოძებ სიგელებს – ასეთი გერბი 1568-ია.

რუსეთის იმპერიის უმაღლეს ხელისუფალთა მიერ ოფიციალურად დამტკიცებულია 4695 გერბი. მათ გარდა, რუსულ ჰერალდიკაში გამოყოფენ, დაახლოებით, 2500-მდე ე.წ. თვითმყოფად გერბს, რომელთა შორის რუს, უკრაინელ, ბელორუს ფეოდალურ საგვარეულო გერბებთან ერთად კავკასიელ თავადაზნაურთა გერბებიც იგულისხმება.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნულიდან მკვლევრებს ხელი შედარებით იოლად მიუწვდებოდათ მხოლოდ 1562 გერბზე, რომლებიც დაბეჭდილია „გერბების საერთო კრებულის“ ათ ტომში 1799-1840 წლებში. დანარჩენ ტომებში თავმოყრილი მასალა ბოლო დრომდე დაუსტამბავი რჩებოდა. ცალკე კვლევის საგანია ე.წ. „დაუმტკიცებელი გერბები“, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, სენატის ჰერალდიკის დეპარტამენტში არ დაურეგისტრირებიათ და, აქედან გამომდინარე, ვერ

---

1 ქვემოთ ყველგან – „გერბების საერთო კრებული“

2 საინტერესო კოლექციაა დაცული საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, ო. გეტლინგის არქივში, რომელშიც თავმოყრილია რუსეთის იმპერიის დიდგვაროვანთა, მათ შორის, ქართველ თავადაზნაურთა გერბების ანაბეჭდები

მოხვდნენ „გერბების საერთო კრებულში“. განსაკუთრებით რთულია ამ კატეგორიის გერბების ბლაზონი (მით უფრო, თუ გერბის არასრულყოფილი გრაფიკული გამოსახულებაა შემორჩენილი) და ატრიბუცია.

აქვე უნდა აღინიშნოს ე.წ. „კავკასიური გერბების კრებული“. იგი, როგორც სასემინარო ნაშრომი, ცნობილ რუს ისტორიკოსსა და ჰერალდიკოს ვ. ლუკომსკის ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიური განყოფილების ასპირანტ ვასილ ზენკევიჩთან ერთად ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში შეუქმნია. ცნობილია, რომ ამ ნაშრომისთვის დამუშავებულა ცნობები ბაგრატიონების ყველა შტოს საგვარეულო გერბის შესახებ, საკმაოდ მოზრდილი ალბომისთვის შესრულებულა 300-მდე გერბის ნახატი, დანვრილებითი ტექსტობრივი მასალითურთ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ სერიოზული ჰერალდიკური გამოკვლევის ბედი დღემდე უცნობია. არსებობს მოსაზრება, რომ იგი 1942 წელს ლენინგრადის ბლოკადის დროს ლუკომსკის პირად არქივთან ერთად ხანძარმა გაანადგურა.<sup>1</sup>

უმთავრესი წყარო რუსეთის იმპერიის საგვარეულო გერბების შესასწავლად, როგორც აღვნიშნეთ, „გერბების საერთო კრებულია“, რომლის შექმნა და გამოცემა გრძელდებოდა ერთ საუკუნეზე მეტ ხანს. მასზე მუშაობა დაიწყო 1797 წლის 20 იანვარს, რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის ბრძანებულების თანახმად. მის შექმნაზე მეთვალყურეობა დაეკისრა გენერალ-პროკურორ ა. კურაკინს, 1800 წლიდან პასუხისმგებლობა დაევალა დირექტორს (ჰეროლდმეისტერს), სენატის მე-3 დეპარტამენტის ობერ-პროკურორს, ი. კოზოდავლოვს, ხოლო მის თანაშემწედ გერმცოდნეობასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებში დაინიშნა ჩინოვნიკი – „ვაპენრიხტერი“ („საგერბო მოსამართლე“) მატვეი ვაგანოვი, რომელმაც შეადგინა „გერბების საერთო კრების“ პირველი ათი ტომი.

1798 წლის პირველ იანვარს „გერბების საერთო კრებულთან“ დაკავშირებით გამოიცა იმპერატორის მანიფესტი, რომელიც ამ კრებულს განსაზღვრავდა, როგორც თავადაზნაურთა საგვარეულო ნოდების მაჩვენებელი ნიშნების კრებულს („...восхотѣли издать собраніе Гербовъ Дворянскихъ яко знаковъ Дворянскаго достоинства каждаго Дворянскаго рода“).<sup>2</sup>

1 *Борисов И.В.*, Родовые гербы России, Москва, 1997, გვ. 72.

2 იმპერატორ პავლე პირველის მანიფესტი, *Families of the nobility of the russian empire*, st.petersburg, 1993, ტ. I. გვ. 19.

მანიფესტის მიხედვით, განსაზღვრული იყო, რომ ამიერიდან, იმპერატორის ან მის შთამომავალთა ბრძანების გარეშე იკრძალებოდა „გერბების საერთო კრებულში“ შეტანილი გერბის ყოველგვარი ცვლილება. ყველა წარჩინებული გვარის წარმომადგენელს, რომლის საგვარეულო გერბიც „გერბების საერთო კრებულში“ შეეტანათ, თავადაზნაურთა წინამძღოლის ან ცნობილი ნათესავების მიერ მიცემული მოწმობის საფუძველზე შეეძლო პერგამენტზე გადაღებული გერბის ასლისა და მისი აღწერის მიღება. „გერბების საერთო კრებულში“ უნდა შენახულიყო სენატში, სადაც თავადაზნაურთა წარმომადგენლებს თავიანთი წოდების დასადასტურებლად სარწმუნო ცნობების მოპოვება შეეძლოთ.

სანკტ-პეტერბურგში დაბეჭდილი „გერბების საერთო კრებულის“ ეგზემპლარები იგზავნებოდა გენერალ-გუბერნატორთა კანცელარიებში, საიდანაც ამ ძვირფას გამოცემებს გუბერნიის შესაბამის სამსახურებს აწვდიდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ მოსკოვის საგუბერნიო სამმართველომ „გერბების საერთო კრებულის“ პირველი ტომის 80 ეგზემპლარი მიიღო. დღეს ეს გამოცემა მხოლოდ მდიდარი ბიბლიოთეკების იშვიათ საგანძურშია. ბოლო წლებში მოხერხდა ყველა ტომის დიგიტალიზება და ინტერნეტში განთავსება (<http://gerbovnik.ru/>).

პირველი ხუთი ტომი იმპერატორ პავლე I-ის სიცოცხლეში მომზადდა, დანარჩენი ხუთი კი ალექსანდრე I-ის ბრძანებით დაიბეჭდა. სულ შეიქმნა „გერბების საერთო კრებულის“ 21 ტომი: I და II ტომი – 1798 წელს, III და IV – 1799 წელს, V – 1800 წელს, VI – 1801 წელს, VII – 1803 წელს, VIII – 1807 წელს, IX – 1816 წელს, X – 1836 წელს, XI – 1863 წელს, XII – 1882 წელს, XIII – 1885 წელს, XIV – 1890 წელს, XV – 1895 წელს, XVI – 1901 წელს, XVII – 1904 წელს, XVIII – 1908 წელს, XX-XXI – 1917 წელს.

თავის დროზე პირველი ათი ტომი დაიბეჭდა. დედანი სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივშია დაცული.

„გერბების საერთო კრებულის“ თითოეულ ტომში 150-200 გერბია თავმოყრილი. მისი მომზადებისას ითვალისწინებდნენ, რომ „გერბების საერთო კრებულში“, ერთი მხრივ, წმინდა იურიდიული, მეორე მხრივ კი, ზეანეული საზეიმო განწყობილების გამომხატველი მხატვრული დოკუმენტი იყო. ტომების შექმნისას მხატვრები ძვირფას მასალას იყენებდნენ.

„გერბების საერთო კრებულის“ ყველა ტომში გამოყენებულია ერთი და იგივე კომპოზიციური პრინციპი: გვერდის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია გერბი, თავზე აღნიშნულია გერბის მფლობელის ვინაობა, ქვემოთ კი აღწერილია გერბი და ხშირად, გადმოცემულია გვარის ისტორია.

გერბების ფარი ფრანგულია, თავადების გერბის ფარი შემკულია ხავერდისა და ყარყუმის მოსასხამით (მანტიით), მარგალიტებით განწყობილი სამი ოქროსრკალიანი გვირგვინით, რომელსაც თავზე ადგას ძალაუფლების ნიშანი – ჯვრიანი სფერო, უძველეს საგვარეულო გერბებზე ფარი უპყრიათ ფარის მტვირთველებს.

სტამბურად გამოცემულ ტომებში გერბები გამოსახულია გრაფიკულად, შავ-თეთრი პირობითი შტრიხებით, კოლომბიერის სისტემით.

ქართულ გვართა უმრავლესობის გერბი პირველად რუსეთის იმპერიის შესაბამისმა დანესებულებებმა შექმნეს, მათ ადრე გერბი არ ჰქონიათ, ზოგი, შესაძლებელია, მანამდე ფლობდა საგვარეულო ნიშნებს, რომლებიც ჰერალდიკურ ემბლემებს მიეკუთვნებოდა, მაგრამ მათი არსებობის შესახებ გერბების აღწერისას არაფერია ნათქვამი. „გერბების საერთო კრებულში“ დაბეჭდილი ის გერბები, რომელთა მფლობელები ქართული გვარების წარმომადგენლები არიან ან უკავშირდებიან საქართველოს, არაფრით განსხვავდება ამავე გამოცემაში დასტამბული სხვა გერბებისგან.

„გერბების საერთო კრებულის“ ცნობები ქართული გვარების ისტორიის შესახებ ხშირად არაზუსტია, სადავოა საქართველოს ისტორიის ბევრი ფაქტიც თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართული ჰერალდიკის კვლევის თვალსაზრისით, ეს გამოცემა რჩება ერთ-ერთ უპირველეს წყაროდ, რომელშიც შემონახულია ქართველ დიდგვაროვანთა ჰერალდიკის პრინციპების სრული დაცვით შესრულებული გერბები.

ქართული საგვარეულო და საქალაქო-სამხარეო გერბები თავსდებოდა რუსეთის იმპერიაში გამოცემულ ყველა შესაბამის ალბომსა თუ დოკუმენტების კრებულში: დამტკიცებული გერბის მქონე თავად-აზნაურთა სიის ოთხტომეულში<sup>1</sup>, საერთო გერბების კრებულში

---

1 Описки дворян Всероссийской Империи имеющих высочайше утвержденные гербы. I-IV т. 1906 წ. რუსეთის სახელმწიფო ისტორიული არქივი. ს-პბ. ფ.1411. ანან. 2. საქმე 600

არშესული საქალაქო და სამხარეო დამტკიცებული გერბების ილუსტრირებულ ხუთტომეულში.<sup>1</sup>

რუსული ჰერალდიკის დასაბამი უკავშირდება მეფე ალექსეი მიხეილის ძეს (1629-1678 წწ.), რომლის თხოვნის საფუძველზეც წმინდა რომის იმპერატორმა, ლეოპოლდ I-მა (1640-1705 წწ.) მოსკოვში თავისი ჰეროლდმეისტერი ლავრენი კურელიჩი გამოგზავნა. მისმა ნაშრომმა<sup>2</sup> საფუძველი ჩაუყარა რუსულ ჰერალდიკურ ლიტერატურას.

როგორც აღინიშნა, 1722 წელს პეტრე პირველმა დააარსა ჰეროლდმეისტერის კანტორა, მაგრამ მხოლოდ პავლე I-ის (1754-1801 წწ.) ძალისხმევით დაიწყო რუს თავად-აზნაურთა გერბების სისტემური აღრიცხვა, რომელიც ქართული არისტოკრატის, როგორც უკვე რუსეთის იმპერიის თავადაზნაურთა, გერბებსაც შეეხო, თუმცა მცირე იყო იმ ქართული გვარების რაოდენობა, რომელთაც ოფიციალურად დამტკიცებული გერბები ჰქონდათ. XX საუკუნის დამდეგს 100-მდე ორიგინალური ქართული სათავადაზნაურო საგვარეულო გერბიც არსებობდა, რომელთა მხოლოდ ზოგიერთმა წარმომადგენელმა გადაიხადა საჭირო თანხა, რათა რუსეთის იმპერიის ხელი-სუფლებიდან ოფიციალურად დამტკიცებული გერბი მიეღო.

„ამრიგად, ე.წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბები საქართველოდან წარმომდგარ შემდეგ წარჩინებულ გვარებს ჰქონდათ:

1. აბამელეკ-ლაზარევეები
2. აბაშიძე-გორლენკოები
3. ამბრაზანცოვეები
4. არაგვის ერისთავები
5. არგუტინსკი-დოლგორუკოვეები (არღუთაშვილები)
6. ბაგრატიონები
7. ბაგრატიონ-გრუზინსკები

---

1 Сборник дипломных гербов российского дворянства, невнесенных в Общий Гербовник. I-XIX вв. 1896-1904 წწ. რუსეთის სახელმწიფო ისტორიული არქივი. ს-პბ. ფ. 1411. ანან. 1. საქმე 68-87.

2 «О родословии российских великих князей и государей, поднесённое царю Алексею Михайловичу от цесарского советника и герольдмейстера Лаврентия Курелича, с показанием имеющегося, посредством браков, сродства между Россиею и восьмью европейскими державами, то есть цесарем римским и королями, английским, дацким, французским, гишпанским, польским, португальским и шведским, и с изображением оных королевских гербов, а в середине их великого князя святого Владимира, на конце же портрета царя Алексея Михайловича» (1673 წ.).

8. ბეგთაბეგიშვილები
9. გარსევანიშვილები
10. დადიანები
11. დადიან-მინგრელსკები
12. ლაშქარაშვილები
13. ლორის მელიქოვები
14. მირზაშვილი გაბრიელი
15. მირზაშვილი ივანე
16. პირადოვები
17. ყორღანაშვილები
18. შერვაშიძეები
19. ციციშვილები
20. ნულუკიძეები
21. ხუდობაშევეები
22. ჯავახიშვილები (დჟავახოვ)
23. ჯავახიშვილები (ჟევახოვ)

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ბუნებრივია, საქართველოში ისევე, როგორც მთელი მომავალი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე, საგვარეულო გერბშემოქმედება, პრაქტიკულად, სრულიად ჩაკვდა<sup>1</sup>.

იმისათვის, რომ გამოსახულებას გერბი ვუნდოთ, ჰერალდიკა რამდენიმე მკაცრი მოთხოვნის შესრულებას ითხოვს: უპირველესად, იგი შედგენილი უნდა იყოს ჰერალდიკის პრინციპებით, უნდა ატარებდეს მემკვიდრეობითობის ნიშანს და დამტკიცებული იყოს საამისოდ უფლებამოსილი პირის ან შესაბამისი ორგანოს მიერ.

შუა საუკუნეებში ჰერალდიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე თანდათან ჩამოყალიბდა საერთო სტერეოტიპები და საგერბო სამართლის ლოკალური ნორმები და, ამასთან, გაჩნდა მისი რეგლამენტაციისა და დაცვის სოციალური ინსტიტუტები.

XV საუკუნიდან დაიწყო მეფეთა მიერ გერბების ბოძების პრაქტიკა, ამ დროიდან განვითარდა ქვეშევრდომების გერბში სუვერენის ემბლემის ასახვის ტრადიცია.

გერბების წარმოშობიდან ათობით წლის გასვლის შემდგომ გაჩნდა პირველი სამეცნიერო ნაშრომები ჰერალდიკაში. ერთ-ერთი უძველესია 1320 წელს ციურხში შედგენილი „Zuricher Wappenrolle“. ყველაზე ადრეულ ნაშრომად, რომელიც ჰერალდიკის პრინციპე-

1 ასათიანი თ., ქართული გერბთმცოდნეობა. თბილისი. 2002, გვ.39.

ბს გადმოსცემს, მიჩნეულია იტალიელი იურისტის, ბარტოლომ მო-  
ნოგრაფია „ტრაქტატი ნიშნებისა და გერბების შესახებ“ („Tractatus  
de insigniis et armis“, 1356 წ.). ბარტოლომ, რომლის ფუნდამენტურ-  
მა თხზულებამ, ჰერალდიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით,  
სათავე დაუდო ჰერალდიკის ჰეროდთა საქმიანობისგან დისტან-  
ცირებულად, წერილობითი სამართლის კონტექსტით გააზრებას,  
გერბების შექმნისა და დამტკიცების წესების დეკლარირებისას უპი-  
რატესობა მიანიჭა იმ გერბებს, რომლებიც ბოძებულია ან დამტკი-  
ცებულია მონარქის მიერ. XV საუკუნიდან მრავალ ქვეყანაში სცადეს  
გერბების თავისუფლად მიღების წესის შეცვლა ბოძებისა და დამ-  
ტკიცების წესით.

ამ ბოლო დროს განსაკუთრებით პოპულარული გახდა გერბის  
დამოუკიდებელი (ე.წ. თვითმყოფადი გერბები, ლეგენდური დასაბუ-  
თებით წინაპრების თავადური წარმოშობის თაობაზე) მიღება საქარ-  
თველოში. ამგვარი მიდგომა ჰერალდიკისადმი ეპოქის სოციალურ  
კვალს ატარებს. ნიშანდობლივია, რომ თავისუფალი გერბებისაკენ  
ასეთი ლტოლვა XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ემიგრანტუ-  
ლი სუბკულტურის დამახასიათებელი ნიშანიც იყო.

ჰერალდიკა ემბლემათა სისტემაა, რომლისთვისაც დამახასია-  
თებელია, ერთი მხრივ, განსაკუთრებით პირადული თუ კოლექ-  
ტიური ნიშნების (უპირველეს ყოვლისა, გერბის) გაფორმებისა და  
გამოყენების თავისებური წესები და, მეორე მხრივ, ამ ნიშნების დე-  
კორატიული, რეპრეზენტატიული და იდენტიფიცირების ფუნქციე-  
ბის მყარი ერთობა. თავისუფალ (თვითმყოფად) გერბებს, დეკორა-  
ტიულობის გარდა, ორი დანარჩენი ფუნქცია აღარ გააჩნია. თუმცა  
მათი პატრონები, უწინარესად, პირველი ორი ფუნქციის წარმოსაჩე-  
ნად ქმნიან მათ. როდესაც გვარის, თაობის მაკროკულტურისათვის  
დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის წარმოჩენის ცდა ასეთი შეუ-  
ფერებელი ხერხებით ვლინდება და არ ითვალისწინებს ამ ფორმათა  
გამოვლენის ორგანულ კანონებს, ამით მიანიშნებს არსთან გაუცხ-  
ოების მომენტს. ახალ გარემოში ადაპტირების მძიმე პროცესების  
ფონზე, ეფემერული ღირსებების მოგონებით, ფსევდონარსულის  
შეთხზვისა და თვითდაჯერების გზით სოციალიზაციის ცდის მაგა-  
ლითებად შეიძლება მივიჩნიოთ XX-XXI საუკუნეებში საქართველოში  
(უფრო მასშტაბურად – რუსეთსა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში)  
თავისუფალი გერბების შექმნის ფაქტები.

ჰერალდიკური ხასიათის პირველ ქართულ ნაშრომად უნდა ჩა-  
ითვალოს იოანე ბატონიშვილის (1768-1830) თხზულება „კალმასო-

ბა“. სამწუხაროდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ შეფერხდა ორიგინალური გერბშემოქმედების განვითარება და შეწყდა ქართული ჰერალდიკის პრობლემათა მეცნიერული ანალიზი.

რაც შეეხება რუსულ ისტორიოგრაფიაში შექმნილ ჰერალდიკურ ნაშრომებს, მათი ავტორები ამა თუ იმ თვალსაზრისით განიხილავდნენ ქართული წარმომავლობის გერბებსაც, როგორც რუსული ჰერალდიკის შემადგენელ ნაწილს.

ქართული გერბებით დაინტერესებული მკითხველი გვერდს ვერ აუვლის 1855 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ცნობილი რუსი მეცნიერის ა. ლაკიერის ფუნდამენტურ გამოკვლევას რუსული ჰერალდიკის შესახებ (А. Лакиер, Русская геральдика, Москва, 1990), რომელშიც, ევროპული და რუსული ჰერალდიკური მემკვიდრეობის საფუძვლიანი კვლევისას ავტორი ეხებოდა ქართული წარმომავლობის გერბებსაც, ზოგადად, მიმოიხილავდა საქართველოში ჰერალდიკის ისტორიას. ნაშრომს იმავე წელს საკმაოდ კრიტიკულად გამოეხმაურა მარი ბროსე (Несколько замечаний Академика М.Н. Броссе на книгу г. А. Лакиера „Русская Геральдика“).

საბჭოთა ეპოქა ისე დასრულდა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ შექმნილა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჰერალდიკაში, რომელიც მონოგრაფიულად შეისწავლიდა ქართულ გერბებს. ამის ფონზე ძალზე საყურადღებო იყო სარა ბარნაველის სერიოზული სამეცნიერო თხზულებები ქართული დროშებისა და საბეჭდავების შესახებ (ბარნაველი ს. ქართული დროშები. თბილისი, 1953; ბარნაველი ს. საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, თბილისი, 1965), რომლებიც მეტად საინტერესოა არა მხოლოდ ვექსილოლოგიისა და გლიპტიკის, არამედ – ქართული ჰერალდიკის სფეროშიც. ხანგრძლივი ინტერვალის შემდგომ, 1980 წელს, ქართულსა და რუსულ ენებზე დაისტამბა მიხეილ ვაძბოლსკის<sup>1</sup> წიგნი „საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა“, რომელიც

---

1 მიხეილ ვაძბოლსკი 1899 წელს, ვარშავაში, მეფის არმიის გენერლის ოჯახში დაიბადა. ოჯახის პეტერბურგში გადმოსვლიდან მალე მამა გარდაეცვალა. მან განათლება მიიღო ბარონ შტიგლიცის (შემდგომში – მუხინას სახელობის) სასწავლებლის ფერწერის განყოფილებაზე, მაგრამ საბჭოთა რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა მას ოჯახი და ყოველგვარი სახსარი წაართვა. სახლი და მიწა ჩამოართვეს, დედა გარდაეცვალა. „რა ტრადიციები მაკავშირებს მე ბოლშევიზმთან? – წერდა იგი ახალგაზრდობის წლების შესახებ მეშუაარსობაში, – მშობლიური სახლის გაპარტახება, თუ ის, რომ მანანწალად ვიქეცი და თავის

ქართული ჰერალდიკური მასალის შერჩევისა და კლასიფიცირების პირველი ცდაა.

ავტორმა შეძლო ქართული გერბებით არა მხოლოდ სამეცნიერო წრის, არამედ საზოგადოების ფართო ფენების დაინტერესება. მ. ვადბოლსკიმ ჯერ კიდევ საკუთარი წიგნის დასტამბვამდე გამოაქვეყნა ორი წერილი, რომლებშიც თავდაპირველად თეზისებად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი გერბმცოდნეობისა და ქართული ჰერალდიკის შესახებ. ავტორს მიაჩნდა, რომ ჰერალდიკამ ჩვენს დროში დამოუკიდებელი მეცნიერების სახე მიიღო, რომლის ობიექტის კვლევის არეალი უნდა გაფართოებულიყო ხალხური და საკულტო სიმბოლიკის შესწავლის გზით. ამ მიმართულებით უნდა წარმართულიყო ძიება ჰერალდიკური გამოსახულების იმ პირველადი წყაროებისა, რომლებიც უეჭველად კაცობრიობის განვითარების გარიჟრაჟზე უძველესი დამწერლობის – იდეოგრამების, იეროგლიფებისა და პიქტოგრამების – დროს წარმოიშვა.

საინტერესოა, თუმცა – სადავო ვადბოლსკისეული მოსაზრება საქართველოში ჰერალდიკის განვითარების ქრონოლოგიური დასაბამის შესახებ, რომლის თანახმადაც, ქართული ჰერალდიკა

---

შეფარებას ვერსად ვახერხებდი? ვიცოდი, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართვითა და მოწინააღმდეგე ბანაკის მიმხრობით, ვარდევედი არა მხოლოდ დედაჩემის ანდერძს, არამედ ვხდებოდი მთელი ჩემი წარსულის რენეგატი... თავის დროზე სხვის ტყავში გახვევით, გულწრფელად თუ არაგულწრფელად, ჩავიდინე ვერაგული საქციელი არა მხოლოდ საბჭოთა ხალხის, არამედ – საკუთარი თავის წინაშე“ (პოლონელი მხატვრები საქართველოში. [ონლაინსტატია], (განთავსებულია 2004 წლიდან); მის.: <http://pag.iatp.org.ge>). ძველ, სამხრებდაძრობილ შინელში გამონყობილი ახალგაზრდა მ. ვადბოლსკი წითელი არმიის შტაბში გამოცხადდა. ეჭვით შეხედეს, მაგრამ როგორც კი შეიტყვეს, რომ მხატვარი იყო, დატოვეს და ლოზუნგების, პლაკატების, ტრანსპარანტების ხატვა დაავალეს. ისიც მუშაობდა სამოქალაქო ომის ბოლომდე. 1924 წლიდან მ. ვადბოლსკი ჩამოვიდა კავკასიაში და სიცოცხლის ბოლომდე თბილისში ცხოვრობდა. მას პორტრეტების შექმნასა და დუქნების მოხატვას უკვეთდნენ. მისი გრაფიკული ნამუშევრები და კარიკატურები ხანდახან ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, მხატვარი ხშირად ფენდა ისტორიულ თემაზე შექმნილ ნამუშევრებს. მ. ვადბოლსკიმ შეკრიბა ქართველ თავად-აზნაურთა გერბები, რისთვისაც მან კოლოსალური შრომა გასწია. არსებული საისტორიო წყაროების მიხედვით, სცადა საქართველოში დავიწყებული ჰერალდიკის გამოცოცხლება. მისი მდიდარი საარქივო მემკვიდრეობა დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივში (ფონდი 170). მიხეილ ვადბოლსკი 1988 წელს გარდაიცვალა.

მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ წარმოიშვა იმავე საფუძველზე და იმავე წესით, როგორც იგი რუსეთში არსებობდა. ავტორი იქვე შენიშნავდა, რომ შეუძლებელია, ამ პერიოდის საქართველოს ჰერალდიკა განვიხილოთ, როგორც მთლიანად რუსული გავლენით წარმოშობილი.<sup>1</sup> ვადბოლსკის მიაჩნდა, რომ ვახუშტის მიერ შემონახული დროშებისა და გერბების სიმბოლიკა ჭეშმარიტად ადგილობრივი, ქართულია. მიზანშეწონილი იყო, ამ სიმბოლოთა XVII-XVIII საუკუნეებზე გაცილებით ადრინდელი პერიოდით დათარიღება.<sup>2</sup>

დიდი ხნის განმავლობაში ჰერალდიკა მაინც რჩებოდა ისტორიის დამხმარე დისციპლინათა: ნუმიზმატიკის, სფრაგისტიკისა თუ ვექსილოლოგიისადმი მიძღვნილი გამოკვლევების დანამატად. და მაინც, ხანდახან გამოჩნდებოდა სერიოზული მეცნიერული დასკვნების შემცველი საინტერესო გამოკვლევები ქართული გერბების შესახებ (მაგალითად, 1962 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილი არქეოლოგ გურამ ლორთქიფანიძის სტატია „ქალაქ დიოსკურიის მონეტების მოტივების შესახებ“, რომელშიც შერვაშიძეთა გერბი განიხილებოდა).

ისტორიის სხვა დამხმარე დისციპლინებში შექმნილი გამოკვლევები ხელს უწყობს ჰერალდიკის, როგორც მეცნიერების, ადგილის განსაზღვრას. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ქართულ ნუმიზმატიკაში, სფრაგისტიკაში, ფალერისტიკაში შექმნილი საინტერესო ნაშრომები.

XX საუკუნის 90-იან წლებში, სახელმწიფო გერბზე მსჯელობის კვალდაკვალ, აქტუალური ხდებოდა დედაქალაქის სიმბოლოების თემაც. ქ. თბილისის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა თბილისის გერბის, სიმბოლური გასაღებისა და დროშის შექმნა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობის წინ თბილისის გერბის აღმართვა. ამ ფაქტს გამოეხმაურა არქიტექტორი სიმონ კინწურაშვილი და შეეცადა, დაესაბუთებინა, რომ თბილისის ჰერალდიკური ნიშნები, თავისი მხატვრული ღირსებითა და შესრულების ოსტატობით, ნამდვილად მაღალი დონისა იყო, თუმცა თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებდა და საჭიროდ მიაჩნდა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიეღოთ.<sup>3</sup>

1 ვადბოლსკი მ., საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა. თბილისი, 1980.

2 ვადბოლსკი მ., საქართველოს ჰერალდიკური ხელოვნების ზოგიერთი ძეგლი, გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 27 აგვისტო, 1960.

3 კინწურაშვილი ს., ჩვენი საქალაქო ჰერალდიკა, გაზ. თბილისი, 21 აგვისტო, 1998.

თბილისის გერბისა და დროშის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსსა და მხატვარ ემირ ბურჯანაძის მიერ შექმნილი გერბის ესკიზს ეხმაურებოდა ლადო ვარდოსანიძე, რომელიც საკითხს სვამდა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილიყო საქართველოს ქალაქების ჰერალდიკის საკოორდინაციო კომისია, რომელიც უზრუნველყოფდა ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ძირითადი პრინციპების შემუშავებას. ავტორი გასათვალისწინებელ ფაქტორად მიიჩნევდა იმას, რომ თბილისის გერბი „ცარიელ ადგილას“ არ შეიქმნებოდა. XIX საუკუნის თბილისს ჰქონდა გერბი, რომელიც ცარიზმის პერიოდშიც ქართულ სიმბოლოებს შეიცავდა. ეს იყო რუსეთის იმპერიაში შემოღებული „ფრანგული“ მოხაზულობის ორად გაყოფილი საგერბე ფარი, რომლის ზედა, თეთრ არეს სვეტიცხოვლის სქემატური გამოსახულება ამშვენებდა, ხოლო ქვედას, ლურჯს – ჯვარი ვაზისა. XIX საუკუნეს თბილისის ისტორიიდან ვერ ამოაგდებდი!... ამიტომაც უნდა გაეთვალისწინებინათ იმდროინდელი ჰერალდიკის ელემენტები. ამით გამოიხატებოდა მემკვიდრეობითობის იდეა, რომელიც ჰერალდიკაში თავისთავად მეტად ფასეულია.<sup>1</sup>

განსაკუთრებით ნაყოფიერია ისტორიკოს თორნიკე ასათიანის ნაშრომები, გამოქვეყნებული როგორც სამეცნიერო კრებულებში, ისე – ცალკეულ მონოგრაფიებად. მანვე 2002 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, თემაზე – „ქართული გერბმცოდნეობა ანუ ჰერალდიკა“, რომელიც იმავე წელს წიგნად გამოსცა.

ჰერალდიკის საკითხებს ინტენსიურად იკვლევენ ისტორიკოსები მალხაზ აფრიდონიძე და დავით კლდიაშვილი.

ბოლო ხანს ისტორიკოსმა მალხაზ აფრიდონიძემ წიგნად დასტამბა თავისი მრავალწლიანი ნაშრომი, რომელშიც მონოგრაფიულად და მასშტაბურადაა გადმოცემული ჰერალდიკის ისტორია, მისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური შრეები და ისტორიული საფუძვლები.

ქართული ჰერალდიკა, ევროპულთან და რუსულთან შედარებით, ბუნებრივია, თავისებურებებით გამოირჩევა. ისტორიული განვითარების ხასიათიდან გამომდინარე, ქართულმა გერბმცოდნეობამ ვერ მოასწრო ორიგინალური ჰერალდიკური ლიტერატურის, დასავლეთევროპულის ადეკვატური ლექსიკის შემუშავება. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, ფაქტობრივად, შეწყდა ქართულ ენაზე ჰერალდიკური ლიტერატურის, გერბების აღწერის საჭიროე-

1 *ვარდოსანიძე ლ.*, თბილისის გერბი – ღონისძიება თუ მოვლენა?, გაზ. თბილისი, 12 სექტემბერი, 1989.

ბა. ამიტომაც დღეს ქართულ ენაზე არ არსებობს არა მხოლოდ რთული ჰერალდიკური სტრუქტურების, არამედ ცალკეული ჰერალდიკური ტერმინების სრულყოფილად გადმოცემის შესაძლებლობა. მით უფრო, რომ ჰერალდიკური ლექსიკა დასავლეთევროპულ თანამედროვე ენებშიც კი არქაული პლასტია. შესაბამისად, განსაკუთრებით დასაფასებელია ქართველი ჰერალდიკოსების (თ. ასათიანი, მ. აფრიდონიძე, გ. ზაგაშვილი, მ. ციბაძე) შრომა ქართული ჰერალდიკური ტერმინოლოგიის შესაქმნელად.

ჩემი მსჯელობა ეყრდნობა ზემოაღნიშნულ მეცნიერთა ნააზრევს. მათი კვლევის შედეგთა და გამოთქმულ სამეცნიერო დებულებათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე საშუალება მომეცა, ზოგი მეცნიერული შეხედულება ახლებურად გამეაზრებინა და საკუთარი დასკვნები გამომეყვანა. ამიტომ, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომი და მისი ავტორი დავალებულია ქართული ჰერალდიკის საკითხთა მკვლევრებისაგან.

განსაკუთრებულად მაღლიერი ვარ ბედის, რომ მომეცა შესაძლებლობა, შევხვედროდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, რომლის რჩევა დიდად დამეხმარა წიგნზე მუშაობის დროს.

...ერთგან მიხვილ ვადბოლსკი წერდა: „ჩემი სული უფრო ისტორიას ეკუთვნოდა, ვიდრე თანამედროვეობას... მე სხვა ეპოქის ადამიანი ვიყავი“.<sup>1</sup> მართლაც, ჰერალდიკა არა როგორც მეცნიერება, არამედ როგორც გერბების შექმნის ხელოვნებაა, რომელიც შორეულ შუასაუკუნეებში დაწყებული დღესაც აგრძელებს არსებობას. თუმცა იგი მაინც სხვა, ანგარდასულ ეპოქათა – ველადგაჭრილ შეყვარებულ რაინდთა, ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად ამხედრებულ ჯვაროსანთა საუკუნეებს მიფარებული დროის ხელოვნებაა... ამიტომაც დაჰკრავს მის თვალისმომჭრელ ფერადოვნებას ერთგვარი სევდაც, მოუბრუნებელი წარსულის სევდა...

---

1 პოლონელი მხატვრები საქართველოში [ონლაინსტატია], განთავსებულია 2004 წლიდან; იხ.: <http://pag.iato.org.ge>

## ჰერალდიკის განვითარების ეტაპები

„ისევე ჩაჰბერეს ბუკს, ჰეროლდები გამარჯვებული რაინდის სადიდებელს გაჰკიოდნენ. მანდილოსნები ხელსახოცებსა და მოქარგულ პირსაბურავებს აქნევდნენ, მდაბიოცა და წარჩინებული მაყურებელიც ერთნაირის აღფრთოვანებით ყვიროდნენ“...

„პალესტინიდან დაბრუნდა რაინდი დიდად ქებული საქვეყნოდ სახელგანთქმული, ჯვრებით მხრებდამშვენიებული, ფარზე ყოველი ნაჭდევი, ყოველი ჭდე და იარა იყო ნიშანი იმისა, რა ბრძოლაც გამოიარა“.

*უოლტერ სკოტი, „აივენჰო“*

ჰერალდიკა შეიქმნა, საკუთრივ, ევროპულ, შეიძლება ითქვას, ევროპის არამართლმადიდებლური ნაწილის ისტორიულ-კულტურულ გარემოში. მისი დანარჩენი ცივილიზაციების (განსაკუთრებით, ბიზანტიურის) მიერ შეთვისების პროცესი ხანგრძლივად მიმდინარეობდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი, ზოგადად, კათოლიკური რელიგიის ნიშანს ატარებდა. ჰერალდიკა საერო ფეოდალთა, რაინდთა (მოგვიანებით, დაბალი სოციალური ფენებისაც) ყოფის განუყოფელ ნაწილად იქცა და საეკლესიო ცხოვრების ატრიბუტადაც ჩამოყალიბდა.

ნიშანთა და ემბლემათა განსხვავებული სისტემები ყოველთვის და ყველგან არსებობდა, მაგრამ ემბლემატიკის განსაკუთრებული ფორმა – ჰერალდიკა დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან ერთად შეიქმნა. ჰერალდიკის ნათელი და ხატოვანი ხელოვნება ჩაისახა ეკონომიკისა და კულტურის დაცემის ეპოქაში, რომელიც ევროპაში რომის იმპერიის დამხობის შემდეგ დადგა. ფეოდალიზმის წარმოშობისა და მემკვიდრეობითი არისტოკრატიული სისტემის განვითარებასთან ერთად გერბების გაჩენას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა, მათ შორის, უწინარესად, აღსანიშნავია ფეოდალიზმის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და ჯვაროსნული ომები.

მსოფლიო ისტორიოგრაფია აღიარებს, რომ გერბები X საუკუნიდან ჩნდება, თუმცა ჩვენამდე მოღწეული პირველი გერბები, რომ-

ლებიც საბეჭდავზეა გამოსახული და დოკუმენტზეა მიმაგრებული, XI საუკუნით თარიღდება. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ გერბები პირველად საბეჭდავზე გაჩნდა, მოგვიანებით კი – იარალსა და სამოსზე. ჰერალდიკის არსებობა ეჭვს აღარ იწვევს ჯვაროსნული ლაშქრობების შემდგომ. ყველაზე ადრეული ნიმუშია ფრანგული ნახატი მინანქარზე ჟოფრეი V პირმშვენიერის, იგივე პლანტაგენეტის (Geoffroy V le bel Plantagenet) საფლავიდან (გარდაიცვალა 1151 წ.) – გერბის ფარზე ლაჟვარდოვან ფონზე ოთხი ოქროს ლომია გამოსახული (სურ. 29°).

ინგლისის პირველი მეფე, რომელსაც პირადი გერბი ჰქონდა, რიჩარდ ლომგული (1157-1199) იყო. მის სამ ჰერალდიკურ ლეოპარდს იყენებდა შემდგომ მთელი ინგლისის სამეფო დინასტია.

ჯვაროსნული ომები (1096-1291 წწ.) ევროპის ისტორიის ერთ-ერთი დიდი ეპოქაა. რომელმაც ევროპისა და აზიის მრავალი კულტურული შრის შექმნას შეუწყო ხელი და გერბების განვითარებასაც მძლავრი იმპულსი მისცა.

შესაძლებელია, ჯვაროსნულ ლაშქრობებთან ჰერალდიკის წარმოშობის მჭიდრო კავშირი იმით აიხსნას, რომ გერბების მასობრივად გამოყენება სწორედ ამ პერიოდში დაიწყო, რამაც საჭირო გახადა სიმბოლური გამოსახულებების მონესრიგებული სისტემის, როგორც კომუნიკაციის საშუალების, შექმნა. გერბი ხომ ერთგვარი გამოსაცნობი ნიშანი იყო, რომელიც მისი მფლობელის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას შეიცავდა და რომლის გარჩევა შორიდანაც შეიძლებოდა?! XII საუკუნიდან მეომრის აბჯარი უფრო რთული და მრავალფეროვანი გახდა. მუზარადმა მთლიანად დაფარა რაინდის სახე. მეომარი თავიდან ბოლომდე შეჯავშნული იყო. ნიშანდობლივია, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთი ტიპის აბჯარი არსებობდა და, ამის გამო, რაინდის ამოცნობა არა თუ შორიდან, ახლო მანძილიდანაც კი შეუძლებელი ხდებოდა. ამ ვითარებამ მისცა ბიძგი გერბის, როგორც ამოსაცნობი ნიშნის, მასობრივ გამოყენებას. თანდათან ფარზე გამოსახულ ემბლემას დაემატა სხვა საგერბო ნიშნები, რომელთა საშუალებითაც რაინდებს ერთმანეთის ამოცნობა შორი მანძილიდან ან გაცხარებული ომის დროს, მტვრის ბუღშიც კი შეეძლოთ.

ჰერალდიკა რომ ჯვაროსნების მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობების ეპოქაში აღმოცენდა და დაიხვეწა, ამას უამრავი ჰერალდიკური ტერმინის აღმოსავლური წარმოშობაც ადასტურებს.

ექვგარეშეა, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობებს უკავშირდება გერბის ორი დეტალის: ნამეტისა (იმავე – ლამბრეკენის) და ბურღეტის წარმოშობა. ევროპელი მეომრები მცხუნვარე მზისგან თავდასაცავად, არაბების მიბაძვით, ქსოვილის ნაჭერს თავსა და მხრებზე იფარებდნენ და აქლემის დაგრეხილი ბენვით იმაგრებდნენ. არაბული სამოსის ეს ელემენტი დღემდე შემორჩენილია.

ჯვაროსნები დაპყრობილი ქალაქის რომელიმე სახლის დაკავებისას მის კარზე საკუთარ გერბს აჭედებდნენ, რათა დანარჩენი მეომრებისათვის მიენიშნებინათ, რომ ამ სახლს უკვე პატრონი ჰყავდა. წმინდა მიწიდან ჩამოტანილი ფარები ხშირად ჯვაროსნულ ომებში დაღუპული არისტოკრატის მემკვიდრეობის ერთადერთ დამადასტურებელ საბუთად მიიჩნეოდა. მაშასადამე, ევროპელ ფეოდალთა უმრავლესობის ერთ ადგილზე (უფლის საფლავისკენ მიმავალ გზებზე) თავმოყრა, ჯვაროსნული ლაშქრობების ინტერნაციონალური ხასიათი, ერთმანეთის ამოცნობის აუცილებლობა, საკუთარი ინდივიდუალობის პრეზენტაბელობა, შეიარაღების თავისებურებანი და აღმოსავლური ცივილიზაციის სიახლეთა შეთვისება ჰერალდიკის წარმოშობისა და დამკვიდრების მძლავრ ბიძგად იქცა.

გერბის ფორმირებისას დიდი როლი შეასრულა რაინდთა ტურნირებმაც, რომელთაც ევროპაში ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე მართავდნენ (სავარაუდოდ, IX საუკუნიდან). ტურნირებს ფორმალურად ხასიათი საფრანგეთში XII საუკუნეში მიენიჭა, აქედან გავრცელდა იგი მთელ ევროპაში, რომლის კულტურის განუყოფელ ნაწილადაც იქცა. ტურნირები დაუნდობელი, სისხლიანი ორთაბრძოლებიდან თანდათან სანახაობრივად მომხიბვლელ თეატრალიზებულ წარმოდგენებად გადაიქცა, უფრო მნიშვნელოვანი გახდა ფორმალური მხარე, ორთაბრძოლას კი პირობითი ხასიათი მიენიჭა. ტურნირის გამარჯვებულთა სახელები შეჭკონდათ სპეციალურ ნუსხებში, რათა შთამომავლობას არ დავიწყებოდა მათი ვინაობა. მენესტრელები ასპარეზობათა გამირებს უმღერდნენ. ტურნირებზე დასწრების უფლება მხოლოდ წარჩინებული გვარის წარმომადგენლებს ჰქონდათ.

შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის მთავარი სანახაობრივი ელემენტი გერბი იყო, რომელიც მისი მფლობელის კეთილშობილურ წარმომავლობასა და საგვარეულო იერარქიაში მის ადგილს ადასტურებდა. ჰერალდიკის მცოდნე პირებს, ჰეროლდებს წარმოდგენილ გერბზე ყველა საჭირო ინფორმაციის ამოკითხვა შეეძლოთ.

ჰეროლდები იყვნენ ოფიციალური პირნი, რომლებიც აცხადებდნენ ტურნირების დაწყებას, ადგენდნენ მისი წარმართვის ცერემონიას და თვალყურს ადევნებდნენ წესრიგს, აცხადებდნენ ორთაბრძოლას და მასში მონაწილეთა სახელებს – ყოველივე ამას საგანგებო განათლება სჭირდებოდა. ჰეროლდს კარგად უნდა სცოდნოდა იმ კეთილშობილ გვართა გენეალოგია, რომელთა წარმომადგენლებიც ასპარეზობდნენ, უნდა შესძლებოდა, როგორც აღინიშნა, რაინდების გერბების ნაკითხვა.

გერბების სიმრავლის გამო, მალე საჭირო გახდა ამ სფეროში გარკვეული წესრიგის დამყარება. ჰეროლდების სისტემატიზებული ცოდნა გერბების შესახებ, მათი შედგენისა და ნაკითხვის საერთო პრინციპები და წესები საფუძვლად დაედო გერბმცოდნეობას, იმავე – ჰერალდიკას.

ტერმინ „ჰერალდიკის“ ეტიმოლოგია სხვადასხვაგვარად განიმარტება. შესაძლოა, იგი გვიანლათინურიდან („heraldica“ სიტყვიდან – heraldus – მაცნე) ან გერმანულიდან (Heeralat – ვეტერანი)<sup>1</sup> მომდინარეობდეს.

ჰერალდიკის ფრანგული ტერმინი – „blazon“ გერმანული „blasen“ -იდან (ნალარის ცემა) იღებს სათავეს. როდესაც რაინდი მიუახლოვდებოდა ტურნირის ბარიერს, ნალარას ჩაჰბერავდა. ამის შემდგომ გამოდიოდა ჰეროლდი და, ტურნირის მსაჯის მოთხოვნისამებრ, რაინდის გერბს ხმამაღლა აღწერდა. სიტყვიდან „blasen“ მომდინარეობს ფრანგული „blasonner“, გერმანული „blasonieren“, ინგლისური „blazon“, ესპანური „blasonar“ და რუსული „блaзониpовать“, რაც ყველა ენაზე გერბის აღწერას ნიშნავს. ჰეროლდების მიერ შემუშავებული ტერმინოლოგია, რომელსაც სპეციალისტები დღესაც იყენებენ, ეფუძნება ძველ ფრანგულსა და შუა საუკუნეებისდროინდელ ლათინურს. ტერმინი „გერბი“ ქართულში რუსულიდან შემოვიდა (შეცდომით მიიჩნიეს, რომ ეს ტერმინი, „ლოგიკის“, „გრამატიკის“ და მისთ. მსგავსად, ბერძნული იყო და, ახალი ბერძნულის გავლენით, ქართულ ენაში დიდ ხანს „გერბის“ ნაცვლად იხმარებოდა „ღერბი“, როგორც „ლოლიკა“, „ღრამატიკა“, „ტრალედია“). რუსული „реpн“ პოლონური სიტყვის „herb“ (მემკვიდრე, მემკვიდრეობა) გავლენით დამკვიდრდა.

1 ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეების გერმანიაში სახელოვანი წარსულის მქონე უშიშარ ადამიანებს, რომელთაც ტურნირის საპატიო სტუმრებად და მსაჯულებად იწვევდნენ, მათ ტურნირის წესების შემუშავება და რაინდობის წეს-ჩვეულებების დაცვა ევალებოდათ.

შუა საუკუნეებშივე ჩაისახა და განვითარდა საქალაქო და კორპორაციული, მათ შორის – საეკლესიო გერბები. როდესაც ქალაქის ხელოსნები და ვაჭრები პროფესიულ გაერთიანებებს იურიდიულ ფორმას ანიჭებდნენ, ამ ორგანიზაციებისთვის უკვეთდნენ გერბებს, რომლებზეც ხშირად ამა თუ იმ ხელობის მთავარ სამუშაო იარაღს გამოსახავდნენ. დროთა განმავლობაში ეს იმდენად მოდური გახდა, რომ გამდიდრებული მოქალაქეები თვითნებურად ქმნიდნენ გერბებს, რომლებიც არ შეესაბამებოდა ჰერალდიკის მთავარ პრინციპებს და, რასაკვირველია, მათ არც ოფიციალური სტატუსი გააჩნდა. მეტიც: საფრანგეთის ხელისუფლება გერბებს სათანადო ანაზღაურების ფასადაც კი გასცემდა, ჩინოვნიკებმა სავალდებულოდ აქციეს „ჰერალდიკური აღებმცემობა“. შედეგად, XVII საუკუნის მიწურულს დანესებული გადასახადით სახელმწიფო ხაზინამ უდიდესი შემოსავალი მიიღო, რადგან უამრავი გერბი დარეგისტრირდა, თუმცა ამან საფრანგეთში გერბის მნიშვნელობა მკვეთრად დააკნინა. მსგავსი ფაქტები სხვა ქვეყნებშიც მოხდა.

ხშირად საქალაქო და სახელმწიფო გერბებს საფუძვლად ედო ფეოდალთა საბეჭდავებიც, რომლებითაც დოკუმენტების უტყუარობა მტკიცდებოდა.

ახალი ქალაქებისა და სახელმწიფოების შექმნისას, დროის მოთხოვნისა და იურიდიული ნორმების შესაბამისად, საჭირო ხდებოდა გერბების შექმნა, რომელთაგან ზოგი თავადაზნაურთა საგვარეულო ტრადიციას არ ეფუძნებოდა: მასზე გამოსახული სიმბოლოური ნიშანი ასახავდა ადგილობრივ ღირსშესანიშნაობას, ისტორიულ მოვლენას, საქალაქო მეურნეობის რომელიმე ძირითად დარგს და სხვ. საუკუნეთა განმავლობაში საგანმანათლებლო დანესებულებებიც იყენებდნენ ჰერალდიკურ ნიშანს. უნივერსიტეტები მათ დამაარსებელთაგანაც იღებდნენ გერბს.

ევროპული ჰერალდიკა გერბებს ცხრა ჯგუფად ყოფს:

1. *Armoiries de la souverainite* – მონარქთა გერბები, რომლებიც, ამავე დროს, მათ ქვეშევრდომ სახელმწიფოთა გერბებად გვევლინება;

2. *Armoiries de pretention* – ხშირად ამა თუ იმ სახელმწიფოს მონარქებს პირად, სახელმწიფო, ოლქებისა თუ პროვინციების გერბებში შეაქვთ იმ ტერიტორიათა გერბები, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებენ, რომლებსაც მათი წინაპრები ფლობდნენ და, მიუხედავად დაკარგვისა, მაინც აქვთ მემკვიდრეობითი ინტერესები და პრეტენზიები;

3. *Armoiries de concession* – როდესაც სიუზერენი თავის გერბს „ჩუქნის“ რომელიმე პირს რაიმე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ე.ი. ვასალს უფლებას აძლევს, თავისი გერბის ფარში შეიტანოს სენიორის გერბის ფარის რომელიმე ფიგურა;

4. *Armes de communaute* – სხვადასხვა სასულიერო და სასულიერო-რაინდული ორდენის, საარქიეპისკოპოსო, უნივერსიტეტთა, კორპორაციათა და სხვა გერბები;

5. *Armes de patronage* – ხშირად ისეთ პირებს, რომელთაც ესა თუ ის თანამდებობა ეკავათ (მართავდნენ ოლქებს, სენიორთა ციხეებს და სხვ.), პირად, საგვარეულო გერბებში შეჰქონდათ ისეთი ემბლემები, რომლებიც გადმოსცემდნენ მათ უპირატესობას, უფლებასა და ღირსებას სხვათა წინაშე;

6. *Armes de Famille* – პირადი საგვარეულო გერბები, რომლებიც მემკვიდრეობით გადადიოდა გვარში;

7. *Armes d'alliance* – გერბები, რომლებიც აღნიშნავდნენ ნათესაურ კავშირს: როდესაც ერთი გვარი საგვარეულო ქორწინების ან სხვა რაიმე გზით უკავშირდებოდა მეორეს, გერბში შეჰქონდათ ამ მოვლენის აღმნიშვნელი ფიგურები ანუ ერთ გერბში მეორე გერბის რომელიმე ფიგურა გადადიოდა;

8. *Armes de succession* – რაიმე მიზეზით გერბი, შეიძლება, გადაცემულიყო არაპირდაპირი გზით და მინიჭებოდა სრულიად სხვა ადამიანს. ასეთ შემთხვევაში იგი ხშირად ახლად მინიჭებული პირის კუთვნილი, ტრადიციულად არსებული გერბის შემადგენელი ნაწილი ხდებოდა. მაშინაც აუცილებელი იყო უმაღლესი ხელისუფლის ნებართვა;

9. *Ares parlantes* – ისეთ პირთა გერბები, რომელთაც დამსახურებისთვის თავადაზნაურის წოდება მიიღეს, მემკვიდრეობით არ ჰქონიათ ჰერალდიკური ნიშანი, ამიტომ ახალმინიჭებულ გერბზე ისეთი ემბლემები შეჰქონდათ, რომელიც იმ მოვლენას ასახავდა, რისთვისაც ეს წოდება დაიმსახურეს<sup>1</sup>.

იმ ქვეყნებში, რომლებშიც სათანადო ჰერალდიკური ინსტიტუტები არსებობს, გერბების მინიჭება დღესაც გრძელდება. იურიდიული ფირმები და ორგანიზაციები გერბის მოპოვებას ცდილობენ, რადგან დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ საზოგადოებაში

---

1 აფრიდონიძე მ., ზოგადი ჰერალდიკა. თ. პარლამენტის უწყებანი, 27-28, 1997; გვ. 13.

ჰერალდიკური ნიშანი დღესაც საიმედოობასა და სოლიდურობას გამოხატავს.

ჰერალდიკამ განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. ევროპაში ჰერალდიკის განვითარების ისტორიას ხუთ პერიოდად ყოფენ:

I. შექმნა – XII საუკუნე. ამ ეპოქას ახასიათებს მხედრის იდენტიფიკაციის ნიშანი. შინაარსობრივად პრიმიტიული გერბები იქმნება.

II. კონსოლიდაცია – XIII საუკუნე. ამ ეპოქისთვის დამახასიათებელია პრიმიტიული მემკვიდრეობითი გერბები. ჩნდება ჰეროლდების ინსტიტუტი.

III. განვითარება – XIV-XV საუკუნეები. ამ ეპოქაში ყალიბდება პირველი ტრაქტატები, ნორმები, წესები. ჰერალდიკის პრინციპების დაცვას მკაცრად აკონტროლებენ ჰეროლდები. იქმნება სამეფო გერბები.

IV. დეკადანსი – XVI-XIX საუკუნეები. ამ ეპოქაში გადაჭარბებული ყურადღება ექცევა ტექნიკურობას, იხვეწება ბლაზონირება. ეს რთული გერბების ეპოქაა.

V. თანამედროვეობა – XX საუკუნიდან იწყება პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მკაცრი წესების აღდგენის მცდელობა. სამეფო გერბების სფეროშიც კი ვანყდებით ჰერალდიკურ უკანონობას, ჩნდებიან მოყვარულები.<sup>1</sup>

ჰერალდიკის პერიოდებად დაყოფას ევროპაში მიმდინარე ისტორიულ-კულტურული პროცესები უდევს საფუძვლად.

შუა საუკუნეების საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ცვლილებები ნათლად აისახა კულტურასა და ხელოვნებაზეც. დაიწყო ცენტრალიზებული სახელმწიფოების ფორმირება, ქალაქების მომრავლება და გაძლიერება, ამ ქალაქებში კი – მაღალი სოციალური წრის წარმოშობა, ვაჭართა და ხელოსანთა ფენების გაჩენა, აგრეთვე სასახლის კარის აზნაურთა – რაინდობის ინსტიტუტის გაძლიერება.

განათლების, ხელოსნობისა და ტექნიკის მიღწევებმა, რელიგიურ-დოგმატიზმზე დაფუძნებულმა მსოფლმხედველობამ და შემეცნების შესაძლებლობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო გოთიკის განვითარებას დასავლეთ ევროპაში XII-XVI საუკუნეებში. გოთიკური იდეოლოგია და კულტურა ფეოდალურ-საეკლესიო ხასიათისა

1 Luis F., Messia De La Cerda y Pita. Heraldica Espanola, Madrid, 1990; გვ.27.

იყო. სწორედ ეს განაპირობებდა კულტურის დარგებში აზროვნების სიმბოლურ-ალეგორიულ ფორმებს, მხატვრულ ხერხებში კი – პირობითობის ელემენტებს.

ისტორიული მოვლენების კვალობაზე ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა და, შესაბამისად, შექმნილი გამომსახველობითი სტილი აისახებოდა დასავლეთ ევროპულ ჰერალდიკაზეც, რომლის განვითარების მეორე და მესამე პერიოდი სწორედ გოთიკურ ეპოქას ემთხვევა.

XVIII საუკუნის დამდეგიდან ჰერალდიკაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა ევროპულ პლასტიკურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში დამკვიდრებული როკოკოს სტილი, რომელსაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა საფრანგეთში აბსოლუტიზმის კრიზისმა და, ამასთან დაკავშირებულმა – არისტოკრატიულ ფენაში ჰედონისტური განწყობილების გაძლიერებამ. დახვეწილი, ნატიფი, თუმცა სიღრმისეულ განცდასა და იდეალებს მოკლებული, ხელოვნება ზუსტად ასახავდა საზოგადოებრივ მსოფლმხედველობას, რომლის მთავარი ფასეულობაც გმირობის, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ნაცვლად, გალანტური არტისტიზმი და უდარდებლობა იყო. კულტურის დარგებში იგრძნობოდა ბუნებრივ ფორმებთან დაცილებისა და თეატრალური, წარმოსახვითი სამყაროსკენ ლტოლვის ტენდენცია, რაც განაპირობებდა გამომსახველობითი ფორმების დეკორისა და სირთულისკენ გადაჭარბებულ სწრაფვას.

ქართულ მეცნიერებაში ისტორიკოსმა თ. ასათიანმა ჰერალდიკის განვითარების ისტორია სამ ძირითად პერიოდად დაყო. „პირველი – ნაციონალური (XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან – XIX საუკუნემდე), მეორე – ევროპულ-რუსული (XIX საუკუნე და XX-ის დამდეგი) და მესამე – რესპუბლიკურ-საბჭოური (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული)“.<sup>1</sup>

ბუნებრივია, საქართველოში ჰერალდიკის განვითარების საფეხურები არ ემთხვევა ევროპულს. გერბი ჩვენში მაშინ გამოჩნდა, როდესაც ევროპაში მან უკვე თავისი ევოლუციის სამი პერიოდი განვლო.

ქართული ჰერალდიკის განვითარების I პერიოდი საქართველოში ე.წ. „მცირე აღორძინების“ ეპოქის უკანასკნელ ეტაპს ემთხვევა, როდესაც განსაკუთრებით ძლიერდება დაშლილი სახელმწიფოს აღდგენის, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის გადარჩენის ტენდენციები.

1 ასათიანი თ., ქართული გერბთმცოდნეობა. თბილისი. 2002; გვ. 92.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით, ამ პერიოდის საქართველოში ჰერალდიკის ხელოვნების საფუძვლიანი ცოდნის ნიშნები უკვე არსებობდა. ცნობილი ხდება, რომ იმ დროისთვის გამოჩნდნენ გერბის მკეთებელი ხელოსნებიც.<sup>1</sup> გერბი, ევროპულის მსგავსად, განმარტებულია, როგორც ნოდებისა და პატივის ნიშანი, რომელიც ფერებისა და ფარის ნაკვეთებისგან შედგება. გერბის მთავარი ელემენტებია: გვირგვინი, პორფირი და სახეები, რომელთაც მონასტრის წინამძღვრის გერბზე ცვლის მიტრა (გვირგვინს), მანტია (პორფირის მაგივრად), ეკლესიის სახე. „კალმასობაში“ ლაკონიურად გადმოცემულია იმდროინდელ საქართველოში როგორც საერო, ისე – საეკლესიო გერბის შექმნისა და გამოყენების წესები.<sup>2</sup>

1 „ესე ხელოვნებაი... არის სამგვარი, ესე იგი: აქაქები, ანუ ბეჭდებისა და ლერბისა მომთხრელნი, მეორე – ოქრომჭედელნი, რომელნიცა გამოიყვანენ მეტალთა ზედა სახეთა... ხოლო მესამე არიან ქვის მჭრელნი და ხის მთლელნიცა“. აქვე ჩამოთვლილია ის სამუშაო იარაღები, რომელთა საშუალებით ქმნიდნენ ხელოსნები ნამუშევრებს: „ხოლო ხმარობენ ესე გვართა ხელოვნებათა შინა იარაღთა, ფოლადისა რკინისაგან ქმნილთა სხვადასხვა გვართა მწვეტიანთა კალმებთა და აგრეთვე სათლელთა იარაღებთა და ჩამოსხმელთა ყალიბთა, დანებთა სხვადასხვა გვართა და მაგართა თუზაფებთაცა, რომლისა დაწერიითა ძლით ამოსჭამს მეტალთა, და ესრეთვე აქვს სხვადასხვა გვარნი ჩარხები ამა ხელოვნებისათვის სამუშაონი. ხოლო ხელოვნებისა ამის მასალად იხმარებენ: ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, თითბერსა, კალასა, ტყვიასა, რკინასა, ხეთა ქვათა სხვადასხვა ცარცთა და ძვალთა სპილოსა და თევზის კბილთასა და პირუტყვთა რქებსა, ბაღას ძვალთა, და ესე ხელოვნება არს მრავალგვარი“ (იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, წიგნი I. თბილისი, 1936; გვ. 239).

2 „ჟამსა ამას არქიმანდრიტიდამ ბრძანება მოუვიდა ბერსა, რომელ რაოდენიმე ხატი ეკლესიისათვის მიყიდე და ამასთან ლერბიცა მომიჭრევინე, რომელნიცა არიან საჭირო ჩვენდაო.“

...შემდგომად წარვიდენ აქაქთან ლერბისა მოსაჭრელად. და რა იხილეს აქაქი, მოიკითხა დიაკვანმან და რქვა – ძალგიდს ლერალდიკისა ხელოვნებისა მოქმედება?

აქაქი: მე ეგე ლექსი არა უწყი, არცა სპარსთა ენა არს და ლექსი, ქართულად მიბრძანე, რა გნებავს?

იოანე: ლერბი მინდა მომიჭრათ ჩემის წინამძღვრისათვის.

აქაქი: მე უფრო დახელოვნებული ვარ ბეჭდების მოჭრისა და რადგან ლერბი გნებავს, მაგისი ფასი მეტი იქნება.

მაშინ ზურაბა: უფალო აქაქო, თქვენ გგონიათ, რომ დიდებულისა ვისთვისმე გაჭრევიდნებდეს ლერბსა, რომ მომინდეს სხვადასხვა სახენი და გვირგვინი, სკიპტრა და პორფირი და დაშვრე დიდხანს, წინამძღვრისთვის უნდა და იმაში იქნება ან ერთი, ან ორი მაგალითი მოსაჭრელი.

აქაქი: მითხარით, რა უნდა მოუჭრა, მაგალითად?

ზურაბა: კუნკული, ბარტყულა და ანაფორა, რადგან ბერია.

„კალმასობაში“ მოტანილი ცნობა უაღრესად საინტერესოა. როგორც ირკვევა, გერბისა და ჰერალდიკის განმარტებანიც, რომლებიც საქართველოში გამოიყენებოდა, ევროპულ ტერმინებს შეესაბამებოდა.<sup>1</sup>

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის საქართველოში, გერბების ბოძების ტრადიციასთან ერთად, ბლაზონის ტექნიკასაც ფლობდნენ. ამის მაგალითად გამოდგება ერეკლე II-ის მიერ თავად არღუთაშვილებისთვის 1783 წელს საგვარეულო გერბის მინიჭების სიგელში აღწერილი გერბი.<sup>2</sup>

კაცობრიობის ისტორიაში საბეჭდავის გამოყენება უფრო ადრე იწყება, ვიდრე – გერბისა. ასე იყო საქართველოშიც. „კალმასობის“ პერსონაჟები ბეჭდებსა და გერბებს შორის პარალელის გავლებით საინტერესო დასკვნას გვთავაზობენ:

„აქაქმან: რაი სარგებელ და ანუ რაი საჭირო არქ ჩუენ ქართველთათვის ქონებად ღერბისა, ვინაიდგან ბეჭედსა ვხმარობთ ჩუენ, თითქმის სრულიად აზიელნი?“

---

აქაქი: მათნევით ამას შინა, მიზრძანეთ – წინამძღვარს ვითარი ნიშნიანი ღერბი მოუჭრა?

იოანე: გვირგვინის მაგიერ ქმენით მიტრა და ზედ საუკუნო მამის თვალი გამოსახეთ სხივებით. გარშემო შემოზღუდეთ მანტიით და შუაზედ ეკკლესია გამოიყვანეთ და სახელი წინამძღვრისა და არქიმანდრიტობისა თითო ასომთავრულის ასოთი და ამასთან ერთი ღერბი მეც მომიჭერთ.“ (იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, ქართული პროზა. ტ. 6. თბილისი, 1984, გვ. 340)

- 1 „იოანემ: ღერალდიკა არს ჰსწავლა ღერბთათვის, რომელიცა ასწავებს განსხუაებასა ყოველთა უკუეი ნაწილთა ღერბებთასა, და, სახელდობრი, თვითეულად წოდებასა სახელთასა ასწავებს მას შესაბამიერთა წოდებითა.

აქაქმან: რაისა გულისხმა ჰყოფთ თქუენ სახელითა ამა ღერბისალა?

იოანემ: ღერბი არიან ნიშანი ხარისხისა და პატივისანი, წარმოდგენილი ფერებთა და ნაკვეთებთაგან ფარსა ზედა ანუ გულსა ზედა მის ღერბისასა განსხუაებისათვის გვართა, ანუ შთამომავლობათ, და საკუთართ ადგილთა და ქვეყნიურობისათა“ (იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, წიგნი II. თბილისი, 1991, გვ. 237)

- 2 „ფარი ვერცხლის ადგილით, ზედა მას დროშა ანუ ბოვარაყი, ვითარცა ნიშანი სპასპეტობისა, რომელსაცა ზედა გამოსახულ არს ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისა დედისა, რომელსაცა უპყრიეს სიტყუა იგი საუკუნოსა მამისა, ძეი თვისი. ქვეშე ხატისა შორის არს განპყრობილ მკლავი ხმლითა მარჯვნივ, ვითარცა ცხადყოფი გვარობითისა სიმხნისა მათისა, და მარცხნივ ფარი პირქვე მდებარე და მას ზემოთ სწორედ დადგმული შუბი. და ყოველი ესე არის დავვირგვინებულ ზემო სათავადოსა გვირგვინითა“ (საისტორიო მოამბე, #1, თბილისი, 1945: გვ.25).

იოანემ: უფალო, შენც კიდე აზიური ჭკუა გქონია, თორემ დიდად და მრავლისადმი არს საჭირო და სარგებლოვამიცა, მით რამეთუ კეთილშობილი რამეთი უკუი კაცი თანამდებ არს ცოდნად მისა ამაღ, რომელ იგი აძლევს მონმობასა აზნაურობასა თვისისასა. იგი განასხვავებს ყოველსა მდგომარეობასა მისსა და იგი აჩვენებს შთამომავლობასა გვარებთასა. „<sup>1</sup>

საქართველოში ჰერალდიკის განვითარების პერიოდებს, ძირითადად, საფუძვლად დაედო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი და არა – კულტურულ-მხატვრული სტილი, თუმცა, ერთი მხრივ, ქართული ჰერალდიკის პირველ პერიოდს და, მეორე მხრივ, ევროპულის II-III პერიოდებს შორის პარალელების გავლება მაინც შესაძლებელია. საქართველოში სწორედ ამ დროს შექმნილ გერბებში იკვეთება რელიგიური თემა და სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათი. ეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის მსოფლმხედველობის კარგად მორგებული გამომსახველობითი ფორმაა, რომელიც ეფექტურად გამოხატავს საქართველოს „მცირე ალორძინების“ ეპოქის სულისკვეთებას.

მეორე პერიოდის ხასიათს განაპირობებს რუსულ ჰერალდიკაში მიმდინარე პროცესები, რადგან ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებული გერბები ქართულ ჰერალდიკურ შემოქმედებად ვერ ჩაითვლება. ამ პერიოდში შეგვიძლია, დავაკვირდეთ რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გავლენას ქართული წარმოშობის გერბებზე.

თ. ასათიანის პერიოდიზაცია ეფუძნება ქართული გერბების წარმოშობის მიზეზების სწორ ანალიზს, თუმცა XXI საუკუნის დამდეგიდან საქართველოში ისეთი ინტენსივობით განვითარდა სახელმწიფო გერბშემოქმედება (მაგალითად მხოლოდ სამხედრო და ადმინისტრაციულ-მუნიციპალური სეგმენტიც გამოდგება), რომ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ქართული ჰერალდიკის განვითარების პერიოდიზაციას მეოთხე, პოსტსაბჭოთა ეტაპიც დაემატოს.

---

1 იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, წიგნი II. თბილისი, 1991, გვ. 238.

## ბერძნის შუამდგენელი ნაწილები

– აგერ, იმ რაინდს ხომ ხედავ, სანჩო, ჩალისფერი აბჯრით მოსილს, ფარზე რომ ქალწულის ფერხთით განოლილი ოქროსგვირგვინოსანი ლომი ახატია? ეს ძღვევამოსილი ლაურკალკოა, პუენტე დელ პლატას მფლობელი... ის ბრგე რაინდი, ვის სიმძიმესაც წელში გაუზნეჯია მისი უზარმაზარი ტაიჭი, თოვლივით თეთრი, იარაღი რომ აუსხამს და ხელშიც თეთრი, უდვევიზო ფარი უჭირავს, რაინდად ახლად ნაკურთხი ფრანგი ჭაბუკია, სახელად პიერ პაპენი, უტრეხტის საბარონოთა მფლობელი. ის კიდევ, რკინის დეზებს ჭრელზოლებიან ფეხმარდ ზებრას ფერდებში რომ სცემს და ხელში ცისფრად მომინანქრებული ფარი უჭირავს, ნერბიის ძღვევამოსილი ჰერცოგი ესპარტაფილარდო დელ ბოსკე გახლავს; ფარზე სატაცურის კონა ახატია და კასტილიურად აწერია დევიზი: „მისდევ ჩემს ბედს“.

*მიგელ დე სერვანტეს საავედრა,  
„მახვილგონიერი იდაღო დონ კიხოტ ლამანჩელი“*

გერბი გამომსახველობითი ხელოვნების რთული ნაწარმოებია. მისი შუამდგენელი ნაწილებია:

1. ფარი;
2. გვირგვინი (ტიტულარული გვირგვინი და ქუდები);
3. მუზარადი;
4. მუზარადის ქიმი;
5. ბურელეტი;
6. ლამბრეკენი;
7. ფარის მტვირთველები;
8. მანტია;
9. ზონრები;
10. დევიზი;
11. კომპორტერი (სურ. 1).

**ფარი** (escudo) გერბის მთავარი ელემენტი, რომელიც, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმისა იყოს. გერბზე დატანილია ყველა ის ფიგურა და ფერი, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას გერბის მფლობელის შესახებ. ფარის მარჯვენა მხარე მაყურებლის მარცხენა მხარეს შეესაბამება, მარცხენა კი – მარჯვენას. ფარი შეიძლება იყოს მთლიანი ან

რამდენიმე ნაწილად გაყოფილი. ფარის აღწერა მარჯვნიდან იწყება. ამიტომ ყველაზე საპატიო ფიგურები განლაგდება მარჯვნივ და ზედა ნაწილში.

**გვირგვინი (la couronne)** გერბის ის ნაწილია, რომელიც, უპირველესად, იმას განსაზღვრავს, რომელი სოციალური იერარქიის რომელ საფეხურზეა გერბის მფლობელი. სატიტულო გვირგვინები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. უაღრესად საინტერესოა იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ საგერბო გვირგვინების კლასიფიკაცია: „გვართამებრ მათისა, ყოველი უკუე ხარისხი ანუ გვარიანობა მექონარს გვირგვინისა თვისისა, ესე იგი: 1) გვირგვინი იმპერატორისა, 2) მეფისა, 3) გვირგვინი კურფირსკისა, 4) გვირგვინი მთავრისა ანუ ერცლერცოლისა, 5) ლერცოლისა, 6) მარკიზისა, 7) ღრაფისა, 8) ბარონისა, 9) თავადისა, 10) აზნაურისა; ეგრეთვე: 11) ხონთქრისა, 12) ყაენისა და სხვათა დიდთა ხელმწიფეთა კიტაისა, ინდისა, აბაშისა და სხვათა. ასრევე არს ხარისხისა გამო პატრიარხთა, პაპისა, მღვდელმთავართა საზოგადოდ და არქიმანდრიტთა“.<sup>1</sup>

**მუზარადს (les casque)** ადრეულ საუკუნეთა საბეჭდავებზე ხშირად ფარის გარეშეც კი გამოსახავდნენ. მუზარადი მხოლოდ მამაკაცთა გერბებზე გამოიყენებოდა, თუმცა ევროპაში ზოგჯერ ქალაქები, ან კორპორაციების გერბებზეც ჩნდებოდა, განსაკუთრებული დამსახურების გამო, მეფის მიერ მინიჭებული ჯილდოს სახით.

**მუზარადის ქიმი (le cimier)** მუზარადის თავზე მოთავსებული ფიგურაა, რომელიც რაინდის გამორჩევის დამატებითი საშუალება იყო.

**ბურელეტი (le bourellet)** – დაგრეხილი ქსოვილისგან დამზადებული სარტყელი მუზარადზე.

**ლამბრეკენი (les lambrequina)** – მუზარადის ზედა ნაწილიდან ჩამოშვებული ფერადი ლენტები, თავსაბურავი, რომელსაც მეომრები აღმოსავლეთში მწველი მზისგან თავდასაცავად იყენებდნენ.

**ფარის მტვირთველებს (figures attenats)** გერბის ფარი უჭირავთ. ეს ფიგურები, შესაძლოა, განასახიერებდნენ ადამიანებს, ანგელოზებს, ცხოველებს, ფრინველებს, ფანტასტიკურ არსებებს. ფარის მტვირთველები ალეგორიაა რაინდთა საქურველთმტვირთველებისა, რომელთაც ტურნირებზე თავიანთი პატრონის ფარი გამოჰქონდათ.

1 იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, წიგნი II. თბილისი, 1991, გვ.139.

**მანტია** (le mantile) – მონარქის სადღესასწაულო მოსასხამი თავდაპირველად მეფეთა გერბებზე გამოისახებოდა, მოგვიანებით, სხვათა გერბებზეც გავრცელდა. მანტიამ კარვის ფორმა ტურნირზე რაინდთა დასასვენებლად გაშლილი კარვის გამო მიიღო.

**ზონრები** (la cordeliere) თავდაპირველად ყვავილწნული იყო, რომელიც ფარს გარშემო ევლებოდა.

**დევიზი** (Le devise) გერბის ფარის გარეთ მოთავსებული წარწერაა, რომლის წესი მკაცრად არ იყო განსაზღვრული. მიზანშეუწონელია ფარზე წარწერის გაკეთება. დევიზად იყენებენ სიტყვას ან ფრაზას, რომელიც გერბის მფლობელის შესახებ დამატებით ინფორმაციას შეიცავს.

**კომპორტერი** (comporter) ფარის მტვირთველთა საყრდენია.

ჰერალდიკის ფერადოვან სამყაროს სამი გამომსახველობითი საშუალება, სამი ჯგუფი ქმნის. ესაა: ლითონი, მინანქარი და ბუნვეული. საგერბო პალიტრა შვიდი ფერისაგან შედგება (ორი ლითონისაა და ხუთი – მინანქრის).

ფერს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი მკაცრი სისტემა, რომელიც დაიცავდა ჰერალდიკურ ფერებს მრავალგვარი ინტერპრეტირებისგან. ამას ხელს უწყობს განსხვავებული განმარტებები, რომლებსაც სხვადასხვა წყარო გვთავაზობს. „არსებობდა ჰერალდიკურ ფერთა სიმბოლური განმარტება, რომლის თანახმადაც, ისინი გარკვეულ ზნეობრივ ხასიათთან ასოცირდებოდნენ. კოლომბიერის, ვარენის, ანსელმის და სხვა ავტორთა უძველეს ნაშრომებში ფერთა ასეთ განმარტებას მთელი თავები ეძღვნება“.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები რამდენადმე რეგლამენტირებულია, ამა თუ იმ ფერის ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციაც არსებობს. მაგალითად, წითელი სიმამაცის, ვაჟკაცობის, სიყვარულის, აგრეთვე ბრძოლაში დაღვრილი სისხლის სიმბოლოა<sup>2</sup>. მას სიყვარულის, სიმამაცისა და დიდსულოვნების<sup>3</sup>, მეომრის ან მარტვილის, სამხედრო ძლიერებისა და სულგრძელობის სიმბოლოდაც განმარტავს ზოგი წყარო.

1 ზაგაშვილი გ., ციხაძე მ. ჰერალდიკის საფუძვლები. თბილისი, 2006, გვ.23.

2 <http://www.excurs.ru> (2005)

3 ზაგაშვილი გ., ციხაძე მ. ჰერალდიკის საფუძვლები. თბილისი, 2006, გვ. 23.

ჰერალდიკური ფერების გრავიურებზე გადასატანად (შავ-თეთრი გამოსახულებით) XVII საუკუნიდან იტალიელი ჰეროლდის ს. პეტრა-სანკტას სპეციალური სისტემა შემოიღეს.

თავდაპირველად მხოლოდ ოთხი ფერი გამოიყენებოდა – წითელი, ლურჯი, შავი და თეთრი. მოგვიანებით მათ მწვანე, ყვითელი და მენამული დაემატა. ყვითელი და თეთრი ადრე ოქროსა და ვერცხლისგან დამოუკიდებლად გამოიყენებოდა. განსაკუთრებული ჰერალდიკური ფერია ბენვეული – ყარყუმისა და ციყვის.

გერბზე ყველა ელემენტის არსებობა სავალდებულო არ არის, მაგრამ ფარის გარეშე გერბი წარმოუდგენელია. „იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გერბის ფარის ფორმა მკაფიოდ არ არის გამოსახული, იგი მაინც იგულისხმება. ყველა დანარჩენი ელემენტი გერბის გარეგნულ მორთულობას წარმოადგენს“.<sup>1</sup>

ფარზე დატანილი გამოსახულება ან ფერი საგერბე ფიგურაა. ფარი შეიძლება იყოს მარტივი ან რამდენიმე ნაწილად დაყოფილი. ჰერალდიკური წესების მიხედვით დაყოფილი ფარის შეფერილ ნაწილებს ჰერალდიკური ფიგურები ეწოდება.

გერბზე ხშირად გამოისახება ადამიანის ყოფით ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები, ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, ფანტასტიკური არსებები – ყოველივე ეს არაჰერალდიკური ფიგურებია. არაჰერალდიკური ფიგურები სამ ჯგუფად იყოფა:

1. ბუნებრივი (*les figures naturelles*)
2. გამოგონილი (*les figures chimeriques*)
3. ხელოვნური (*les figures artificielles*)

პირველ ჯგუფში ერთიანდება მატერიალურ სამყაროში რეალურად არსებული საგნები და არსებები, მეორე ჯგუფს განეკუთვნება ფანტასტიკური საგნები, მესამეს კი – ხელოვნების, არქიტექტურის, ხელოსნობის საგნები.

გერბებზე ფიგურები არარეალისტური, სტილიზებული სახით გამოისახება. გამომსახველობითი ხერხები ეპოქების მიხედვით იცვლებოდა. ჰერალდიკური სტილი არქიტექტურული სტილის კვალდაკვალ ვითარდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, XIII-XVI საუკუნეებში ჰერალდიკამ შეიძინა გოთიკური სტილი, შემდგომ – ბაროკოს სტილი, XVIII საუკუნეში კი – როკოკოს სტილი.

1 აფრიდონიძე მ., ზოგადი ჰერალდიკა. თ. პარლამენტის უწყებანი, 27-28, 1997, გვ. 11.

საქართველოში ჰერალდიკის განვითარების დამოუკიდებელი ეტაპი იმდენად ხანმოკლე იყო, რომ აქ ჰერალდიკური გამომსახველობითი ხერხების გრადაცია ვერ მოესწრებოდა. ქართულმა კულტურამ ევროპიდან ჰერალდიკის მზა კლიშე მიიღო, რომელიც ადგილობრივ ისტორიულ-მსოფლმხედველობრივ შინაარსს მოერგო. დამოუკიდებლობის პერიოდში შექმნილი ქართული გერბები არ გამოირჩევა ჰერალდიკური და არაჰერალდიკური ფიგურების სიჭარბით. თუმცა ბაგრატიონთა პირველივე ნაბეჭდ გერბზე ჩნდება გერბშემოქმედებისთვის ცნობილი ისეთი პოპულარული ფიგურა, როგორცაა ლომი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლომი – ცხოველთა მეფე, ასევე, მისი ნაირსახეობა – ლეოპარდი, ერთ-ერთი ყველაზე ძველი ჰერალდიკური სიმბოლოა. ჯერ კიდევ ინგლისის მეფე ჰენრი I (1070-1135 წწ.) თავისი ფარის ორნამენტში იყენებდა ლომის გამოსახულებას. პირველ ხანებში ჰერალდიკური ლომები საკმაოდ პრიმიტიულად, დეტალური სრულყოფის გარეშე გამოსახებოდა. ამავე დროს, ლომი ლეოპარდისგან არ განსხვავდებოდა – ორივეს გამოსახვდნენ ნაგრძელეული ფორმით, ლომს არ ჰქონდა ფაფარი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა: რჩებოდა არა ზოოლოგიური ნიშანი, არამედ – ჰერალდიკური, ამიტომაც, ლეოპარდი, როგორც ცალკე ჰერალდიკური ფიგურა, არ არსებობს. კლასიკური ჰერალდიკური ლომი უნდა იდგეს უკანა ფეხებზე და გამოსახებოდეს პროფილით. თუ ლომი სამ თათზე დგას, თავი კი მაყურებლისკენ შეუბრუნებია, მას ლეოპარდს უწოდებენ (თუ ლეოპარდის თავი პროფილით გამოსახება, იგი ლეოპარდისებრი ლომია). სახით მაყურებლისკენ მომზირალ ლომს ლომისებრ ლეოპარდს უწოდებენ.

საგულისხმოა, რომ XVIII საუკუნის დამდეგს, როცა ჩვენში პირველი ნაბეჭდი გერბები ჩნდება, ამ საგერბე ფიგურის ორივე სახეობა გამოსახება ქართულ ჰერალდიკაში. „სამოციქულოში“ (1709 წ.) დაბეჭდილი ბაგრატიონთა გერბის ფარის მტვირთველნი ლომები არიან: მათი თავები პროფილითაა გამოსახული და ისინი უკანა თათებზე დგანან. ხოლო „პარაკლიტონში“ (1720 წ.) დაბეჭდილ გერბზე ფარის ქვემოთ კომპორტერის ფუნქციით გამოსახულია ლეოპარდი (დგას სამ თათზე და თავი მაყურებლისკენ შეუბრუნებია). ეს მცირე დეტალი იმის დამადასტურებელია, რა სწორი ფორმებით ვითარდებოდა საქართველოში ჰერალდიკა, რაც, უდავოდ, ევროპულ კულტურასთან მჭიდრო კავშირის მიმანიშნებელია.

## ჰერალდიკის პირველი ნიშნები ქართულ საბეჭდავეზე

„და ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში  
ნიგნი, შიგნიდან და გარედან დანერილი, და შვიდი  
ბეჭდით დაბეჭდილი“.

*გამოცხადება, 5, 1*

ძველ საბერძნეთსა და რომში ისევე, როგორც სპარსელთა, ეგვიპტელთან, მიდიელთა თუ სხვა უძველეს ხალხთა კულტურაში ხშირად ვნახავთ ისეთ უნივერსალურ სიმბოლოებს, რომლებიც რეგულარულად გამოისახება მონეტებზე, მედალიონებზე, ბეჭდებზე. უძველეს ქალაქებსაც თავიანთი სიმბოლოები ჰქონდა. მაგალითისთვის გამოდგება კორინთო (პეგასი), ათენი (ბუ), პელოპონესი (კუ), როდოსი (ვარდი)... ეს სიმბოლოები საბეჭდავებზეც გამოიყენებოდა... სიმბოლოები ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობდნენ, გადადიოდნენ მამიდან შვილზე... წერილობითმა დოკუმენტებმა არაერთი ცნობა შემოგვინახა ემბლემების გამოყენებისა და მათი მემკვიდრეობით გადაცემის თაობაზე. სწორედ ამ საბუთებზე დაყრდნობით ცდილობდნენ შუა საუკუნეებში გერბის წარმოშობის სიმბოლურ ნიშნებთან დაკავშირებას. ამას ემატებოდა ფერის სიმბოლიკაც, რომელიც რომსა და ბიზანტიაში სახელმწიფოებრივი კულტურის სიბრტყეზე განიხილებოდა. ჰერალდიკის წარმოშობის ერთ-ერთ წინაპირობად მკვლევრები საბრძოლო იარაღზე სიმბოლური ნიშნების გამოსახვასაც ასახელებენ, თუმცა ტომის ბელადის ან რაზმის მეთაურთა ემბლემების გერბებთან დაკავშირება გაუმართლებელია.

საბეჭდავი, როგორც არტეფაქტი, კაცობრიობის ისტორიის უშორესი წარსულიდან იღებს სათავეს. გერბის წარმოშობას დიდი ხნის განმავლობაში პირდაპირ საბეჭდავებს უკავშირებდნენ. საბეჭდავი და გერბი ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს. ორივე მათი მფლობელის ნების გამომხატველია; ორივეს გარკვეული სტატუსის მქონე მფლობელი ატარებდა. ბეჭდების განსაკუთრებულობას განაპირობებდა არა მხოლოდ ძვირფასი ლითონი, რომლისგანაც ისინი მზადდებოდა, არამედ მათზე ალბეჭდილი გამოსახულებაც. ეს ბეჭდები ხშირად მემკვიდრეობით გადაეცემოდათ და მათ წერილობით დოკუმენტებს ბეჭდავდნენ, რითაც კანონიერ ძალას ანიჭებდნენ და დამაჯერებლობას მატებდნენ მათ. საბეჭდავი საყოველთაოდ ცნო-

ბილი და უცვლელი უნდა ყოფილიყო. რომის კანონების თანახმად, სასამართლოს აქტები და გარიგების სხვა ოქმები ბეჭდით უნდა ყოფილიყო დამონმებული. ბეჭდის გაყალბებისგან თავდასაცავად უამრავ ხერხს მიმართავდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებზე საბეჭდავის დასმას ხშირად ერთგვარი რიტუალიც ახლდა თან. პროცესს ესწრებოდნენ სასახლის კარზე მიღებული და გავლენიანი პირები. საგანგებო საბუთის ბეჭდით დადასტურებისას კი ხშირად სასულიერო პირებს, თავადაზნაურობის წარმომადგენლებსა და მოსამართლეებსაც ინვევდნენ. მფლობელი საგანგებოდ იცავდა ბეჭედს, რათა იგი სხვას არ გამოეყენებინა. ხშირად გარდაცვლილ მფლობელს გადატეხილ საბეჭდავებს საფლავში ატანდნენ (ამ წესს იყენებდნენ პაპების დაკრძალვისას). თუ საბეჭდავი დაიკარგებოდა, შეიცვლებოდა, ან, მისი მფლობელის ნებისაებრ, სხვას გადაეცემოდა, ეს ფაქტი საქვეყნოდ ცნობილი უნდა გამხდარიყო. საბეჭდავის გაყალბებისგან დასაცავად X საუკუნის დამდეგიდან გამოიყენებოდა ორმხრივი ბეჭდები, რომლებსაც ზონრით ჰკიდებდნენ დოკუმენტებზე. საბეჭდავის ამოსატვიფრი მასალის გამძლეობაზე იყო დამოკიდებული, რამდენად დიდ ხანს გაძლებდა გამოსახულება. ძველი რომაელები ბულას ტყვიისაგან ამზადებდნენ. აქედან მომდინარეობს ამგვარი ბეჭდების სახელწოდება: ტყვიის ბურთულებს ჯერ ზონარს უყრიდნენ, შემდეგ კი მათზე გამოსახულებას ამოტვიფრავდნენ (ლათ. *bullā* – ბურთულა; გვიან ლათ. – ბეჭედი, ბეჭედდასმული დოკუმენტი).

საქართველოში არსებობს როგორც აღმოსავლური (აზიური), ისე – დასავლური (ბიზანტიური) წარმოშობის მდიდარი გლიპტიკური მემკვიდრეობა.

უძველესი ქართული ბეჭდები XV საუკუნიდან გვხვდება: ეს არის 1470 წლის ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატისა (1466-78 წწ.) და 1479 წ. ალექსანდრე კახთა მეფის (1476-1511 წწ.) ბეჭდები.<sup>1</sup>

ცნობილ და გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შორის უძველესი ძეგლი, რომელსაც ზედ ბეჭედი აქვს, ამილახორის ხიმშა მარიდელობაზაძის შენირულობის წიგნია. იგი 1405 წლით თარიღდება. გამომცემლის – ს. კაკაბაძის აზრით, ზედ დასმული ყოფილა ორი ბეჭედი, ერთი – სპარსული, მეორე კი – ქართული. ამ ცნობაზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ უძველესი ქართული ბეჭედი

1 *ბაქრაძე ა.*, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბილისი. 1978, გვ. 15.

კერძო პირის იყო.<sup>1</sup> ყველაზე ძველი წარწერიანი ქართული ბეჭედი, რომელიც დღემდე ამოკითხულია, ბაგრატ მეფისა და საკათოლიკოსო დიდი სწორკუთხა ბეჭედია, რომელიც 1470 წლის საბუთში გვხვდება.<sup>2</sup>

საბეჭდავისა და გერბის ურთიერთმიმართებისას, აზრთა მრავალგვარობის მიუხედავად, ერთი რამ უდავოა: საბეჭდავებზე ყველაზე უფრო ხშირად მფლობელის გერბს გამოსახავდნენ (იგულისხმება ასეთის არსებობის შემთხვევაში). მაგრამ იმის მტკიცება, რომ გერბი საბეჭდავიდან წარმოიშვა, მყარი ვერ იქნება. კულტურის ორი დარგის: გლიპტიკისა და ჰერალდიკის წარმოშობა ერთმანეთზე არ იყო დამოკიდებული, მაგრამ ერთმანეთის განვითარებაზე კი, უდავოდ, დიდი გავლენა იქონიეს.

---

1 *ჯავახიშვილი ივ.*, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. თბილისი. 1926, გვ. 69.

2 *ბაქრაძე ა.*, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბილისი. 1978, გვ. 31.

## ქრისტეს კვართი საბეჭდავზე და გამორჩეულობის იდეა

საბეჭდავებზე ქრისტეს კვართის გამოსახვის პრინციპების გაანალიზებამდე საგანგებოდ უნდა შევაჩეროთ ყურადღება ქართული გლიპტიკური ხელოვნების თვალსაჩინო ძეგლ დომენტი კათოლიკოსის საბეჭდავზე.

XXI საუკუნის დამდეგს წმ. საბა განმწმენდელის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ მამა ევდოკიმოსს ისტორიკოს ი. გაგოშიძისთვის უჩვენებია ქართულწარწერიანი საბეჭდავი – ნაწვეტებული დისკოს ფორმის (მსხლისებრი მოყვანილობის) სპილენძის ფირფიტა, რომელსაც უკანა (ზედა) მხარეს, შუაში მოკლე ცილინდრული სახელური ჰქონია მიჩრილული.

კვეთილი კომპოზიციის ცენტრში აღმართულია სვეტი, რომლის ზედაპირზე გამოსახულია სპირალურყლორტებიანი ვაზი. სვეტი დგას ნალკოტში (სამოთხეში), რომელსაც მინიშნებს სვეტის ორივე მხარეს გამოსახული ხვიარა მცენარეები; ამასთან, მარჯვენა მცენარის ხვეულებში ორი ფრინველი ზის, ნისკარტებით – სვეტისკენ მიქცეული, მარცხენა მცენარის ძირთან კი დიდი ზომის ყვავილი – ვარდია ამოკვეთილი. სამოთხე მოქცეულია ოთხკუთხა ჩარჩოში, რომლის ზედა მარჯვენა კუთხე რკალურადაა მოკვეთილი.

სვეტისა და სამოთხის ქვეშ გამოსახულია საფლავში ჩასვენებული ქალი, თავით – მარჯვნივ, მკერდთან მიტანილ მარცხენა ხელში მას კვართი უპყრია.

სვეტიცხოვლის ზემოთ, ფიგურულ ჩარჩოში ჩასმულია ხელეზღმართული უფლის სახე, კუთხოვანი შარავანდით, და მის ორ მხარეს თითო ქართული მთავრული ასოა: **ღ** და **ბ**, რაც, იულონ გაგოშიძის აზრით, უნდა ნაწიკითხოთ, როგორც – ღვთაება.

სვეტის მარცხნივ დგას წმინდა ნინო ჯვრით ხელში, მარჯვნივ კი – ასევე შარავანდიანი მავედრებელი ქალი, ი. გაგოშიძის ვარაუდით – წმინდა ანა დედოფალი. ორივე წმინდანის ზურგს უკან თითო წინვოვანი ხეა გამოსახული ნაწვეტებულ სადგარებზე, რაც, ალბათ, გორაკს აღნიშნავს, მარჯვენა სადგარში ტოლმკლავა ჯვარია ამოკვეთილი, მარცხნივ კი, წმ. ნინოს უკან, წინვოვანი ხის ზემოთ გუმბათიანი ეკლესიაა გამოსახული, თუმცა გუმბათზე მოსალოდნელი ჯვრის ნაცვლად, სამითიასებრ ფიგურას ვხედავთ. წმ. დედების თა-

ვებს ზემოთ, უფლის გამოსახულებიანი კარტუშის ორივე მხარეს, თითო ტოლმკლავა ჯვარია დასმული. ასეთივე ჯვარი ზის კარტუშის ზემოთაც, საბეჭდავის გამოსახულებიანი ზედაპირის ნვეტში.

სვეტიცხოვლის აღმართვის სცენა შემოსაზღვრულია ჩარჩოთი, რომელიც საბეჭდავის ზედაპირის კიდეც გასდევს. ჩარჩოს ზედა ნვეტში ჩანერილია ქართული ასომთავრული ქ და მისგან მარჯვნივ იწყება და ქვევით გრძელდება ქართული ასომთავრული წარწერა – მათეს სახარების მე-16 თავის მე-19 მუხლის ბოლო წინადადება: „რომელი განჰხსენათ ქუეყანასა ზედა ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“.

ქართულ წარწერას ჩარჩოს ნახევარზე მეტი უჭირავს და მის ბოლოს, ორწერტილის შემდეგ, უშუალოდ იწყება ბერძნული წარწერა, რომელიც ქვევიდან ზევით მიემართება. ამ წარწერის ბოლო სიტყვა ჩარჩოს შიგნით, უფლის გამოსახულებიანი კარტუშის თავზეა მოთავსებული... ბერძნული წარწერის ამოცნობა ჭირს. ერთი რამ კი უეჭველია: ბერძნული წარწერა არ არის სახარებისეული ციტატა ანუ ქართულს არ შეესაბამება. მეტნაკლები ალბათობით, თითქოს, ირკვევა სიტყვა: (δευτεροσι, კათოლიკოსი იბერიისა), მაგრამ აქაც ბევრი რამ საჭოჭმანოა.

განსვენებული ქალის ფიგურის ქვეშ, ჩარჩოს ზემოთ ამოკვეთილია ოთხი არაბული ციფრი – საბეჭდავის დამზადების თარიღი ჰიჯრით: 1072, რაც შეესატყვისება ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1661/1662 წელს.

ბერძნული წარწერის შინაარსისა და ამ თარიღის შეპირისპირებით, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ საბეჭდავი ეკუთვნოდა კათოლიკოს დომენტი III-ს, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო საყდარი ეპყრა 1659-1676 წლებში.

წმ. საბა განმწმენდელის მონასტრის ეს საბეჭდავი შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურშია დაცული (საინვენტარო 3202), ის დომენტი III კათოლიკოსის კუთვნილი საბეჭდავის (სურ. 2) ორეულია, რომელიც მთის ბროლისგან არის გამოჭრილი, მაგრამ მისი ზედწერილები, გამოსახულებანი, საბეჭდავის ზედაპირის ფორმა და ზომაც კი პრაქტიკულად იდენტურია სპილენძის ზემოაღწერილი საბეჭდავისა; დამზადების თარიღიც ერთი და იგივე უზის ორივე საბეჭდავს. ამ ორი საბეჭდავის გამოსახულებები მხოლოდ უმნიშვნელო შტრიხებით განსხვავდება ერთმანეთისგან.

თვით ფაქტი ორი ერთნაირი საბეჭდავის არსებობისა მთელ რიგ ჯერჯერობით უპასუხო კითხვებს აღძრავს. იულონ გაგომიძე

სწორად სვამს კითხვას: ვინ და რა მიზნით დაამზადებინა ოფიციალური საბეჭდავის დუბლიკატი და როგორ მოხვდა საქართველოს კათოლიკოსის საბეჭდავი იუდეის უდაბნოში, როცა ცნობილია, რომ დომენტი III წმინდა მინაზე არასოდეს ყოფილა? მისი მოსაზრებით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთის ბროლის საბეჭდავი დედანია და პირველადი, ხოლო სპილენძისა – მისი პირი, თანაც დამზადებული ქართულის უცოდინარი ან სუსტად მცოდნე ხელოსნის მიერ.<sup>1</sup>

კათოლიკოს დომენტი III-ის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული საბეჭდავი ვერცხლისაა. იგი შედგება მწვერვალების მხრიდან ორი ერთმანეთთან შეერთებული ნახნაგოვანი წაკვეთილი პირამიდისებრი სხეულისგან. ერთი პირამიდა უფრო დაბალია, ფუძეებისაკენ ორივე გაზნექილია. მაღალი პირამიდის ფუძე მსხლისებრი მოყვანილობისაა და, საკუთრივ, საბეჭდავია; იგი ამოკვეთილია ვერცხლში ჩასმულ მთის ბროლზე. დაბალი პირამიდის ფუძეც საბეჭდავია. ის, ბრტყელია, ამოკვეთილია ვერცხლში ჩასმულ მრგვალი ფორმის თითბერზე.

საბეჭდავი დეტალურად აღწერა ისტორიკოსმა, საქართველოში გლიპტიკისა და სფრაგისტიკის ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა სარა ბარნაველმა, როგორც დომენტი II-ის საბეჭდავი.<sup>2</sup>

საბეჭდავის სიმაღლეა 9,4 სმ; მსხლისებრი ქვემო ზედაპირის სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე – 5,2 სმ; მრგვალი ზედაპირის დიამეტრია 5,0 სმ.

ექსპონატი, როგორც ანტონ კათოლიკოსის საბეჭდავი, ცენტრალურ სამეცნიერო არქივს ხელოვნების მუზეუმისათვის 1923 წელს გადაუცია.

მართლაც, ხელნაწერი საბუთების მიხედვით, დადგენილია, რომ საბეჭდავი ეკუთვნოდა ანტონ პირველსაც და ანტონ მეორესაც. ამ საბეჭდავით დაბეჭდილი დოკუმენტები, რომლებიც გაცემულია კათოლიკოსების ანტონ I-ისა და ანტონ II-ის მიერ, დაცულია საქართველოს საისტორიო არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.<sup>3</sup> მაგრამ არსებობს ამავე ბეჭდით დამონმებული უფრო ადრინდელი დოკუმენტიც, რომელიც დიმიტრი ბაქრაძის მიერ შედგენილი საბუ-

---

1 *გაგომიძე ი.*, კათალიკოს დომენტი III-ის საბეჭდავი. *ჟ. Academia*. 5 (A), 2003.

2 *ბარნაველი ს.*, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები. თბილისი. 1965, გვ. 123.

3 იქვე, გვ. 124.

თების კრებული (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საბუთი 2855-3037 შდ/5162 შ), 632-ე გვერდზე ჩანს ლუქუე ამოტივრული ანაბეჭდები ზემოდასახელებული საბეჭდავის ორივე მხრიდან და მელნით შესრულებული არასრული სურათი მსხლისებრი ზედაპირიდან. აქვე, ახლოს, რუსულად არის წარწერილი: „эта самая печать католикоса Николая“<sup>1</sup>. ამ წიგნივე მოთავსებულია საქართველოს კათოლიკოსის ნიკოლოზის წერილი რუსეთის პატრიარქ იოაკიმესადმი. საბუთის ბოლოს დასმულია მსხლისებრი ბეჭედი.

აღნიშნული დოკუმენტი ინახება მოსკოვში, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. საბეჭდავიდან აღებული თაბაშირის ანაბეჭდის შედარებამ ნიკოლოზ კათოლიკოსის საბუთის ანაბეჭდთან დაადასტურა, რომ ეს ერთი და იგივე საბეჭდავია.<sup>2</sup> მაგრამ საბეჭდავი დამზადებული ჩანს უფრო ადრე, რადგან წარწერა კათოლიკოს დომენტის ასახელებს. ნიკოლოზის წინამორბედი კი კათოლიკოსი დომენტი მესამე შეიძლება ყოფილიყო და არა – დომენტი მეორე, როგორც ამას წერს ს. ბარნაველი (თუმცა იქვე უთითებს, დომენტი ეკლესიის სათავეში 1660-1676 წლებში იდგაო ანუ იმ წლებში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი III იყო, მამასადამე, ს. ბარნაველი სწორედ დომენტი მესამეს გულისხმობს).

ამ საბეჭდავით დაბეჭდილი წყალობის წიგნი, რომელიც დათარიღებულია 1672 წლით, გაცემულია დომენტი III-ის მიერ.<sup>3</sup> უფრო ადრინდელ დოკუმენტებში, დომენტი III-ის წინამორბედ კათოლიკოსთა საბუთებში, ეს საბეჭდავი არ იძებნება.

ექვგარეშეა, რომ ამ საბეჭდავს რამდენიმე კათოლიკოსი იყენებდა ანუ იგი მემკვიდრეობით გადაეცემოდა ეკლესიის მეთაურებს XVII და XVIII საუკუნეებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კათოლიკოსებს ამის გარდა სხვა, საკუთარი, საბეჭდავებიც ჰქონდათ.

მსხლისებრ საბეჭდავს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან კათოლიკოსები მას საბუთის თავში სვამდნენ, „ბოლო-

---

1 ციტატა მოტანილია „ქართველ მეფეთ წერილებიდან რუსეთის მეფეებისადმი უცხოურ ენებზე 1639-1770 წლებში“, გვ 126-129. იხ.: ბარნაველი ს., საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები. თბილისი. 1965, გვ. 142.

2 იქვე, გვ. 125.

3 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 1689 Ad

ში კი თავიანთ სხვა საკუთარ საბეჭდავს გამოსახავდნენ“.<sup>1</sup> შეიძლება, სწორედ ამითაც აიხსნას ამ ძეგლის დუბლიკატის (საფიქრებელია, არალეგალური გზით დამზადებულის, რადგან ორი ერთნაირი საბეჭდავის დამზადება პრინციპულად ეწინააღმდეგება თვით ბეჭდის დანიშნულებას) არსებობა საქართველოდან შორს, წმ. საბა განმწმენდელის მონასტერში. არ არის გამორიცხული, რომ მას საქართველოს ეკლესიის სახელით ყალბი იურიდიული საბუთების შესაქმნელადაც იყენებდნენ.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული დომენტი კათოლიკოსის საბეჭდავის ნახნაგებზე ძველი და ახალი ათქმისეული 12 სცენაა გამოხატული. მოსევადებული მინიატურები მაღალმხატვრულად არის შესრულებული. ამ საბეჭდავის შესახებ მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომის ავტორი, სარა ბარნაველი მიიჩნევდა, რომ „ნაკლებ საინტერესოა საკუთრივ საბეჭდავიანი ნაწილების გამოხატულებანი“.<sup>2</sup> ოსტატობის დონით აღნიშნული ნაწილები ვერ გაუტოლდება საბეჭდავის ნახნაგების სევადით შესრულებულ მინიატურებს, მაგრამ, შინაარსობრივ-იდეური თვალსაზრისით, ეს ორი გამოხატულება უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.

თითბერზე ამოკვეთილ საბეჭდავიან ნაწილზე (სურ. 3.) გამოსახულია ნახევრად შიშველი, თავდახრილი, გულხელდაკრეფილი ჭაბუკი (სარა ბარნაველის მოსაზრებით, ცოდვილი სულის მეტაფორა). მარჯვნივ დგას ხმალამონვდილი მთავარანგელოზი მიქაელი, რომელიც განდევნის ჭაბუკს სამოთხის კარიდან. ცოდვილს მარცხნიდან ემშაკი ჩასჭიდებია და ხელს ჰკრავს ჯოჯოხეთისაკენ, რომელსაც ურჩხულის სახე აქვს. ჭაბუკის თავზემთ გუმბათზე ჯვარდადგმული ეკლესია მოჩანს. გამოსახულებას წარწერაც ერთვის. ნახევარი ქართულია. ასომთავრულით წერია: „ქ. რომელი შეკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა.“ მეორე ნახევარწერს ბერძნული წარწერა ავსებს, რომელიც, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერს, ქართულის მსგავსი შინაარსისაა.<sup>3</sup>

საბეჭდავის მეორე მხარეს წარმოჩნდება სვეტიცხოვლის მოტივი. ცენტრში გამოსახულია სვეტი (სურ. 4). მის ქვემოთ – მინაში ას-

1 ბარნაველი ს., საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლობტიკური მასალები. თბილისი. 1965, გვ. 126.

2 იქვე, გვ. 136.

3 თაყაიშვილი ე., სიგელი კათალიკოს ანტონ I-ისა, ბოძებული თაზიშვილებისადმი, 1780 წ., საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი. 1910. გვ. 167.

ენია ქალი, აქეთ-იქით დგანან წმ. ნინო და მეორე პერსონაჟი, რომელიც ქალს ჰგავს. XVIII საუკუნის საკათოლიკოსო სხვა საბეჭდავების მიხედვით, რომელთაც მსგავსი სიუჟეტი აქვთ, შესაძლო იქნებოდა, დაგვესკვნა, რომ ეს ანგელოზია, მაგრამ ფრთები არ უჩანს. სვეტის ზემოთ ფიგურულ ჩარჩოში მოქცეული ხელანვდილი ღვთაების სახეა. სვეტთან ერთად ის ქმნის მესვეტის ცნობილი კომპოზიციის შთაბეჭდილებას. ღვთაების ხელების ზემოთ თითო მთავრული ასოა: **ღ** და **ზ**. ქალების ფიგურათა აქეთ-იქით ჩანს პატარა ხეები და ეკლესია.

კომპოზიციას ნახევარწრედ ევლება ასომთავრული წარწერა: „რომელი განწსნათ ქვეყანასა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“.<sup>1</sup>

აქვეა ბერძნული წარწერა: „დემეტეოს კათოლიკოსი იბერიისა“.

დომენტი III-ის საბეჭდავის შექმნამდე რამდენიმე საუკუნით ადრე საქართველოს კათოლიკოსებთან სვეტიცხოვლის გამომსახველობითი ფორმით კავშირს აღნიშნავდა ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძე ცნობილ გამოკვლევაში მცხეთის სვეტიცხოვლის შესახებ. „მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება უძველესი სვეტის დღემდე მოღწეულ გამოსახულებათაგანი: სვანეთის სოფ. ენაშში დაცული სახარება, რომელიც, ყდის წარწერის თანახმად, „ეპიფანე ქართლისა კათალიკოზისაგან შეიმკო კათოლიკე ეკლესიისათვის“. ჭედურ ყდაზე ამ წარწერასთან ერთად ფიგუროვანი კომპოზიციაა თვით მავედრებელი კათოლიკოსისა, მის წინ კი, სამსაფეხურიან ბაზისზე აღმართული ღარებიანი სვეტი, რომელსაც ზემოთ კუბური სვეტისთავი აქვს. ექვთ. თაყაიშვილი, რა თქმა უნდა, სავსებით სამართლიანად ასკვნის, რომ „კათოლიკე ეკლესია, მოხსენებული ამ წარწერაში – მცხეთის კათედრალია, ხოლო სვეტი, რომლის წინაშე კათოლიკოსი ეპიფანეა წარმოდგენილი, სხვა არარაა, თუ არა სვეტიცხოველი“. რა თქმა უნდა, გამოსახულება აქ პირობითია, ყოველ შემთხვევაში, სვეტის ნაგებობის შესახებ იგი არავითარ წარმოდგენას არ გვაძლევს. მაგრამ იგი მნიშვნელოვანია, როგორც უტყუარი მაჩვენებელი სვეტის არსებობისა ამ დროს“.<sup>2</sup> ამ ფაქტზე დაყრდნობით, ს. ბარნაველს მიაჩნია, რომ XIII საუკუნეშიც სვეტიცხოვლის გამოსახულება კათოლიკოსებს უკავშირდებოდა და „გერბისებური ნიშნის

1 მათეს სახარება, 16: 19

2 ბერიძე ვ., მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948, გვ. 139.

როლს თამაშობდა“.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ტერმინს – „გერბისე-ბური ნიშანი“ სიზუსტე აკლია, ს. ბარნაველის მოსაზრება (რომელიც, თავის მხრივ, ე. თაყაიშვილისა და ვ. ბერიძის მოსაზრებას ეყრდნობა) იმის თაობაზე, რომ მოგვიანებით ბაგრატიონთა სამეფო გერბზე გამოსახული სვეტიცხოვლის აღმართვისა და მასთან დაკავშირებული კვართის თემის იდეურ-გამომსახველობითი ნანამძღვრები რამდენიმე საუკუნით ადრე მოიპოვება, საინტერესო სამეცნიერო მიგნებაა. ქართული ჰერალდიკის განვითარება განპირობებულია ქართულ გლიპტიკაში გამოხატული მხატვრულ-იდეოლოგიური აზროვნებით. უფრო გვიანდელ საკათოლიკოსო საბეჭდავებზეც ჩნდება სვეტიცხოვლის თემა (ანტონ I-ის, დომენტი IV-ის, ბესარიონ კათოლიკოსის საბეჭდავები). აქ ნიშანდობლივია სვეტიცხოვლის ლეგენდის სიუჟეტი, სახელდობრ, სვეტის დაშვება ბაზისზე.

ამ სიუჟეტის მქონეა დომენტი IV-ის საბეჭდავი, ბესარიონ კათოლიკოსის საბეჭდავი,<sup>2</sup> ანტონ კათოლიკოსის საბეჭდავი,<sup>3</sup> ეს უკანასკნელი უნარწეროა, მაგრამ 1746 წელს ერთ-ერთ საბუთს<sup>4</sup> ამით ბეჭდავს ანტონ კათოლიკოსი.

როგორც უკვე აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ჰერალდიკის წარმოშობა განაპირობა სამი იდეის განვითარებამ და ურთიერთშერწყმამ, რომელთაგან ცალ-ცალკე ვერც ერთი ვერ განიხილება ჰერალდიკად. თავდაპირველად წარმოიშვა მხოლოდ ინდივიდუალური ხასიათის მქონე მარტივი პირადი დევიზები თუ ემბლემები. შემდგომ გაჩნდა საკუთრების დეკორატიული ფორმით აღნიშვნის იდეა, რომელიც საბეჭდავის, დამლის გზით განხორციელდა. დაბოლოს, საჭირო გახდა მეომართა პიროვნული იდენტიფიკაციისა და პრეზენტაბელობის საშუალებების მოძიება, როდესაც საომარი ჯავშანი უკვე შეუძლებელს ხდიდა მხედართა შეცნობას. ამ სამი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაკადის შერწყმის შედეგად წარმოშობილმა ჰერალდიკამ სამივესგან მიიღო სიმბოლო-ემბლემები და მეცნიერულ სისტემაში მოაქცია ისინი.

---

1 ბარნაველი ს., საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები. თბილისი. 1965, გვ. 139.

2 საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, ტფ.21 გ.

3 იქვე, ტფ.21 დ.

4 იქვე, 517 Sd.

როდესაც ჰერალდიკის ზოგად პრინციპებზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, ევროპაში მიმდინარე პროცესებს. არ არსებობს ხისტი გამყოფი ზღვარი, ზოგადად, ჰერალდიკასა და საეკლესიო ჰერალდიკას შორის, მაგრამ ჰერალდიკის საეკლესიო მიზნით გამოყენება თავდაპირველად იწყებოდა სასულიერო პირთა თუ მონასტრების საბეჭდავებზე პირადი და საგვარეულო გერბების გამოსახვით. ყველაზე ადრეულ საეკლესიო ბეჭდებზე მათი მფლობელის ბიუსტი იყო გამოსახული მაშინ, როდესაც იმდროინდელ ერისკაცთა საბეჭდავებზე გამოისახებოდა რაინდთა ან კეთილშობილთა სრული ფიგურა შესაფერის გერბიან ფართან ერთად.<sup>1</sup> XIV საუკუნის დამდეგიდან კი ბეჭედზე გამოსახება მხოლოდ გერბი, ჰერალდიკური ფიგურებითა და დევიზებით.

უძველესი საეკლესიო საბეჭდავები, უეჭველია, მხოლოდ ინდივიდუალური ხასიათის იყო და მათზე გამოსახებოდა აბატის ან ეპისკოპოსის პორტრეტი, მისი საგვარეულო გერბი ან ჰერალდიკური ფიგურა თუ დევიზი. XIV საუკუნიდან ევროპულ საეკლესიო სამართალში გაჩნდა მოთხოვნა, რომ მონასტრებსა და ეკლესიებს ჰქონოდათ საერთო ბეჭედი. შესაბამისად, ყველა ის საბუთი, რომელიც ასეთი ბეჭდის გარეშე გაიცემოდა, ბათილად ცხადდებოდა. საერთო ბეჭედთან ერთად გაჩნდა არაპიროვნული გერბის საჭიროება. საერთო ბეჭედები იქცნენ მონასტრებისა და რელიგიური გაერთიანებების გერბებად. უფრო ზუსტად, საერთო საბეჭდავზე გამოსახული ფიგურები გადავიდა შესაბამის გერბებზე. საეკლესიო გერბების დიდი ნაწილის საგერბო გამოსახულებების (ამ შემთხვევაში არაჰერალდიკური ფიგურები იგულისხმება) პირველწყარო მფარველი წმინდანებია.<sup>2</sup>

რაკი ქართული გლიპტიკური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ძეგლში – დომენტი კათოლიკოსის საბეჭდავში ვეძებთ ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული გერბის ფესვებს, საჭიროა, შედარებით ვრცლად ვისაუბროთ იმ ეპოქის საქართველოს შესახებ, რომელსაც ეკუთვნის ეს არტეფაქტი.

1 საინტერესო ასოციაცია ჩნდება გიორგი III-ის საბეჭდავთან, რომელიც დავით აღმაშენებლის საბეჭდავად ითვლებოდა და რომელიც 1904 წელს ველათის მონასტრის გაქურდვისას გაიტაცეს. მის შესახებ მხოლოდ დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოების, აგრეთვე – ნ. კონდაკოვის, დ. ბაქრაძის, გ. წერეთლის, გ. ჩუბინაშვილისა და ს. ბარნაველის გამოკვლევების მიხედვით, შეგვიძლია მსჯელობა. საბეჭდავზე გამოსახული ყოფილა მდგომარე მხედარი (წმ. გიორგი), ფართა და შუბით ხელში.

2 Heim B.B., Heraldry in the catholic church. Buckinghamshire. 1978, გვ. 7.

აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დომენტი III-ის კათოლიკოსობა (1660-1676 წწ.) ვახტანგ V (მაჰნავაზის) მეფობის (1658-1675 წწ.) თანადროულია. კათოლიკოსობამდე, 1649-1659 წლებში, დომენტი მთავარეპისკოპოსი იყო.<sup>1</sup>

ვახტანგ V-ის მმართველობამდე, მიუხედავად როსტომ-ხანის პროსპარსული ორიენტაციისა, ქრისტიანული სარწმუნეობა არ იზღუდებოდა, თუმცა მაჰმადიანური ადათ-წესების დამკვიდრებამ, ქართლის არისტოკრატიულ საზოგადოებაში აღმოსავლური კულტურის ელემენტების დანერგვამ, საკმაოდ შეარყია ქრისტიანული რწმენის საფუძვლები. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მართლმადიდებლური ღვთისმსახურების წესის დარღვევა. როსტომ-ხანის პოლიტიკას „რადგანაც კომპრომისული ხასიათი ჰქონდა (ერთი მხრივ, ქართველთა მეფე იყო, მეორე მხრივ, სპარსეთის მოხელე), ის ჩვენი ეკლესიის მიმართ გარკვეულ ლოიალობას იჩენდა, მაგრამ აქ აღსანიშნავია სხვა მომენტი. თუ აქამდე, ძველქართული სახელმწიფოებრივი სისტემის არსებობისას, ქართული ეკლესია სახელმწიფოში უპირველესი და უპირატესი სარწმუნოებრივი ორგანიზაცია იყო, როსტომის დროს მან უპირატესობა სხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებთან შედარებით დაკარგა და იგი სხვებს გაუთანაბრეს“.<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, როსტომ მეფის ზეობაში „ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლისა ჩუენისა სირცხვილად უჩნდათ. მან (იგულისხმება

---

1 „მოკვდა კათალიკოზი ქრისტეფორე, დასვა მეფემან ზიდაშვილი თვისი დომენტი, კაცი ღირსი საყდრისა. იყო დიდი საყვარელი და პატივცემული მეფისა მიერ. ამან დაასაფლავა ალავერდის ტაძარში ასტრაბადიდან მისვენებული გვამი თეიმურაზ I მეფისა (+1663 წ.). დიდის სამღვდელთა კრებით ააშენა მჭადიჯვრის მთავარაგელოზთა საყდარი დუშეთის მახლობლად. ნილკნის ტაძარს შესწირა ორი პატარა ტყავზედ ნაწერი სახარება ვერცხლის ბუდეებში. განაახლა ტფილისში ანჩისხატის ტაძარი და აღაშენა სამრეკლო 1675 წ. ანჩის ხელთქმნილი ხატი ჩამოსავენა ლიტონიით ს. ჭალიდგან, სადაც ამილახვრის გივის სახლში ესვენა რამდენსამე წელს და დაასვენა ტფილისის ღვთისმშობლის საკათალიკოზო ტაძარში, რომელსაც მას აქეთ ანჩისხატი ეწოდა. მიიცვალა 1675 წ. სექტემბრის 22-ს ქ. ტფილისში“, – ასე მოგვითხრობს ამ დიდი მღვდელმთავრის ცხოვრების შესახებ ქართველ კათოლიკოსთა მეთისტორიე (იერარქია საქართველოს ეკლესიისა: კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი / შედგენილი მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ. თბ. 1900, გვ. 126)

2 მთავარეპისკოპოსი ანანია *ჯაფარიძე*, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III. თბილისი. 1999, გვ. 253.

ვახტანგ V) კათალიკოზ დომენტისა კუალად შემოიყუანნა აღსარებად და ზიარებად“.<sup>1</sup>

ამის შედეგად, ვახტანგ V-სა და დომენტი კათალიკოსს მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ. ზოგადად, XVII საუკუნე ერთ-ერთი გამორჩეულად ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიაში იმ თვალსაზრისით, რომ „თუ წინა საუკუნეებში მტრები საქართველოს დაპყრობით ანდა დახარკვით კმაყოფილდებოდნენ, ამ დროს სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა ყველაფერი იღონეს ქართველი ერის გასანადგურებლად და მიწის პირისაგან აღსაგველად: ასეული ათასობით ქართველი საქართველოშივე დახოცეს, უფრო მეტი სპარსეთში გადაასახლეს. კახეთი გააუკაცრიელეს და მომთაბარე თურქმანული ტომები ჩამოასახლეს. მესხეთში მკვიდრი მოსახლეობა იძულებით გაამაჰმადიანეს“.<sup>2</sup>

ირანისა და ოსმალეთის გამუდმებული შემოსევების, შინააშლილობით დაძაბუნებული საქართველოს ისტორიაში ვახტანგ V-ის მმართველობა შედარებითი სტაბილურობითა და აღმშენებლობით გამოირჩევა. XVII საუკუნიდან ქართული პოლიტიკის წინაშე დილემად გამოიკვეთა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. „ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა წინაშე თანდათან ნათლად დგებოდა სინამდვილით ნაკარნახევი საკითხი, რომ საქართველოს თავისი შინაგანი ძალით აღარ შეეძლო გაჯანსაღება და საჭირო გახდა დამხმარე ძალის გარეთ ძებნა. საქართველოს წინათაც უნახავს მრავლის მხრიდან დამუქრებული მტერი, მაგრამ იგი ასეთ ვითარებას უძლებდა და არათუ იგერიებდა ყოვლითგან მომხდურ მტერს, არამედ თავის მხრივ იერიშზეც გადადიოდა და იყო შემთხვევა, როცა შინაგანი მთლიანობა მიღწეული იყო და ერთმმართველობა გამთიშავ ძალებს სძლეოდა“.<sup>3</sup>

ვახტანგ V-ის მეფობა აღმოსავლეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებითა და საქართველოს გაერთიანებისაკენ მიმართული ღონისძიებებით აღინიშნა... „ვახტანგის გამეფებით ქართლში დასაბამი მიეცა ბაგრატიონების უმცროს შტოს – მუხრანბატონების – მეფობას“.<sup>4</sup> ამ შტოს წარმომადგენლები ყოველთვის

1 საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 24.

2 მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III, თბ., 1999, გვ. 220.

3 ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 236.

4 ჯამბურია გ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973: გვ. 342-343

გამოირჩეოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მეცენატობით: ისინი დაულალავად ზრუნავდნენ ქართული კულტურის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ V გამაჰმადიანებულისყო, იგი ქრისტიანული ეკლესიის გასაძლიერებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა, რადგან კარგად აცნობიერებდა ქრისტიანობის როლს, ზოგადად, საქართველოს ისტორიაში და, განსაკუთრებით, თანამედროვე ვითარებაში, როდესაც მაჰმადიანური ქვეყნების აგრესია წალეკვით ემუქრებოდა ქართველ ერს და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მართლმადიდებელი ეკლესია რჩებოდა ქართული ცნობიერების გადარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების თითქმის ერთადერთ დასაყრდენად.

ვახტანგი დიპლომატიური მოქნილობით ახერხებდა ირანთან ურთიერთობას, ქართლ-კახეთს მის ვასალად აღიარებდა, მაგრამ ამ პოლიტიკით მოპოვებულ მშვიდობას სახელმწიფოს გასაძლიერებლად იყენებდა და ქართლ-კახეთის გასაერთიანებლად ზრუნავდა. იგი, ერთი მხრივ, ცდილობდა, მოუზომავი ნაბიჯებით არ გაელიზიანებინა ირანის შაჰი, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობდა ევროპელი ვაჭრების საქმიანობას საქართველოში და ამით ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ, ევროპელი ვაჭრების სტატუსით, ძირითადად, კათოლიკე მისიონერები სარგებლობდნენ.

ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ზრუნვა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა სამეფო ოჯახურ ტრადიციად გადაეცა ვახტანგის ვაჟს, გიორგი XI-ს, იმავე შაჰნავაზ II-ს. მისი მეფობისას (1677-1688 წწ.) კიდევ უფრო გაძლიერდა ქართლის სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ.

სახელმწიფო პოლიტიკა და იდეოლოგია მეტნაკლებად აისახებდა იმდროინდელ კულტურასა და ხელოვნებაში. კორნელი კეკელიძის სიტყვებით, „ეს არის კულტურისა და, კერძოდ, მწერლობის გამოცოცხლება-გამოღვიძების ხანა. ამ პერიოდში იმდენად მოიმაგრა წელი ჩვენმა მწერლობამ, რომ, შესაძლებელია, დაცემა-დაკნინების პერიოდთან შედარებით, ალორძინების ხანა ვუნდოთ მას“.<sup>1</sup>

ცალკეულ სამთავროებად დაქსაქსულობის მიუხედავად, საქართველოს რეგიონებში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესები ერთმანეთს ავსებდა და ერთიანი ქართული კულტურის შემადგენელ-

1 *კეკელიძე კ.*, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ., 1981. გვ. 24

შემავსებელ ნაკადებად წარმოჩნდებოდა. სამეფო-სამთავროებს განსხვავებული საგარეო ორიენტაციის ფონზე ეროვნული ფასეულობები აერთიანებდა, რომელთა შორის უპირველესი ქართული ენა და სარწმუნოება იყო.

აღორძინების ხანის ქართული მწერლობა უკვე მკვეთრად დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა. ეს არის: ეროვნული მოტივისა და ორიგინალური შემოქმედების გაძლიერება, თემატიკის გაფართოება, ახალი ლიტერატურული მიმართულებებისა და ჟანრების (საისტორიო ეპოსი, იგავ-არაკი, მოგზაურობა-მემუარები, ქება, გაბაასება) გაჩენა. აღორძინების ხანაში განვითარდა საგმირო, რომანტიკული, საზღაპრო, დიდაქტიკურ-მორალისტური და საისტორიო ეპოსი. ამ ეპოქაში შეიქმნა თეიმურაზ პირველის უაღრესად საინტერესო პოეზია. ორიგინალური ნაწარმოებების გარდა, მნიშვნელოვანია მის მიერ ირანულიდან გადმოკეთებული პოემები, რომლებშიც, უცხოური ფაბულის მიუხედავად, „ეროვნულ სულისკვეთებას აქსოვს. თეიმურაზი პირველი პოეტია, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში დასაწყისი მისცა ისტორიული პოემის ჟანრს და ამით საფუძველი ჩაუყარა ეროვნული თემატიკის დამუშავების საქმეს“.<sup>1</sup>

ერთიანი, ძლიერი, გამორჩეული საქართველოს იდეა განსაკუთრებით აქტუალურია მაშინდელი ხელოვნებისათვის. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფეშანგი ხითარიშვილის (ფაშვიბერტყიძის) ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელშიც ვახტანგ V-ის ზეობის მცირე მონაკვეთი აღიწერება. ნაწარმოების მხატვრული ენა თვალსაჩინო მაგალითია იმ ხელოვანთა სულისკვეთებისა, რომელთა მიზანია საზოგადოებაში ოპტიმისტური განწყობის გაღრმავება.

პატრიოტულ-გმირული პათოსი ლაიტმოტივად გასდევს მეფე-პოეტის არჩილის მთელ შემოქმედებასაც, რომელმაც უაღრესად რთული ცხოვრება განვლო და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში.

აღორძინების ხანის ეპოქამ შემოგვინახა ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიული ნაშრომიც, რომელშიც აღწერილია საქართველოს ცხოვრება უძველესი დროიდან -1695 წლამდე. „XVI-XVII საუკუნეებში ისტორიით დაინტერესება „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე კრებულის გადაწერა-გამრავლებაშიც გამოიხატა. ასეთები იყო, მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ჭილაშვილისეული ძველი ნუსხა და 1633-1646 წლებს შორის ქართლის მეფის – როსტომის, მეუღლის, მარიამის ბრძანებით გადაწერილი კრებული“.<sup>2</sup>

1 გუჩუა გ., ქართული კულტურა XVI-XVII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI. თბ., 1973, გვ. 366.

2 იქვე, გვ. 372.

ქართული კულტურის ყველა დარგი, შეძლებისდაგვარად, ეწეოდა ძლიერი საქართველოს იდეის პროპაგანდას. ამ თვალთახედვით განვიხილოთ დომენტი კათოლიკოსის საბეჭდავიც, რომლის კომპოზიციის მთავარი მოტივი, როგორც აღინიშნა, ქრისტეს კვართი და სვეტიცხოველია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი სინმინდეა ქრისტეს კვართი, რომელიც მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში ინახება. არსებობს კვართის საქართველოში მოტანის რამდენიმე ვერსია.<sup>1</sup>

იოანეს სახარებაში კვართთან დაკავშირებული მთელი ეპიზოდი,<sup>2</sup> რომლის თანახმადაც, ქრისტეს კვართი ჯარისკაცებმა არ დახიეს და იგი მთლიანად ერთ-ერთ მათგანს ერგო... ქრისტეს სხვა სამოსელის ბედი ცნობილია: ისინი დახიეს თუ დაჭრეს ჯარისკაცებმა. ამიტომაც, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო, რომ მისი ნაწილები სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულიყო.

ქართლის განმანათლებელ წმინდა ნინოს იერუსალიმში გაუგია, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ უფლის კვართი მცხეთელ მოქალაქეებს საქართველოში წამოუღიათ.

საისტორიო წყაროების თანახმად, კვართი მცხეთაში ჩამოუტანია ვინმე ელიოზს.

ელიოზი, „მოქცევაის“ მიხედვით, უცოლშვილო იყო, ჰყავდა ერთადერთი გაუთხოვარი და, რომლის სახელს ჩვენამდე არ მოუღწევია. „მოქცევაის“ XIV-XV საუკუნეებში გადაწერილ ჭელიშურ რედაქციაში ნათქვამი („ხოლო სამოსელი იგი ხუდა ქართველთა ჰურიათა, და წარმოიღო ელიოზ“) განსხვავდება X საუკუნეში გადაწერილი შატბერდული რედაქციისაგან („სამოსელი იგი ჰხუდა ამას ქუეყანასა წილით, და წარმოიღო ელიოზ“). შატბერდული რედაქციის თანახმად, ქრისტეს სამოსელი წილად ხვდა არა საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს, არამედ – საქართველოს. ამით გაცხადდა ღვთის მიერ საქართველოს გამორჩევის იდეა. ამ იდეის წარმოშობა-განვი-

1 *მამისთვალისივილი ე.*, ქრისტეს კვართის ისტორია, გორის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 7.

2 „და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე. არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს, რაითა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განვიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს“ (იოანეს სახარება, 19: 23-24).

თარება ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესს უკავშირდება და საუკუნეების განმავლობაში საზოგადოებაზე იდეოლოგიურად ზემოქმედებდა.

შუა საუკუნეებში კვართზე პრეტენზიას აცხადებდა რამდენიმე კათოლიკური ტაძარი. მათგან განსაკუთრებით ცნობილია გერმანიის ქ. ტრირის ქიტონი, რომელიც წერილობით წყაროებში მოიხსენიება 1191 წლიდან. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, იმპერატორ კონსტანტინე დიდის დედა, დედოფალი ელენე ამ ქალაქიდან ყოფილა. 328 წელს მას იერუსალიმიდან წამოუღია წმ. კვართი და თავისი მშობლიურ ქალაქ ტრირისთვის გადაუცია. ასევე ცნობილია საფრანგეთის ქ. არჟანტონის ქიტონი და სხვ.<sup>1</sup> ყველაზე დიდი მონდომებით კი საუკუნეების განმავლობაში ქიტონის რუსეთში წაღების ვერსია მუშავდებოდა. ამრიგად, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ ღვთის მიერ გამორჩეულობის ამბიციის მქონე ბევრი სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებდა კვართის კუთვნილებაზე და, შესაბამისად, მისი ფლობის მეცნიერულად დასაბუთებასაც ცდილობდა.

ქრისტეს კვართის ადგილსამყოფლის თაობაზე მრავალი მოსაზრების მიუხედავად, ერთი რამ უდავოა: კვართის ამა თუ იმ ქვეყანაში დავანება თვით ამ ქვეყანას გამორჩეულსა და განსაკუთრებულს ხდის. თუმცა კვართის ფლობის პრეტენზიის მქონე ქვეყნების გერბზე არ შეინიშნება კვართის გამოსახულება, ის ჩანაცვლებულია სხვა მოტივებით, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. გერმანიის ქალაქ ტრირის გერბში არ ჩანს კვართი. მასზე გამოსახულია წმ. პეტრე, როგორც ამ ქალაქის მფარველი (სურ. 5). რაც შეეხება საფრანგეთის ქალაქ არჟანტონის გერბს, მისი მთავარი ფიგურა ნამდვილად ქრისტეს კვართია (სურ. 6).

მცხეთის სვეტიცხოველის ერთ-ერთ ფრესკაზე, რომელიც ჯვარცმას გამოსახავს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი: კომპოზიციის მარჯვენა მხარეს, მგლოვიარე იოანეს ფიგურის უკან, მოჩანს შავწვერა მამაკაცი, რომელსაც ხელთ უპყრია კვართი. „ჯვარცმის“ მრავალსაუკუნოვანი და მრავალრიცხოვანი ნიმუშით წარმოდგენილი იკონოგრაფია ასეთ ფიგურას არ იცნობს. კვართისათვის წილისგდების სცენა ჯერ კიდევ ძველმა ქრისტიანულმა ხელოვნებამ შეიმუშავა და მას ცალკე ან ჯვარცმისავე კომპოზიციაში დროდადრო ქართულ ძეგლებშიაც ვაწყდებით, მაგრამ

---

1 ამ ორ ქალაქში დაცული კვართის შესახებ არსებული ლიტერატურა შეუსწავლია მ. თამარაშვილს (იხ. მისი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, თბ. 1995. გვ. 144-148).

ამგვარ რედაქციას, როგორც „სვეტის“ ფრესკაშია, ჩვენ ვერსად შევხვდებით: ეს ქართული ტექსტებითაა ნაკარნახევი: სახარების ცნობილ სცენაში, რომლის გამოსახვის ვარიანტებიც საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრდა, მხატვარმა ახალი კონკრეტული ელემენტი – წმ. ნინოს ცხოვრების პერსონაჟი, მცხეთელი ელიოზი – შეიტანა და ამით საუფლო დღესასწაულის სურათი – „ქართლის მოქცევის“ ციკლს დაუკავშირა.<sup>1</sup> ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მკაფიოდ მიაჩვენებს ქართულ ცნობიერებაში შეურყეველად დამკვიდრებულ აზრს, რომ ქრისტეს კვართი ჯვარცმის შემდეგ მცხეთელ ებრაელს ერგო. სხვა „ჯვარცმა“, რომელზეც ელიოზია გამოსახული, დღემდე უცნობია, თუმცა კვართის თემა ქართულ ხელოვნებაში უფრო ადრინდელია. მაგალითად, ილუსტრირებულ „დავითნში“, რომელიც, სვეტიცხოვლის ფრესკებთან შედარებით, 2 საუკუნით ადრინდელი პერიოდით, მე-15 საუკუნით თარიღდება, არის „ქრისტეს სამოსლის გაყოფის სცენა ამ განმარტებებით: მარცხენა არშიაზე: „მას ჟამსა შინა მცხეთით მოსრულნი ჰურიანიცა დახუდეს: ჯუარცმასა უფლისასა: „; ზემოთ – ჯერ მათეს სახარების სიტყვები: „განიყვეს სამოსელი: ჩემი მათ შორის: და კუართსა ზედა: განიგდეს ნილი“, შემდეგ კი „აქა ნილი იგდეს: კუართსა ზედა მაცხოვრისსა: ჰურიათა: და ელიოზს: მოხუდა: მცხეთელსა: „“.<sup>2</sup> როგორც ამ ფაქტთან დაკავშირებით შენიშნავს ვახტანგ ბერიძე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხატვარი ტრადიციულ სცენას უცვლელად იმეორებდა, მას მაინც თავისებურად, ქართული ისტორიული და სარწმუნეობრივი რეალიების გათვალისწინებით გადმოსცემდა.

დომენტი კათოლიკოსის საბეჭდავზე სვეტიცხოვლისა და კვართის მოტივს უნდა განაპირობებდეს, ერთი მხრივ, ქართველი საზოგადოებისა და ეკლესიის მტკიცე რწმენა, რომ ქრისტეს სამოსელი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარშია დაცული და, მეორე მხრივ, იდეოლოგიური მიზანი – წარმოჩენილიყო ქართული სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის გამორჩეულობა, მათი ჰარმონიული თანამშრომლობა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა-გაძლიერების საქმეში.

XVII საუკუნის საქართველოში, განსაკუთრებით, ვახტანგ V-ის მეფობამდე, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სწორედ მართლმადი-

1 ბერიძე ვ., მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948, გვ. X.

2 იქვე, გვ. 161.

დებელი ეკლესია იყო. მაჰმადიანობის მიუღებლობის შემთხვევაში ქართველობა კათოლიკური ან გრიგორიანული ეკლესიების მრევლად უნდა ქცეულიყო, თუ მას სურდა, კიდევ უფრო არ გაეღიზიანებინა მაჰმადიანური სამყარო და სასტიკი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისთვის გაეძლო. მუსლიმური სახელმწიფოების მიერ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დევნას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. „პირველი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოები მაჰმადიანებთან მეზობლი ქვეყნები იყვნენ. მაჰმადიანებმა შეძლეს, მოესპოთ ბერძნული სახელმწიფო (ამის გამო, ბერძნული ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო), მაჰმადიანებმა შეძლეს, მოესპოთ სომხური სახელმწიფო (ამის გამო, სომხური ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო), მაგრამ ვერ შეძლეს, ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა, რომლის სულსა და გულს, მამოძრავებელ ძალას ქართული ეროვნული ეკლესია წარმოადგენდა. გარდა ამისა, მათ შეძლეს, როგორც ბერძნული, ისე სომხური ეკლესიები თავიანთი ზედამხედველობის სფეროში მოექციათ“.<sup>1</sup>

დომენტი კათოლიკოსის საბეჭდავი, ეჭვგარეშეა, უპიროვნო საბეჭდავი გახლდათ, მაშასადამე, იგი ხაზს უსვამდა, ზოგადად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კავშირს იესო ქრისტეს კვართთან. ეს კი უფლის მიერ გამორჩეულობის იდეის აღორძინების უდავო ნიშანი იყო.

სასულიერო ლიტერატურასა და შესაბამისი წყაროებიდან ცნობილია, რომ კვართი ერთიანი, „უკერველი“ სამოსია. ის არ გაუყვიათ უფლის ჯვარცმის შემდგომ. საამისო ცდა ყოველთვის უშედეგოდ სრულდებოდა, აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ამდაგვარი აზროვნება, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, მკრეხელობად და მწვალებლობად მიიჩნეოდა. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში კვართი სწორედ ეკლესიის ერთიანობაზე, მის განუყოფლობაზე მიანიშნებს. ქართლის კათოლიკოსმა თავის საბეჭდავზე კვართის სიმბოლიკის (საფლავში მწოლიარე ქალით, რომელსაც გულში უფლის სამოსელი ჩაუხუტებია) მეშვეობით სწორედ განუყოფლობის, დაუნანევრებულობის იდეაზე მიანიშნა. ამ არტეფაქტის ეს რელიგიური პლასტი, რომელიც მოგვიანებით ბაგრატიონთა გერბზე აშკარა პოლიტიკურ ფლერადობას შეიძენს, ქართლის კათოლიკოსთა საეკლესიო ტახტის უპირატესობაზეც მიანიშნებს.

1 მთავარეპისკოპოსი ანანია *ჯაფარიძე*, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III. თბილისი. 1999, გვ. 252.

## „შეკვრა-გახსნის“ ძალმოსილება

დომენტი კათოლიკოსის საბეჭდავის თემა და კომპოზიცია შემდგომში საფუძვლად დაედო ბაგრატიონთა გერბს, რომელიც XVIII საუკუნის დამდეგის ნაბეჭდ ქართულ ნიგნებზე გამოისახა და რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი შევეხებით საბეჭდავის წარწერას, რომელზეც გამოყენებულია ფრაზები მათეს სახარებიდან.

გავიხსენოთ: კესარიის მხარეს მიმავალმა იესომ მოწაფეებს ჰკითხა:

-რას იტყვით, მე ვინ ვარო?

სიმონ-პეტრემ უპასუხა:

-შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა.

ამის პასუხად იესომ მიუგო:

-შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი... „და მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჰსნა ქუეყანას ზედა, ჰსნილ იყოს იგი ცათა შინა.“<sup>1</sup>

ამ სიტყვებით იწყება, ფაქტობრივად, დედამიწაზე ქრისტეს ეკლესიის არსებობა. გასაღებთა მიცემა ის ღვთაებრივ-მისტიკური აქტია, რომლითაც განსაკუთრებული ძალმოსილება მიენიჭათ საეკლესიო მამებს. დამყარდა ჰარმონია ქრისტესა და მის მოწაფეებს შორის. მათ აღიარეს, რომ იგი უფლის ძე იყო, ხოლო იესომ მათ რწმენაზე დააფუძნა უძლეველი ეკლესია და მათ მისცა „შეკვრისა და გახსნის“ ძალა, რომელიც მხოლოდ უფალს ჰქონდა.

წმ. იოანე ოქროპირის განმარტებით, იესომ ის კი არ თქვა, რომ მამა ღმერთს ვთხოვ, რათა მისგან მოგეცეთ ეს უფლებაო, არამედ გაამჟღავნა ღვთაებრიობის ნიშანი და თავად მისცა შეკვრა-გახსნის ძალმოსილება პეტრეს და დანარჩენ მოწაფეებს: „რაჲ არს ესე, თუ: „მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათაისანი“? ესე სიტყუაჲ სწორებასა მას თჳსსა მამისა თანა გამოაჩინებს. ვინაჲთგან ჰრქუა, ვითარმედ: „მამამან ჩემმან გამოგიცხადა შენ“, ან თჳსსაცა აუწყებს ჴელმწიფებასა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: „მამამან მოგცა გუ-

1 მათეს სახარება, 16:19.

ლისწმისყოფაჲ ჩემი; და მე მიგცნე კლიტენი სასუფეველისანი, რაჲთა რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს ცათა შინა.” ხედავა ჴელმწიფებასა ამას? ხედავა ამას მამისა თანა? რა ჰრქუა, თუ: მამამან მოგცეს, ანუ თუ მამასა ვევედრო, არამედ მე მიგცნეო კლიტენი სასუფეველისანი, რაჲთა რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, იყოს იგი ცათა შინა ფლობილ შესლვად სასუფეველსა და, რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, იყოს იგი ცათა შინა დაშჯილ და კრულებასა შინა სამარადისოსა... რამეთუ აჰა, აღიყვანებს გონებასა პეტრესსა და სხუათა მათ მონაფეთასა მაღალსა მას გულისწმისყოფასა, რაჲთა ცნან ჭეშმარიტისა მის ძისა ღმრთისა ჴელმწიფებაჲ ორთა ამათ ბრძანებითა მიერ, რომელ-ესე მისცა მონაფესა მას, ჴელმწიფებაჲ ცოდვათა მიტევებისაჲ. რამეთუ ამას მოასწავებს, თუ: „რომელი განჰჴსნე ქუეყანასა ზედა“, რომელ-ესე მხოლოესა ღმრთისა საქმე არს. და კუალად, შეურყეველად დაცვაჲ ეკლესიისაჲ ბრძოლათა მათ შინა ყოვლისა სოფლისათა და აღსარებისა მის მართლისა უძღვევლად დამტკიცებაჲ, ამათ ორთავე აღთქუმათა მიერ თჴსისა ჴელმწიფებისა გულისწმისყოფაჲ მიანიჭა“.<sup>1</sup>

უფლის მიერ განსაკუთრებული ძალმოსილების მინიჭება სასულიერო პირებისათვის იყო საერო ხელისუფალთაგან მღვდლები-სადმი მონივნებისა და განსაკუთრებული პატივისცემის ერთ-ერთი მიზეზი.<sup>2</sup>

სახარებისეული გასაღების გამოსახულება პირველად XIII საუკუნეში ევროპულ საეკლესიო დროშაზე, საბეჭდავსა და მონეტებზე

1 წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ. წიგნი III. თბილისი. 1998, გვ. 83.

2 „მეფე გიორგი, ოდესცა მოისხამდა სუფრაზედ მღვდელთ, უჩვენებდა მარადის ახლოს თვისსა ადგილსა და უბრძანებდა ყოველთვის მღვდელთა და მეფეთა! – მაღალი ხარისხი არის მღვდელმთავრობა, – ბრძანა მეფემან თვით, – აქვს უფლება შეკრვისა და გახსნისაო. ეს უფლება არ მისცემია არცა ანგელოსთა და არცა მთავარ ანგელოსთაო. სამოსი მათი დისონი არის სამოსი მეფეთა, დიდისა წმინდისა კონსტანტინე კეისრისაგან მირთმეული. მითა აღიყვანა ეპისკოპოსი ერთს და მასვე თვისთანა სამეფოსა პატივსა; ამისთვის გამიგონია პატრთაგანა, მრავალთა არა უწყიან, სად და რით თავდება უფლება მათი. ესე იყო მიზეზი, რომელ წმინდათა პაპათა აღიარეს თავი თვისიო უფლად და მსაჯულად მეფეთა და თავად ეკკლესიისა და მოადგილედ ქრისტესა ქვეყანაზედ“ (იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბ., 1936, გვ. 197.

გაჩნდა, მოგვიანებით კი – პაპების გერბებზე. გასაღების წარმოშობა და სიმბოლიკა დაკავშირებულია თვით ეკლესიის დამაარსებელთან. ეს გასაღები აღნიშნავს შეკვრისა და გახსნის ღვთაებრივ ძალას, რომელიც მიენიჭა სასულიერო პირებს. ის მეტაფორულად გამოსახავს ქრისტეს აბსოლუტურ ძალმოსილებას, რომელიც გადაეცა მოციქულებს, ხოლო მათი მემკვიდრეობით – მღვდელმთავრებს. გასაღების სიმბოლიკა არის ჰერალდიკური ხელოვნების უბრალო და ინტერპრეტაციული სტილის უბადლო ნიმუში. ერთი გასაღები ოქროსია, მეორე კი – ვერცხლის (სურ. 7). ოქროს გასაღები მიანიშნებს მისი ძალაუფლების ზეცაზე გავრცელებას. ვერცხლის გასაღები აღნიშნავს ძალას, რომელიც ვრცელდება მიწაზე. ეს ორი გასაღები ერთმანეთზე გადაჯვარედინებულია და შეკრულია ლენტით, როგორც ამ ორი ძალის ერთიანობის სიმბოლო. „გასაღების სახელწოდება ქვემოთ არის დაშვებული, რადგან ისინი პაპის ხელშია, რომელიც წარმოადგენს ქრისტეს გზავნილს დედამიწაზე“.<sup>1</sup>

გადაჯვარედინებული გასაღები კათოლიკური საეკლესიო ჰერალდიკური ფიგურაა, რომელიც ყველა პაპის გერბის აუცილებელი ელემენტია. დომენტი კათოლიკოსის საბეჭდავზე დევიზის სახით სასულიერო პირებისთვის იესოს მიერ მინიჭებული „შეკვრა-გახსნის“ უფლების დეკლარირება საინტერესო პარალელის საფუძველს იძლევა. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ დღემდე მოღწეულ დოკუმენტებზე აღნიშნული საბეჭდავის მხოლოდ იმ მხარის ანაბეჭდებია დაცული, რომელიც გახსნის ძალმოსილებაზე მიუთითებს ანუ უპირატესად (თუ მთლიანად არა) საბეჭდავის ის მხარე გამოიყენებოდა, რომელზეც სვეტიცხოვლის მოტივია გამოსახული.

გასაღების გამოსახულებასა და საბეჭდავის წარწერებს შორის გავლებული პარალელი კათოლიკური ჰერალდიკისა და მართლმადიდებელი საეკლესიო კულტურის ურთიერთობის შედეგია (რისი დამადასტურებელი წყაროც არ ჩანს), თუ სხვადასხვა ეკლესიის მიერ დამოუკიდებლად (რაც სავსებით ბუნებრივიც იქნებოდა) შექმნილი არტეფაქტები? – მწირი არგუმენტების გამო, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი გაჭირდება. ერთი რამ ცხადია: ჰერალდიკის სოციალურ ბუნებაზე მსჯელობისას, უწინარესად, უნდა აღინიშნოს კავშირი პოლიტიკასთან. საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას მოსდევს იდეოლოგიის სხვადასხვაობა და ჰერალდიკაშიც თავისებურად აირეკლება ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, სო-

1 Heim B.B., Heraldry in the catholic church. Buckinghamshire. 1978, გვ. 30.

ციალურ-პოლიტიკური იდეები. გერბი ავლენს დამოკიდებულებას საზოგადოების ნეს-ჩვეულებებთან, რომლითაც გამოიხატება მისი სოციალური პოზიცია... „გერბს ყველა შემთხვევაში აქვს გნოსეოლოგიური პოლიტიკური და მორალური ფუნქცია“.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, ქართველი კათოლიკოსების მიერ შეკვრისა და გახსნის უფლების პრეზენტაცია საბეჭდავზე მიანიშნებს, რომ მართლმადიდებელი მღვდელმთავრები, კათოლიკე საეკლესიო მამების დარად, უფლის მიერ გასაღების გადაცემის აქტთან ერთად მინიჭებული ძალმოსილების აღმსრულებლებად მიიჩნევენ თავს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დასავლური საეკლესიო გამომსახველობითი ხელოვნების დარგებში გასაღებით მხოლოდ წმინდა პეტრე გამოიხატება, აგრეთვე, გასაღები მიჩნეულია კათოლიკური საეკლესიო ჰერალდიკის მნიშვნელოვან ატრიბუტად, წმ. პეტრეს ტახტის მემკვიდრედ კი მოიაზრება რომის მთავარეპისკოპოსი, მაშინ დომენტი კათოლიკოსის აღნიშნული საბეჭდავი თამამად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიურ-პოლიტიკურ განაცხადად. ქართველი ეპისკოპოსის საბეჭდავზე შეკვრისა და გახსნის ძალმოსილებაზე სახარების სიტყვების აღბეჭდვა გვაძლევს იმის ფიქრის უფლებას, რომ დომენტი კათოლიკოსი ისეთივე ძალაუფლების მქონედ მიიჩნევა თავს საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიაში, როგორც – რომის პაპი საკუთარ სამწყსოში.

გარდა იმისა, რომ დომენტი III-ის საბეჭდავი ქართული ეკლესიის საბეჭდავად გამოიყენება სხვა კათოლიკოსების მიერ, ისიც ნიშანდობლივია, რომ შემდგომი დროის კათოლიკოსთა პირად საბეჭდავებზეც სვეტიცხოვლის მოტივი ჩნდება. მაგ., ბესარიონ კათოლიკოსის საბეჭდავი (საქ. ხელოვნების მუზეუმი, ტფ. 21 გ), ანტონ კათოლიკოსის საბეჭდავი (საქ. ხელოვნების მუზეუმი, ტფ. 21 დ). ასეთივე სიუჟეტია დომენტი IV-ის საბეჭდავზეც<sup>2</sup> (სურ. 8).

1 აფრიდონიძე მ., ზოგადი ჰერალდიკა. თ. პარლამენტის უწყებანი, 27-28, 1997, გვ. 11

2 თვით მისი საბეჭდავები არ ჩანს, გვაქვს მხოლოდ ანაბეჭდები. ერთი ანაბეჭდი შენახულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ საბუთზე (hd 2445). დომენტი IV-ის საბეჭდავს მოგრძო სწორკუთხედის ფორმა ჰქონია ნაჭრილი კუთხეებით. გამოსახულება ორ ნაწილად არის გაყოფილი. ზედა ნაწილი გადმოსცემს სვეტიცხოვლის დაშვებას. მარჯვნივ წმინდა ნინო დგას, მარცხნივ – ანგელოზი. სვეტის საძირკვილიდან გადმოედინება და ჭურჭელში ჩაედინება მირონი. ძირს დასვენებულია ქალი. სვეტს თავზე ადგას გვირგვინი, რომლის მარჯვნივ სვეტიდან ამომავალი ჯვარია, ხოლო მარცხნივ – საკათოლიკოსო კვერთხი.

თუ თანმიმდევრულად განვიხილავთ დომენტი III-ის საბეჭდავს, დომენტი IV-ის საბეჭდავსა და 1709 წელს „სამოციქულოში“ დაბეჭდილ ბაგრატიონთა გერბს, მათ შორის არათუ შინაარსობრივ კავშირს დავინახავთ (ეს ძალიან თვალში საცემია), არამედ სვეტიცხოვლის თემის საგერბო გამოსახულებად გარდაქმნის ევოლუციურ გზასაც შევამჩნევთ. კათოლიკოსი დომენტი IV-ის საბეჭდავზე გამოსახული გვირგვინი კვერთხსა და ჯვართან ერთად საგერბო კომპოზიციის პრინციპით არის აგებული. ჰერალდიკურ ფორმებთან სიახლოვეს ამჟღავნებს დომენტი IV-ის მეორე საბეჭდავიც, რომელზეც ტაძრის ფონზე მოციქულები პეტრე და პავლე გამოუსახავთ (სურ. 9).

ამრიგად, ერთი და იმავე პირის ორი სხვადასხვა საბეჭდავის არსებობა ბუნებრივად შობს კითხვას: რა მიზეზი შეიძლება ჰქონოდა ორი საბეჭდავის არსებობას, მითუმეტეს, რომ ამ საბეჭდავების მსოფლმხედველობრივი პლასტი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, ერთ საბეჭდავს, ქრისტეს კვართის მხატვრული მეტაფორის მეშვეობით, პოლიტიკურ ლაიტმოტივად გასდევს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობისა და გამორჩეულობის იდეა, ხოლო მეორე საბეჭდავის გამოსახულება პირდაპირ მიანიშნებს რომის კათოლიკური ეკლესიის მთავარ ტაძარზე. ქართველი მეცნიერები და საეკლესიო იერარქები, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ამ საბეჭდავში ვატიკანთან დიპლომატიური კავშირის პარალელს ხედავენ: „ეს ორი საბეჭდავი მოწმობაა იმ პოლიტიკური და დიპლომატიური სამოსლისა, რომელსაც იცვამდნენ თვით ეკლესიის მამამთავარნი“.<sup>1</sup>

ამავე დროს, ვფიქრობ, დასაშვებია ორივე საბეჭდავის ერთ მსოფლმხედველობრივ კონტექსტშიც განხილვა. როგორც ითქვას, სვეტიცხოვლის მოტივზე შექმნილი საბეჭდავი, შეკვრისა და გახსნის (ანუ გასაღების ფრაზეოლოგიური სიმბოლიკით) უფლების ხაზგასმით, ქართველ საეკლესიო მამათა დამოუკიდებლობასა და კათოლიკე იერარქთა თანასწორობასაც უსვამს ხაზს. თუ ამ თვალთახედვით განვიხილავთ დომენტი IV-ის მეორე საბეჭდავს, რომელზეც ეკლესიის ფონზე გამოსახული არიან მოციქულები პეტრე და პავლე, მაშინ მისი ქართველ საეკლესიო მამამთავართა სხვა ეკლესიათა მღვდელ-

1 ბარნაველი ს., საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები. თბილისი. 1965, გვ. 152.

მთავრების თანასწორობის კონტექსტით ინტერპრეტაცია სავსებით შესაძლებელია.

ორივე საბეჭდავი 1705 წლით თარიღდება. ამ დროს ქართლში უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სტამბის დასაარსებლად. მალე დაიბეჭდება წიგნები, რომელთა ფურცლებზეც პირველად გამოჩნდება ბაგრატიონთა გერბი. რომელი საბეჭდავის მოტივი გამოჩნდება ამ გერბზე? – ამას მაშინდელი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-რელიგიური ორიენტაცია, საზოგადოების მსოფლმხედველობა განაპირობებს.

## „ღერბი ანუ ნიშანი“

„... თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ.  
ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა;  
ჩემი ფიქრი და ნალველი ზღვის ალაგს აავსებდა“

*ვახტანგ VI*

ბაგრატიონთა გერბს პირველად ვახტანგ მეექვსის მიერ თბილისში მოწყობილ სტამბაში დაბეჭდილ წიგნში ვხვდებით.

გიორგი XI-მ ირანთან მრავალწლიან ბრძოლაში თავი დამარცხებულიად აღიარა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მან ძლიერი სახელმწიფოს იდეით ვერ გააერთიანა სპარსეთ-თურქეთის მიერ ნაქეზებული ფეოდალები. არც კავკასიელ ხალხთა ლიდერებისთვის აღმოჩნდა გიორგის მიერ შეთავაზებული მეგობრობა მიმზიდველი, ირანის შაჰს დიდი გავლენა ჰქონდა. პოლიტიკურ ჩიხში მოქცეული გიორგის პოლიტიკის შედეგად საქართველომ თავი ვერ დააღწია ათობით წლის განმავლობაში მიმდინარე შინაომებს, პოლიტიკური ვექტორის გაურკვეველობა კიდევ უფრო აღრმავებდა საზოგადოებრივ დეპრესიას, ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივაც არ ჩანდა.

გამუდმებული პოლიტიკური და ფიზიკური ბრძოლების შედეგად დაღლილი გიორგი XI-ის სპარსეთის შაჰთან მიახლება, რაც ახალ პოლიტიკურ ნაბიჯად ჩაითვალა, ვერ შეიძენდა მაგალითის ძალას (რომ აღარაფერი ვთქვათ, მთელი მისი მოღვაწეობის კრახით დამთავრებაზე), მაგრამ გიორგი XI-მ, სპარსეთის შაჰის კარზე ყოფნის შედეგად, მოახერხა ის, რომ ქართლის გამგებლად საკუთარი ძმისშვილი, ვახტანგი, დაანიშნინა, თვითონ კი, მთელი ცხოვრების განმავლობაში სპარსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ მებრძოლმა, ავღანეთში სპარსული ძალაუფლების განმტკიცებას შეაღწია დარჩენილი ენერგია. საბოლოოდ, „ასეთი რთული და სახიფათო კომბინაციით იყო ნაყიდი ის პოლიტიკური წონასწორობა, რომელმაც დასაწყისი მისცა ვახტანგის ბრწყინვალე ეპოქას 1703-დან 1712 წლამდე. შინაური მშვიდობისა და გარეშე საფრთხისგან დროებითი მოსვენების ეს ცხრა წელიწადი, ამავე დროს, ვახტანგის სახელმწი-

ფოებრივი და კულტურული საქმიანობის უნაყოფიერეს პერიოდად უნდა ჩაითვალოს“.<sup>1</sup>

ვახტანგმა ტახტზე ასვლისთანავე ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა და ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება აირჩია საკუთარი პოლიტიკის ქვაკუთხედად. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ემსახურებოდა მის მიერ „მცველი ჯარის“ შექმნა, რომელიც ფეოდალების სეპარატისტული ქმედებების ამლავი გვარდიის ფუნქციას ასრულებდა. მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო ადმინისტრაციული რეფორმა, რომელიც მმართველობის დარგებად დაყოფას ითვალისწინებდა. ვახტანგი ცდილობდა საკუთარი გავლენის განმტკიცებას კახეთსა და იმერეთშიც.

ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, ვახტანგ VI-ის ორგანიზებით, მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელმაც კათოლიკოსად ვახტანგის ძმა დომენტი დაასახელა.

ვახტანგმა სახელმწიფოს მართვის მექანიზმების სამართლებრივი ძალით განმტკიცებას დიდი ენერჯია შეაღია. მან თავი მოუყარა ძველ ქართულ კანონებს, საღვთო წიგნებში გაბნეულ სამართლებრივ ნიმუშებს და, ამ სფეროში გამოცდილი, განათლებული ადამიანების დახმარებით, სამართლის წიგნი შეადგინა. „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მხოლოდ ქართლის სამეფოსთვის შეიქმნა, მაგრამ მთელ საქართველოში გავრცელდა. იგი ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვანი ძეგლია“.<sup>2</sup> სამართლებრივი მოღვაწეობის შედეგია ვახტანგის „დასტურლამალი“, რომლის შექმნითაც მან „მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა კვლავ ერთი ერთმანეთისგან განსაზღვრა და სახელმწიფო სამართალსაც ისევე მტკიცე საფუძველი დაუდვა: ამიერიდან სახელმწიფო მართვა-გამგეობის გარკვეული ნესრიგი იყო დამყარებული და მისი რყევა და დარღვევა ისე ადვილი აღარ იქნებოდა“.<sup>3</sup>

XVII საუკუნეში დაწყებულმა კულტურულ-ლიტერატურულმა პროცესებმა XVIII საუკუნის დამდეგს მკაფიოდ ინდივიდუალური ხელწერა შეიძინა.

ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი, რომელიც ვახტანგ VI-ის ეპოქის კულტურულ პოლიტიკას ახასიათებდა, სიძველისადმი განსაკუთრე-

1 *შარაშიძე ქ.*, პირველი სტამბა საქართველოში. თბილისი, 1955, გვ. 16.

2 *ჯავახიშვილი ი.*, ქართული სამართლის ისტორია. I წიგნი. ტფილისი, 1928, გვ. 117.

3 *ჯავახიშვილი ი.*, ქართული სამართლის ისტორია. I წიგნი. ტფ., 1928, გვ. 79.

ბული პატივისცემა იყო. როგორც აღინიშნა, სამართლებრივი სფეროს მოსაწესრიგებლად გადადგმულ პირველ ნაბიჯად ვახტანგის მიერ მანამდე არსებული და ბიბლიურ ტექსტებში გაბნეული იურიდიული ნორმების მოძიება უნდა ჩაითვალოს. ამის მსგავსად, ნებისმიერი წამოწყების წინაპირობად, წესად იქცა არსებულის შესწავლის, ძველის აღდგენის კვალობაზე დანერგილი სიახლეები.

დიდი ძალისხმევა ხმარდებოდა გაბნეულ-გაფანტული ხელნაწერების შეგროვებას, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციას.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ვახტანგის დროს დაიწყო ლექსიკოგრაფიის აღმავლობა. სულხან-საბას „სტიყვის კონა“ არის, ერთი მხრივ, უდიდესი მეცნიერული ნაშრომი, მეორე მხრივ კი, მშობლიური ენის, როგორც ეროვნული იდენტიფიკაციისა და თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ფენომენის, მოვლა-შენარჩუნების დიდი პოლიტიკურ-კულტურული აქტი. „ს.ს. ორბელიანი ნათლად გამოხატავს იმ სააზროვნო განწყობას, რომლის მიხედვით, XVII საუკუნე საზრდოობს იმ მემკვიდრეობით, რომელიც დაუტოვა მომდევნო საუკუნეებს XI-XII საუკუნეებმა. ს.ს. ორბელიანი ნათელი გამოხატულებაა იმისა, რომ მის დროს როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის, ისე წმინდა ფილოსოფიურ საკითხებში შეგნებული აქვს ის გარემოება, რომ შეწყვეტილი გონებრივი ცხოვრება კვლავ უნდა აღორძინებულიყო თავის მნიშვნელობაში. წინ წასასვლელად, მომავალი განვითარებისათვის ამ საუკუნეს თავდაპირველად იძულებით შეწყვეტილი განვითარების ძაფის აღდგენა დაუსახავს მიზნად... „საქართველოს აღდგომა“, რომელზედაც XVII საუკუნიდან იწყებენ ლაპარაკს, საქართველოს კლასიკური ხანის აღორძინებას ნიშნავდა“.<sup>1</sup>

ამ ეპოქას უკავშირდება ქართული ფილოსოფიური აზროვნების, ასტრონომიის, ფილოლოგიის, გეოგრაფიისა და საისტორიო მეცნიერების აღორძინება. საისტორიო ძეგლებისა და ისტორიის საკითხებისადმი დიდ ინტერესს იჩენდა ვახტანგის ბიძა არჩილი. თავად ვახტანგმა გააღრმავა ამ მიმართულებით მუშაობა და საქართველოს წარსულის დამუშავებას მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა. მისი ინიციატივით, საგანგებოდ შემდგარმა კომისიამ არსებული საისტორიო თხზულებები და წყაროები შეკრიბა და საქართველოს ახალი საუკუნეების მატრიანის შევსება დაიწყო. „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ ვახტანგის მოწვევით „სწავლულ კაცთ“ განუზ-

1 ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. II, თბ., 1958, გვ. 237.

რახავთ და შეუდგენიათ კიდევაც მთელი სრულიადი საქართველოს ისტორია და არა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის ან ნაწილისა“.<sup>1</sup>

თავად ვახტანგის როლი საქართველოს ისტორიის შესწავლაში მხოლოდ ორგანიზაციული საქმიანობით არ შემოიფარგლება. „პირადად ვახტანგმა ბაგრატიონთ ნათესაობის („გენეალოგიური ხის“) აღწერით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის საკითხების გარკვევის საქმეში. ვახტანგის ხსენებულ ნაშრომს შემდეგში ანგარიშს უწევს და იყენებს მისი შვილი, დიდი ისტორიკოსი ვახუშტი“.<sup>2</sup>

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულ კვლევასა და სასტამბოდ მომზადებას დიდი შრომა შეაღია ვახტანგმა. ამის გამო იგი სამართლიანად ითვლება რუსთველოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. შემთხვევითი არ იყო მისი დაინტერესება რუსთველის პოემით. ქართული პოეზიის შედევრის მხატვრული ღირსებების წარმოჩენით იგი კიდე ერთხელ უსვამდა ხაზს ქართული ლიტერატურის, ქართული აზროვნების უნიკალურობას.

1712 წელს ვახტანგ VI ირანში გაიწვიეს ქართლის მეფედ დასამტკიცებლად, მაგრამ მას მეფობის მიღების სანაცვლოდ მაჰმადიანობაზე მოქცევა მოსთხოვეს. საქართველოს ისტორიას მრავალი მეფის სახელი შემოუნახავს, რომელთაც სამეფო ტახტის მისაღებად უარუყვიათ ქრისტიანობა. ვახტანგი არ აპირებდა სარწმუნოების შეცვლას. იგი ქრისტიანობას „პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა“, რადგან სამეფო ხელისუფლების მისივე განსაზღვრა ასეთი იყო, „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს, ქნას, თუ არა, მეფობის უქნელობა სჯობს და ხელი აიღოს.“ ამ დებულების ავტორი „ხელს იღებდა ისეთ მეფობაზე, რომელსაც უნდა ჩამოაცალონ მისი ქართულობის და ამდენადვე ნამდვილობის ერთი ატრიბუტი – ქრისტიანობა“.<sup>3</sup>

ვახტანგ VI-მ უარი თქვა უცხო რჯულის მიღებაზე. ამ გადაწყვეტილებას მისი მომხრეების ნაწილიც კი არ იზიარებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართლის სამეფო ტახტის მაძიებელთა სხვა დაჯგუფებაზე.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან ევროპის სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან გაცხოველდა, ამიერკავკასიის სახელმწიფოების, მათ შორის – საქართველოს, პოლიტი-

1 *ჯავახიშვილი ი.*, ისტორიის მიზანი და წყაროები. თბ., 1945, გვ. 321.

2 *შარაშიძე ქ.*, პირველი სტამბა საქართველოში. თბ., 1955, გვ. 42.

3 *დუნდუა ვ.*, საისტორიო ძიებანი, თბ., ტ. I, 1967, გვ. 151.

კურ-ეკონომიკურ ვითარებაზეც აისახებოდა. ევროპელ ვაჭრებს თან მოჰყვებოდნენ კათოლიკური ეკლესიის მისიონერებიც. რომის წმინდა საყდრისა და ევროპის სამეწარმეო ბიზნესინტერესები თანდათან ძლიერდებოდა და ქართლის სახელმწიფო მმართველ წრეშიც ვრცელდებოდა. XVIII საუკუნიდან უკვე თამამად შეიძლება საუბარი საქართველოში ევროპული ორიენტაციის არსებობის შესახებ. სწორედ ამ ეპოქაში განსაკუთრებით მომრავლდნენ კათოლიკე მისიონერები. მათ საკმაოდ გულთბილად ხვდებოდნენ, აძლევდნენ თავისუფალი პროპაგანდისა და ვაჭრობის უფლებას. განსაკუთრებით მფარველობდნენ კათოლიკე მისიონერებს ვახტანგ V-ის მემკვიდრეები... „ეს პროცესი იმ დროისათვის იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ მას შეუღწევია მართლმადიდებლობის მესვეურთა წიაღშიც. მაგ., დომენტი კათოლიკოსი თურმე იმაზეც თანახმა იყო, რომ პაპის უზენაესობა ეცნო და რომის ტაძრისათვის დაეკრა თავი, ხოლო ცნობილი სულხან-საბა ორბელიანი აშკარად გადავიდა „ფრანგულ“ სარწმუნოებაზე. საფიქრებელია, რომ ქართველებს კათოლიკური ევროპა ირანთან საკუთარი ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის უნდოდათ“.<sup>1</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში სულხან-საბა ორბელიანის, დომენტი კათოლიკოსისა და ქართველი სამღვდელოების კათოლიკურ-რელიგიური ორიენტაციის შესახებ სამეცნიერო დებულებათა ფართო სპექტრია წარმოდგენილი. ჩემი კვლევის სფეროში აღნიშნული პრობლემა არ თავსდება და, აქედან გამომდინარე, დავჯერდები მხოლოდ მეცნიერთა ერთი ჯგუფის მოსაზრებაზე ყურადღების გამახვილებას და მას ჩემთვის საინტერესო საკითხთან შევაჯერებ.

დომენტი IV (ერისკაცობაში – დამიანე ლევანის ძე ბაგრატიონი) რუსეთიდან ახალი დაბრუნებული იყო, როდესაც კათოლიკოსის ტახტზე ავიდა. იგი ფრიად განათლებული ადამიანი ყოფილა და ენთუზიაზმით შესდგომია როგორც საქართველოს ეკლესიის გაძლიერებას, ასევე ძმის მხარდაჭერას სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში.<sup>2</sup>

1 ტუხაშვილი ლ., პოლიტიკური ვითარება XVIII ს. პირველ ოცეულში., საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 406.

2 დომენტი IV ნიჭიერი ორგანიზატორი აღმოჩნდა. 1707 წელს ირანის შაჰთან ვიზიტისას მოახერხა, დაემტკიცებინა საკათოლიკოსო მამულები, მათ შორის, კახეთის ხელისუფალთა მიერ იმხანად მისაკუთრე-

ეპისტოლარული დოკუმენტები ადასტურებს დომენტი IV-ის მჭიდრო კავშირს რომის ეკლესიასთან.<sup>1</sup> მ. თამარაშვილის ნაშრომში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ გამოქვეყნებული პროპაგანდის წერილიდან ცხადი ხდება დომენტის კათოლიკური რელიგიისადმი დიპლომატიურ-ლოიალური დამოკიდებულების შესახებ.<sup>2</sup>

ბული საკათოლიკოსო კახური სამფლობელოებიც. 1712-14 წლებში აქტიურად უჭერდა მხარს ირანში მყოფ ვახტანგ VI-ის გამეფებას. თავადაც სცადა სამეფო ტახტის დაკავება, მაგრამ ვერ მიაღწია მიზანს. თბილისის გამგებლის, ალიყული-ხანის მიერ საკათოლიკოსო ტახტს ჩამოშორებულმა დომენტიმ, ოსმალების დახმარებით, კვლავ მოიპოვა კათოლიკოსობა. 1725 წელს იგი ოსმალეთის სულთანმა სტამბულში გაიწვია, სადაც დააპატიმრეს, როგორც ოსმალთა ბატონობის მოწინააღმდეგე, და სტამბულის მახლობლად კუნძულზე გადაასახლეს. აქ მან 1736 წლის ბოლომდე დაჰყო. დიდი ამაგი დასდო დომენტი IV-მ ქართულ კულტურას. მისი ლიტერატურულ-მნიგნობრული მოღვაწეობის შედეგად, შეიკრიბა ქართველ საერო და სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრება-წამების აღწერილობანი და შედგა ქართული ჰაგიოგრაფიული კრებული; საეკლესიო პრაქტიკისათვის დომენტი კათოლიკოსმა გადაანერინა პარაკლიტონი და ასკეტიკონი, ბერძნულიდან ათარგმნინა კურთხევანი და 1719 წ. საკუთარი ხარჯით დააბეჭდინა თბილისში. შეადგენინა სადღესასწაულოს ახალი რედაქცია. გადასახლებებში ყოფნისას შეკრიბა ილარიონ ქართველისა და სხვათა საგალობლები, გადაანერინა საეკლესიო მამათა თხზულებების მეორე ნაწილი. დომენტი IV საკუთარი ხარჯებსაც კი არ იშურებდა სვეტიცხოვლის, ანჩისხატის, მეტეხისა და სხვა ეკლესიების შეკეთება-განახლებისთვის.

- 1 ნიშანდობლივია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი, რომ ქართველი სამღვდელოების კავშირები ვატიკანთან განპირობებული იყო საქართველო-დასავლეთ ევროპის კულტურული ურთიერთობებით ანუ საქართველოს სწრაფვით დასავლური კულტურის ასათვისებლად (იხ.: *ქ. პავლიაშვილის* მონოგრაფიები: „კათოლიკური ეკლესია და საქართველო (XVII ს.)“, თბ., 1987 წ. და „კარმელიტების ქრონიკა საქართველოზე (XVI-XVIII სს.)“, თბ., 1990 წ.).
- 2 „პაპს დიდად სათნო ყყო თქვენი დიდებულების წიგნი, რომლითაც აცხადებთ თქვენს დიდ წადილს კათოლიკე სარწმუნოების აღსარებისათვის, აგრეთვე რომის საყდრისადმი თქვენს მორჩილებას და პატივისცემას, რაის გამო მათმა უწმიდესობამ დიდად აქო ეგ თქვენი სურვილი და მოწადინება და მასთანვე თავისი მამობრივის სიყვარულით და კეთილმზნებლობით შეგაგულიანებთ, რათა მტკიცედ იქონიოთ ეგ თქვენი საქებელი წადილი და მომზადებულად და გუნებრივად ხელი მოაწეროთ კათოლიკე სარწმუნოების სიმბოლოს, რომელსაც ამ წერილთანვე გაახლებთ; ამნაირად ყოველის შეცთომილების მხრივ უშიშრად იქმნებით და მორწმუნებით შეუდგებით მოძღვრებას სამოციქულო საყდრისას, რომელიც არის პირველი კათედრა და ყოველთა ეკ-

ვახტანგის მიერ არჩეული ახალი პოლიტიკური კურსი საბოლოოდ მანაც დამარცხდა. ევროპაში გაგზავნილმა სულხან-საბა ორბელიანმა ვერ დაარწმუნა ევროპელი მონარქები, რომ ღირდა მათ მიერ ირანის შაჰის პირისპირ დარჩენილი პატარა საქართველოს მეფის დაცვა, რომელიც სამაგიეროდ თუნდაც მთელი ქვეყნის გაკათოლიკებას შეძლებდა. „ევროპის დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა ანგარიშიანობაზე იყო დამყარებული და, ბუნებრივია, რომ პარიზში შორეული ქრისტიანი მეფის ბედი სრულიადაც არ აწუხებდათ. მაშინ საფრანგეთის მთავრობას აღმოსავლეთში უმთავრესად ირანისა და თურქეთის ბაზრები აინტერესებდა“.<sup>1</sup>

მოგვიანებით 1716 წელს ვახტანგი იძულებული გახდა, მაჰმადიანობა მიეღო... მაგრამ მისი მოღვაწეობა მანაც დარჩა, როგორც საქართველოს თვითმყოფადობის, მართლმადიდებლობისათვის ბრძოლის მაგალითი.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ დომენტი კათოლიკოსის ორი საბეჭდავის არსებობა კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია მისი პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციისა, თუმცა ამ მოსაზრების პარალელურად ისმის კითხვა: ხომ არ არის მეორე საბეჭდავის (ნმ. პეტრეს ტაძრის ფონზე პეტრე და პავლე მოციქულების გამოსახულებით) არსებობის ფაქტი დასავლეთ ევროპულ და ქართულ კულტურათა შეხებისა და, კათოლიკური საეკლესიო ჰერალდიკის გავლენით, ქართულ სინამდვილეში კლასიკური გერბშემოქმედების პრინციპებთან მიახლოების ცდა? ამ კითხვას და მის დადებით პასუხს არსებობის უფლება ნამდვილად აქვს.

ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, რომელი საბეჭდავის მოტივი დაედებოდა საფუძვლად გერბს, რომელიც ვახტანგ VI-ის მეთვალყურეობით, კონსულტაციითა თუ უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საქართველოში პირველ ნაბეჭდ ნიგნებთან ერთად. ვახტანგის ვა-

---

ლესიათა დედა და მოძღვარი. არა მარტო თქვენ შეუდგებით მტკიცედ და შეურყევლად ამ მოძღვრებას, არამედ, ვითარცა მოითხოვს მწყემსებრივი მოვალეობა, სხვებსაც ასწავლით ყველანაირის საშუალებით, რაოდენათაც შესაძლო არის“ (*თამარაშვილი მ.*, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995. გვ. 430). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მ. თამარაშვილის ნაშრომები, ბუნებრივია, ტენდენციურობას მოკლებული ვერ იქნება და არც საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის ცალსახად გაშუქება გასაკვირი.

1 ვაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მსკი, ნაკვ. 31. თბ., 1954, გვ. 125.

ჟის, ვახუშტი ბაგრატიონის, ცნობილ ატლასებზე დატანილია უკვე საქართველოს ფერადი გერბები, „ღერბნი ანუ ნიშანი“, როგორც ავტორი უწოდებს, რომლებიც ჯერ კიდევ შორს არიან ევროპული ჰერალდიკური ნამუშევრებისგან თავისი გულუბრყვილო შესრულების მანერით, თუმცა თემატურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით, ისტორიული და ტრადიციული რელიგიური სიღრმით ცხადყოფენ ვახტანგის მოღვაწეობის მთავარ მსოფლმხედველობრივ კურსს, რომლის პირველი „ჰერალდიკური დეკლარირება“ იყო მისივე უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებულ ქართულ სტამბურ წიგნზე გამოსახული გერბი.

საქართველოში ჰერალდიკის განვითარება შემთხვევით არ უნდა უკავშირდებოდეს ვახტანგ მეექვსის ეპოქას. გერბზემოქმედება ხომ მკვეთრად ევროპული კულტურული ფენომენია! მისი ქართულ რეალობაში გადმოტანა კიდევ ერთხელ წარმოაჩინს იმდროინდელ სახელმწიფოებრივ კურსს დასავლური ფასეულობებისაკენ.

## რუმინელი საეკლესიო მამა საქართველოდან

„მუდამ გახსოვდეს ითაკა -  
იქ ჩასვლაა შენი მიზანი.“  
კონსტანტინოს კავაფისი

მმართველობის პირველივე დღეებიდან ვახტანგ VI-ისთვის მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერებაზე ზრუნვა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა. იგი დაუღალავად იღვწოდა საეკლესიო საკითხების მოსაწესრიგებლად და არსებული პრობლემების გადაჭრაშიც აქტიურად მონაწილეობდა. სწორედ ამ თვალსაზრისით, უპირველეს პრობლემად სასულიერო ხასიათის ლიტერატურის, წიგნების ნაკლებობა იკვეთებოდა. ამიტომ საეკლესიო ნაბეჭდი პროდუქციის გამრავლება-გავრცელება გადაუდებელ ამოცანად იქცა. ამიტომაც საჭირო გახდა სასტამბო საქმის წამოწყება. „სტამბის პირდაპირი დანიშნულება საეკლესიო წიგნების სწორად და შეუცდომლად ბეჭდვა-გავრცელება იყო; ამით უნდა ბოლო მოღებოდა სასულიერო ტექსტებისა და მღვდელმსახურების წესების დამახინჯებას; უნდა აღკვეთილიყო ყოველგვარი თვითნებობა, რომელიც ახასიათებდა სხვადასხვაგვარად გადანერილ ტექსტებს... გარდა ტექსტების სწორად ბეჭდვისა, სტამბის შემოღება მეორე მიზანსაც ისახავდა – საჭირო წიგნების რიცხვის სწრაფად გამრავლებას“.<sup>1</sup>

ცნობილია, რომ ქართულად წიგნები პირველად 1629 წელს იტალიაში, ქ. რომში დაიბეჭდა. ესენია ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი, რომელსაც ლოცვებიც ერთვის. ამ წიგნების დასტამბვის მიზანი საქართველოში მომავალი კათოლიკე მისიონერებისთვის ქართული ენის შესწავლაში დახმარება იყო. პირველი სტამბური წიგნების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი).

თბილისში დაბეჭდილ ქართულ წიგნებს ქრონოლოგიურად რამდენიმე წლით უსწრებს მოსკოვში არჩილის მიერ დასტამბული „ფსალმუნიც“ (1705 წ.). საკუთრივ საქართველოში სტამბის მოწყობა ვახტანგ VI-მ მოახერხა. ვახტანგისა და მისი ეპოქის დანატოვარ სხვა მრავალ სახელმწიფოებრივ-კულტურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთ-

1 შარაშიძე ქ., პირველი სტამბა საქართველოში. თბ., 1955, გვ. 71.

თი გამორჩეული საქართველში დაარსებული სტამბა და აქ დაბეჭდილი წიგნებია.

ამ უდიდესი კულტურული საქმის განსახორციელებლად ვახტანგ VI ბედმა ევროპაში მოღვაწე ქართველს – ანთიმოზ ივერიელს დააკავშირა.

ანთიმოზ ივერიელის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი ელვარე ტალანტი მრავალი მკვლევრის ყურადღებას იქცევს. მისი საეკლესიო ღვაწლი და ცხოვრებისეული მაგალითი კაცის მიერ საღმრთო და საზოგადო ვალის აღსრულების გამორჩეული ნიმუშია. ანთიმოზის ცხოვრების გზა სამშობლოწარმეული ადამიანის მიერ სამშობლოს ძიების, სამშობლოში ფიზიკურად ვერდაბრუნების მიუხედავად, ნამდვილი პატრიოტიზმის, სხვა ქვეყნების, სხვა ერთათვის სიკეთის მოტანის, მოყვასის სიყვარულის ნათელი მაგალითია, განსაკუთრებით დღეს – გლობალიზაციის ნიშნით დადასტურდა და კულტურათა ურთიერთობის შესახებ უშნოდ გაგებულ-გააზრებულ თეორიათა თუ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ორომტრიალში.

ანთიმოზ ივერიელი იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება მართლმადიდებელ სამყაროში და გამორჩეულად ტრაგიკული ბედის ქართველი, რომელმაც იწვინა ტყვეობის სიმძიმე და მონამებრივად აღესრულა. იგი მე-17 საუკუნის შუა ხანებში (გ. ლეონიძის აზრით, 1650 წელს) დაბადებულია. „როგორც მისი ანდერძიდან ჩანს, ანთიმის მშობლებს მარიამ და ივანე რქმევიათ“.<sup>1</sup> ოსმალებს 1666 წელს საქართველოდან გაუტაციათ ანთიმოზი, რომელიც ტყვეობიდან სტამბულში იერუსალიმის პატრიარქ ნექტარიოსს გამოუხსნია.

ნექტარიოსი მალე პატრიარქმა დოსითეოსმა შეცვალა. დოსითეოსი უაღრესად განათლებული მოღვაწე იყო. ქრისტიანულ-ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილია მის მიერ შექმნილი თორმეტტომეული „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორია“ (დაიბეჭდა ბუქარესტში 1715 წ.). დოსითეოსის მზრუნველობით, ანთიმოზმა კარგი განათლება მიიღო, შეისწავლა რამდენიმე ევროპული და აღმოსავლური ენა.<sup>2</sup>

1698 წ. უნგრეთ-ვლახეთის მთავარმა პატრიარქს სთხოვა, რომ მისთვის ტიპოგრაფიის მცოდნე პირი გაეგზავნა რუმინეთში საგამომცემლო საქმის გასავითარებლად. პატრიარქმა დოსითეოსმა ეს მისია ანთიმოზს დააკისრა.<sup>3</sup>

1 *ლეონიძე გ.*, ანთიმ ივერიელი. თ. დროშა, 2. თბ., 1951

2 *კურდღელაშვილი მ.*, ქართული სტამბის ისტორიიდან. თბ., 1959, გვ. 25.

3 *Роллер М.*, История Румынии. Москва, 1950, გვ. 184.

ვლახეთის მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით ჩასულმა ანთიმოზმა მთელი თავისი მოღვაწეობა რუმინეთის ეროვნული კულტურის განვითარებას მიუძღვნა.

1705 წ. რუმინელებმა იგი რიმნიკის ეპისკოპოსად გამოარჩიეს, ხოლო 1708 წლის იანვარში მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუმ უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. 1716 წლამდე ის ხელმძღვანელობდა რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.<sup>1</sup>

დიდი იმპერიების გარემოცვაში მოქცეული პატარა რუმინეთი შეუპოვრად ცდილობდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ანთიმოზ ივერიელი აქტიურად იბრძოდა რუმინეთის სახელმწიფოსა და რუმინეთის ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის. მოგვიანებით მას, ანტი-ოსმალური ორიენტაციის გამო, უთანხმოებაც მოუვიდა რუმინეთის მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუსთანაც კი – თურქებმა ბრინკოვიანუს ანთიმოზის დასჯა მოსთხოვეს, მაგრამ მთავარმა ბოლომდე ვერ გაიმეტა თავისი თანამებრძოლი და ვერ გაბედა რუმინელი ხალხის წინაშე უდიდესი დამსახურების მქონე მიტროპოლიტისთვის ხარისხის აყრა. სამაგიეროდ, ბრინკოვიანუს შემცვლელმა, ოსმალთა პოლიტიკის გამტარებელმა მთავარმა, მავროკორდატმა, ანთიმოზ ივერიელს დილეგში ჩასმის წინ საკუთარი ხელით მოხადა მიტროპოლიტის მიტრა და სამუდამო ექსორია მიუსაჯა სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში. მონამებრივად აღესრულა ანთიმოზი: სინას მთისკენ მიმავალი თანმხლებმა იანიჩარებმა გზაში ვერაგულად მოკლეს და მისი გვამი მდინარეში გადაადგდეს.<sup>2</sup> 1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა.

ანთიმოზ ივერიელის მიერ დაარსებულ სტამბებში (ბუქარესტში, სნაგოვის მონასტერში, რიმნიკში, ტირგოვიშტეში) მისივე ხელმძღვანელობით რუმინულ, ბერძნულ, სლავურ, არაბულ ენებზე იბეჭდებოდა წიგნები. მან რუმინეთში რუმინულ ენაზე ღვთისმსახურება დაამკვიდრა, თარგმნა და თავადვე შექმნა რამდენიმე ორიგინალური თხზულება. „უნგრო-ვლახეთისა და ბალკანეთის სლავიანებს სლავური გრამატიკა დაუწერა და დაუბეჭდა ქართველმა ანთიმმა ჯერ კიდევ 1697 წელს“.<sup>3</sup> ანთიმოზ ივერიელი გამოცემულ წიგნებს მინიატურებით თავადვე ამკობდა, ბუქარესტში აგებული მონას-

1 Picot E., Notice biographique et bibliographique sur l'imprimeur Anthime d'Ivir, metropolitaine de Valachie. in Nouveaux Melanges Orientaux. Paris, 1886, გვ. 513.

2 Православная энциклопедия. ტ. 1. М., 2001, გვ. 489.

3 ლეონიდე გ., ანთიმ ივერიელი. ჟ. დროშა, 2. თბ., 1951

ტრის კარი და სარკმლები საკუთარი ხელით მოაჩუქურთმა. ანთიმოზის მიერ დაარსებულ სტამბებში 64 დასახელების წიგნი დაიბეჭდა. მისი მოღვაწეობის დროს რუმინეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად იქცა, რომელიც მეზობელ ქვეყნებს სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნებით ამარაგებდა.

ანთიმოზ ივერიელი გულისხმიერად მოეკიდა ვახტანგ VI-ის თხოვნას თბილისში ქართული სტამბის მოწყობის შესახებ და საქართველოში თავისი მოწაფე, ვლახელი მიხაილ იშტვანოვიჩი გამოგზავნა.

თბილისში სტამბა 1708-1709 წლებში მოეწყო. სტამბისთვის მეფის სასახლესთან სპეციალური „სახლები“ ააგეს ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის.<sup>1</sup> 1709 წ. ამ სტამბაში დაიბეჭდა პირველი სამი ქართული წიგნი „სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“. ვახტანგ მეექვსეს სახარების ერთი ეგზემპლარი რუმინეთში ანთიმოზ ივერიელისთვის გაუგზავნია, რომელსაც იგი ოქროს ყდაში ჩაუსვამს და ვლახეთის მმართველ კონსტანტინე ბრინკოვიანუსთვის მიუერთმევია.<sup>2</sup>

მიხაილ იშტვანოვიჩი, რუმინეთში ცნობილი მესტამბე, წარმოშობით ტრანსილვანიელი, არდიალელი, ყოფილა (სტეფანე, უნგრულად იშტვანი, სლავური დაბოლოებით – იშტვანოვიჩი იშტვანის ანუ სტეფანეს ძეს ნიშნავს). ტრანსილვანიიდან იგი ვლახეთში ჩამოსულა, სადაც იპოვდა უკურთხებიათ.<sup>3</sup> ვარაუდობენ, რომ იშტვანოვიჩი სტამბის ხელოვნებას ბუქარესტის იმ სტამბაში დაეუფლა, რომელშიც ანთიმოზ ივერიელმა 1691 წელს თავისი პირველი წიგნი დაბეჭდა. აქედან მოყოლებული მისი საქმიანობა ანთიმოზ ივერიელს დაუკავშირდა. ამ ურთიერთობის სიტყვიერი გამოხატულება მე-18 საუკუნის დასაწყისში რუმინეთში იშტვანოვიჩის დაბეჭდილი „ლოცვანის“ წინასიტყვაობაა. იგი დამბეჭდავმა ანთიმოზ ივერიელს მიუძღვნა. დიდი სიყვარულითა და მონივნებითაა მოთხრობილი წარსული ცხოვრება ანთიმოზისა, რომელიც ავტორმა მონად გაყიდულ ბიბლიურ იოსებს შეადარა.

1694 წელს, ბუქარესტიდან სნაგოვში სტამბის დასაარსებლად გადასვლისას, ანთიმოზმა წაიყვანა მიხაილ იშტვანოვიჩი. ამ სტამბაში პირველი წიგნი სწორედ მიხაილმა დაბეჭდა.

1 შარაშიძე ქ., პირველი სტამბა საქართველოში. თბ., 1955, გვ. 94.

2 ლეონიძე გ., ანთიმ ივერიელი, ჟ. დროშა, 2. თბ., 1951

3 გვინჩიძე ო., ანთიმ ივერიელი, თბ., 1973. გვ. 168.

1698 წელს იმტვანოვიჩი, კონსტანტინე ბრინკოვიანუს საგანგებო დავალებით, ტრანსილვანიაში წავიდა. მას იქ საგანმანათლებლო მისიასთან ერთად მართლმადიდებლურ-მისიონერული მიზანიც ჰქონდა – ტრანსილვანია მუდამ იყო რელიგიური დაპირისპირების კერა. იქ მან 1699 წელს რუმინულ ენაზე გამოსცა „ანბანის წიგნი“ და „სახარება“.

1706 წელს მიხაილ იმტვანოვიჩმა ანთიმოზ ივერიელთან ერთად რიმნიკის სტამბაში დაბეჭდა ხუთი დასახელების წიგნი. ამ გამოცემებში მითითებულია, რომ ისინი დაბეჭდილია იპოდიაკონ მიხაილ იმტვანოვიჩის მიერ.<sup>1</sup>

ვარაუდობენ, რომ მიხაილმა 1707 წელსაც დაბეჭდა წიგნი რიმნიკის სტამბაში; მაგრამ 1708 წლიდან, როდესაც ანთიმოზმა, უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტად კურთხევის გამო, დატოვა რიმნიკი, ტირგოვეშტეს რეზიდენციაში გადავიდა და იქაც დააარსა სტამბა, მიხაილ იმტვანოვიჩის სახელი აღარ შემოინახა რუმინეთში გამოცემულმა წიგნებმა თუ სხვა ისტორიულმა წყაროებმა. ამიერიდან მიხაილი თავისი მასწავლებლის სამშობლოში, საქართველოში, სტამბის დაარსებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეს ჩაუდგა სათავეში.

---

1 Biserica ortodoxa Romina. 8-9. București, 1956. გვ. 732.

## ანტიმოზ ივერიელის ჰერალდიკური მემკვიდრეობა

ჰერალდიკა ანტიმოზ ივერიელის მოღვაწეობის უაღრესად საინტერესო სფეროა. მის მიერ დაბეჭდილ ნიგნებზე გამოსახული სახელმწიფო თუ მის მიერვე შექმნილი რუმინეთის მხარეთა გერბები ჰერალდიკური ხელოვნების უბადლო ნიმუშებია.

ანტიმოზის, როგორც ჰერალდიკოს-გენეალოგის, შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნიმუშია „ძველი და ახალი აღთქმის სახეები“, იგივე „იესო ქრისტეს საგვარეულო ნუსხა ანუ გენეალოგიური ხე“, რომელიც კიევის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება. ეს ნაშრომი მან 1709 წელს ვლახეთის მთავარს მიუძღვნა. ეს არის ბიბლიის ილუსტრირებული ისტორია, რომელიც შეიცავს 505 მედალიონში ჩასმულ ბიბლიურ პერსონაჟთა პორტრეტებს. ფერადი ხაზები ერთმანეთთან აკავშირებს მედალიონებს და ქმნის „გენეალოგიურ ხეს“. ალბომი 22 ფურცლისგან შედგება, ხელნაწერის მეორე გვერდზე გამოსახულია ანტიმოზის ხელით შესრულებული სახელმწიფო გერბი და თვრამეტსტროფიანი ლექსი, რომლებიც შემკულია სტილიზებული ყვავილების ორნამენტებით. გერბზე გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი, რომელსაც ნისკარტით უჭირავს ჯვარი, ხოლო აქეთ-იქით ოქროსფერი მზე და მთვარეა – ეს ვლახეთის სახელმწიფო გერბია, რომელსაც ანტიმოზი ხშირად გამოსახავდა ნიგნებზე. ნაშრომში აღნიშნულია, რომ მისი ავტორია უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი ანთიმ ივერიანუ.

ანტიმოზ ივერიელის, როგორც მხატვრისა და ჰერალდიკოსის, უმნიშვნელოვანესი ნამუშევარია მისივე გერბი (სურ. 10). ამ უაღრესად დახვეწილი გემოვნებითა და დიდი ოსტატობით შესრულებული ნაწარმოების შესახებ რუსულ ინტერნეტგვერდზე 2004 წლის ივნისში გამოქვეყნდა მ. მედვედევის სტატია.<sup>1</sup> როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს გერბი მისთვის რუმინელ კოლეგას, პროფესორ დ. ჩერნოვიდიანუს მიუწოდებია.

ანტიმოზ ივერიელის გერბის შესახებ 2001 წელს წერდა ლევან თაქთაქიშვილიც, ოღონდ მას ბეჭედს უწოდებდა.<sup>2</sup> როგორც ჩანს,

1 *Медведев М.*, Геральдический шедевр: герб Анфима I, митрополита Валашского [ონლაინ სტატია]; განთავსებულია 2004 წლიდან. მის.: <http://sovet.geraldika.ru>

2 *თაქთაქიშვილი ლ.*, მიკვლეულია ანტიმოზ ივერიელის ბეჭედი, გაზ. ქართული წიგნი, 3, თბილისი, 2001.

ლ. თავთაქიშვილმა არ იცოდა, რომ ამ გერბის შესახებ წერდნენ შ. კვასხვაძე,<sup>1</sup> ფ. ჯინჯიხაშვილი<sup>2</sup> და ო. გვინჩიძე.<sup>3</sup> თუმცა სამივე მკვლევარი ამ ნაწარმოებს გიორგი ლეონიძის მიერ ჩამოტანილი შავთეთრი ფოტოს მიხედვით იცნობდა. არც ერთ მათგანს გერბის გამოსახულება არ გამოუქვეყნებია.

როგორც შ. კვასხვაძე „ვახტანგ VI სტამბის წიგნში“, წერს, ანთიმოზ ივერიელის გერბი მას უნახავს გ. ლეონიძის კოლექციაში დაცულ ფოტოზე. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ამ კოლექციას და შესაბამისად – ვერც ფოტოს. შ. კვასხვაძემ, ინფორმაციის უქონლობის გამო, ვერ გაარკვია, რატომ ჰქონდა ფოტოს ასეთი მინაწერი: „Снимок с 2 стр. Собственоручной рукописи А. Ивериели, написаной в 1713 г. представляющий герб. А. Ивериели и подним стих о ұлитке – герб А.И. – рукопись под ном. 3342 в библ. Акад. руминской народной республ.18. გამოდის, რომ ფოტო გადაღებული უნდა იყოს ხელნაწერი და არა – ნაბეჭდი წიგნიდან“,<sup>4</sup> – გაკვირვებული წერდა კვასხვაძე. სინამდვილეში ეს დოკუმენტი მართლაც ხელნაწერია, რომელიც რუმინეთის აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდში ინახება (3342). ეს „ანთიმის მონასტრის ტიპიკონია“, რომელიც ჯერ კიდევ 1956 წელს გამოქვეყნდა რუმინეთში ანთიმოზ ივერიელის გარდაცვალებიდან 240 წლისთავისადმი მიძღვნილ ჟურნალში.<sup>5</sup> მოგვიანებითაც ქვეყნდება და რუმინეთში ეს გერბი, როგორც ჰერალდიკურ,<sup>6</sup> ისე ისტორიულ გამოცემებში,<sup>7</sup> თუმცა საქართველოში სრული სახით არ დასტამბულა (სურ. 11).<sup>8</sup>

„ტიპიკონი“ შედგება სათაურისგან, შესავლისგან, ოცდათორმეტი ძირითადი და ერთი დამატებითი თავისგან, რომლებშიც საუბარია სამონასტრო ცხოვრების ყველა დეტალზე. ხელნაწერი, რომელიც 1713 წლით თარიღდება,<sup>9</sup> ჩასმულია ტყავის ყდაში. ყდა შემკულია ოქროთი გამოყვანილი ჩუქურთმებითა და გეომეტრიული მოტივებით.

1 კვასხვაძე შ., ვახტანგ VI სტამბის წიგნი. თბ., 1952.

2 Джинджихашвили Ф., Антимоз Ивериели. Тб., 1967.

3 გვინჩიძე ო., ანთიმ ივერიელი. თბ., 1973.

4 კვასხვაძე შ., ვახტანგ VI სტამბის წიგნი. თბ., 1952. გვ. 210.

5 Biserica ortodoxa Romina. 8-9. București, 1956.

6 Cernovodeanu D., Stiinta si arta heraldica in Romania. București, 1977, გვ. CXIV.

7 Vulpe A., Istoria Romanilor. București, 2000, გვ. 70.

8 მისი პირველი ფერადი ილუსტრაცია იხ. ზ. გაიპარაშვილი, „ანთიმოზ ივერიელის გერბი“, თბ., 2005 წ.

9 Джинджихашвили Ф., Антимоз Ивериели. Тб., 1967. გვ. 59.

გერბი სასულიერო პირს – ანთიმოზ ივერიელს ეკუთვნის. უკვე ვთქვით, რომ საეკლესიო ჰერალდიკის საფუძველი არც რაინდთა ტურნირებია და არც ჯვაროსნული ლაშქრობები. ეკლესიამ, როგორც შუა საუკუნეების ფეოდალურმა ინსტიტუტმა, გერბების გამოყენება, საერო ფეოდალების გამოცდილების გათვალისწინებით, პრაქტიკული მიზნებისთვის ანუ საეკლესიო ქონების საკუთრების იდენტიფიკაციისა და მასზე უფლების დემონსტრაციისთვის დაინყო.

მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო საეკლესიო გერბი? რა ემბლემებს უნდა დაემშვენებინა ჰერალდიკური ფარი? თუკი, ჩვეულებრივ, საერო ჰერალდიკაში მუზარადი მისი პატრონის მეომრობაზე მიანიშნებდა, გვირგვინი მისი, როგორც დიდგვაროვნის, ატრიბუტი გახლდათ, – საეკლესიო ჰერალდიკაში მუზარადი და გვირგვინი არ შეეფერებოდა მღვდლისა და პრელატის სალიტურგიო შესამოსელს. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მისაღებ ნიშნად იქცა მიტრა, რომლის გამოყენება, ეპისკოპოსების დარად, სხვა პრელატებმაც დაიწყეს.

უძველესი გერბები, რომელთაც ლიტურგიული ინსიგნიები ერთვის, შემოგვინახა მათე პარიზელის (1195-1259 წწ.), კლუნის ბერის, ჰერალდიკური ილუსტრაციებით შემკულმა ინგლისურმა ქრონიკებმა. მანუსკრიპტის მარგინალებზე აღბეჭდილ გერბებზე მოსახულია მიტრა, როგორც ეპარქიის მღვდელმთავრის ნიშანი, ჯვარი და პაპის კონუსისებრი ქუდი, პაპის „პავილიონი“ (საერთოდ, ეს ნიშანი საეკლესიო ჰერალდიკაში იშვიათად გამოიყენება). მათე პარიზელისთვის უცნობია კარდინალის ფართოფარფლებიანი ქუდი (ე.წ. შლაპა) – ეს ნიშანი მოგვიანებით ჩნდება ჰერალდიკაში. მაშასადამე, პირველი საეკლესიო გერბები მე-13 საუკუნიდან ჩნდება ევროპაში.

სასულიერო პირებს პორტრეტებზე გამოსახავდნენ საეკლესიო ნოდებების აღმნიშვნელი ინსიგნიებით, შესაბამისად, მათი გერბებიც – მათივე სიმბოლური პორტრეტები – შემკული იყო ასეთივე ნოდების ნიშნებით.

ეპისკოპოსთა ინსიგნია იმთავითვე, ხარისხის ბოძებისთანავე, განსაზღვრულია, სხვებს კი საგანგებოდ ენიჭებათ და ეს გარკვეულ პრივილეგიებს ნიშნავს. პრივილეგიების მიცემა კათოლიკურ ეკლესიაში მხოლოდ პაპის ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა საუკუნეების განმავლობაში განმასხვავებელი ნიშნებისა და პრივილეგიების გამოყენება უსისტემოდ, განუსაზღვრელად გაფართოვდა

და ხშირად პაპების ღირსების შემლახავი ფორმაც მიიღო. ამ განუკითხაობის აღსაკვეთად პაპმა პიუს X-მ (1903-1914 წწ.) გამოსცა „*Motu proprio, inter multiplices curas*“ – კათოლიკურ საეკლესიო ჰერალდიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი კანონი (მართლმადიდებელი ეკლესია ასეთ კანონმდებლობას არ იცნობს). ამ კანონის მიხედვით, ეპისკოპოსზე დაბალი წოდების მქონე პრელატებს, რომლებიც „*Motu proprio*“- ში არ არიან ჩამოთვლილნი, განმასხვავებელი ჰერალდიკური ნიშნების გამოყენების უფლება არ გააჩნიათ.<sup>1</sup>

საეკლესიო ჰერალდიკა მოიცავს: რელიგიური გაერთიანებების ან ორგანიზაციების გერბებს, ასევე, საეკლესიო ხარისხის, რანგის ან თანამდებობის ინსიგნიებს და ზოგადი ჰერალდიკის იმ სიმბოლოებს, ტერმინებსა და ფორმებს, რომელთაც საეკლესიო წარმოშობა, გამოყენება ან ხასიათი აქვთ. როგორც გლიპტიკური მასალა ადასტურებს, ჰერალდიკის განვითარების ისტორიის პირველი ეტაპის (XII-XV სს.) დასაწყისშივე, XII საუკუნეში, ზოგიერთი მონასტრის წინამძღოლი და ეპისკოპოსი საბეჭდავებზე გერბს გამოსახავდა. გერბის შემადგენელი ნაწილებისა და გერბის მფლობელის საეკლესიო რანგის ურთიერთდამოკიდებულებაში თვალნათლად იკითხება საეკლესიო აღკაზმულობის ელემენტები.

ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საგერბო წეს-ჩვეულებები ფართოდ გამოიყენებოდა როგორც საერო, ისე საეკლესიო ფენაში. ჰერალდიკის განვითარების მეოთხე პერიოდი, ეგრეთ წოდებული დეკადანსი, რომლისთვისაც დამახასიათებელია გერბების გადაჭარბებული დეტალიზაცია, მერკანტილიზმის ზეგავლენა, დახვეწილი ბლაზონი, XVI-XVIII საუკუნეებს მოიცავს.<sup>2</sup> ამ ეპოქაში აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში ჯერ კიდევ XV საუკუნეში ოსმალთა შემოსევების გამო შეფერხებული ჰერალდიკა ახლა იწყებდა განვითარებას. „ბიზანტიური მემკვიდრეობის მქონე მართლმადიდებელი ერები თანდათან ითვისებდნენ ჰერალდიკის საფუძვლებს, ამ დროისთვის დამახასიათებელი იყო დასავლური საგერბო ხელოვნების ზედაპირული, გულუბრყვილო მიმბაძველობა“.<sup>3</sup> ამ კონტექსტის გათვალისწინებით, მით უფრო სა-

1 Heim B.B., Heraldry in the catholic church. Buckinghamshire. 1978, გვ. 45.

2 Messia de la Cerda y Pita L. F., Heraldica Espanola. Madrid, 1990, გვ. 27.

3 Медведев М., Геральдический шедевр: герб Анфима I, митрополита Валашского [ონლაინ სტატია]; განთავსებულია 2004 წლიდან. მის.: <http://sovet.geraldika.ru>

ინტერესთა ანტიმოზ ივერიელის გერბი, როგორც ოსტატურად შესრულებული ნაწარმოები.

ადრეულ პერიოდში საეკლესიო ჰერალდიკაში საბრძოლო აღჭურვილობასთან დაკავშირებული ატრიბუტები არ გამოიყენებოდა, ან ხდებოდა მისი სტილიზება. როგორც არაერთხელ ითქვა, გერბის უმთავრესი ნაწილი ანუ საფუძველი ფარია. მისი წარმოშობა საბრძოლო ინსტრუმენტს უკავშირდება და გარეგნულადაც მის ფორმას იმეორებს. სასულიერო პირები კი, თავისი მშვიდობისმოყვარე ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად ფარს ოვალური დაფით ანაცვლებდნენ.<sup>1</sup> ანტიმოზის გერბის ფარი სწორედ ასეთი სტილიზებული დაფაა.

ანტიმოზ ივერიელის გერბი სიუჟეტურია, ფარი მარტივია, არ არის გაყოფილი ნაწილებად, მასზე მხოლოდ ერთი ველია. ველზე მოთავსებულია ორი ფიგურა, რომლებსაც ერთმანეთთან ფაბულა აკავშირებს. გერბის ფარზე გამოსახულია ლოკოკინა, რომელიც მინიდან ზეციური ვარსკვლავის ბრწყინვალეობას ეგებება.

ანტიმოზის გერბი შედგენილია არა ფრანგული, არამედ პოლონური ჰერალდიკური სისტემის მიხედვით, ანუ გერბის ფიგურები არ ასახავს ჯვაროსნულ ლაშქრობებს, რაინდულ ტურნირებსა და ბრძოლებში მიღწეულ წარმატებებს,<sup>2</sup> თუმცა ისიც ძალიან სათუთაა, რომ, როგორც პოლონური სისტემისთვის არის დამახასიათებელი, მის ავტორს მემკვიდრეობა გაეთვალისწინებინა.

გერბის ფარი უფრო გერმანულს ჰგავს და ეპოქის შესატყვისადაა სტილიზებული. ფარი წითელია. საყოველთაოდ აღიარებული შვიდი ფერის (ვერცხლი, ოქრო, წითელი, ლაჟვარდი, მწვანე, მწვანე-მული, შავი) გარდა, დასავლეთევროპულ (ძირითადად, ინგლისურში) ჰერალდიკაში 1600 წლიდან მოყოლებული ხანდახან სხვა ფერსაც იყენებდნენ. რუმინული ჰერალდიკის პალიტრა ძირითად ფერებთან ერთად ნარინჯისფერსაც იცნობს.<sup>3</sup> არსებობს ჰერალდიკურ ფერთა ქრესტომათიული განმარტებები, მაგრამ თუ უცნობია, გერბის შექმნისას მისმა ავტორმა ამა თუ იმ ფერს რა სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა, მოგვიანებით აღწერისას ხშირად მისი წაკითხვა სუბიექტურ

1 *del Arco F.*, *Heraldica Papal*. Madrid, 1993, გვ. 5.

2 *Лакиер А.*, *Русская геральдика*. Москва, 1990, გვ. 113.

3 *Dogaru M.*, *Din Heraldica Romaniei*. București, 1994, გვ. 1.

ინტერპრეტაციებს ვერ სცილდება. ვ.ს. ვეიდის განმარტებით,<sup>1</sup> ნითელი მხედრული მამაცობისა და დიდსულოვნების სიმბოლოა, მაგრამ ახლა ძნელია იმის თქმა, ანთიმოზ ივერიელი ფარის ფერს ჰერალდიკურ-სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებდა თუ უფრო ესთეტიკური ეფექტის მიღწევა სურდა. კონტრასტის ტექნიკის გამოყენებით, მხატვარმა კონტურით შესრულებულ ლოკოკინას მჭახე ფონი შეუქმნა და ნიჟარის ვერცხლისფერი მქრქალი ბზინვარება გამოკვეთა. ნითელსა და მიწის მწვანე თბილ ტონებს ვერცხლისფერი ცივი ტონი დაუპირისპირა და აქცენტი დასვა კომპოზიციის შვეულ ღერძზე. პირობითობის ხერხის გამოყენებით, ვერტიკალურად აღმართული ლოკოკინის ფიგურის მეშვეობით, ყურადღება ვარსკვლავზე გადაიტანა.

როგორც ჩანს, ანთიმოზ ივერიელი თავის შემოქმედებაში მის მიერ რუმინულ ფერწერაში შემოტანილი წყლის შროშანების ფართოდ გაშლილი ფოთლების ორნამენტთან (ნიშანდობლივია, რომ ეს ორნამენტი ქართული ხელოვნებისათვისაც ტრადიციულია) ერთად ხშირად იყენებს ფაუნის სახეობათა გამომსახველობით ფორმებსაც. ცნობილია მის მინიატურებში რუმინეთის რეგიონების მედალიონების ფორმის გერბები<sup>2</sup> (სურ: 51. ა, ბ, გ), რომელთა ემბლემებად გამოყენებულია ცხოველები და ფრინველები (ფუტკარი, არწივი, ცხვარი...).

ჰერალდიკაში გვხვდება ნიჟარის ორი ტიპი: უფრო გავრცელებულია ზღვის ნიჟარა, რომელიც, ვ.ს. ვეიდის თანახმად, ხანგრძლივი მოგზაურობის ან შორეული ქვეყნების ზღვით დალაშქვრის, მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალთა ან დიად გამარჯვებათა მომპოვებლების ემბლემაა. ეს ფიგურა ხშირად გამოიყენება და იგი, ამავე ავტორის მიხედვით, თავდაპირველად იმათ გერბზე გამოისახებოდა, რომელთაც ქრისტიანული სინმინდე, წმ. იაკობის საფლავი მოილოცეს ესპანეთში, ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელაში, ხოლო მოგვიანებით შორს მოსალოცად ან ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის სიმბოლოდ იქცა. უფრო იშვიათად იხმარება ხმელეთის ნიჟარა ანუ ლოკოკინა.<sup>3</sup>

1 *Wade W. C., The Symbolisms of Heraldry or A Treatise on the Meanings and Derivations of Armorial Bearings. London, 1898, [ონლაინნიგნი]; მის.: www.digiserve.com/ heraldry*

2 *Dogaru M. Din Heraldica Romaniei. București, 1994, გვ.X-XI.*

3 *Großes-Wappen-Bilder-Lexikon. Battenberg, 1992, გვ. 439.*

ცხოველების, ფრინველებისა თუ მწერების გამოსახვა ჰერალდიკის მნიშვნელოვანი ხერხია. გერბებზე ემბლემად ქცეული ზოოსამყაროს ნიმუშები გერბის მფლობელთა, როგორც წესი, წარსულის მივიწყებული თავგადასავლების მხატვრული ასახვაა, მაგრამ თუ მემკვიდრეობითობის საფუძვლის გარეშე იქმნება ემბლემა, მაშინ მისი სიმბოლური სტერეოტიპები ამა თუ იმ კულტურულ-ეთნიკურ შრეშია საძებნი. ანთიმოზ ივერიელის, როგორც სასულიერო მოღვაწის, გერბზე გამოსახული ლოკოკინა რელიგიურ-სიმბოლისტური აზროვნების პლასტში განხილვისას იძენს აზრს. უძველეს ხალხთა კულტურაში ლოკოკინა მთვარისა და ნაყოფიერების სიმბოლო იყო. ნიჟარის სპირალისებრი ფორმისა და საცეცების გამოჩენა-დამალვის პერიოდულობის გამო, იგი ციკლური პროცესების, კერძოდ, აღორძინებისა და აღდგომის სიმბოლოდ იქცა.<sup>1</sup> ხის ტოტებზე მცოცავი ლოკოკინა სიმბოლოა სიჯიუტისა და საქმის თუნდაც ნელა, მაგრამ აუცილებლად ბოლომდე გასრულებისა. ხეზე ზემოთ მცოცავი ლოკოკინა სიფრთხილის, წინდახედულობის განსახიერებაა. გამომსახველობითი თვალსაზრისით, ლოკოკინა თავისი სპირალისებრი სახლის გამორჩეული სილამაზითა და ჰარმონიულობით იქცევეს ყურადღებას. ვაზის ლოკოკინას ერთი საგულისხმო თვისება აქვს: სიცივესა თუ სიცხეში კირის სახურავით ამოიქოლება ხოლმე საკუთარ „სახლში“, ხოლო ზამთრის გადავლისა და გვალვის დამთავრებისას სარქველს ამტვრევს და კვლავ გამოდის გარეთ – ამიტომ იქცა იგი ქრისტეს აღდგომის სიმბოლოდაც. საკუთარი სახლის ყველგან ტარების თვისებით იგი მოკრძალებულობის მეტაფორადაც მიაჩნიათ. ვ.ს. ვეიდის ჰერალდიკური ლექსიკონის განმარტებით, ლოკოკინა უზენაესის, განგების მფარველობის, დაცულობის სიმბოლოა.

როგორც აღვნიშნეთ, ანთიმოზის გერბზე ლოკოკინა ვერტიკალურად არის გამოსახული, იგი მიწიდან მიემართება ექვსქიმიანი ვარსკვლავისაკენ და საცეცებით თითქმის ეხება მას. ვარსკვლავი კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა. იგი ოდითგანვე მითოლოგიასა თუ კულტურის სხვა დარგებში მარადიულობას განასახიერებდა. ჰერალდიკაში ვარსკვლავები ქიმებისა და ფერების მიხედვით განსხვავდება. ყველაზე გავრცელებულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ქრისტიანი ხალხების ჰერალდიკაში ვარსკვლავს თითქმის ყველგან ექვსი ქიმით გამოსახავდნენ. ანთიმოზის გერბზე ბიბლიური, ბეთლემ-

1 *Тресидер Дж., Словарь символов. Москва, 2001, гв. 385.*

მის ექვსქიმიანი ვარსკვლავია – სიმბოლო მესიის, სინათლის, კაცობრიობის იმედისა და რწმენისა.

ყველა ავტორი, ვინც კი ანთიმოზის გერბის შესახებ საუბრობს, მიიჩნევს, რომ გერბი თვით ანთიმოზის შექმნილია. „აქ ერთდროულად გამომჟღავნდა კომპოზიციის ნატიფი შეგრძნება, ევროპისათვის დამახასიათებელი ალეგორიისაკენ სწრაფვის ერთგულება, ჰომილეთიკური ტალანტი (ვარსკვლავისკენ მცოცავი ლოკოკინა, როგორც ჩანს, „ქადაგების მხატვრული სახეა“) და მოძღვრის მოკრძალება (გერბი იერარქის სიმბოლური ავტოპორტრეცია)“.<sup>1</sup> როგორც ირკვევა, ანთიმოზს საბეჭდავიც ჰქონია, რომელზეც გამოსახული ყოფილა მისივე გერბი. ეს ტიპური შემთხვევაა: როგორც წესი, საბეჭდავზე გერბი ან გერბის ფარზე მოთავსებული მთავარი ემბლემა გამოისახებოდა. დოკუმენტი, რომელმაც ანთიმოზის საბეჭდავის ანაბეჭდი და მისი ხელმოწერა შემოგვინახა, შექმნილი უნდა იყოს მიტროპოლიტის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. ამ საბეჭდავით დამონმებული სხვა საბუთი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. ანთიმოზის მიერ ბუქარესტში აგებულ მონასტერში ეკლესიის შესასვლელი კარის თავზე, ქვაში გამოყვანილი დახვეწილი ჩუქურთმების ცენტრში, გამოკვეთილია ანთიმოზის გერბის მთავარი ფიგურა – ლოკოკინა, რომელსაც საცეცები ექვსქიმიანი ვარსკვლავისკენ მიუმართავს. აქ ამ გამოსახულებას არ გააჩნია გერბის კლასიკური ფორმა, არ არის ფარი (თუნდაც სტილიზებული), არც მიტრა ჩანს, არც ჯვარი და კვერთხი, მაგრამ არის ღვთის მადიდებელი ქვისგან გამოთლილი ლოკოკინა.

ეს ემბლემა გამოსახა ანთიმოზმა ამავე მონასტრის წესდების სხვა მინიატურაზეც რუმინეთის რეგიონების გერბებთან ერთად.

როგორც წესი, სასულიერო პირები თავიანთი გერბების შექმნისას იყენებდნენ საკუთარ საგვარეულო გერბებს. მედვედევის აზრით, ანთიმოზ ივერიელი ვერ ისარგებლებდა წინაპრების გერბით, „რადგან იმ დროის საქართველოში უმაღლესი ფეოდალური წრეებისთვისაც კი უცნობი იყო ჰერალდიკური საფუძვლები“.<sup>2</sup> ჰქონდა თუ არა ანთიმოზ ივერიელის გვარს რაიმე საგვარეულო ემბლემა, ამის

1 *Медведев М.*, Геральдический шедевр: герб Анфима I, митрополита Валашского [ონლაინსტატია]; განთავსებულია 2004 წლიდან. მის.: <http://sovet.geraldika.ru>

2 *Медведев М.*, Геральдический шедевр: герб Анфима I, митрополита Валашского [ონლაინსტატია]; განთავსებულია 2004 წლიდან. მის.: <http://sovet.geraldika.ru>

გარკვევა ახლა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ის კი უდავოა, რომ იმ ეპოქის საქართველოში ჰერალდიკის შესახებ ცოდნის ნაკადი თანდათან ძლიერდებოდა. სწორედ ამ პერიოდში ანთიმოზის მიერ საქართველოში გამოგზავნილი მოსწავლის – იმტვანოვიჩის მიერ დასტამბულმა წიგნებმა შემოგვინახა ბაგრატიონთა გერბები.

საეკლესიო ხარისხის მაჩვენებელი ატრიბუტები გერბის ფარს აჩარჩობენ და გარდა დახვეწილი კომპოზიციისა, „ნაწილობრივ ასახავენ კათოლიკური საეკლესიო ჰერალდიკის სტერეოტიპებს და თან, უპირველეს ყოვლისა, შეესატყვისებიან მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკულ ტრადიციებს“.<sup>1</sup>

ანთიმოზის საეკლესიო ხარისხის ნიშნები ფარის უკან და თავზე მოთავსებული ელემენტებია: მიტრა, ქუდი, ჯვარი და კვერთხი.

მიტრას თავზე ადგას ჯვარი. ასე რომ, მიტრა მართლმადიდებელ საეკლესიო პირთა გერბებზე გამოსახებოდა. ასეთ მიტრას ვხვდებით, მაგალითად, კიევის მიტროპოლიტ მოგილას მეორე გერბზე, რომელიც კიევის მახლობლად, გოლოსიევსკის მონასტერშია დაცული და რომელზეც აღარაა ზონრებიანი და ფოჩებიანი ქუდი,<sup>2</sup> ასევე – რუსეთის პატრიარქ ნიკონის (1659 წ.) გერბზე.<sup>3</sup> ამ წესს იცავს თანამედროვე რუმინული<sup>4</sup> და რუსული<sup>5</sup> საეკლესიო ჰერალდიკა. მიტრის გამოსახულებები ამკობს მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოსების – დომენტის რვაკუთხა და ბესარიონის ოვალურ საბეჭდავებს (სურ. 12).

ანთიმოზ ივერიელის გერბის ფარს უკან გადაჯვარედინებულია ჯვარი და მოძღვრის „ორტოტიანი“ კვერთხი.

კვერთხი ფართოდ გავრცელებული გარეორნამენტია სასულიერო პირთა გერბებზე. იგი სამწყსოსთან დაკავშირებული ელემენტი და ეპისკოპოსის ხარისხის სიმბოლოა. მისი კვალი მეოთხე საუკუნიდან ჩნდება. ადრეულ ფორმებში იგი უბრალოდ იხრება ან მსხვილდება, აღმოსავლურ ეკლესიებში ბოლოვდება ერთმანეთისკენ შებრუნებული კაუჭებით. დღეს ეს ფორმები დახვეწილია. კვერთხის თავის ასეთი განვითარება მხატვრულ-დეკორატიულიც არის და მას

1 *Медведев М.*, დასახ. ნაშრომი

2 *Лакиер А.*, Русская геральдика. Москва, 1990, ტაბ. IX.

3 *Лакиер А.*, დასახ. ნაშრომი

4 *Dogaru M.*, Din Heraldica României. București, 1994, გვ. XC-XCI.

5 *Комаровский Е.*, Новые церковные гербы. გაზ. Церковный вестник. 2(231), 2003

მეცხვარის კომბლის სიმბოლური დატვირთვაც ენიჭება. გავრცელებული რწმენის მიხედვით, დასავლეთის საეკლესიო გერბებში და აბატის შემთხვევაში კაუჭი შიგნით უნდა იყოს მიქცეული, ეპისკოპოსის შემთხვევაში – პირიქით – გარეთ. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ აბატის იურისდიქცია მკაცრად შემოიფარგლებოდა სააბატოს შიგნით, ეპისკოპოსის ძალაუფლება კი ამრიგად შეზღუდული არ არის. მსგავსი სიმბოლური მინიშნება იკითხება ფართოდ გავრცელებულ ჰერალდიკურ პრაქტიკაშიც, რომლის მიხედვითაც, აბატის კვერთხი თავსდება მარცხენა კუთხეში, ფარს უკან, რაც წარმოსახავს მიტრისაკენ შიგნით მიქცეულ კაუჭს მაშინ, როდესაც ეპისკოპოსის კვერთხი საპირისპირო პოზიციით გამოისახებოდა უცნობია, მართლმადიდებლურ საეკლესიო გერბებზე კვერთხი უკავშირდება თუ არა გერბის მფლობელის იურისდიქციის ამა თუ იმ ფორმას.

საინტერესოა ეპისკოპოსისა და პატრიარქად კურთხევის წესები მართლმადიდებელ ეკლესიაში. ეპისკოპოსად კურთხევის რიტუალის ბოლოს, როდესაც კათოლიკოსი ეპისკოპოსს ჩააცემევს ანაფორას, მისცემს პანაღვას, მანტიას, კუნკულსა და კირიელისონს „და შემდგომად აღვალს კათოლიკოსი კათედრასა ზედა და საშუალ ეკლესიისა დადგების; უპირატესისა დეკანოზისა და პროტოდიაკონისაგან მოიყვანების ახალი იგი მღვდელმთავარი, რომელსაცა მისცემს კათოლიკოსი კურთხესა მწყემსობითსა და ეტყვის: „მიიღე კურთხი ესე, რათა დამწყემსო რწმუნებული შენდა სამწყსოა ქრისტესი; რომელსა ჰრწმენეს შენი, იყავნ მას ზედა კურთხ და სიმტკიცე, და რომელსა არა ჰრწმენეს შენი და უდებ იქმნეს, მიაქციე მას ზედა საგუემელად კურთხი ესე შენი სატანჯველად მისა“.<sup>1</sup> რაც შეეხება პატრიარქად კურთხევას: „აღრჩეული აღვალს ტაძრად თანაშემდგომითა ყოველთა თანამწირველთათა (შეისწავე, ვითარმედ კურთხი ხელთა არა უპყრიეს)... შემდგომად ამისა მივალს უპირატესი მღვდელმთავარი, მართმევს მას კურთხესა, ემთხვევა მარჯუენესა მისსა და ეტყვის: „მიიღე კურთხი ესე, სახე მოსწეს კურთხისა, რათა, ვითარცა მან განაპო ზღუაჲ მენამული და აღიყვანა ძუელი ისრაჴლი ქუეყანად აღთქუმისა, ეგრეთვე შენცა, განძლიერებულმან და მას ზედა დაყრდნობილმან, განაპო ზღუაჲ მსოფლიო ღელვა-გუემისა და ძლო შეყვანად ახლისა ისრაჴლისა ქუეყანასა საუკუნოხსა აღთქუმისასა. განმჴდი და განძლიერდი, ვანათგან სიტყუა-გიც მი-

1 წესი, რომელი იქმნების ხელთდასხმასა ზედა ეპისკოპოსის. თბ., 1997, გვ. 20.

ცემად ღმერთსა ჩუენსა და მწყემსთმთავარსა იესუ ქრისტესა“.<sup>1</sup> როგორც კორნელი კეკელიძე, შემდგენელი და პირველგამომცემელი ამ წესებისა, ამბობს, ეპისკოპოსის კურთხევის ცერემონიალი ანტონ კათოლიკოსს უთარგმნია მე-18 ს. რუსეთის ეკლესიის „არქიერატიკონიდან“, ხოლო კათოლიკოსის კურთხევის ცერემონიალი ბერძნულ წესების ემორჩილება.

კვერთხი სასულიერო ძალაუფლებისა და ძლიერების სიმბოლოა<sup>2</sup> და მიტრასთან ერთად ეპისკოპოსთა და არქიეპისკოპოსთა ნიშანია.<sup>3</sup> ქრისტეს უძველესი გამოსახულებები მას კეთილი მწყემსის სახით კვერთხით ხელში წარმოგვიდგენენ. ზუსტად ასევე – კვერთხით ხელში გამოსახავდნენ მოციქულებს პეტრესა და პავლეს. ეს მისია სასულიერო ძალაუფლების სახით მოციქულებისგან მათ მემკვიდრეებს – ეპისკოპოსებს გადაეცათ. ეპისკოპოსების ხელში კვერთხი სიმბოლოურად მიანიშნებს მის, როგორც სასულიერო მწყემსის, მისიას: იზრუნოს სამწყსოს სიმრთელეზე და დაიცვას იგი. ისტორიული ცნობები ადასტურებს, რომ დასავლეთში კვერთხი, როგორც ეპისკოპოსთა ძალაუფლების სიმბოლო, უფრო ადრე გამოიყენებოდა, ვიდრე აღმოსავლეთში. მე-5 საუკუნეში პაპ ცელესტინის წერილი გალილიის ეპისკოპოსებისადმი ადასტურებს კვერთხის გამოყენებას იმ დროის დასავლეთის ეკლესიაში. ერთი საუკუნით გვიანდელია ცნობები აღმოსავლეთ ეკლესიაში კვერთხის არსებობის შესახებ. თავდაპირველი ფორმა კვერთხისა მწყემსის კომბლის მსგავსი იყო, თავში მოღუნული. მოგვიანებით პატრიარქის კვერთხს, ეპისკოპოსებისა და ილუმენთა კვერთხისგან განსასხვავებლად, ფორმა შეეცვალა და ღუზის მსგავსი, ორრქიანი გახდა. მე-16 საუკუნიდან გამოიყენება კვერთხი არა ღუზის მსგავსი დაბოლოებით, არამედ ამობრუნებული, ზემოთ ერთმანეთისკენ მიმართული ბოლოებიანი თავით, ამ დაბოლოებებს გველის თავების გამოსახულება აქვს, ეს ეპისკოპოსთა მმართველობის სიბრძნეზე მიანიშნებს.<sup>4</sup>

1 კურთხევა და საყდრად აღყვანებაჲ კათოლიკოს-პატრიარქისაჲ. თბ., 1997, გვ. 24.

2 „დამწყესე შენი კვერთხით შენი ერი, შენი სამკვიდრო ფარა“ (მიქ. 7, 14), „გსურთ? კვერთხით მოვიდე თქვენთან, თუ სიყვარულითა და თვინიერების სულით?“ (1 კორ. 4, 21)

3 *Лакиер А.*, Русская геральдика. М., 1990, გვ. 46.

4 *Польный православный Богословский энциклопедический словарь.* М., 1912, გვ. 878.

საგულისხმოა, რომ ზუსტად ასეთივე, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, ჯვარი და კვერთხი გვხვდება ქართულ საბეჭდავებზეც. კერძოდ, კათოლიკოს დომენტის რვაკუთხა საბეჭდავზე, რომელიც შემონახულია 1672 წლით დათარიღებულ საბუთზე,<sup>1</sup> კათოლიკოს დომენტის ოთხკუთხა საბეჭდავსა (საბუთი,<sup>2</sup> რომელმაც შემოგვინახა ბეჭედი, თარიღდება 1710-1713 წწ.) და რვაკუთხა საბეჭდავზე (გამოსახულია 1705 წ. და 1739 წ. დათარიღებულ საბუთებზე).<sup>3</sup> მაგალითისთვის, ჯვარი და ორკაპა კვერთხი მოთავსებულია კიევის მიტროპოლიტ პეტრე მოგილას (სურ. 13), რუსეთის პატრიარქის, ნიკონის, რუმინეთის საპატრიარქოს მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა გერბებზეც. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ასეთი კვერთხი უპყრია ხელთ წმ. ანთიმოზ ივერიელს გოვორის (რუმინეთი) მონასტერში გამოსახულ ფრესკაზე.

ანთიმოზ ივერიელმა თავისი გერბის კომპოზიცია დაამთავრა „დასავლური“ ელემენტით, ჰერალდიკური ზონრებმიმაგრებული ფარფლებიანი ქუდით, როგორსაც ადრეც და ახლაც გამოსახავენ თავიანთ გერბებზე კარდინალები და დასავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსები. კარდინალის ქუდს პირდაპირი ანალოგი არ მოეძებნება მართლმადიდებლურ ტრადიციაში. ფარფლებიანი ქუდი მოსალოცად მიმავალი ბერის მზისაგან და ქარისაგან დასაცავი ერთადერთი იარაღი და პილიგრიმობის ნიშანი იყო, – იქნებ ამიტომ იყენებდნენ მას სხვა მართლმადიდებელი იერარქები: კიევის მიტროპოლიტი პეტრე მოგილა და ვლახეთის ტახტზე ანთიმოზის წინამორბედი მიტროპოლიტი სტეფანე.

კათოლიკური ეკლესია, სხვა ქვეყნების მსგავსად, რუმინეთშიც დაჟინებით ცდილობდა ფეხის მოკიდებას. ანთიმოზის წინამორბედი რიმნიკის საეპისკოპოსო ტახტიდან 1705 წელს კათოლიციზმის მიმდევრობის გამო გადააყენეს. რიმნიკის გარდა, ტრანსილვანიიდან კათოლიციზმის შემოტევისაგან მთელი რუმინეთის დასაცავად ბრინკოვიანუმ და ანთიმოზმა თავის დროზე მიხაილ იშტვანოვიჩი გაამწესეს.

ანთიმოზი მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში დაულაღავად ებრძოდა კათოლიციზმის ექსპანსიას. განუზომელია მისი დამსახურება ღვთისმსახურების რუმინულ ენაზე შემოღების საქმეში (მანამდე ვლახეთში ლიტურგია საეკლესიო სლაგურ ენაზე

1 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad 1689.

2 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad 319,1733.

3 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, d 341, d 2445

მიმდინარეობდა). ანთიმოზი არა მხოლოდ ინიციატორი იყო ამ რეფორმისა, არამედ უშუალოდაც მონაწილეობდა მთარგმნელობით საქმიანობაში. ამიტომ ნაკლებსარწმუნოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ვლახეთის მიტროპოლიტს, თუნდაც თავისი წინამორბედის მაგალითის მცოდნეს, თავის გერბზე გამოეყენებინა ისეთი ელემენტი, რომელიც მხოლოდ კათოლიკურობის ნიშნით იქნებოდა აღბეჭდილი, რადგან სწორედ მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მმართველობისას, რომელსაც ქრონოლოგიურად ემთხვევა ანთიმოზის მოღვაწეობა, ვლახეთი „გადაიქცა მართლმადიდებლობის ერთ-ერთ მთავარ კერად მთელ აღმოსავლეთში“.<sup>1</sup>

ჰერალდიკურ გვირგვინთან დაკავშირებით საინტერესო პარალელი იძებნება ევროპულ კლასიკურ ნორმებსა და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ გადმოცემულ ინფორმაციას შორის:

„იოანე:.. გვირგვინი პაპთა არს სამთა გვირგვინთაგან შედგმული.

აქაქმან: ძველადვე აქუნდა პაპსა ეს გუარი გვირგვინი?

იოანემ: არა, უწინარეს იგი იყო მარტივი მიტრა, ანუ ქუდი მრგვალო, ვითარცა სხვათა პატრიარხთა გარემოცული გვირგვინითა, გარნა პაპამან ბონიფანტემ<sup>2</sup> 1300 წელსა შინა დასმინა ანუ შესძინა კუალად მას გვირგვინსა მეორეცა გვირგვინი; ხოლო ვენედიკტემ,<sup>3</sup> მეთორმეტემ პაპამან, განაშვენა იგი კუალად მესამისა გვირგვინისა შეძინებითა.

აქაქმან: სხვაცა აქუს რამე ნიშანი მას გვირგვინისა ზედა?

იოანემ: ორნი გასაღებნი, ჯუარის სახედ მდებარენი ქუდსა მას ზედა“.<sup>4</sup>

ნოტრდამის უნივერსიტეტის ჰერალდიკური ლექსიკონის თანახმად, კათოლიკურ საეკლესიო გერბზე გვირგვინები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: პირველია პაპების გვირგვინი – ტიარა, მეორე – ეპისკოპოსის მიტრა (კათოლიკური მიტრა მართლმადიდებლურისგან განსხვავდება ფორმითაც და მფლობელთა საეკლესიო ხარისხების მიხედვითაც) და მესამეა საეკლესიო ქუდი. ეს უკანასკნელი ჯგუფი, ფერისა და ფორმის რაოდენობის მიხედვით, იყოფა რამდენიმე ქვეჯგუფად. დასავლეთის საეკლესიო ჰერალდიკაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მორთულობაა მღვდელმთავრის

1 *Роллер М.*, История Румынии. Москва, 1950, გვ. 184.

2 იგულისხმება პაპი ბონიფაციუს VIII (1294-1303)

3 იგულისხმება პაპი ბენედიქტ XII (1334-1342)

4 *იოანე ბატონიშვილი*. კალმასობა, წიგნი II. თბილისი, 1991, გვ. 240.

ფართოფარფლებიანი ქუდი, მას პრელატის შლაპას ან უბრალოდ მღვდლის შლაპასაც უწოდებენ.<sup>1</sup>

პირველი საეკლესიო შლაპა, როგორც განმასხვავებელი ნიშანი, კარდინალის ნითელი ქუდი იყო, რომელიც, საყოველთაოდ მიღებული ტრადიციის თანახმად, პაპმა ინოკენტი IV-მ (1243-1254 წწ.) კარდინალებს დიდი საზეიმო მსვლელობების დროს სხვა პრელატებისაგან გამოსარჩევად უბოძა. ნითელი შლაპა უნდა ახსენებდეთ კარდინალებს მათ ვალდებულებას, დაიცვან ეკლესია, თუნდაც თავიანთი სიცოცხლისა და სისხლის ფასად.

ქუდს, რომელსაც იღებდა კარდინალი, ძველი კლასიკური ფორმა კარგა ხნის წინათ დაეკარგა.

კარდინალის ქუდი ფორმით პილიგრიმის ფართოფარფლებიან ქუდს ჰგავს, ფარფლებში გაყრილი ორი ზონარი ფუნჯებით ბოლოვდება. ადრე ეს ზონრები შეკრული იყო ნიკაპქვეშ მოძრავი რგოლით ქუდის დასამაგრებლად.

უძველესი ფარფლებიანი ქუდის კლასიკური ფორმა სრულიად ბრტყელი და სატარებლად ძალიან მოუხერხებელი ყოფილა. პაპმა პავლე VI-მ (1963-1978 წწ.) შეცვალა ტრადიცია და ნითელი შლაპის ნაცვლად კარდინალებისთვის მოკლე ნითელი ქუდის გადაცემა შემოიღო.

კარდინალის შლაპა გერბზე, ფარზემით თავსდებოდა. ჰერალდიკაში მისი გამოყენება მე-14 საუკუნიდან დაიწყო და მე-15 საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა. მეჩვიდმეტე საუკუნიდან კი ინტენსიურად იყენებდნენ დაბალი წოდების სასულიერო პირებიც, ამასთან, კარდინალთა გერბებიდან გაქრა მიტრა. თავიდან არ იყო განსაზღვრული ზონრის ბოლოს ფუნჯების რიცხვი, ზოგჯერ ზონრები ფუნჯების გარეშეც გამოისახებოდა. 1832 წლიდან საბოლოოდ დადგინდა, რომ კარდინალების ქუდის ერთ მხარეს, ზონარზე, 15 ფუნჯი უნდა ყოფილიყო მიმაგრებული.

მე-17 საუკუნეში ჰერალდიკოსმა პიერ პელიოტმა ერთ-ერთმა პირველმა სცადა, დაედგინა საგერბო მუზარადებისა და გვირგვინების იერარქია და ფართოფარფლებიანი ქუდების გამოყენების წესის სისტემატიზაციაც სცადა. თუმცა პაპ პიუს X-ის (1903-1914 წწ.) მიერ ინსტრუქციის მიღებამდე მაინც ვერ მოხერხდა, საერთო კონტროლს

---

1 ნოტრდამის უნივერსიტეტის ჰერალდიკური ლექსიკონი Heraldic Dictionari [ონლაინნიგნი], განთავსებულია 1999 წლიდან; მის.: <http://www.nd.edu>.

დაქვემდებარებოდა დაბალი რანგის პრელატების მიერ ფართოფარ-  
ფლებიანი ქუდის გამოყენება.<sup>1</sup>

მაშასადამე, საეკლესიო ქუდის ჰერალდიკაში გამოყენებას სა-  
ფუძვლად უდევს კარდინალების წითელი ქუდი, რომელიც, როგორც  
სამოსის ნაწილი, გამოიყენება მე-13 საუკუნის შუა ხანებიდან. თვით  
ქუდის გაგზავნა, რა თქმა უნდა, იყო ცერემონიის მნიშვნელოვანი ნა-  
წილი. აქედან გამომდინარე, ქუდის ჰერალდიკაში წოდების აღმნიშ-  
ვნელად გამოყენება ლოგიკურია.

წითელი ქუდის გარდა, სხვა ფერის ქუდებიც გამოიყენება: მწვა-  
ნე ქუდი აქვთ პატრიარქებს, არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებსა და  
არქიაბატებს. პატრიარქის ქუდს აქვს 15 ფოჩი, როგორც კარდინა-  
ლის, მაგრამ პატრიარქის ქუდის ზონრები და ფოჩები ოქროთია მოწ-  
ნული. არქიეპისკოპოსის ქუდს აქვს 10 ფოჩი, ეპისკოპოსისას – 6 ფო-  
ჩი, თუმცა მეჩვიდმეტე საუკუნემდე ეპისკოპოსები ხმარობდნენ 10  
ფოჩს.

შავი ქუდი: ორდენების ხელმძღვანელებს ენიჭებათ ექვსი ფო-  
ჩი, სამი ფოჩი – კათედრალური ტაძრის წინამძღვართ, მიტრიან აბა-  
ტებს, ორი ფოჩი – ადგილობრივ წინამძღვრებს, მონასტრების წინამ-  
ძღვრებსა და რექტორს. ჩვეულებრივი მღვდლის საეკლესიო ქუდი  
შავია, აქვს იგივე ფორმა და თავდაპირველად ჰქონდა თითო იმავე  
ფერის ფოჩი თითოეულ მხარეზე, მოგვიანებით ორი ფოჩით შეიც-  
ვალა. მიუხედავად ამისა, ვატიკანი უბრალო მღვდლისათვის ცნობს  
შავ ქუდს, თითო ფოჩით.

იისფერი ქუდი აქვთ პაპის პალატის პრელატებს (10 წითელი  
ფოჩით თითოეულ მხარეზე) და პაპის პროტონოტარებს (6 წითელი  
ფოჩით თითოეულ მხარეზე). პაპის საშინაო პრელატებს, ნაზიარებ  
მმართველებსა და კაპელანებს აქვთ იისფერი ქუდი, 6 იისფერი ფო-  
ჩით. საპატიო მმართველებსა და კაპელანებს აქვთ იისფერი ქუდი,  
მაგრამ მხოლოდ სამი იისფერი ფოჩით.

არსებობს თეთრი ქუდის გამოყენების პრაქტიკაც.

ამავე დროს, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ეს წესები, ან-  
თიმოზისა და, მით უფრო, მოგილას მოღვაწეობის ეპოქასთან შე-  
დარებით, გვიანდელია. ასე რომ, XVII-XVIII საუკუნეებში ანთიმოზ  
ივერიელისა და კიევის მიტროპოლიტის, პეტრე მოგილას გერბებზე  
(მოგილას ეს გერბი შემონახულია 1639 წ. გამოცემულ წიგნზე) გამო-

1 Heim B.B., Heraldry in the catholic church. Buckinghamshire. 1978, გვ. 67.

სახული ქუდები კათოლიკურ საეკლესიო ხარისხებთან პარალელის გასავლებად არ გამოდგება.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პეტრე მოგილა მოლდავური წარმოშობისაა, სავარაუდოდ, მისი და ანთიმოზის გერბების ფარების ზემოთ გამოსახული ფარფლებიანი ქუდი იმ პერიოდის რუმინულ-მოლდავურ სამყაროში სასულიერო პირთა სამოსლისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო და იგი მხოლოდ კათოლიკური გერბების ელემენტს არ წარმოადგენდა, როგორც ეს მოგვიანებით მოხდა. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ ცნობილი რუსი ჰერალდიკოსი ალექსანდრ ლაკიერი მოგილას გერბზე გამოსახულ ქუდს მოლდავურს უწოდებს და არა კათოლიკურს („МОЛДАВСКОЮ шапкою коронован герб“).<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებოა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში არსებული ფრესკა, რომელზედაც გამოსახულია საერო ხელისუფალთა შეხვედრა სასულიერო პირებთან (სურ. 77). საეკლესიო მამების წინამძღოლს ზუსტად ისეთი ფართოფრთიანი ქუდი ახურავს, როგორც ანთიმოზ ივერიელისა და მოგილას გერბებზეა გამოსახული (ზონრისა და ფოჩის გარეშე). ეს ფრესკა მოხატულია მე-17 საუკუნის მიწურულს, 1678-88 წლებში.<sup>2</sup> მასზე გამოსახული არიან მე-4 საუკუნეში მეფე მირიანის მიერ საბერძნეთიდან საგანგებოდ მონვეული სასულიერო პირები. ფართოფრთიანი ქუდით შემოსილი პერსონაჟი ბერძენთა მეფის, კონსტანტინეს, გამოგზავნილი იოვანე ეპისკოპოსია.<sup>3</sup> ფაქტია, რომ მე-17 საუკუნის საქართველოში ასეთი ქუდი კათოლიკურ საეკლესიო ინსიგნიად არ ითვლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარად არ შემოსავდა ფრესკის ავტორი, როგორც ივანე ჯავახიშვილი უწოდებს, „ქართველთა მომნათველელ სამღვდელოებს“.<sup>4</sup> შესაძლოა, უცხოური სამოსლის ნაწილად ჩათვალა მხატვარმა ასეთი ქუდი და ამიტომ დაახურა თავზე საბერძნეთიდან მოსულ საეკლესიო მამას, რითაც ცვადა მისი უცხოური წარმომავლობის აღნიშვნა, ან გამოიყენა იგი მისი უპირველესი დანიშნულებით – შორი გზების მოსავლელად წასულ

1 *Лакиер А.*, Русская геральдика. М., 1990, გვ. 108.

2 *ბერიძე ვ.*, მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948, გვ. 141

3 „მოინია იოვანე ეპისკოპოსი და მის თანა მღვდელი და დიაკონნი და მოციქულნი მცხეთად“ (ქართლის ცხოვრება. თბ., 1955, გვ. 116).

4 *ჯავახიშვილი ივ.*, ქართველი ერის ისტორია, I, II. თბილისი, 1913, გვ. 180.

სასულიერო პირთა თავსარქმელად – იოვანე ეპისკოპოსი ხომ საბერძნეთიდან ჩამოვიდა, ამ თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა XIV-XV საუკუნეებით დათარიღებული წიგნის მინიატურაზე გამოსახული ბიზანტიის იმპერატორის, მიხაილ VIII პალეოლოგის (1224-1282), პორტრეტი,<sup>1</sup> რომელზეც გამოსახულ იმპერატორს თავზე ფართოფრთიანი ქუდი ახურავს, ასეთივე ქუდები ახურავთ ერთ-ერთი წიგნის მინიატურაზე იმპერატორ იოანე VI-სთან (1295 – 1383) ერთად გამოსახულ სასულიერო პირებსაც<sup>2</sup> – მსგავსი ფაქტები კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ თავდაპირველად ფართოფრთიანი ქუდის გამოყენების არეალი ფართო იყო და მას არ გააჩნდა მხოლოდ კათოლიკური საეკლესიო დანიშნულება.

ივერიელისა და მოგილას გერბების ქუდზე მიმაგრებული ორი ზონარი იმ თავსამკაულის (თავსაბურავი სარტყელი, რომელიც უკან იკვანძება) სიმბოლოა, რომელსაც პირველი ქრისტიანი მღვდელმსახურები ატარებდნენ და რომლისგანაც მომდინარეობს თანამედროვე მიტრა. სწორედ მის ერთმანეთისგან განსხვავებულ ფორმებს იყენებენ კათოლიკურ-ანგლიკანური და მართლმადიდებელი ეკლესიები. ჰ. გატერერის თანახმადაც, ჰერალდიკაში ქუდი ორი ზონრითა და დაკიდებული ფუნჯებით თავისუფლების, უპირატესობის, დამოუკიდებლობის სიმბოლო და, ამავე დროს, ქურუმთა და პირველმოდღვართა ნიშანია.<sup>3</sup>

მოგილას გერბებზე გამოსახული ქუდი პატრიარქ ნიკონის გერბზე, რომელიც, უდავოდ, მოგილას გერბის მიხედვითაა შექმნილი, აღარ ჩანს და მხოლოდ მიტრაა წარმოდგენილი, ხოლო „მოლდავური“ ქუდიდან მხოლოდ ფორიანი ზონრები რჩება. ეს ლოგიკურია, რადგან ზონრები მიტრისა და ყველა საეკლესიო თავსაბურავის წინამორბედის – პირველ ქრისტიან მოძღვართა თავსაბურავის უკან შეკრულ-შეკვანძულ ზონრებზე მიანიშნებს. მოგვიანებით შექმნილ რუმინულ საეპისკოპოსო და სამიტროპოლიტო გერბებსაც ასეთი ზონრები ამკობს.

ანთიმოზის გერბს ახლავს კიდევ ერთი დეტალი – პალმის გვირგვინი, რომელიც ფარის გვერდებსა და ქვედა ნაწილს აჩარჩოებს. ეს

1 *Дашков С.*, Императоры Византии. Москва, 1996, გვ. 283.

2 იქვე, გვ. 298.

3 *Гаттерер Х.*, Начертание гербоведения. Первое издание по теории геральдики, выпущенное на русском языке (1805) [ონლაინნიგნი]; მის.: [www.apress.ru/pages/greif/bib/httrr/](http://www.apress.ru/pages/greif/bib/httrr/).

გერბის ელემენტი არ არის, უფრო დეკორატიული დამატებაა, თუმცა მას მაინც გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვს: პალმის რტოების კომპოზიცია გერბის მფლობელის ღირსების ნიშნის ალეგორიაა. პალმა, ვ.ს. ვეიდის განმარტების თანახმად, დღეგრძელობის, მარადიულობის სიმბოლოა.<sup>1</sup> ეს დეკორატიული ელემენტი ანთიმოზ ივერიელის სხვა ნაწარმოებშიც გვხვდება: ამავე ტიპიკონის მე-6 ფურცელზე მინიატურაში გამოსახულ ანთიმოზის მიერ ბუქარესტში აგებული მონასტრის თავზე ღრუბლებში ამადლებულ ანგელოზებს ხელთ უპყრიათ პალმის რტოები.<sup>2</sup> პალმის რტოებითაა შემკული ანთიმის მონასტრის კედელზე ქვაში გამოკვეთილი ლოკოკინა. როგორც ჩანს, იმ ეპოქის რუმინეთის გლიპტიკაშიც გამოიყენებოდა პალმის რტოს მოტივი: ზუსტად ისეთივე პალმის რტოების მოჩარჩოება, როგორც ანთიმოზის გერბის ფარს აქვს, ამკობს რუმინეთის მთავრის კონსტანტინ მავროკოორდატის 1736 წლით დათარიღებულ საბეჭდავს.<sup>3</sup>

ანთიმოზის გერბი თავისთავად მაღალმხატვრული დონის ნაწარმოებია, როგორც გრაფიკული ოსტატობის, ისე ჰერალდიკის თვალსაზრისით, თუმცა მის შესახებ წარმოდგენა ნაკლები იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ორნამენტების თვალისმომჭრელ სილამაზეს, რომლის ჩარჩოსა და წრეშიც მოთავსებულია გერბი. ჩარჩო ორ სიბრტყედ, ბაგეტისებურად კრავს წრეს. პირველი, გარემოჩარჩოება უფრო ფართო ჩუქურთმებით ოთხი წითელი ვარდისა და წვრილი ფოთლების დეკორისგან შედგება. შიდაჩარჩო გარეთას ფოთლების დეკორს შემცირებული მასშტაბით იმეორებს და პერსპექტივის განცდას ქმნის. ამ ხერხით კვადრატული გარეჩარჩო და შუაში ჩახატული წრე აქცენტს მიმართავს გერბისკენ. რომლის ორივე მხარეს, წრის ზედა ნახევრის სივრცეში, იკითხება: A.I.M.V. ანუ Antim.Ivireanu.Mitropolitului.Valachie.

გერბის ბლაზონირების თავისებური წესი, რომელიც ახასიათებს ანთიმოზის საგამომცემლო სკოლას, გულისხმობს გერბის ემბლემატიკური ენის სიტყვიერი ენით ინტერპრეტირებას. ეს წესი პირველი ქართული ნიგნების ბეჭდვისასაც მკვიდრდება ქართულ სასტამბო პრაქტიკაში, ბაგრატიონთა გერბის სიმბოლიკის ლექსის ფორმით განმარტებების სახით.

1 *Wade W. C., The Symbolisms of Heraldry or A Treatise on the Meanings and Derivations of Armorial Bearings.* London, 1898, [ონ-ლაინ ნიგნი] ; მის.: [www.digiserve.com/heraldry](http://www.digiserve.com/heraldry)

2 *Biserica ortodoxa Romina.* 8-9. București, 1956, გვ. 819.

3 *Dogaru M., Din Heraldica Romaniei.* București, 1994, გვ. 55.

ანტიმოზის გერბს ერთვის ძველი რუმინული წარწერა, რომელიც შესრულებულია ძველი სლავური ანბანითა და ქარაგმებით.<sup>1</sup> იგი ასე იკითხება რუმინულად:

*Toată suflarea, zice prorocul,  
Cînte pre Domnul peste tot locul.  
Și melcul, încă, coarne înalță,  
Ca să-L lăudăm, pre tomi ne-nvamî.*

მისი ქართული პნკარედია:

*ყოველი სული, ამბობს წინასწარმეტყველი,  
აქებდით უფალსა, ყოველსა ადგილსა,  
და ლოკოკინა რქებს ამაღლებს,  
ყველას გვასწავლის, რომ ვაქებდეთ მას (უფალს).*

მაშასადამე, ანტიმოზის ჰერალდიკურ მეტაფორას, როგორც მოსალოდნელი იყო, ქრისტიანული სემანტიკა აქვს და მის ინტერპრეტირებას ბიბლიური წინასწარმეტყველი მეფის, დავითის 150-ე ფსალმუნი უნდა დავუდოთ საფუძვლად. ეს გერბი არ არის ანტიმოზი ივერიელის წინაპრების ისტორიის მატთანე, მასზე არც ანტიმოზის მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანი ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი ასახული. იგი, ჰერალდიკური, აზრობრივი, მხატვრული, რელიგიური თვალსაზრისით, უაღრესად დახვეწილი „ავტოპორტრეტი“, ერთგვარი აღსარებაა, რომელიც სიკვდილამდე 3 წლით ადრე ანდერძივით დაუტოვა მომავალ თაობას საკუთარი მონასტრის ტიპიკონზე. ამ ხელნაწერს მართლაც „ანტიმის ანდერძს“ უწოდებენ.<sup>2</sup> ანტიმოზის გერბზე გამოსახული ლოკოკინა, ზემემართული საცეცებით, უფლისადმი ქების აღვლენის ჩუმი და მოკრძალებული სიმბოლოა.

ბუქარესტის ანტიმოზი ივერიელის მონასტრის ბერების აზრით, ლოკოკინა ბერის სიმბოლოა, ნიჟარა კი – ბერის სენაკის. ბერი თავის სულიერ სიმშვიდესა და განწმედას კელიაში პოულობს. მაშინაც

1 წარწერა თარგმნეს, ანტიმის მონასტრის ბერების თვალსაზრისის შესახებ ცნობა და ანტიმის მონასტრის კედელზე ამოჩუქურთმებული ლოკოკინის ფოტო მოგვანოდეს თეოლოგმა ალექსი ქმუტაშვილმა და რუმინელმა ჰერალდიკოსმა ტუდორ-რადუ ტირონმა.

2 *Джинджихашвили Ф.*, Антимоз Ивериели. Тбилиси, 1967, გვ. 128.

კი, როცა ბერი სენაკიდან გარეთ გამოდის, მას თავისი სულიერი სიმშვიდე და სულიერი სამყარო თან დააქვს. ამავე დროს, ნიჟარა სპირალის ფორმისაა, რაც სულიერი ზრდისა და აღმავლობის სიმბოლოა.<sup>1</sup>

ისე წარიმართა ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება, რომ მან მრავალი საცხოვრებელი გამოიცვალა. როგორც ჩანს, საკუთარი სურვილით არც ერთ სახლს არ ტოვებდა. ჯერ იყო და, სიჭაბუკეში ფეხმედგმული მოიტაცეს საქართველოდან, მერე კონსტანტინეპოლიდან წაიყვანეს რუმინეთის მთავრის მოთხოვნით. სწავლაში მის მიერვე დაარსებულ მონასტერშიც ინტრიგა მოუწყვეს და იქიდან წასვლა აიძულეს. არც რომინკის საეპისკოპოსოსთან განშორება ყოფილა მისი სურვილი. მოგვიანებით დიდი საეკლესიო მამა და საზოგადო მოღვაწე უნგრო-ვლახეთის სამიტროპოლიტო სასახლიდან გამოიყვანეს და დილეგში ჩასვეს, ბოლოს სასულიერო პირისთვის ამქვეყნად ყველაზე საიმედო სახლისკენ – სინას მთის მონასტრისკენ მიმავალი ბერი მონამებრივად აღესრულა... ყველა სახლი ვალმოხდილმა დატოვა. „იმ შვიდი წლის განმავლობაში, როდესაც იქ ვმუშაკობდი, არც ისე ცოტა გავაკეთე ჩვენი სავანის წარმატებისათვის... ჩემი დაღვრილი ოფლის ნყალობით. ჩემ მაგივრად ჩემი საქმეები ღალადებენ... მიუხედავად ყველაფრისა, მე იქიდან წამოვედი ღირსებით, თუმცა არავის მადლობა არ გადაუხდია იმ ყველაფრისთვის, რაც გავაკეთე და ვამრავლე ჩვენი სახლის დიდება. მე არარა გამიფუჭებია და, ღმერთი ხედავს, ვალი არ მომყვება“<sup>2</sup> – სწერდა ანთიმოზი რუმინეთის მთავარს სწავლის მონასტრიდან წამოსვლისას. მას მუდამ თან სდევდა განცდა, რომ საკუთარ მიწაზე, ე.ი. საკუთარ სახლში არ იმყოფებოდა, იგი ყოველთვის ახსენებდა საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ სხვა ქვეყნიდან იყო მოსული: „მე უცხო ქვეყნიდან მოსული ვარ და მიზანშეუწონელია, რომ მიტროპოლიტი გავხდე“<sup>3</sup> – ეს ერთ-ერთი არგუმენტი იყო, რის გამოც ანთიმოზს „თავი არ ეღირსებოდა“ მიტროპოლიტის ტახტზე ასასვლელად. ანთიმოზი განზოგადებული სახეა ქრისტეს მრწამსით განმსჭვალული ყარიბი მწირისა, რომელმაც, სიჭაბუკეში მშობლიურ სახლს მოწყვეტილმა, ქვეყნიდან ქვეყანაში იხეტიალა და ამ მოგზაურობისას ლოკოკინასავით თან ატარა საკუთარი სახლი, სახლი რწმენისა, სახლი ქრისტეს ერთგულებისა.

1 ალექსი ქმუტაშვილის ზეპირი ნათქვამის მიხედვით.

2 *Джинджихашвили Ф.*, Антимоз Ивериели. Тбилиси, 1967, გვ. 16.

3 იქვე.

დაკარგული სამშობლოს თემა ლაიტმოტივად მიჰყვება ანთიმოზის მიერ დაბეჭდილ საეკლესიო წიგნებს, რომელთა ბოლოს ხშირად ჩნდება მესტამბის „ბოლოთქმა სტრიქონები“. ნიშანდობლივია ჯერ 1697 წელს სნაგოვოში, შემდეგ იმავე პერიოდის გამოცემებსა თუ ხელნაწერებში გამოქვეყნებული ლექსი რუმინულ ენაზე, რომელიც მიხაილ იშტვანოვიჩს ქართული ასოებით თბილისში 1710 წელს დასტამბულ „კონდაკში“ გადმოაქვს (სურ. 14). ლექსის პნკარედი ასეთია:

*„ვითარცა უცხოეთში მყოფთ ენატრებათ სამშობლოს ნახვა  
ისე, რომ ვერც კი ჩერდებიან ადგილზე,  
როდესაც სხვა ქვეყნად არიან,  
და როგორც ზღვად მავალნი, ქარიშხლით გატანჯულნი  
ევედრებიან ღმერთს, მოევლინოთ მათ მშვიდი დღეები,  
ასევე მესტამბეც, დაასრულებს რა წიგნის ბეჭდვას,  
მარადიულ დიდებასა და მადლიერებას შესწირავს ღმერთს“.<sup>1</sup>*

ამრიგად, ანთიმოზ ივერიელი, საქართველოდან რუმინეთში გადახვენილი დიდი საეკლესიო მამა, ღრმად განსწავლული ყოფილა ჰერალდიკის რთულ პრინციპებსა და გერბის შექმნის ფილიგრანულ ხელობაში. მან საქართველოში არამარტო სასტამბო საქმის, არამედ ჰერალდიკის „კეთილშობილი ხელოვნების“ შემოტანის, მისიაც დააკისრა თავის მოსწავლეს.

---

1 პნკარედი შეასრულა ალექსი ქმუტაშვილმა

## ჰერალდიკური პარალელები

საქართველოში ანტიმოზ ივერიელისა და მისი მოსწავლის სახელს სასტამბო საქმის განვითარების კვალდაკვალ ჰერალდიკის განვითარებაც უკავშირდება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირველი ქართული გერბები საქართველოში იმტვანოვიჩის მიერ დასტამბულ წიგნზე გვხვდება, არამედ ამ გერბების ფორმის, არქიტექტონიკისა და ორნამენტული მორთულობის ტიპოლოგიური პარალელების არსებობაც რუმინულ, კერძოდ, ანტიმოზის მიერ დაბეჭდილ წიგნებზე არსებულ შესაბამის ტიპოგრაფიულ ნიმუშებთან.

პირველად ბაგრატიონთა გერბი 1709 წელს დასტამბულ „სამოციქულოში“, თავფურცლის მეორე გვერდზე (სურ. 15) დაიბეჭდა. უფრო ადრინდელი საქართველოს სამეფო გერბების არსებობა მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან დასტურდება, მაგრამ ეს ნიმუშები არაქართულ ისტორიულ წყაროებშია დაცული: რუსეთის მეფის ალექსეი მიხეილის ძის 1672 წლის „ტიტულიარნიკსა“ (სურ. 16) და დიპლომატ კორბის (სურ. 17) 1698-99 წწ. დათარიღებულ დღიურში. მათ არაფერი აკავშირებთ საქართველოში დაბეჭდილ პირველ გერბთან. „ტიტულიარნიკში“ მოთავსებულ „ქართლის, ქართველ მეფეთა“ გერბზე გამოსახულია მარცხნივ შებრუნებული შეაბჯრული ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც შუბით განგმირავს ცხენის ფეხთან მიწაზე გართხმულ გველშაპს. „საერთოდ „ტიტულიარნიკში“ ქართული გერბების შეტანა გამოძახილია რუსეთ-საქართველოს შორის ელჩობათა იმ გახშირებული გაცვლისა, რომელიც XVII საუკუნეში ჰქონდა ადგილი. ქართველი მეფეები ჩრდილოელ მეზობელთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებას ცდილობდნენ, ზოგი ვასალობასაც კისრულობდა, ასე რომ, გარკვეული საფუძველი რუსეთის მეფის ტიტულში საქართველოს მოხსენიებისა, შესაძლოა, მართლაც იყო“.<sup>1</sup> აქვეა დაბეჭდილი ჩრდილოეთი მიწებისა და ივერიის გერბები (ცხენი და ისრებგაყრილი აალელებული მთა).

ქართულ ჰერალდიკაში საინტერესო მოსაზრება არსებობს იმის თაობაზე, რომ ბაგრატიონთა გერბის ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშთან უძველესია კახეთის მეფის ლევან I-ის (1518-1574 წწ.) მეუღლის –

1 ასათიანი თ., ქართული გერბთმცოდნეობა. თბ., 2002, გვ. 13.

დედოფალ თინათინის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი გერბი (სურ. 18), რომელსაც ქრონოლოგიურად მოსდევს იმერეთის მეფის – ალექსანდრე III-ის (1639-1660 წწ.) მეუღლის თამარ დედოფლის გერბი.<sup>1</sup> ორივეზე ბაგრატიონთა გერბის ემბლემებია დატანილი. ეს ცნობა ქართული ჰერალდიკის ქრონოლოგიას საუკუნე-ნახევრით წინ მაინც გადასწევდა, მიკვლეული რომ ყოფილიყო უტყუარი წყარო, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ თინათინის საფლავის ქვა XVI საუკუნის დროინდელია და, შეუძლებელია, ძველი ქვა მოგვიანებით ახლით (რომელზეც გერბია გამოსახული) შეეცვალათ. ასეთი წყაროს გარეშე ამ გერბის დათარიღება მთლად სანდო არ არის ისევე, როგორც სოლომონ III-ის მეუღლის გერბის სანდოობა დაგვაეჭვებს ამ გერბის პირველწყაროს მიუთითებლად. (მ. ვაძბოლსკის წიგნი, რომელსაც ეყრდნობა ისტორიკოსი ი. ბიჭიკაშვილი თამარ დედოფლის გერბის შესახებ მსჯელობისას, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში პირველად დოკუმენტად ნამდვილად ვერ გამოდგება, რადგან არც ვაძბოლსკი უთითებს წყაროს, მის წიგნში მხოლოდ ავტორის მიერ შესრულებული ნახატია გამოქვეყნებული).

მართებულად შენიშნა აკაკი შანიძემ, როდესაც ვახტანგის სტამბის წიგნებში გერბის მოთავსების წესი რუმინული გამოცემების გავლენით ახსნა.<sup>2</sup> დავით წინასწარმეტყველის შურდული და ქნარი – გერბის ეს უმთავრესი ელემენტები ზუსტი გამომსახველობითი ნიშნებია ბაგრატიონთა ბიბლიური წარმოშობის მისანიშნებლად, ხოლო ქრისტეს კვართის სიმბოლიკას (რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სინშინდის – უფლის სამოსლის საქართველოში არსებობის ფაქტს უკავშირდება) საქართველოში უკვე ჰქონდა გლიპტიკური ანალოგები ქართველ კათოლიკოსთა საბეჭდავებზე გამოსახული სიუჟეტის სახით, რომ აღარაფერი ვთქვათ არსებულ რელიგიურ, ისტორიულ-ლიტერატურულ და სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ ტრადიციებზე.

ბაგრატიონთა გერბის ავტორმა მისი შინაარსობრივი მხარის გადმოსაცემად სწორედ ეს ორი მომენტი: ბაგრატიონთა წარმომავლობა და საქართველოში უფლის კვართის არსებობა გამოიყენა,

1 ბიჭიკაშვილი ი., ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის საგვარეულო ჰერალდიკა. კრებ. ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003, გვ. 476.

2 შანიძე ა., ქართული სტამბის ისტორიისათვის, თბ., 1935, გვ. 157.

ფორმის შესაქმნელად კი – რუმინული წიგნის გრაფიკაში უკვე დამუშავებული კლიშეები.

როგორც ცნობილია, 1709 წელს თბილისში პირველი ქართული წიგნები ამ თანამიმდევრობით დაისტამბა: „სახარება“, „დავითნი“ და „სამოციქულო“. პირველ ორში არ არის დაბეჭდილი გერბი, ხოლო მესამე წიგნიდან – „სამოციქულოდან“ მოყოლებული ყოველი გამოცემის თავფურცლის მეორე გვერდზე ვხვდებით ბაგრატიონთა სამეფო გერბის ამა თუ იმ ვარიანტს ნაბეჭდ წიგნებში გამოყენებულია სულ 3 სხვადასხვა ვარიანტი (სურ. 15, 19, 20). მათგან პირველი და მესამე დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

1709 წლის „სამოციქულოში“ გერბის ქვემოთ ასომთავრულით დაბეჭდილია ლექსი, რომელიც გერბის ბლაზონირებას გვთავაზობს:

*გასინჯეთ ბეჭდის იგავი, მსმენნო ნუ გაქუან წყინება  
ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის  
თუმც რაზედ იყო სმინება  
ქრისტესა მოასწავებდა ვინ დახსნა ცრემლთა დინება  
დავითის ტომით ხორცთ შესხმა  
თუ ვითარ მხსნელმა ინება.  
ამ შურდულითა დავით სძლო გოლიათ არ თუ ზავებდა  
ლომნი ტახტისა სოლომონს  
შვიდს სიბრძნეს მოასწავებდა  
მხსნელი ვინ აღთქმას უდებდა  
ქმნულთ ეგრე გაუთავებდა  
ვით ძალედვა და შეგვანდა მის მტერზედ ეგრე დავებდა  
როს მხსნელმა სათნო იჩინა ქალწულის მუცლად ლებანი  
მით უყო წარმართ ყოველთა ამ საქმით განათლებანი  
ჯუარცმით გამოხსნით ყოველთ  
სულთა უყო მის ქმნისა ნებანი  
განკურნა წყლულნი უნამლო რომელი გვჭირდა სნებანი.  
ოდეს უქსოვა ქალწულმან  
მხსნელს კვართი ქსელით გდებული  
იგი ელიოზს წილად ხვდა მოვიდა ქართლად რებული  
სად არის სახლად უფლისად სვეტი ცხოველი გებული  
აქა ძეს ჩუენთვინ სულთა ხსნად კურნებად იმედებული  
ქართველთ მეფენი დავითის გვარ ტომით მოდგამობითა  
თვით ყოველად წმინდა უბინო არის მათ ძირთგან შობითა  
ვართ მისთვინ წილად ხდომილნი და მისის იმედობითა  
ამად არ ვიქმნათ უხილავთ მტერთაგან ლახვარ სობითა*

სტამბას ბეჭდავდნენ ფრანგნი და  
რუსნი და მერე ვლახელნი  
აქ არსად იყო აროდეს. ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი.  
გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი.

სრული სახით ლექსი დაბეჭდილ გერბებს ერთვის 1709 წლის „სამოციქულოსა“ და 1712 წლის „ვეფხისტყაოსანში“.

ნიგნებში მოთავსებულ ბაგრატიონთა გერბების უმრავლესობაზე ვხვდებით ორ ასომთავრულ წარწერას. ერთი ფსალმუნიდან ამოღებული ფრაზაა: „ეფუცა უფალი დავითს ქემშარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“<sup>1</sup>, ხოლო მეორე – იოანეს სახარებიდან: „კვართი იგი რომელი იყო უკერველ ზეით გამოქსოვილ ყოვლად“<sup>2</sup>. ეს ფრაზები, ერთი მხრივ, საბეჭდავებზე გავრცელებული ტრადიციის გაგრძელებაა, მეორე მხრივ, ჰერალდიკურ დევიზადაც შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა, რასაკვირველია, არა – კლასიკური გაგებით.

ინტენსიურად ჰერალდიკური დევიზი, განსაკუთრებით, XVIII საუკუნიდან გამოიყენება. დევიზები, შინაარსის მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

1. პირადი დევიზი;
2. საგვარეულო დევიზი;
3. სახელმწიფო დევიზი;
4. ისტორიული პროვინციების დევიზი;
5. იმ ძველი სახელმწიფოების დევიზი, რომელთაც დამოუკიდებლობა დაკარგეს;
6. ეროვნული ავტონომიების დევიზი;
7. კორპორაციული დევიზი;
8. საბრძოლო მონოდეზა;
9. სახელმწიფო მეთაურთა დევიზი, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა პირად და საზოგადო დევიზებად;
10. სასულიერო პირთა დევიზი;
11. სასულიერო ორდენებისა და მონასტრების დევიზი;
12. ქალაქების დევიზები;
13. სამხედრო დევიზები;

ბაგრატიონების გერბის „დევიზები“ ავსებენ ემბლემათა სიმბოლურ სემანტიკას. ფსალმუნიდან ფრაზა აღნიშნავს ბაგრატიონთა

1 ფსალმუნი, 131:11.

2 მათეს სახარება, 19:23.

გვარის ბიბლიურ წარმომავლობას. „ღმერთმა დავით წინასწარმეტყველის მოდგმას აღუთქვა სამეფო „საყდრის“ ანუ ტახტის სამარადისოდ დამკვიდრება; ცხადია, ეს აღთქმა ბაგრატიონთა გვარეულობაზედაც უნდა გავრცელებულიყო“.<sup>1</sup>

ბაგრატიონთა გერბის პირველსავე ვარიანტში, რომელიც დაბეჭდილია „სამოციქულოში“ (1709 წ.), თვალსაჩინოა მსგავსება ანთიმოზ ივერიელის წიგნებში დასტამბულ რუმინეთის სამეფო გერბის მრგვალი ფორმისა და მედალიონისებრი მოჩარჩოების მქონე ფართან (სურ. 24). ეს მედალიონისებრი წრე ზემოთ იხსნება და ფოთლოვანი ორნამენტული ღეროთი უკავშირდება გადაჯვარედინებულ ხმალსა და სამეფო სკიპტრას, რომელთა ზემოთ ჯვრით შემკული სამეფო გვირგვინია მოთავსებული. ბაგრატიონთა გერბის I ვარიანტის ფარი ზუსტად იმეორებს რუმინული გერბის ფორმას. ისიც მრგვალია, მედალიონისებრი მოჩარჩოებით, რომლის წრიული ზოლი ზემოთ იხსნება და პატარა ორნამენტული ღეროთი ჯვრით შემკობილ გვირგვინს უკავშირდება. ფარის ზემოთ, გვირგვინის მარჯვნივ და მარცხნივ, სამეფო სკიპტრა და მახვილია; რუმინული ფარისგან განსხვავებით, სკიპტრა და მახვილი გადაჯვარედინებული არ არის.

რუმინული გერბის ფარისმტვირთველნი ბუკის მცემელენი არიან,<sup>2</sup> რომლებიც ფარის ირგვლივ შემოვლებულ ფოთლოვან ორნამენტში ეწერებიან. ფარი ეყრდნობა ფრთიანი ანგელოზის თავის გამოსახულებას, რომელიც ფოთლოვან ორნამენტებთან ერთად შეიძლება გერბის კომპორტირად მივიჩნიოთ. ბაგრატიონთა გერბის ფარისმტვირთველენი ოთხი ფრთიანი და შარავანდედიანი ანგელოზია. ბაგრატიონთა გერბის ზემოთ და ქვემოთ ოთხ-ოთხი ასომთავრული ასოა: წ ღ დ პ / მგ ყს. ამგვარივე კომპოზიციური განლაგებითა და რაოდენობითაა რუმინულ გერბზე ასოები: **IK BV / DD LP**. პირველი – საქართველოს მეფე გიორგის, ხოლო მეორე ვლახეთის მთავარ იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიანიშნებს.

ანთიმოზის წიგნებში დაბეჭდილი ბრინკოვიანუს გერბი მოთავსებულია ოთხკუთხა ყვავილოვან ორნამენტულ ჩარჩოში, რომლის ოთხივე კუთხეში ჩახატულია ანგელოზთა თავები. ეს ჩარჩო თავისი ორნამენტული წნულითა და ანგელოზების თავის გამოსახულებებით ზუსტად გადმოტანილია 1709 წელს „სამოციქულოში“ დასტამბულ ბაგრატიონთა გერბის პირველ ვარიანტში, თანაც თითქმის ისევე

1 *შარაშიძე ქ.*, პირველი სტამბა საქართველოში; თბ.; 1955; გვ. 119.

2 *Biserica ortodoxa Romina*. 8-9. București, 1956, გვ. 722.

ოსტატურადაა შესრულებული, როგორც ანთიმოზის წიგნზე. ასეთივე, თუმცა უკვე ძალიან პრიმიტიული ხელით შესრულებულ ჩარჩოს ვხვდებით ბაგრატიონთა გერბის მესამე ვარიანტში, რომელიც დაბეჭდილია 1720 წლის „პარაკლიტონში“.

ამ ოთხკუთხა ყვავილოვან მოჩარჩოებას აქვს კიდევ ზედა მოჩარჩოება, რომელიც ბაგრატიონთა გერბის სამივე ვარიანტის გამოსახულებას ახლავს (მესამე ვარიანტში ოდნავ განსხვავებულადაა გამოყენებული ეს დეკორი). ამ ჩარჩოს პატარა, პნკალის მსგავსი, ორნამენტული ელემენტის სხვადასხვა კონფიგურაცია ქმნის. ეს პატარა ჩუქურთმა ძალიან ხშირად გამოიყენება ანთიმოზის მიერ რუმინეთში, კერძოდ, სანაგოვოში, დასტამბული წიგნების შესამკობად (მაგალითად, 1697 წელს დაბეჭდილი ანთოლოგია და ევანგელე). ეს კლიშე, როგორც ჩანს, ძალიან გავრცელებული იყო ევროპულ სასტამბო ხელოვნებაში და, ანთიმოზისა და მისი მოსწავლის წყალობით, იგი ქართული ნაბეჭდი წიგნების სამკაულადაც იქცა. ეს ორნამენტული თემა დიდხანს გამოიყენებოდა ქართული ნაბეჭდი წიგნების შესამკობად არა მხოლოდ იმტვანოვიჩის თბილისში მოღვაწეობის დროს, არამედ მოგვიანებით, XVIII საუკუნის ბოლოსაც. მაგალითად გამოდგება 1786 წელს დაბეჭდილ სახარებაზე გამოსახული ბაგრატიონთა გერბის მორთულობა.

ანთიმოზ ივერიელის წიგნებში, როგორც წესი, იბეჭდება რუმინელ მთავართა გერბები, რომლებიც ორნამენტული მორთულობით განსხვავდება ერთმანეთისგან. მართალია, ფარი და მასზე დატანილი ნიშნები უცვლელი რჩება, მაგრამ ისინი მაინც ინდივიდუალური მხატვრული ღირსების მქონე ნაწარმოებებია. მაგალითად, 1693 წელის ბერძნულ-რუმინულ ევანგელეში დაბეჭდილი გერბის ფარის გარემორთულობა უფრო რთულია, იგი თავისი არქიტექტონიკით უახლოვდება დასავლეთევროპულ ჰერალდიკურ ნაწარმოებს (სურ. 25). გერბზე არის გვირგვინი, მუზარადი. მუზარადის ემბლემას წარმოადგენენ სირინოზები, რომლებიც, როგორც წესი, ფარისმტვირთველებად უფრო გამოიყენებიან ხოლმე. არის ლამბრეკენი და ფარისმტვირთველი ორი ანგელოზი. ფარი ოვალურია (მე-18 საუკუნის დამდეგს გავრცელებული იყო ფრანგულ ჰერალდიკაში), ფარის უკან ფარისმტვირთველებს მახვილი და სკიპტრა უპყრიათ.

რუმინული (უფრო ვლახეთის) გერბის ფარზე დატანილი ნიშნები სამი საუკუნით ადრე ჩნდება ევროპულ ისტორიულ წყაროებში. რა თქმა უნდა, რუმინეთის მთავართა გერბის ავტორი ანთიმოზ ივერი-

ელი არ არის, თუმცა მან რუმინელ მთავართა ჰერალდიკურ ნიშნებს სათანადო ფორმა მისცა და დაბეჭდა მის მიერ დასტამბულ ნიგნებში. მეტიც: როგორც აღვნიშნეთ, ანთიმოზის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის „ძველი და ახალი აღთქმის სახეები“ ხელნაწერის მეორე გვერდზე გამოსახულია ანთიმოზის ხელითვე შესრულებული რუმინეთის სახელმწიფო გერბი. რაც შეეხება ბაგრატიონთა სამეფო გერბს, ის, პირველ ნაბეჭდ ნიგნებში დასტამბული სახით (და ფაქტობრივად, ეს გერბები პირველად აქ გვხვდება, უფრო ადრინდელი ნიმუშები არ მოგვეპოვება), ნამდვილად ანთიმოზის ტაოგრაფიულ სკოლასა და მის მოსწავლეს – მიხაილ იშტვანოვიჩს უკავშირდება.

როგორც ითქვა, საქართველოში დასტამბულ პირველ ორ ნიგნში არ ჩანს გერბი. თბილისში დაბეჭდილ ნიგნთაგან რიგით მესამეა „სამოციქულო“, რომელშიც პირველად გამოჩნდა ბაგრატიონთა გერბი. აშკარაა, მიხაილ იშტვანოვიჩი და სხვა ოსტატები მის შექმნაზე უფრო დიდხანს მუშაობდნენ, ვიდრე სხვა გრაფიკულ ორნამენტებზე (მათგან ბევრი გამზადებული კლიშე, შესაძლებელია, რუმინეთიდან ჩამოიტანეს).

ბაგრატიონთა სამეფო გერბი არ იყო მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ჰერალდიკური ნაწარმოები, მან, ფაქტობრივად, დასაბამი მისცა საქართველოში ჰერალდიკის განვითარებას. თუ გავითვალისწინებთ მასზე გამოსახული ემბლემების სემანტიკის ღრმა კავშირს ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების განვითარების ისტორიასთან, მაშინ „სამოციქულოში“ დასტამბული გერბი განუზომლად დიდ მნიშვნელობას იძენს. ქრისტეს კვართის თემა, როგორც აღინიშნა, ქართულ სახვით ხელოვნებაში, კერძოდ, გლიპტიკაში, მანამდეც არ იყო უცხო, მაგრამ ბაგრატიონების გერბზე კვართის გამოსახვა საფლავეში განსვენებული ელიოზის დის გარეშე საგანგებოდ მიუთითებს უფლის მიერ საქართველოს, როგორც ქვეყნის, სახელმწიფოს, გამოორჩევის იდეას. კათოლიკოსთა საბეჭდავებზე კი უფლის სამოსლის მისტერია გადმოიცემა საფლავეში განსვენებული ქალის მეშვეობით, რომელსაც გულში აქვს ჩახუტებული წმინდა სამოსელი. შინაარსობრივად კონკრეტული განზოგადდება. ამასთან ერთად, ჰერალდიკის პრინციპებიდან გამომდინარე, საბეჭდავებზე გამოსახული სიუჟეტური კომპოზიციიდან გერბზე კვართის გამოსახულებამდე პერიოდი უნდა მივიჩნიოთ საქართველოში ჰერალდიკის განვითარების

საწყის ეტაპად. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ ანთიმოზ ივერიელისა და მისი სკოლის სახელს უკავშირდება.

ამრიგად, ჰერალდიკა იმ კულტურულ ფასეულობათა რიგს განეკუთვნება, რომელთა წარმოშობა ევროპულ სივრცესთან არის დაკავშირებული. ჩვენს ქვეყანაში მისი შემოტანისა და დანერგვის მცდელობა ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნიუანსია საქართველო-ევროპის ურთიერთობის ისტორიაში. ანთიმოზ ივერიელის დახმარებით, ვახტანგ VI-ის მიერ საქართველოში სტამბის მოწყობა ქართული კულტურის განსაკუთრებულ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების კონტექსტით ჩვენამდე მოღწეული ბაგრატიონთა პირველი ნაბეჭდი გერბი ქართულ-ევროპულ კულტურათა დიალოგის ქრილში შემდგარი სინთეზია.

ქართული კულტურის უნიკალურობას ისიც განაპირობებდა, რომ იგი, ერთი მხრივ, მუდამ ღია იყო უცხო ფასეულობების მიმართ, მეორე მხრივ, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კულტურული დინებების ფონზე ახერხებდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ბაგრატიონთა გერბის შექმნა ევროპული ჰერალდიკური ფორმების, მაშასადამე, ინოვაციებისა და ქართული ტრადიციული ისტორიულ-კულტურული შრეების შერწყმის საუკეთესო მაგალითია. ამ არტეფაქტის დეტალური განხილვის შედეგად აშკარად ჩანს ევროპული ჰერალდიკის, კერძოდ, რუმინული სკოლის გავლენა, რომელმაც ქართველ კათოლიკოსთა საბეჭდავებზე გლიპტიკის ენაზე გადმოცემული რელიგიურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობრივი პოსტულატები ქართული კულტურისთვის ახალი – ჰერალდიკური გამომსახველობითი ხერხებით – უფრო მკაფიო და მასშტაბური ფორმით გამოხატა.

## ქრისტეს კვართი „გერბების საერთო კრეაზულში“

როგორც აღინიშნა, ევროპის ქვეყნების სახელმწიფო გერბებს საფუძვლად უდევს მმართველი დინასტიების საგვარეულო გერბები. ასეთივე პრინციპი ჩანს ქართულ რეალობაშიც, ვიდრე საქართველო დამოუკიდებლობას დაკარგავს...

უკვე აღვნიშნეთ, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულება. მეფე ალექსი მიხეილის ძის „ტიტულიარნიკში“ (1672 წ.) დაბეჭდილ გერბზე ჩანს ცხენზე ამხედრებული შეაბჯრული წმ. გიორგი. ამავე ეპოქას ეკუთვნის ავსტრიელი დიპლომატ კორბის დღიურში (1698-1699 წწ.) აღბეჭდილი გერბი, იდენტური გამოსახულებით. ორივე ქართლის გერბია. პეტრე პირველის დიდ სახელმწიფო ბეჭედზე ჩამოთვლილ ქვეშევრდომ სამეფოებს შორის ნახსენებია ივერია, ქართლი და საქართველო. პეტრებურგში, ერმიტაჟში, დაცულ რუსეთის სახელმწიფო დროშაზეც, რომელიც დათარიღებულია 1742 წლით (სურ. 26), გამოსახულია იგივე გერბები: ამხედრებული წმ. გიორგი, რომელიც გველემაპს განგმირავს (ქართლის, საქართველოს მეფეთა) და ისრებგაყრილი აალებული მთა (ივერიის მიწების).<sup>1</sup>

საქართველოში წმინდა გიორგის განსაკუთრებულმა პოპულარობამ განაპირობა მისი გამოსახულების გაჩენა გერბზე, რომელსაც უცხოური წყაროები სახელმწიფო გერბს უწოდებენ? რატომ არ ჩანს მასზე მმართველი დინასტიის ნიშანი? არსებობდა რაიმე ემბლემატიკური კავშირი წმ. გიორგის სფრაგისტიკულ-ჰერალდიკურ გამოსახულებასა და ბაგრატიონთა დინასტიას შორის? ადრე ნახსენები გიორგი III-ის ბეჭედი (დავით აღმაშენებლის ბეჭედსაც რომ უწოდებენ) და თუნდაც, მოგვიანებით ვახუშტის რუკაზე გამოსახული გველემაპის განგმირავი წმინდა გიორგი (სურ. 27) ხომ არ მიანიშნებს სხვა ჰერალდიკურ პლასტზე, რომლის შესახებაც, ჩვენამდე მოღწეული სხვა დოკუმენტური წყაროების არარსებობის გამო, დამაჯერებელი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობაც არ გვაქვს? – ეს კითხვები ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება. ფაქტია, რომ პირველ გერბებში საქართველოს სამეფო დინასტიის ჰერალდიკური ნიშანი არ ჩანს. ქართველ ჰერალდიკოსთა ნაწილის მოსაზრებით, „სხვა მონარქიული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწი-

1 *Лакиер А., Русская геральдика. М., 1990, გვ. 159.*

ფო გერბი თავდაპირველად სრულებით არ ემთხვევა მმართველი სამეფო დინასტიისას. ეს, ალბათ, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ პირველი ქართული სახელმწიფო გერბი უცხო ქვეყანაში – რუსეთშია დაფიქსირებული. ბუნებრივია, ამ „პრეტენზიის გერბში“ ნაკლებად წარმოაჩენდნენ და მიჩქმალავდნენ კიდეც სხვა სამეფო სახლის, ამ შემთხვევაში – ბაგრატიონთა დინასტიის უფლებას მოცემულ ტერიტორიაზე“.<sup>1</sup>

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ბაგრატიონთა გერბის პარალელურად არ ფიქსირდება სხვა საქართველოს სახელმწიფო გერბი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, იმავდროულად, სახელმწიფო გერბიც არის, ან შესაძლებელია ასეც ითქვას, რომ სახელმწიფო გერბზე დატანილია მმართველი დინასტიის ინსიგნიები და მასზე, ბაგრატიონთა წარმომავლობის აღმნიშვნელ სიმბოლოებთან ერთად, ქართული სახელმწიფო გერბის მთავარ ემბლემად ქრისტეს კვართი გამოისახება. ქართველ კათოლიკოსთა საბეჭდავებზე კვართის გამოსახვის ტრადიციაზე ზემოთ ვისაუბრე. ისიც აღვნიშნე, რომ ის საბეჭდავი არა პიროვნულ, არამედ უფრო ორგანიზაციულ ხასიათს ატარებდა, მაშასადამე, იგი ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას წარმოადგენდა. ჩვენი ეკლესიის საბეჭდავზე კვართის სიმბოლიკა უაღრესად ლოგიკურად ჩანს, სვეტიცხოვლის მისტერიასთან ეკლესიის კავშირის გათვალისწინებით. ბაგრატიონების გერბზე კვართის გამოსახვა მემკვიდრეობის ჰერალდიკურ ნიშნად ვერ მიიჩნევა. ამას უფრო სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი პლასტი უდევს საფუძვლად. ეს საქართველოს სახელმწიფოს ღვთის მიერ გამორჩევისა და ამ ქვეყნის მიერ უფლის უდიდესი სინმინდის „ფლობის“ სიმბოლოა. ამ სინმინდის პოლიტიკურ-რელიგიური ფასეულობა მნიშვნელოვანი იყო ყველა ეპოქაში, და მაშინაც, როდესაც მას ბაგრატიონთა გერბზე გამოსახავდნენ.

კვართი არის ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოც. „ეს საიდუმლო ერთიანობისა, ეს განუყოფელი თანხმობა ასახულია სახარებისეულ ამბავში ქრისტეს კვართის შესახებ. კვართი არ გაუყვიათ და არ დაუნაწილებიათ, არამედ წილად ხვდა მთლიანად ერთ კაცს, და განუყოფელი და დაუნანევრებელი დარჩა. ამასთან დაკავშირებით საღმრთო წერილი ამბობს: „ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე,

1 *Вилинбахов Г., Государственный герб России. СПб. 1997, გვ. 87.*

არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისიც იყოს“.<sup>1</sup> ამ კვართს მამისაგან ჰქონდა მალლით მიცემული ერთიანობა, და ამიტომ არ შეიძლებოდა დაენანევრებინათ იმათ, რომელთაც ეს ერგოთ, არამედ ერთხელ და სამუდამოდ დარჩა მთლიანი და განუყოფელი. ამიტომ შეუძლებელია ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას არღვევს. თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა.“<sup>2</sup>

XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგიის მთავარი მიმართულება – საქართველოს „გამოხსნა-აღდგომის“ იდეა, ქვეყნის ერთიანი სახელმწიფოებრიობის საკითხის განსაკუთრებით გააქტიურება და საქართველოს სხვა რეგიონებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური კონტაქტის გაძლიერება, ამ პროცესში ქართლის ჰეგემონობაზე აქცენტის დასმა ჰერალდიკურად აისახა ბაგრატიონთა გერბზეც.

სალეტისმეტყველო ლიტერატურაში კვართის, როგორც ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოს, განმარტების კვალდაკვალ, გამოვთქვამ მოსაზრებას, რომელსაც, საფუძვლად ავტორისეული ან ეპოქის თანადროული აღწერილობა არ უდევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებობის უფლება აქვს: როგორც ზემოთ ვთქვი, კართაგენის ეპისკოპოს მღვდელმონამე კიპრიანეს დაუშვებლად მიაჩნია, კვართი ჰქონდეს მას, ვინც ქრისტეს ეკლესიას არღვევს, ასევე შეუძლებელია იმ ქვეყნის დაშლა, დანანევრება, რომელშიც უკერველი კვართი ინახება. ბაგრატიონების გერბზე დაუნანევრებელი კვართის სიმბოლიკაში რამდენიმე შრის დანახვაა შესაძლებელი, მათ შორის, ქვეყნის ერთიანობის იდეისაც.

ვახუშტის მიერ შედგენილ ატლასში საქართველოს სამ სხვადასხვა გერბთაგან ერთ-ერთზე გამოსახულია მართკუთხა გადაკვეთილი ფარი. ზემო ნაწილში მოთავსებულია ქრისტეს კვართი. ქვემოთ კი, ოთხად გაყოფილ ნახევარში – ძალაუფლების სიმბოლო – სამეფო სფერო, ბიბლიური დავითის ქნარი, შურდული და გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი (სურ. 28). სარა ბარნაველის აზრით, ამ ატლასზე გამოსახული კვართიანი გერბი ბაგრატიონთა გერბია, ხოლო საქართველოს წმ. გიორგის გამოსახულება – სახელმწიფო დროშის ემბლემა. მაშასადამე, თუ დავუჯერებთ ს. ბარნაველს, ვახუშტის ატლასისეული გერბი, რომელზეც გველემუაპის განმგმირავი მხედარია

1 ასათიანი თ., ქართული გერბთმცოდნეობა. თბ., 2002, გვ. 13.

2 იოანეს სახარება, 19: 23-24

გამოსახული, საქართველოს სახელმწიფო გერბია. „ვახუშტის რუკებზე მოთავსებულ გერბებში ყურადღებას იპყრობს ის, რომ საქართველოს გერბები სხვადასხვანაირია: ერთზე წარმოდგენილია ცხენოსანი წმ. გიორგი (სურ. 27), მეორეზე – მთავარანგელოზი (სურ. 29), მესამეზე მოთავსებულია ბაგრატიონთა საგვარეულოსთან ასოცირებული, კერძოდ, სვეტიცხოვლის აღმართვისა და დავით წინასწარმეტყველის ისტორიასთან დაკავშირებული ემბლემები. პირველ ორ გერბზე წარწერილია, რომ ეს არის „საქართველოს“ გერბები, ხოლო მესამეზე – „სამეფო კვართიან დავითიანი საქართველოსი“. ეს გერბი გამოხატულია ვახტანგ მეექვსის 1711 წლის დროშაზე (სურ. 30), რომელიც სწორედ ამის გამო უნდა მივიჩნიოთ მეფის პირად დროშად. საქართველოს გერბის წმ. გიორგი კი სახელმწიფო დროშის ემბლემაა. წმ. გიორგი გამოხატულია გიორგი მესამის ბეჭედზედაც (ბეჭდის მფლობელის ვინაობა სადავოა. შემონახულია მხოლოდ ბეჭდის ერმაკოვისეული ფოტო). ამ დასკვნას ამყარებს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობაც, რომ სამეფო დროშაზე წმ. გიორგი იყო ხოლმე გამოსახული... როგორც ვხედავთ, ვახუშტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს გერბი გვხვდება ისტორიულ წყაროებსა და ძეგლებში. ამის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სხვა შემადგენელ სამეფოთა გერბები ვახუშტის ნაშრომში, ნაწილობრივ მაინც, რეალური იყო. რთული საკითხია იმის გარკვევა, მთავართა პირად გერბებთან გვაქვს საქმე, თუ სახელმწიფო მნიშვნელობის გერბებთან“.<sup>1</sup>

ერეკლე მეორის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატზე გაკეთებულ საბეჭდავზე, იქ, სადაც უკვე მოჩანს რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივი, გამოსახულ გერბზე, დავითის ქნართან, გადაჯვარედინებულ სკიპტრა-ხმალსა და შურდულთან ერთად, მცირე ფარზე კვლავ არის დატანილი მაცხოვრის კვართი (სურ. 31). 1783 წლით დათარიღებულ საქართველოსა და კავკასიის მხარეების გერბების ჩამონათვალში, რომელთაც ერეკლე მეორე აწერს ხელს, ამხედრებული წმ. გიორგი კახეთის გერბად არის აღიარებული.<sup>2</sup> ამხედრებული წმ. გიორგი არის

1 ბარნაველი ს., ქართული დროშები. თბ., 1953, გვ. 49.

2 „ქ. ქართლის ღერბი მთა ორის ისრით ქ. კახეთის ღერბი წმინდა გიორგი ცხენზედ მჯდომი ქ. ერევნის ღერბი არარატის მთა კიდობნით ქ. განჯის ღერბი სამთა ყრმათა სახმილი ქ. საათაბაგოს ღერბი ტბა მონასტრით ქ. ყაზახის ღერბი ხელი ხრმალი სიგრძეზედ ქ. შამშადილისა თოფი ქ. შირვანისა მგელი ქ. შაქისა მელა. ერეკლე. წელსა ჩღვ ივნისის კვ.“ (საქართველოს ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1449, საქ. 2280).

დატანილი გერბზეც, რომლითაც შემკულია ამბროსაძეებისათვის ერეკლე მეორის მიერ ნაბოძები სიგელი<sup>1</sup>. ერთი მხრივ, ამ გერბის გამოსახვის ოსტატობა, ხოლო, მეორე მხრივ, მონუმბაში მისი ბლაზონირება ნათელი მაგალითია იმის, რომ იმ პერიოდში საქართველოში გერბშემოქმედებას განვითარების მაღალი დონისთვის მიუღწევია. ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია ევროპული ჰერალდიკისათვის დამახასიათებელი ყველა დეტალი (მანტია, გვირგვინი, ფარისმტვირთველები, კომპორტიერი). სიგელის ტექსტი ყვავილწნულებითა და ორნამენტებითაა მოჩარჩოებული. დოკუმენტი დამონმებულია და-

---

1 „წყალობითა ღვთისათა ჩუჴნ ირაკლი მეორე მეფე ქართლისა და კახეთისა და სხუათა გაძლევეთ ჩუჴნისა ამას სამეფოსა მონუმბას. შენ გუარით სომეხს. და ჩუჴნს მკვიდრს აზნაურს ტფილისელს ამბროსიანთ დაჯთას ძეს ოჴანეზას. რამეთუ ჴნათგან წინაპარი თქუჴნი ამბროს. ჟამსა პირველ ირაკლი მეფესა. წინაპრის ჩუჴნისასა. კეთილმოქალაქეობითა ერთგულად მონაობითა და ნაყოფიერი საქმითა მისის უმაღლესობისაგან მიეღო პატივ და ხარისხი კეთილშობილებისა გარნა შემდგომათა ჟამათაა შვილის შვილი მისი დაჯთ, რომელი იყო მამამენი ჟ.ის დროსა და ქუჴყნის არეულობის მიზეზით ყრმა ასაკობასა თჴსას განსულიყვნ ჩუჴნის უფლებსაგან და შედგომილიყო ვაჟრობასა და ევლო უფლებასა სპარსთათა და მუნვე დამკვიდრებულ იყვნ სახლითა თჴსითა. სადაცა აღსრულდა ცხოვრება მისი და ამ მიზეზით დაჴწყებულიყო ტომობა მისი. და შენ ძე მისი დაშთომილი მუნ ადგილსა ჟამი რაიმე კდრე ჴპოვე გამოსავალი და გამოხვედ სპარსეთითგან. მოხვედ კურთხეულსა რუსთა ქუჴყანასა და დამკვიდრდი ასტრახანს ქუჴშე ჩრდილოებისა მისის დიდებულობის კეისრობისასა. და მუნითგან გეთხოვნა ჩუჴნგან მონუმბაჲ ნათლად მიღებად აზნაურობისა წინაპართა შენთათა ხოლო ჩუჴნცა გამვეძიეთ მატიაანეთაშორის უწინარესთა მეფეთა ჩუჴნთა აღსრულებისათჴს შენთა ძიებათა. და საქმის ჴემშარიტებასა. ზედ მიწვენულ ჴქმენით. რომლისთჴსცა მოგეცით ესე ჩუჴნი სამეფო მონუმბაჲ დანიშნებით ამას შორის ღერბი წინაპარისა შენისა. რომელი ჴქონებია სიგრძით მგრგუალი ფარი. ვეცხლის ფერი ადგილითა. მას შორის ლოდი ერთი დებული ნიშნად მტკიცე ერთგულებისასა და მას ლოდსაზედან ჯდომილი არწივ ერთი ცალფეხით მდგომარე და ცალფეხი აწეული რომელსა ფრჩხილით უჴყრიეს ეტრახტი ერთი აღწერილი ესრეთ ნიჴი სამეფო ნიშნად მიღებულ სამეფო ნიჴთა აზნაურობისა თჴსისა და პირსა შინა ქონებით მასვე არწივსა რტო ზეთის ხილისა. ნაყოფითურთ ნიშნად გულუხობისა და გარემოსა მას სვეტისასა მარჯვენით და მარცხენით აღმოცენებული რტონი ორნი ფინიკისა და დაფნისა ნიშნად ნაყოფიერი საქმის მქონელობისასა. ესე ყოველი დაგვირგვინებულ არს აზნაურობის გვირგვინთა. და ხელმოწერილ საჴეთრთჴთა ჴელითა ჩუჴნითა და დაბეჴდილ სამეფოთთა ბეჴდითა ჩუჴნითა წელსა მაცხოვარსა ჩუჴნისა 1785 ინდიკტიონსა მეფობისა ჩუჴნისა ორმოცდა მეერთესა წელსა ივლისის იე დღესა“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, hd-1543)

კიდებული საბეჭდავით, რომელზეც ამოტვიფრულია სიგელის თავში გრაფიკულად გამოსახულის იდენტური ერეკლეს გერბი (სურ. 32, 33).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ ჩნდება ე.წ. „პროტექტორატის დროინდელი გერბი“ (სურ. 34). პირველ ნაწილში დატანილია ბიბლიური დავითის ქნარი, მეორეში – ქრისტეს კვართი, მესამეში – სფერო და შურდული, მეოთხე ნაწილში – გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მეხუთეში – წმ. გიორგი, რომელიც გველემპას განგმირავს, მეექვსეში – სასწორი. ფარისმტვირთველნი არიან ლომები. მ. ვაძბოლსკის მოსაზრებით, ეს გერბი 1800-1801 წლებით თარიღდება და დავით ბატონიშვილის მმართველობის პერიოდს მიეკუთვნება.<sup>1</sup> ქართველ ჰერალდიკოსთა ნაწილის მოსაზრებით, აღნიშნული „გერბი ევროპული ჰერალდიკის მოთხოვნისებრ არის გამართული. მთლიანად კომპოზიციის სტილის გარდა, ამასვე მიუთითებს ლათინური ლეგენდა და სრულიად ახალი ელემენტი ქართულ გერბმცოდნეობაში – მანტია. აღსანიშნავია, რომ ეს არის ბაგრატიონთა სიმბოლიკისა და წმ. გიორგის ერთ ფარში მოთავსების პირველი შემთხვევა. იმხანად ეს ქვეყნისა და მმართველი დინასტიის განუყრელობაზე მიუთითებდა, მაგრამ ამასთანავე, ნებისთუ უნებლიეთ, მზადდებოდა ნიადაგი იმისთვის, რომ მომავალში საქართველოს გერბში ბაგრატიონთა სიმბოლოებს წმინდა გიორგი ჩანაცვლებოდა, რითაც რუსეთის იმპერია მაქსიმალურად მიჩქმალავდა საქართველოზე ადგილობრივი დინასტიის უფლებას“.<sup>2</sup>

ამ ეპოქას მიეკუთვნება ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი XII-ის (1798-1800 წწ.) დროინდელი სახელმწიფო გერბის ორი ნიმუში: პირველი ოვალური ფარია, რომელიც ფარისმტვირთველ ლომებს უპყრიათ, მასზე დატანილია მხოლოდ ქრისტეს კვართი. ფარი მთის მწვერვალს ეყრდნობა, რომელსაც, ძნელია, კომპორტერი ვუნოდოთ. ფარის თავზე გადაჯვარედინებული სამეფო კვერთხი და ხმალია, რომელთაც თავზე ადგას გვირგვინი. არასიმეტრიულად გაბნეულია ფარის ზემოთ დავითის ქნარი და შურდული, ხოლო ფარის ქვემოთ – სფერო და სასწორი (სურ. 35); მეორე გერბი საბეჭდავზეა გამოსახული, მის ფარზე, რომელიც ფარისმტვირთველ ლომებს უპყრიათ, პირველ ნაწილში დატანილია გადაჯვარედინებული ხმალი და

1 *ვაძბოლსკი მ.*, საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა. თბ., 1980, გვ. 94.

2 *ასათიანი თ.*, ქართული გერბმცოდნეობა. თბ., 2002, გვ. 18.

კვერთხი, რომელთა ძირში სამეფო სფეროა, მეორე ნაწილში ქრისტეს კვართია, მესამე ნაწილში გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგი და სასწორი. ფარს ამკობს გვირგვინი, რომელსაც თავზე ჯვარი ადგას. გვირგვინის მარცხნივ და მარჯვნივ ბიბლიური დავითის ქნარი და შურდულია გამოსახული (სურ. 36).

XIX საუკუნიდან მოყოლებული ქართული ჰერალდიკა, ფაქტობრივად, მხოლოდ რუსეთის იმპერიის ჰერალდიკური ინსტიტუტების ზედამხედველობითა და მონაწილეობით იქმნებოდა. რუსული ჰერალდიკის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს ქართული საგვარეულო გერბებიც, რადგან მათი მინიჭება იმავე წესით ხდებოდა, როგორც ყველა დანარჩენისთვის რუსეთში. ბაგრატიონთა გერბიდან ხან ქრებოდა ქრისტეს კვართი, ხან ისევ ჩნდებოდა.

ქართული სამეფო დინასტიის პირველი გერბი, რომელიც რუსეთის იმპერიის შესაბამისმა ინსტიტუტმა დაამტკიცა და „გერბების საერთო კრებულში“ შეიტანა, „თავად ბაგრატიონთა გერბია“. ამ გვარის სათავადაზნაურო წოდების ოფიციალურად ცნობის თარიღად მიჩნეულია 1803 წლის 4 ოქტომბერი, როდესაც, იმპერატორ ალექსანდრე I-ის გადაწყვეტილებით, ბაგრატიონების საგვარეულო გერბი შეიტანეს „გერბების საერთო კრებულის“ მე-7 ტომში (სურ. 37). „ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად, რომელთაგან პირველში წითელ მინდორზე გამოსახულია ოქროს სამეფო სფერო. მეორეში ლურჯ მინდორზე – არფა, მესამე ლურჯ მინდორზე – ოქროს შურდული. მეოთხე ნაწილში წითელ მინდორზე გადაჯვარედინებულია ოქროს სკიპტრა და ხმალი. ფარი, რომელიც უპყრიათ ფარისმტვირთველ ლომებს, შემკულია თავადაზნაურული წოდებისთვის შესაფერისი მანტიითა და გვირგვინით“, – ასეთ ბლაზონირებას გვთავაზობს „გერბების საერთო კრებული“. იქვე მოთხრობილია, წესისამებრ, ბაგრატიონთა გვარის ისტორია.<sup>1</sup> მამასადამე, ეს გერბი ვახტანგ VI-

1 „თავად ბაგრატიონთა წინაპარი ბაგრატ პირველი, ისრაელის მეფე დავითის შთამომავალი, ფილისტიიდან საქართველოში ქრისტეს დაბადებიდან 575 წელს ჩამოვიდა, აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში მოინათლა და ცოლად მოიყვანა ქართველი მეფის მირდატ ხასტროიანის და ფეროზისი. მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველოში გამეფდა ბაგრატი, რომლის შთამომავლები უცვლელად განაგებდნენ საქართველოს. 1469 წელს მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ გამეფებულ კონსტანტინეს ჰყავდა ხუთი ვაჟი: დავითი, გიორგი, ბაგრატი, ალექსანდრე და მელქისედეკი. მეფე კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ გამეფდა დავითი, რომელმაც თავის ძმას, ბაგრატ ბატონიშვილს უბოძა სამფლობელოდ მუხრანის პროვინცია, ბაგრატი იყო მუხ-

ის ძმის – იესეს (ალიყული-ხნის) უკანონო ვაჟის – ალექსანდრეს (ისააკ-ბეგის) შთამომავალთა საგვარეულო გერბია. ამ ოჯახის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო გენერალი პეტრე ბაგრატიონი (1764-1812 წწ.), რომლის განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება რუსეთის იმპერიის წინაშე შესაბამისად აღწერილია „გერბების საერთო კრებულში“.

ბაგრატიონ-მუხრანელთა გერბზე უფლის კვართია გამოსახული. გერბი წარმოადგენს ოთხნაწილიან ფარს, გაყოფილს ოქროს ჯვრით, შუაში მცირე გერბით. პირველ მენამულ მინდორზე დატანილია ოქროს ქნარი და ვერცხლის შურდული, ოქროს ქვით. მეორე ლაჟვარდოვან მინდორზე გადაჯვარედინებულ ოქროს სახელურიანი ვერცხლის აღმოსავლური ხმლისა და ოქროს სკიპტრის ზემოთ ოქროსავე სამეფო სფეროა. მესამე ლაჟვარდოვან მინდორზე ოქროს სასწორია. მეოთხე მენამულ ნაწილში ვერცხლისფრად შეაბჯრული წმ. გიორგია, თეთრ ცხენზე ამხედრებული, რომელიც ვერცხლის შუბით განგმირავს მწვანეფრთებიან შავ დრაკონს. მცირე მენამულ გერბზე იესო ქრისტეს ვერცხლის კვართია (სურ. 38). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბაგრატიონ-მუხრანელებს რუსეთში არ აღუძრავთ შუამდგომლობა საგვარეულო გერბის დამტკიცების შესახებ. თავად ბაგრატიონ-მუხრანელთა უფროსი შტო იყენებდა გერბს, რომლის უმთავრესი დეტალი ბაგრატიონთა სამეფო სახლის ჰერალდიკური „რეგალიებისა“ და ქრისტეს კვართის გამოსახულებაა. ამ ოჯახის უმცროსი შტოს წარმომადგენლების მიერ XIX-XX საუკუნეებში გამოყენებული გერბის რამდენიმე ვარიანტია ცნობილი.<sup>1</sup>

---

რანის პირველი მფლობელი. ბაგრატის შვილიშვილის შვილმა, მეფე ვახტანგმა დაიპყრო ადრე გაყოფილი სამი სამეფო: საქართველო, იმერეთი და კახეთი და უფროს ვაჟს არჩილს მისცა იმერეთი. მეფე არჩილი 1681 წელს გაემგზავრა რუსეთს და მიიღო ხელმწიფე-მეფეთა და დიდ თავადთა – ივანე ალექსის ძისა და პეტრე ალექსის ძის – წყალობა. მისი ძმები მეფე გიორგი და ბატონიშვილი ლევანი ფლობდნენ საქართველოს. ლევანის შვილები – ვახტანგი და იესე მეფობდნენ საქართველოში. ლევანის შვილის იესეს ძე – ბატონიშვილი ალექსანდრე თავის ოჯახთან ერთად 1757 წელს ჩავიდა რუსეთში და სასახლევრო ჯარში პოდპოლკოვნიკად დაინიშნა, მას ყიზლარში მიწები ებოძა. თავად ბაგრატიონთა შთამომავლებიასევე ემსახურებოდნენ რუსეთის ტახტს და დაჯილდოებულნი იყვნენ ჩინებითა და სხვა საპატიო ნიშნებით და მონარქთა წყალობით“ (Общий Гербовник дворянских родов Всероссийской Империи, СПб. ტ. 1803: 8).

1 Дворянские роды Российской Империи, ტ.3. М., 1996, გვ. 54.

ქრისტეს კვართი ამკობს ბაგრატიონ-გრუზინსკების გერბს (სურ. 39), რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია წმ. გიორგი. გრუზინსკების გერბი წარმოადგენს ოთხნაწილიან ფარს, შუაში მცირე ფართით. პირველ მენამულ მინდორზე ვერცხლის კვართია. მეორე ლაჟვარდოვან მინდორზე – ოქროს ქნარი. მესამე ლაჟვარდოვან მინდორზე ვერცხლის შურდულია, ვერცხლისავე თასმებითა და ოქროს ქვით. მეოთხე მენამულ მინდორზე – ოქროს სამეფო სფერო, რომლის თავზე დატანილია გადაჯვარედინებული ოქროს კვერთხი და ოქროსსახელურიანი ვერცხლის ხმალი. შუაში, მცირე ოქროს ფარზე, გამოსახულია წმ. დიდმონამე გიორგი, ლაჟვარდისფრად შეაბჯრული და ოქროს ჯვრით მკერდშემკული. წმ. გიორგი მენამული აღკაზმულობითა და ოქროს ფოჩებით შემკულ შავ ცხენზეა ამხედრებული. იგი მენამული შუბით განგმირავს მწვანე გველეშაპს, რომელსაც შავი ფრთები, მენამული თვალები და ენა აქვს. მთავარი ფარი შემკულია სათავადაზნაურო გვირგვინით, რომელიც უპყრია ორ მოლივლივე ანგელოზს. ანგელოზებს უჭირავთ ოქროსსახელურიანი ვერცხლის მახვილები. ფარისმტვირთველები მენამულთვალებიანი ოქროს ლომები არიან. ფარი შემკულია ყარყუმის ბენვის სარჩულიანი მენამული მანტიით, ოქროს ფუნჯებითა და ფოჩებით. უგანათლებულეს თავადთა გვირგვინი აბოლოებს მანტიას. გერბი დამტკიცებულია 1886 წელს და შეტანილია „გერბების საერთო კრებულში“.<sup>1</sup>

1882 წლიდან რუსეთის დიდ სახელმწიფო გერბზე (სურ. 40) გამოსახული საქართველოს სამეფო გერბი რამდენიმე ნაწილისგან შედგება (სურ. 41): შუა მცირე ფარზე საქართველოს გერბია: ოქროს ფარზე ლაჟვარდის აღჭურვილობით, მკერდზე ოქროს ჯვრით, შავ, ოქროსარშიან ცხენზე ამხედრებული და მენამული შუბით მწვანე, შავფრთიანი და მენამულთვალებიანი გველეშაპის განგმირავი წმ. დიდმონამე ძლევაძისილი გიორგი. პირველ ნაწილში – ივერიის გერბი: მენამულ ფარზე – ყალყზე შემდგარი ვერცხლის ცხენი; ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა კუთხეებში – რვაქიმიანი ვარსკვლავები. მეორე ნაწილში – ქართლის გერბი: ოქროს ფარზე ორი შავისრებგაყრილი ცეცხლისმფრქვეველი მთა. მესამე ნაწილში – ყაზარდოს მინების გერბი: ლაჟვარდოვან მინდორზე ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ (პირებით ზევით) ვერცხლის ორ ისარზე ოქროს მცირე ფა-

1 Общий Гербовник дворянских родов Всероссийской Империи, СПб. т. XIV. 1886, 2

რი მარჯვნივ შებრუნებული, მენამული ნახევარმთვარით; პირველ სამ მეოთხედში ექვსქიმიანი ვერცხლისავე ვარსკვლავები. მეოთხე ნაწილში სომხეთის გერბი: ოქროს ფარზე მენამული გვირგვინოსანი ლომი. დაბოლოებაზე, ოქროს ველზე – ჩერქეზ და მთიელ თავადთა გერბი: გაჭენებულ შავ ცხენზე ჩერქეზი, ვერცხლის აღჭურვილობით, მენამული სამოსითა და შავი მოსასხამით, მარჯვენა მხარზე – შავი შუბით. გერბი შემკულია ქართული გვირგვინით.<sup>1</sup> ფაქტობრივად, აქ ერთ გერბში ერთიანდება 1800 წ. სრულიად რუსეთის სრული გერბის შესახებ მანიფესტიდან დიდი სახელმწიფო გერბის ნახატზე (სურ. 52) გამოსახული ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მიწების აღმნიშვნელი ხუთი გერბი (ცეცხლოვანი მთა, წმ. გიორგი, ნახევარმთვარე ისრების ფონზე, ჩერქეზი მხედარი, ლომი).

რუსეთის იმპერიის მცირე გერბზე (სურ. 42) გამოსახულ საქართველოს გერბზე მხოლოდ გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგი ჩანს. დოკუმენტურად არ დასტურდება ქართულ შერალდიკაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს „XIX საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული ბაგრატიონთა დინასტიამ სამეფო ტახტთან ერთად სამშობლოს გერბში თავისი საგვარეულო ემბლემების გამოხატვის უფლებაც დაკარგა“.<sup>2</sup> ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება საუბარი რუსულ შერალდიკაში ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო თუ საქართველოს სახელმწიფო (სამხარეო) გერბების მიმართ არასისტემურ მიდგომაზე.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგოთ ბაგრატიონთა ის გერბები, რომელთა ნამდვილობაში ისტორიკოსებსა და შერალდიკოსებს ეჭვი არ ეპარებათ და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს სარწმუნო დოკუმენტური წყარო არ მოეპოვება, ქართულ შერალდიკურ ლიტერატურაში მათ მიმართ, ზოგადად, სანდოობის ხარისხი მაღალია:

1. გიორგი მეთერთმეტის სახელით ცნობილ (ფაქტობრივად, ვახტანგ მეექვსის) გერბზე (1709 წ. „სამოციქულო“) დატანილია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები;

2. ქაიხოსროს გერბზე (1710 წ. „კონდაკი“) დატანილია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები.

1 Винклер-Фон П., Государственный герб. Энциклопедический словарь. изд. Ф.А. Брокгауз, И.А. Эфрон. СПб. т. IX. 1893, გვ. 406

2 ასათიანი თ., ქართული გერბთმცოდნეობა. თბ. 2002, გვ. 18.

3. იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთის გერბზე (1732 წ. რუსეთის იმპერატორ ანა იოანეს ასულისადმი გაგზავნილ სიგელზე დასმული ბეჭედი) დატანილია ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები. (შემონახულია აღწერა: ბეჭდის ცენტრში გერბია. მის ზემოთ სამეფო გვირგვინია; ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად: პირველ ნაწილში სამეფო ძალაუფლების სფეროა, მეორეში – ქნარი; მესამეში – გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი; მეოთხეში – შურდული. ფარის ორივე მხარეს – ლომები).<sup>1</sup>

4. ვახტანგ მეექვსის გერბზე (1726-1737 წწ. ქ. ასტრახანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი) დატანილია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები.

5. „კვართიან-დავითიან“ გერბზე (1735 წ. ვახუშტის ატლასი) დატანილია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები.

6. ერეკლე მეორის გერბის ერთ ვარიანტში (1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატი) დატანილია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები, მეორე ვარიანტში (1785 წ. ამბროსაძეებისთვის ბოძებულ სიგელში) – ბიბლიური წარმომავლობისა და სამეფო ნიშნებთან ერთად ამხედრებული წმ. გიორგი.

7. გიორგი მეთორმეტის გერბის (1798-1800 წწ.) ერთ ვარიანტში მოცემულია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები, მეორე ვარიანტში ამ ემბლემებს ემატება წმ. გიორგი.

8. დავით ბატონიშვილის („პროტექტორატის დროინდელ“) გერბზე (1800-1801 წწ.) დატანილია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები, აგრეთვე დამატებით ჩნდება გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგი.

9. თავად ბაგრატიონთა (ბაგრატიონის მუხრანის შტო, იესეს შთამომავლები, რომლებიც 1757 წ. გადასახლდნენ რუსეთში) გერბზე (1803 წ. „გერბების საერთო კრებული“) დატანილია მხოლოდ ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები.

10. იმერეთის მეფე სოლომონ მეორის გერბზე (1807 წ. „დავითნი“) დატანილია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები.

---

1 *Броссе М., Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1659 по 1770 гг. СПб., 1861, გვ. 197.*

11. უგანათლებულეს თავად ბაგრატიონ გრუზინსკების გერბზე (1886 წ. „გერბების საერთო კრებული“) დატანილია ქრისტეს კვართი და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ნიშნები, აგრეთვე – გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგი.

ბაგრატიონ-იმერეტინსკებსა და ბაგრატიონ-დავითაშვილებს ოფიციალურად დამტკიცებული გერბები არ გააჩნდათ, მაგრამ, სხვადასხვა ავტორთა წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმერეტინსკების გერბში ჩნდება ვერძის ფიგურა,<sup>1</sup> ხოლო ბაგრატიონ-დავითაშვილების გერბზე დატანილია გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგი, ჯვარი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი და ლეოპარდი.<sup>2</sup>

თუ ერთმანეთს შევადარებთ იმ ბაგრატიონთა შტოების ჰერალდიკურ ნიშნებს, რომელთაც რუსეთის იმპერიის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ მინიჭებული აქვთ მაღალი სათავადაზნაურო წოდება, მათ გერბებში ქრისტეს კვართის გამოსახვა, ჩანს, უფრო ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული, ვიდრე რაიმე პოლიტიკურ ასპექტზე. ამავე დროს, ბაგრატიონთა გერბზე კვართთან ერთად ან მის პარალელურად წმ. გიორგის ემბლემის დატანება იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ კულტურულ მეხსიერებაში (რაკი ამის დოკუმენტური წყარო არ მოგვეპოვება) წმ. გიორგი საქართველოს სახელმწიფო ემბლემად რჩებოდა. დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ქართულ ჰერალდიკურ ხელოვნებაში მისი ცალკე ემბლემა სახელმწიფო გერბზე რომ არ გვაქვს, ეს არ გვაძლევს იმის კატეგორიულად მტკიცების საშუალებას, რომ ქართულ ჰერალდიკაში ქრისტეს კვართის წმ. გიორგით ჩანაცვლება ბაგრატიონთა გვარის ქართული სახელმწიფოსგან დისტანცირების ცდაა. ამას ადასტურებს ზემოთ აღწერილი უგანათლებულესი თავადების – გრუზინსკების გერბი, რომელიც XIX საუკუნის მინურულს არის დამტკიცებული რუსეთის იმპერიის შესაბამისი ინსტიტუტის მიერ. ფაქტობრივად, „გერბების საერთო კრებულში“ ორჯერ გვხვდება ბაგრატიონთა გერბი. პირველზე არ ჩანს კვართი, მეორეზე – დატანილია. რით აიხსნება ეს გარემოება? რუსული ჰერალდიკური პოლიტიკა XIX საუკუნის მინურულს გრუზინსკების გერბის დამტკიცებისას აღიარებს, რომ ქრისტეს კვარ-

---

1 Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. Петроград (ხელნაწერი), 1922, გვ. 81., *Думин С., Гребельский П.*, Дворянские роды российской империи. М. Т. IV. 1998, გვ. 85.

2 *Думин С., Гребельский П.*, Дворянские роды российской империи. М. Т. III. 1996, გვ. 83., *Лакиер А.* Русская геральдика. М. 1990. გვ. 328.

თის გამოსახვის უფლება ბაგრატიონებს აქვთ? – შეიძლება ასეც ვიფიქროთ, მით უფრო, რომ ამ დროს ბაგრატიონ-გრუზინსკები უკვე რუსეთის იმპერიის თავადებად იწოდებიან.

XIX საუკუნის მიწურულს ბაგრატიონთა გერბზე კვართის კვლავ გამოჩენასთან დაკავშირებით, ალბათ, ისიც გასახსენებელია, როგორ იცვლებოდა რუსეთის იმპერიის იდეოლოგია და ადმინისტრაციული ინსტიტუტების პოლიტიკა ქართველი თავადაზნაურობისადმი. როგორც ცნობილია, საქართველოს რუსეთთან „შერწყმის“ საქმეში მეფის მთავრობა მნიშვნელოვან როლს მმართველობის სისტემას ანიჭებდა. 1801 წლის კანონის საფუძველზე შექმნილი წესები XIX საუკუნის 40-იან წლებში ვეღარ უპასუხებდა არსებულ რეალობას, რის გამოც საჭირო გახდა ახალი მმართველობითი სისტემის შემუშავება, სახელდობრ, სამოქალაქო მმართველობის – მეფისნაცვლის ინსტიტუტის დაარსება კავკასიაში, ნაცვლად სამხედრო მმართველობისა, რომელიც არსებობდა XIX საუკუნის 40-იან წლებამდე.

გენერალმა პასკევიჩმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს წარუდგინა ამიერკავკასიის მმართველობის ახალი პროექტი. ამიერკავკასიაში საომარ მოქმედებათა (რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ. და რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წწ.) ძირითადად დასრულების გამო, „პასკევიჩი მიზანშეწონილად თვლიდა, სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ნაცვლად შემოეღოთ აქ სამოქალაქო ხელისუფლება წმინდა რუსული სისტემით. გამონაკლისს უშვებდა მხოლოდ მუსლიმანური პროვინციების მიმართ, სადაც ძალაში უნდა დარჩენილიყო ადგილობრივი სამართალი. პასკევიჩის ეს პროექტი გაჟღენთილი იყო რუსიფიკატორული სულისკვეთებით და გამიზნული იყო მხარის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილებისათვის“.<sup>1</sup> პასკევიჩის პროექტმა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. პეტერბურგიდან თბილისში გამოგზავნეს სენატის რევიზია, რომელსაც ბარონი განი ხელმძღვანელობდა. მან სწორად შეაფასა ამიერკავკასიაში უკიდურესად გამწვავებული ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა რუსულ მმართველობით რგოლს, და შეიმუშავა ამიერკავკასიის მმართველობის ახალი გეგმა-პროექტი. იგი მოინონა 1837 წელს თბილისში ჩამოსულმა ნიკოლოზ პირველმა, ხოლო 1840 წელს განის ეს პროექტი დამტკიცდა იმპერიის სახელ-

1 ანთელავა ი., ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30-იან-50-იან წლებში. მმართველობის სისტემა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1972 წ. გვ.120.

მნიფო საბჭოს მიერ. ამიერკავკასია „საქართველო-იმერეთის გუბერნიად“ და „კასპიის ოლქად“ გაიყო. სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაწილიც საქართველო-იმერეთის გუბერნიაში აღმოჩნდა. ამ სახით ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა ეროვნული მთლიანობის მოშლას ითვალისწინებდა. ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შესახებ ხატოვნად ამბობდა შალვა ნუცუბიძე: „ქართველი მეფეების – ერეკლესა და სოლომონის მიერ რუსეთის მფარველობის ძებნა უკანასკნელი აქტი იყო იმ ტრაგედიისა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება. ისინი, როგორც გმირები, ისტორიის სცენაზე აღარ იყვნენ, როცა ტრაგედია დასკვნამდე მივიდა და საქართველო „ქართულ გუბერნიად“ იქცა“. <sup>1</sup> განის რეფორმა შეუსაბამო აღმოჩნდა მას შემდგომ, რაც საგარეო პოლიტიკაში აღმოსავლეთის საკითხი გააქტიურდა. რუსეთის იმპერატორს სჭირდებოდა ამიერკავკასიაში სიმშვიდის შენარჩუნება და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. ამიტომაც საჭირო გახდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის რამდენადმე რბილი, მოქნილი პოლიტიკით შეცვლა. ამ პოლიტიკის გამტარებლად პეტერბურგში შეირჩა გამოცდილი, ჭკვიანი, მაგრამ, იმავდროულად, ცბიერი რუსი მოხელე მ. ვორონცოვი, რომელიც მეფისნაცვლობდა 1844-1854 წლებში. შეიცვალა იმპერიის შემადგენლობაში კავკასიის სტატუსიც, კერძოდ კი, სამხედრო მმართველობა; ე.წ. მთავარმმართველის ინსტიტუტი სამოქალაქო მმართველობით, მეფისნაცვლის ინსტიტუტით შეიცვალა. სამეფისნაცვლო დაიყო თბილისის, ქუთაისის, შემახის და დერბენდის გუბერნიებად. ცარიზმმა ამით ხმარებიდან ამოიღო ტერმინი „საქართველო“, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახელწოდება, რაც, ცხადია, მხარის რუსიფიკაციისათვის იყო გამიზნული. კავკასიის კოლონიური ათვისების ვორონცოვისებრი მეთოდი ფორმით განსხვავებული, ეპოქასთან შეხამებული და ცარიზმისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. მან თავის მმართველობაში უხეშობისა და ძალადობის ნაცვლად დანერგვა შემპარავი, მოქნილი ტაქტიკა. რუსეთის ხელისუფლების წინაშე სამოქალაქო მმართველობის დადგენისთანავე მწვავედ დაისვა კავკასიის კულტურული ათვისების საკითხი. თუ წინათ რუსი მმართველები ქართველ არისტოკრატის მტრულად უყურებდნენ და იგი სეპარატისტული მოძრაობის მოთავედ მიაჩნდათ, ვორონცოვმა, პირიქით, ხელი გაუწოდა გალატაკების გზაზე შემდგარ თავა-

1 ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. II, თბ., 1958, გვ. 234.

დაზნაურობას და ის თანდათან ჩაითრია კოლონიურ ღონისძიებათა განხორციელებაში. მან ქართველი თავადაზნაურობა, პრივილეგიების მხრივ, გაუთანასწორა რუსეთისას, გაუხსნა მას ბანკი და გრძელვადიანი სესხი მიაშველა. ამასთანავე, მან თავადაზნაურობას ხელი შეუწყო ხელისუფლების მაღალი ემელონებისაკენ სვლაში. მისი თაოსნობით ქვეყანაში გატარდა მრავალი კულტურული ღონისძიება.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში მნიშვნელოვანი პროცესები წარიმართა როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე მის გუბერნიებშიც. ყირიმის ომში (1853-1856 წწ.) რუსეთის დამარცხებამ ცხადყო მისი სუსტი მხარეები. კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი სწორი გზა იყო ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც ქვეყანას განვითარების ახალ გზაზე გაიყვანდა. ცარიზმის მიერ ჩატარებულმა საგლეხო (1864 წ. საქართველოში), სასამართლო (1864 წ.), სამხედრო (1865 წ.), საქალაქო (1870 წ.) და საფინანსო (1872 წ.) რეფორმებმა, მათი პროგრესულობის მიუხედავად, კიდევ უფრო გააუარესა და დაძაბა მდგომარეობა როგორც რუსეთის ცენტრალურ ნაწილში, ისე მის გუბერნიებშიც. მთელი ქვეყანა აჯანყების ალში გაეხვია. პოლონეთსა და ამიერკავკასიაშიც დაიწყო რევოლუციური გამოსვლები. ასეთი ვითარებით შეშინებული სამეფო კარი ქვეყანაში მდგომარეობის განმუხტვას ცდილობდა. ამ მიზნით რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ რუსეთსა და მის გუბერნიებში იმოგზაურა. 1871 წელს ის თბილისშიც ჩამოვიდა.

ქართველი თავადაზნაურობის მიმართ რუსეთის იმპერიის შეცვლილი პოლიტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ჰერალდიკური ინსტიტუტები, ხელისუფლების იდეოლოგიას გამოხატავდნენ და დასაშვებად მიიჩნევდნენ უფლის კვართის გამოსახვას ბაგრატიონთა გერბზე. ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნე, ქართველ მონარქთა გვარი ახლა უკვე რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი თავადების ტიტულით მოიხსენიებოდა და, აქედან გამომდინარე, იმპერიულ ამბიციას სულაც აღარ შელახავდა, თუ მისი თავადები ქრისტეს კვართის მცველებად კვლავ იგრძნობდნენ თავს, მეორეც, უკვე აქტუალობა დაეკარგა კვართის, როგორც ერთიანი, დაუშლელი ეკლესიის (ჩემი მოკრძალებული ვარაუდით – ქვეყნისაც) ქართული სახელმწიფოს სივრცეში მოაზრებას, რადგან ეს სახელმწიფო უკვე თითქმის საუკუნეა, რაც რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაქცეულიყო.

XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის 20-იან წლებამდე, სანამ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, ქართული ორიგინალური ჰერალდიკური მემკვიდრეობის შესახებ საუბარი შეუძლებელი ხდება, რადგან ქართული გერბები იქმნებოდა რუსეთის იმპერიის შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ და, მაშასადამე, ეს ნაწარმოებები რუსულ ჰერალდიკურ მემკვიდრეობას განეკუთვნება.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარკბი

„მოკლედ თქვი, ძმაო, აქ გრძელ სიტყვას ვერა-  
ვინ უძლებს, თანაც მზე უკვე სადაცაა დაიწყებს  
ჩასვლას“.

*ჯეფრი ჩოსერი,  
„კენტერბერიული მოთხრობები“*

ამ თვალისმომჭრელად ლამაზი არტეფაქტის შესახებ ფიქრი და  
ნერა მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში მიწევდა. პირველად  
მაშინ დავნერე, როდესაც აღმოვაჩინე, – მეოცე საუკუნის 80-იან  
წლებში, სტუდენტური მოძრაობის გარიჟრაჟზე.

1918 წელს, როდესაც საქართველომ სამიოდე წლით დამოუკი-  
დებლობა მოიპოვა, რამდენიმე საინტერესო ჰერალდიკური ნიმუში  
შეიქმნა. მათ შორის იყო ახალდაარსებული პირველი ქართული უნი-  
ვერსიტეტის გერბი (სურ. 53).

უნივერსიტეტის დაარსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი  
მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

1918 წლიდან 26 იანვარი (ახალი სტილით, 8 თებერვალი) ქარ-  
თველი ხალხის ცნობიერებაში ორმაგად მნიშვნელოვან თარიღად  
იქცა. მანამდე იგი საქართველოს ყველაზე დიდი მეფისა და წმინდა-  
ნის, დავით აღმაშენებლის, ხსენების დღე იყო, ხოლო 1918 წლიდან  
მან ქართული საუნივერსიტეტო განათლების დასაბამის სიმბოლუ-  
რი მნიშვნელობაც შეიძინა, რადგან ამ დღეს თბილისის გარეუბან-  
ში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, საზეიმოდ გა-  
იხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც,  
ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით,  
საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს  
სკოლას და ხელი შეუწყო კავკასიაში საუნივერსიტეტო განათლების  
აღორძინებას.

...შორს დარჩენილიყო მეოთხე საუკუნის ფაზისის მახლობლად  
არსებული კოლხეთის ფილოსოფიურ-რიტორიკული აკადემია, ად-  
რეული შუა საუკუნეების ქართული სამონასტრო კომპლექსების  
სკოლები და საგანმანათლებლო ცენტრები საქართველოსა თუ უცხო-  
ეთში, გელათისა და იყალთოს აკადემიები... საუკუნეების ქარტე-

ხილებს გაჰყოლოდა ერთიანი და ძლიერი საქართველოს დიდება და მასთან ერთად მინავლებულიყო თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, მეცნიერება და განათლება. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლასთან ერთად დავინწყებას მისცემოდა ამ სამეფოს უკანასკნელი მეფეების სურვილი, საქართველოში გაეხსნათ უმაღლესი სკოლის ტიპის ლიცეუმები... მაგრამ სამშობლოს დამოუკიდებლობადაკარგულ ქართველებში არ გამქრალიყო თავისუფლების წყურვილი და ეროვნული უმაღლესი სკოლის დაარსებაზე ოცნება...

პირველი ქართული ცნობა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობისა და მისი მოთხოვნის შესახებ გაჩნდა 1832 წლის შეთქმულთა წრეში, რომლის წევრთა უმრავლესობა ნაზიარები იყო რუსულ და ევროპულ განათლებას. მაგრამ ეს მოთხოვნა იმ დროს განუხორციელებელი აღმოჩნდა ისევე, როგორც თვით 1832 წლის შეთქმულება.

XIX საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა.

XX საუკუნის დამდეგიდან კი ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მისია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილმა და მისმა პრივატ-დოცენტმა – ივანე ჯავახიშვილმა იკისრა. იგი სამართლიანად მიიჩნევა ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად, ქართული ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-გაძლიერების თვალსაზრისით.

როდესაც ივანე ჯავახიშვილი ქართველ საზოგადოებას უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე ესაუბრებოდა, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ქართული უნივერსიტეტი ერთდროულად სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაც უნდა ყოფილიყო და უმაღლესი სასწავლებელიც. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელები მართო ლექციების მკითხველნი კი არ უნდა ყოფილიყვნენ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთი ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას შეუწყობდნენ ხელს და მისაბაძი მაგალითიც იქნებოდნენ მოზარდი თაობისათვის...

ივანე ჯავახიშვილი, მცირერიცხოვან თანამოაზრეებთან ერთად, უნივერსიტეტის დაარსებით დიდი ქართული კულტურის

ჩატეხილი ხიდების აღდგენას ცდილობდა. აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენ ჩვენი უმაღლესი განათლების ისტორია უნდა დავიწყოთ არა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით 1918 წელს, არამედ საქართველოში უმაღლესი განათლების კერების არსებობით უკვე XII საუკუნეში და, შესაძლებელია, უფრო ადრეც, კერებისა, რომლებიც თავისი დროის ყველაზე მონინავე, ელინისტურ ტრადიციებზე დამყარებულ ცენტრებს წარმოადგენდა, სადაც ისწავლებოდა ტრივიუმ-ქუადრივიუმ პრინციპის მიხედვით აღმოსავლურ-დასავლური ფილოსოფია, რაც მოიცავდა იმდროინდელი მეცნიერებისა და განათლების ყველა ძირითად სფეროს... სწორედ ელინისტური კულტურის – ამ აღმოსავლურ-დასავლური კულტურული სიმბიოზის – გამოხატულებაა უძველესი ქართული კულტურა, კულტურა ქვეყნისა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზეა მოთავსებული და თავის თავში ტრადიციულად აერთიანებს ელინისტურ-დასავლურ კულტურულ ნაკადებს. ეს ტრადიციები, უკვე ევროპული განათლებისა და მეცნიერების სახით, აღდგა ჩვენში ქართული უნივერსიტეტის დაარსებით. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დიდი ისტორიული მნიშვნელობა“.<sup>1</sup>

1918 წლის 5 თებერვალს ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მე-4 სხდომამ, რომელსაც პეტრე მელიქიშვილი (სხდომის თავმჯდომარე), ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, იოსებ ყიფშიძე (სხდომის მდივანი) ესწრებოდნენ, მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის მიერ შექმნილი უნივერსიტეტის ბეჭდის სამი ნიმუშიდან ერთ-ერთი დაამტკიცა.<sup>2</sup>

დიმიტრი შევარდნაძე მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო. იგი 1885 წლის 1 დეკემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში დაიბადა, საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო სამხატვრო ცოდნის მისაღებად ჯერ პეტერბურგში გაემგზავრა, შემდეგ კი მიუნჰენის სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. „არქივებმა შემოგვინახა საბუთები, რომლებიც მოწმობს, რომ

1 გამყრელიძე თ., უნივერსიტეტის საიუბილეოდ. გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 2, 2008

2 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“. 2006, გვ. 99.

სტუდენტობის წლებში მას მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.<sup>1</sup> დიმიტრი შევარდნაძის ნაცნობობა ექვთიმე თაყაიშვილთან 1910 წლიდან დაწყებული, როდესაც იგი, ჯერ კიდევ გერმანიაში მყოფი, თაყაიშვილის მიერ წამოწყებულ სპარსული მინიატურებით შემკული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმეში აქტიურად ჩაბმულა. 1911 წელს გერონტი ქიქოძე მიუწვნიდან ექვთიმე თაყაიშვილს სწერდა: „დიდათ პატივცემულო ბატონო ექვთიმე! დღეს გაზეთში წავიკითხე, რომ საისტორიო საზოგადოებაში გადაგინყვეტიათ ხუთასი მანეთის გადადება მონასტრებში და ეკლესიებში დარჩენილი ქართული მხატვრობის გადმოსაღებათ. ამ საქმისთვის, რა საკვირველია, მცოდნე და კეთილსინდისიერი ადამიანი დაგჭირდებათ. აქ არის ერთი ახალგაზრდა ქართველი მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც სიამოვნებით იკისრებს მაგ საქმეს, თუ თქვენ არაფერი გაქვთ მის წინააღმდეგ და მიანდობთ მას. თქვენ პირადად კიდევ იცნობთ შევარდნაძეს. ჩემის აზრით, მეტად ნიჭიერი, მცოდნე და მუყაითი ახალგაზრდაა და როგორც თქვენთვის, ისე მისთვის ძლიერ ხელსაყრელი იქნება, თუ ასეთს მნიშვნელოვანს და საინტერესო საქმეს მიანდობთ. ის მზადაა თქვენი ცნობის მიღებისთანავე გამოემგზავროს საქართველოსკენ“.<sup>2</sup>

პირველი მსოფლიო ომის წლებში რუსეთის არმიის სამხრეთის ფრონტმა ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა და ქოროხის აუზის რეგიონიც გაათავისუფლა. ამ გარემოებით ისარგებლა ექვთიმე თაყაიშვილმა და 1917 წელს მოაწყო სამხრეთ საქართველოში მესამე არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელშიც ექვთიმესთან ერთად მონაწილეობდნენ ინჟინერი ანატოლ კალგინი, ვარძიის მონასტრის მღვდელ-მონაზონი იპოლიტე, მხატვრები: ლადო გუდიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი და დიმიტრი შევარდნაძე, აგრეთვე „მოხალისე ხუროთმოძღვარი-ალბინისტი“ ილია ზდანევიჩი.<sup>3</sup> ამ მოგზაურობას ექსპედიციის თითოეული ახალგაზრდა წევრისათვის განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, გა-

1 ბერიძე ვ., ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე. გაზ. კომუნისტისტი. 15 თებერვალი, 1986.

2 ყანჩაველი ნ., მხატვარი და საზოგადო მოღვაწე. ყ. საბჭოთა ხელოვნება. 9, 1985.

3 არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 3.

მოცდილებამ თუ დიდ მეცნიერთან ურთიერთობამ ღრმა კვალი დატოვა მათზე. ამას ისინი ყოველთვის აღნიშნავდნენ. „ექვთიმე თაყაიშვილთან შეხვედრას ლადო გუდიაშვილმა გადამწყვეტი მოვლენა უწოდა თავის ცხოვრებაში“.<sup>1</sup>

ივანე ჯავახიშვილთან დიმიტრი შევარდნაძის ნაცნობობა, როგორც ჩანს, მისი გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნების შემდგომ დაიწყო.

დიმიტრი შევარდნაძემ საქართველოში ჩამოსვლისთანავე საფუძველი ჩაუყარა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ქართული კულტურის ძეგლების მოვლისა და მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით. ივანე ჯავახიშვილი ამ საზოგადოებას სისტემატურად ეხმარებოდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა ძეგლების ფიქსაციისა და შესწავლის საქმეში. იგი 1916 წლის 14 აგვისტოს მოხსენებაში წერდა: „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას ვურჩიე ამთავითვე ნაბახტევის ეკლესიის კედლის მხატვრობისთვის მიექცია ყურადღება და დაღუპვისაგან გადაერჩინა“.<sup>2</sup> ნაბახტევის ექსპედიცია წარმატებით დაგვირგვინდა და 1917 წელს მისი შედეგების, კედლის მხატვრობის პირების, გამოფენაც მოენყო ე.წ. „დიდების ტაძარში“. ეს შენობა შემდეგ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას გადაეცა, სადაც 1920 წელს საქართველოში სახვითი ხელოვნების პირველი მუზეუმი – „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა“ გაიხსნა, რომლის ხელმძღვანელად დიმიტრი შევარდნაძე დაინიშნა.

დიმიტრი შევარდნაძე ფართო თვალსაწიერის მოაზროვნე და დახვეწილი გემოვნების მქონე მხატვარი იყო. მის შემოქმედებასა და მოღვაწეობას ევროპული განათლება და ეროვნული კულტურის ცოდნა ედო საფუძვლად. მისი შეუმცდარი მხატვრული ალლო რომ არა, იქნებ საქართველოს სამუდამოდ დაეკარგა ფიროსმანის შემოქმედების დიდი ნაწილი; მისი ამოუწურავი ენერჯია და შემართება რომ არა, დღეს ნამდვილად არ გვექნებოდა ასეთი მდიდარი ხელოვნების მუზეუმი; მისი ზნეობრივი გმირობა რომ არა, დაინგრეოდა მეტეხის ტაძარი.<sup>3</sup> ხანმოკლე, მაგრამ მრავალმხრივი იყო მისი მოღვაწეობა.

1 *მოსეშვილი ი.*, ლადო გუდიაშვილი. თბილისი, 1988, გვ. 18.

2 *ჯავახიშვილი ი.*, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას, მოხსენება ნაკითხული 14.VIII.1916. ყ. ძეგლის მეგობარი, 7, 1966, გვ. 47.

3 *ჯავახიშვილი ქ.*, მიხეილ ჯავახიშვილი. თბ., 1984, გვ. 458-460.

კომუნისტურ ტირანიას შეჭიდებული ხელოვანი თითქოს ჩქარობდა საკუთარი ნიჭისა და ენერჯის დახარჯვას... დიმიტრი შევარდნაძე 1937 წელს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

როგორც ალექსანდრე ბარამიძე იგონებდა, ქართული უნივერსიტეტის გერბის იდეა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნოდა.<sup>1</sup> თავდაპირველად შეიქმნა უნივერსიტეტის ბეჭდის ესკიზები, რომლებიც საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ივანე ჯავახიშვილის არქივში, ინახება (სურ. 54<sup>ა</sup>, 54<sup>ბ</sup>), ხოლო თვით ლითონში ჩამოსხმული საბეჭდავი დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში (სურ. 54). ეს უნიკალური ექსპონატი მუზეუმს შემოსწირა ლიტერატორმა, სალომე (მეია) ყუბანეიშვილმა, რომელსაც დეიდამისისგან, თინათინ ნაკაშიძისგან, გადმოეცა. თინათინ ნაკაშიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ამაგდარი მუშაკი, შემდგომ კი საქართველოს ნიგნის პალატის მთავარი ბიბლიოგრაფი იყო. იგი სახელოვანი მეცნიერის, გრიგოლ წერეთლის თანამშრომელი ყოფილა, როდესაც გრიგოლი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა (სურ. 72). სწორედ გრიგოლ წერეთელს მიუბარებია შესანახად თინათინისთვის უნივერსიტეტის პირველი ბეჭედი.

ბეჭედი წარმოადგენს მრგვალ, 4,7 სმ დიამეტრის ფარზე გამოსახულ ირემს, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს. ბეჭდის ესკიზის შექმნისას მხატვარმა გამოიყენა ანტიკური ეპოქის ბრინჯაოს ჭვირული ბალთების კომპოზიციის მთავარი დეტალი (სურ. 55). ამ ბალთების ძირითადი კოლექციები დაცულია თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, აგრეთვე – მოსკოვში, პეტერბურგში, ნიუ-იორკსა და ლონდონში.

ბალთები შინაარსობრივად ბუნების კულტთან დაკავშირებულ მითოლოგიურ კომპლექსს ასახავს, თუმცა, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, მათზე გამოსახულ სიუჟეტს დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, ფიგურათა სტილიზაცია იმ საფეხურზეა აყვანილი, რომ ის წმინდა დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს, მთავარი ყურადღებაც სწორედ გამომსახველობას ექცევა. გვიანანტიკური ხანის იმდროინდელი ეროვნული კულტურის თავისებურება მკვეთრად გამოვლინდა იმ ეპოქის შესანიშნავ ძეგლებში, ბრინჯაოს ჭვირულგამოსახულებიან ბალთებში, რომლებიც წარმოგვიდგენს წინაქრისტიანული ხანის ქართული მხატვრული მელითონეობის

1 ბარამიძე ალ., ახლო წარსულიდან. თბ., 1983, გვ. 321.

უკანასკნელ ეტაპს და აგვირგვინებენ ამ დარგის ბრწყინვალე ტრადიციებს.<sup>1</sup>

ბრინჯაოს ბალთებს, ცენტრალური ცხოველის იკონოგრაფიის ცვლილების მიხედვით, ხუთ ჯგუფად ჰყოფენ. უნივერსიტეტის ბექდის თემის გადანყვეტისას დიმიტრი შევარდნაძეს გამოყენებული აქვს I ჯგუფში გაერთიანებული ბალთების ზოგადი სქემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ა) კომპოზიციის ცენტრალური ელემენტია უკან თავმიბრუნებული ფანტასტიკური ირმის გამოსახულება; ბ) ბალთების კომპოზიცია ორფიგურია.

ბრინჯაოს ბალთებზე მეორე ფიგურას ნუკრის გამოსახულება არ აქვს, ბალთების კომპოზიციისთვის დედაშვილობის მოტივი უცხოა. ბალთებზე გამოსახული ყველა ფიგურა ნაყოფიერების ქაღალკების უძველესი ზოომორფული სახეა. ეს ღვთაება კი მონადირეობის ქაღალკის პირველსახედ ითვლება. მასასადამე, ბალთების სიმბოლიკა ქართველ და, საერთოდ, კავკასიელ ტომთა უძველეს რელიგიურ წარმოდგენებსაც უკავშირდება.<sup>2</sup>

შევარდნაძემ უნივერსიტეტის ბექდის ცენტრალური ფიგურა – ირემი ბრინჯაოს ბალთების მიხედვით შექმნა, კომპოზიციის მეორე ელემენტს კი ნუკრის გრაფიკული სახე მისცა და ნაწარმოების იდეას ზუსტი ფორმა მოუძებნა. უფროსის მიერ უმცროსისათვის ცოდნის, სიბრძნის გადაცემის აქტს მიანიჭა მარტივი, პოეტური და, ამავე დროს, ზოგად პლანში მოაზრებული თაობათა ერთიანობის სიმბოლური სახე. ბალთებზე გამოსახულ ირმებს ფერდება და მკერდზე აქვთ კონცენტრირებული წრეები, რომლებიც ამ ცხოველთა მთვარის კულტთან კავშირზე მიანიშნებს.<sup>3</sup> უნივერსიტეტის ბექედში ეს წრეები პირდაპირ არის გადმოტანილი. გერბში კი ირმის ფეხების კონტურის გაგრძელებად და სპირალურ ორნამენტად წარმოგვიდგება, ამით იგი ჰარმონიულად აერთიანებს ცენტრალურ ფიგურას, მის ჩარჩოსა და დარჩენილი სივრცის შესავსებად გამოყენებულ ორნამენტულ დეკორს, რომელიც ასევე ხვეულ სტილშია გადანყვეტილი. ამგვარი ორნამენტი ბალთების I ჯგუფის III ქვეჯგუფისთვისაა დამახასიათებელი.

1 *ხიდაშელი მ.*, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბ., 1972, გვ. 86.

2 *ხიდაშელი მ.*, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბ., 1972, გვ. 65.

3 იქვე, გვ. 80

ბეჭდის ფარის სივრცეს ავსებს ვაზის დეკორი, იგი ძველი ქართული ხელნაწერების აჭურულ სამკაულებს მოგვაგონებს. ერთმანეთში ფაქიზად ჩახლართული ყვავილწულები და ყურძნის მტევნები ლირიზმით ავსებენ ნაწარმოებს.

ფარს გარს უვლის 31 სპირალისებრი ორნამენტისგან შედგენილი ჩარჩო და წრიული წარწერა ქართული და ლათინური მთავრული შრიფტით: „ტფილისის უნივერსიტეტი UNIVERSITAS TPHILISENSIS“. სიტყვები ერთმანეთისგან გაყოფილია ორწერტილით, ხოლო ქართული და ლათინური წარწერა ერთმანეთისგან ჯვარედინი ოთხი წერტილითაა გამიჯნული.

მოგვიანებით ბეჭდის საფუძველზე შეიქმნა უნივერსიტეტის გერბი, მაგრამ, ბეჭდისგან განსხვავებით, ნორმატიული სახის დოკუმენტი ამ გერბის დამტკიცების თაობაზე არ შემონახულა. მის პირველწყაროდ წარმოგვიდგება უნივერსიტეტის გამომცემულ წიგნებზე დაბეჭდილი გერბის გამოსახულებები წარწერით: „ტფილისის უნივერსიტეტის ღერბი“.<sup>1</sup> გერბი წარმოადგენს მრგვალ (აღმოსავლურ) ფარს (თუ გლიპტიკაში ეს ყველაზე გავრცელებული ფორმაა, ჰერალდიკაში მას ნაკლებად იყენებენ). ბეჭდის ემბლემა, ირემი და ნუკრი, გერბზე თითქმის უცვლელადაა გადატანილი, თუმცა გამომსახველობითი ხერხი უფრო მკაცრი და გამარტივებულია. ირემების უკან მოჩანს მშვენიერი დეკორატიული ელემენტი, ვაზის ან სიცოცხლის ხის გრაფიკული სილუეტის სახით, რომელსაც მარცხნიდან და მარჯვნიდან ვაზის სტილისებრი რქები ეყრება.

გერბის ცენტრალური ელემენტის ირგვლივ, ბეჭდისგან განსხვავებით, აღარ ჩანს წარწერა ქართულ და ლათინურ ენაზე. სამაგიეროდ, S-სებური ორნამენტებისგან შექმნილ მოჩარჩოებას გარს ერტყმის 24 ფიგურისაგან შემდგარი ჩარჩო. ფიგურები მოთავსებულია კუთხოვან ნულ ორნამენტში, რომლის ტეხილი სტილი და გერბის ფარზე გამოსახული ჩუქურთმების ხვეული ფორმების კონტრასტი მთელ ნაწარმოებს დინამიკას ანიჭებს. რეალისტური თუ ფანტასტიკური ცხოველებისა და ფრინველების ფიგურები სიმეტრიულად მიჰყვებიან ერთმანეთს და მონესრიგებულ ორნამენტულ სისტემას ქმნიან, მრავალფეროვნების მიუხედავად, ჰარმონიულად ერთიანდებიან და მონუმენტურ იერს ანიჭებენ გერბს.

---

1 ჩვენი მეცნიერება. თბილისი: „ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1923, გვ. 23.

კუთხოვან-წნულ ჩარჩოში ჩასმული ეს ფიგურები დიმიტრი შევარდნაძემ იშხნის მცირე ეკლესიის (სურ. 56) ხუროთმოძღვრული მორთულობის მიხედვით შექმნა. როგორც აღვნიშნეთ, მან 1917 წელს სამხრეთ საქართველოში მონყოილ მესამე არქეოლოგიურ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა და სხვა ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან ერთად შეისწავლა იშხნის, ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იშვიათი სილამაზის კოხტა ეკლესია და მისი არაჩვეულებრივად ფაქიზი, მშვენიერი მორთულობა“. ეს ეკლესია 1006 წელს აუშენებია მეფე გურგენს (994-1008 წწ), რომელიც ქართველ ბაგრატიონთაგან პირველი ატარებდა მეფეთმეფის ტიტულს. სხვადასხვა ფერის ქვით ნაშენ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კარს ამშვენებს მდიდარი სკულპტურული თამასა (სურ. 57). განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხოველთა ორნამენტი. აქვე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა და თარიღები ქართული და სომხური წელთაღრიცხვის მიხედვით. წარწერის კამარადშემოვლებული თამასა ქართული სკულპტურული ორნამენტის თვალსაჩინო ნიმუშია. მის გამოყენებას თბილისის უნივერსიტეტის გერბში განაპირობებს როგორც წმინდა მხატვრული, ისე აზრობრივი მნიშვნელობა.

დიმიტრი შევარდნაძემ იშხნის მცირე ეკლესიის მორთულობის ცხრაშედი ფიგურა ოცდაოთხამდე შეავსო ისე, რომ არ დაურღვევია სტილური მთლიანობა. გერბის ამ წნული მოჩარჩოებით ერთმანეთისგან გამოყოფილი და, ამავე დროს, გაერთიანებული ეს ნაწილი სამყაროს სიმბოლოა, რომლის შესახებ ცოდნის მისაღებად აუცილებელი პირობაა დედაშვილობასავით (ირმები) ჭეშმარიტი, მყარი ერთობლიობა (უნივერსიტას) მოძღვარსა და მოსწავლეს შორის და უფროსის მიერ უმცროსისათვის სიბრძნის გადაცემა და გამოცდილების გაზიარება.

ამრიგად, პირველი ქართული უნივერსიტეტის გერბის ავტორმა ზუსტად გადმოსცა უნივერსიტეტის დამაარსებელთა იდეა: ახალდაარსებული უნივერსიტეტი ქართული ისტორიულ-კულტურული ტრადიციების საძირკველზე დაფუძნებულიყო და მომავალი თაობისათვის გადაეცა კაცობრიობის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სიბრძნე. დიმიტრი შევარდნაძის მიერ შექმნილი გერბი ქართული ჰერალდიკური მემკვიდრეობის საინტერესო ნიმუშია.

## „ჰერალდიკური ექსპედიცია“, ანუ დიმიტრი შავარდნაძის ნაკვალევი

თუ ბეჭდის დამტკიცების შესახებ შემონახულია უფლებამოსილი ორგანოს – უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, სამწუხაროდ, არქივებმა არ შემოგვინახა ასეთივე იურიდიული საბუთი გერბის დამტკიცების თაობაზე. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის გერბი არის გამოსახულება, რომელიც შედგება დედა-შვილი ირმის, სიცოცხლის ხითა და ცხოველთა და ფრინველთა გვირგვინისაგან, რადგან იგი გამოისახებოდა უნივერსიტეტის გამოცემებზე და იქვე მითითებული იყო, რომ ეს არის „უნივერსიტეტის ლერბი“. თუმცა, როგორც ვთქვი, ნორმატიული დოკუმენტი გერბის აღწერილობისა და მისი დამტკიცების თაობაზე არ არის მიკვლეული. არადა, ეს გერბის არსებობის, ე.წ. „კანონიერების“ აუცილებელი პირობაა. ამიტომ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, უნივერსიტეტმა 2014 წელს თხოვნით მიმართა საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, მოემზადებინა არსებული გერბის აღწერილობა, რომელსაც წარმომადგენლობით საბჭო დაამტკიცებდა. უნივერსიტეტის გერბის არც ავტორისეული ესკიზია ცნობილი და არც მაღალი დონის ტიპოგრაფიული ნიმუშებია შემორჩენილი, ამიტომ გარეჩარჩოს ზოგიერთი ფიგურის დასაზუსტებლად მიზანშეწონილი იყო თურქეთის რესპუბლიკაში ჩასვლა და იშხნის მცირე ეკლესიის ტიმპანის მორთულობის დათვალიერება-შესწავლა და ფოტოგრაფირება.

ამ მიზნით სამდღიანი მივლინებით გავემგზავრეთ. ჯგუფის შემადგენლობაში ვიყავით ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე, მხატვარი ზაზა კიკნაძე, ფოტოგრაფები დავით ბუაჩიძე და გიორგი ჯოხარიძე. მამუკა და ზაზა რამდენჯერმე ყოფილან ტაო-კლარჯეთში, ამიტომაც მეგზურობა მათ იტვირთეს.

ყოველთვის ასე იყო, რამდენჯერაც ბორჯომს გადავცდებოდი და აწყურს ვუახლოვდებოდი, მუდამ გული უცნაურად მიჩქარდებოდა. ვიცი, რატომაც – ბავშვობისდროინდელი ძლიერი შთაბეჭდილების ბრალი იყო – მოსწავლეობისას ექსკურსიაზე მიმავალს, ჩემსავე სამშობლოში ჩასასვლელად საზღვრის გადალახვა რომ დამჭირდა და მესაზღვრეების მკაცრი, დაბღვერილი სახეების დანახვამ რომ ამაფორიაქა. ახლაც ასე იყო! სოფელ აწყურთან კარგა ხანია, აღარ

დგანან საბჭოთა მესაზღვრეები, მაგრამ მესხიერებაში მაინც ეს სოფელი ორი სამშობლოს სამანად შემომრჩა, ან უფრო სწორად, სამშობლოს ორი ნაწილის სამანად. მას რომლის იქით ის ნახევარია, რომელთან მიახლება უფრო ძნელი, უფრო საფრთხილოა და დიდ კრძალვას იწვევს. თუკი მას მერე, რაც ეს ხელოვნური საზღვარი მოიხსნა და ბევრჯერ შევძელი სამხრეთ საქართველოში, ახალციხესა და ასპინძაში ჩასვლა და, ამის გამო, თითქოს უფრო გავუთამამდი მესხეთ-ჯავახეთის ველებისა და კლდეების ბიბლიურ პეიზაჟებს, სამაგიეროდ, ჩემდა სამარცხვინოდ, მხოლოდ ახლა უნდა ჩავსულიყავი პირველად „თურქეთის საქართველოში“.<sup>1</sup> ამიტომაც ძნელი იყო ემოციის დამალვა. მივდიოდი იქ, საიდანაც დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა, იმ მისტიკურ სამყაროში, რომელიც ჩემში ჯერ კიდევ მერვე კლასში სწავლისას ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე გამოიძერწა. შეიძლება, მე ბედნიერი გამონაკლისი ვიყავი და მყავდა არაჩვეულებრივი მასწავლებლები; მათ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ისე წამაკითხეს, რომ გაუცხოების მხოლოდ ის დოზა შემრჩა, რომელიც უნდა ჰქონდეს უბრალო მოკვდავს დიდი ხელოვნების მიმართ. ბუნებრივია, გრიგოლის ცხოვრება საფუძვლიანად უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შევისწავლე, მაგრამ ის რიდი და მოწინება, რომლითაც ამ დიდი მოღვაწის მიმართ ვიყავი განმსჭვალული, სკოლიდან მომყვებოდა...

ახალციხიდან გასულები მდინარე ფოცხოვისწყლის სიგრილემ საბოლოოდ გამოგვიყვანა დილის გარინდებიდან და სასაზღვრო პუნქტსაც მივაღექით. აქ კი ვიგრძენით სიბრაზენარევი სიამაყე: ჩვენმა მესაზღვრეებმა და მებაჟეებმა ოპერატიულად შეასრულეს პროცედურა და ღიმილით გაგვაცილეს, სამაგიეროდ, მათმა თურქმა კოლეგებმა გვაიძულეს, მანქანის დასაზღვევად ტაქსი დაგვექირავებინა, საზღვრიდან 23 კილომეტრით დაშორებულ პოსოვში (ფოცხოვში) ჩავსულიყავით, იქ გადაგვეხადა საბანკო მოსაკრებელი და საბაჟოზე ტაქსითვე ამოვბრუნებულყავით.

გზა იუსუფელამდე, სადაც ღამე უნდა გავვეთია, 5 საათში დავფარეთ. ყველა მოგზაურობას განსაკუთრებული და განუმეორებელი ემოცია ახლავს, მაგრამ ეს 5 საათი ჩემთვის რეალობას სრულიად მონყვეტილი იყო, კიდევ კარგი, საჭესთან არ ვიჯექი. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე გზატკეცილები, სერპანტინები, უშველებელ რკინა-ბეტონის კალაპოტებში მოქცეული წყალსაცავები და

1 თუ არ მეშლება, ეს ტერმინი ექვთიმე თაყაიშვილმა შემოიღო.

ხიდები დაჟინებით „ცდილობდნენ“, თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებით გავეოცებინე, ჩემთვის ეს გზა წარსულში მოგზაურობა უფრო იყო, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ბერის ანაფორით შემოსილი მეროჭიკეები რომ დამენახა მთების ბილიკებზე, არ გამიკვირდებოდა. ამ ხილვას ვერ გადაფარავდა ყველა პატარა დასახლებაში აღმართული მეჩეთ-მედრესეები. სულაც არ მგონია, რომ ლამანჩელი რაინდის სინდრომი შემეყარა და ნიგნებში ნაკითხული თუ ლექცია-გაკვეთილებზე მოსმენილის ტყვეობაში ვიყავი, მაგრამ განსაკუთრებულად უარყოფით ემოციას იწვევდა იმის შეგრძნება, რომ მივდიოდი ხეობებში, სადაც ოდესღაც ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ფურცლები ინერებოდა, დღეს კი აქ სხვა ქვეყნის მოქალაქე ვიყავი... როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერს, 1921 წლიდან, სამწუხაროდ, საქართველოს 13,072 კვ. კილომეტრი და 250.000 მოსახლე თურქეთის საზღვრის იქით აღმოჩნდა.<sup>1</sup>

ვერ შევამჩნიეთ, ისე გავცდით ბანას გადასახვევს. უკან გამოვბრუნდით, შემხვედრს გზა ვკითხეთ. ჩაი შემოგვთავაზა ახალგაზრდა კაცმა, მადლობა გადავუხადეთ – გვაგვიანდებოდა. მოხრეშილ გზას დავადექით. აქ მოგვივიდა აზრად, ჩვენი სამდღიანი მოგზაურობისთვის „ექსპედიცია დიმიტრი შევარდნაძის ნაკვალევზე“ დავვერქმია!

1917 წლის ექვთიმე თაყაიშვილის იმ ცნობილი ექსპედიციისაგან განსხვავებით, ჩვენ ერთი მიზანი გვქონდა: იშხნის მონახულება და მცირე ეკლესიის ტიმპანის ფიგურების დეტალური აღწერა-ფოტოგრაფირება და ჩახატვა. ამიტომ ერთი დღე იშხანში უნდა გაგვეტარებინა, ხოლო პირველ საღამოს და მესამე დღეს დილით, უკან დაბრუნებისას, თუ მოვასწრებდით, ოთხთა ეკლესია, ოშკი, არტანუჯი გვენახა.

იუსუფელში სასტუმრო „ბარსელონაში“ გავჩერდით. მდინარე ჭოროხისა და პარხლისწყლის შესართავთან გაშენებული პანია დაბა რამდენიმე წელიწადში წყლით დაიფარება. როგორც ამბობენ, აქ მალე იუსუფელის 260 მეტრის სიმაღლის კაშხალი აშენდება, რომელიც მსოფლიოში სიდიდით მეორე იქნება. ბევრი ქართული არქიტექტურული ძეგლიც სამუდამოდ წყლის ქვეშ მოექცევა!..

საღამოს, ვახშმის მერე შევიკრიბეთ ექსპედიციის წევრები. ხვალ ვნახავთ იშხანს, გადავიღებთ ფოტოებს და უნივერსიტეტის

1 *თაყაიშვილი ე.*, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 2.

გერბზე გამოსახულ ყველა ფიგურას დავაზუსტებთ, მაგრამ რა ვუ-  
ყოთ ფერს? დიმიტრი შევარდნაძის ესკიზი არ გვაქვს, შემორჩენი-  
ლია მხოლოდ ტიპოგრაფიული ნიმუშები უნივერსიტეტის მიერ გა-  
მოცემულ ნიგნებზე. ბოლო ხანს ლურჯსა და თეთრში გამოსახავენ  
გერბს, მაგრამ ეს ხომ ავტორისეული არ არის! გერბის ცენტრალურ  
ნაწილში სამი პლასტია: ე.წ. ფონი, სიცოცხლის ხე და მესამე – ირმე-  
ბი. თუ გავითვალისწინებთ გერბის შექმნის პრინციპსა და საშუალე-  
ბებს (ფერი ანუ მინანქარი და ლითონი, აქ ბენვეული არ გამოგვად-  
გება), ნათელია: სიცოცხლის ხესა და ირმებს ერთი ფერით ანუ ერთი  
მასალით არ შექმნიდა ავტორი. ვარაუდები ამ საქმეში არ გამოდგე-  
ბა, ამიტომ სხვა გზა არ არის, ჩვენ უნდა ჩავერიოთ და შევიმუშაოთ  
რამდენიმე ვარიანტი: ორფეროვანი (ან შავ-თეთრი, ან ლურჯ-თეთ-  
რი, – არც ერთი არ მოგვწონს, რადგან სიცოცხლის ხე და ირმები  
ძნელად განირჩევა, მით უფრო, როდესაც გამოსახულება მცირდება)  
თუ სამფეროვანი?! ყველა შემთხვევაში ავტორისეული ფერადოვა-  
ნი ჩანაფიქრი ჩვენთვის უცნობია. მნიშვნელოვანია, არ დაიკარგოს  
მთავარი: შევარდნაძისეული არტეფაქტის ნახატი, არ შეიცვალოს  
ის, რაც უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა თავის დროზე მოიწონეს.  
მამუკა გონგაძე და ზაზა კიკნაძე იმასაც ამბობენ, ხომ არ მიეცეს არ-  
ტეფაქტს, კლასიკური გაგებით, სრულად გერბის ფორმა, ანუ არსე-  
ბული გამოსახულება დავიტანოთ ჰერალდიკურ ფარზე?! – ამ იდეას  
დაეჭვებული ვუყურებ, მაგრამ ვნახოთ...

ვისაც ნანახი აქვს ძველი, განადგურების პირას მისული იშხნის  
ფოტოები, ის დამემონებება, ნამდვილად თურქეთის ხელისუფლების  
დამსახურებით, მეორე სიცოცხლე დაუბრუნდა ქართული კულტუ-  
რისა და არქიტექტურის უძვირფასეს მარგალიტს.

მდინარე ოლთისის მარჯვენა ნაპირიდან ციცაბო აღმართს მი-  
უყვება სამანქანო გზა. გაგვიმართლა, მშრალი ამინდია, წვიმასა და  
ტალახში გაჭირდებოდა. ნელა მივიწვეთ, თანდათან ჰორიზონტი  
ფართოვდება და ტაოს ქედები და ზეგნები იშლება (სურ. 73, 74, 75).  
სპილენძისფრად შეფერილი კლდეების ზემოთ ლურჯად ლივლივებს  
ჰაერი. სოფელში შევდივართ თუ არა, მშრალ, მზისგან გავარვარე-  
ბულ ჰაერს უცბად სიგრილე ცვლის. ირგვლივ სიცარიელეა. რო-  
გორც ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს, ჯერ კიდევ 1917 წელს ქართუ-  
ლი მხოლოდ ზოგ მოხუცებულსღა ესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ

იშხნის ყველა მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველი ყოფილა.<sup>1</sup> ახლა აქ ქართული აღარავინ იცის.

ვერც მოვასწარით ტაძრის მოძებნა, უცბად ჩვენ თვალწინ აღიმართა ულამაზესი გუმბათი – გაშლილ ეზოში იდგა ასე ახლობელი და, იმავდროულად, შორეული, საუკუნეებგამოვლილი იშხნის საეპისკოპოსო ტაძარი, გვერდით კი უშველებელი ხეების ჩრდილში შეყუჟულიყო გურგენისეული მცირე ეკლესია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მინახავს აქაურობა ფოტოებზე, თითოეული დეტალი ნაცნობი იყო! დანარჩენებისგან განსხვავებით, მე მცირე ეკლესიისკენ ნავედი. არც ისეთი პატარა ყოფილა, მაგრამ საეპისკოპოსო ტაძართან შედარებით მოკრძალებით გამოიყურება. პირველად ერმაკოვის მიერ გადაღებულ მინის შავ-თეთრ ნეგატივზე ვნახე, დახვეწილი ხაზები, ნაზი და, ამავე დროს, ეპიკური ჩუქურთმები და ფიგურების რელიეფები განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ექვთიმე ხომ წერდა, „გურგენ მეფის მიერ 1006 წელს აშენებული პატარა ეკლესია ახლა მეტად დაზიანებული და გაპარტახებულია, მაგრამ მისი კედლების საგანგებოდ ნაშენობა წმინდად ნათალი, სხვადასხვა ფერი ქვით და უაღრესად საუცხოო შემკულობა მისი ჩრდილო კარისა და ორთავე სარკმლისა ცხადად მონშობენ, რომ ეს ეკლესია სამაგალითო ყოფილა. ამ ტიპის ეკლესიებს დიდი სიმრავლით მოუღწევიათ ჩვენამდის, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება გურგენის ნაგებობას.“<sup>2</sup> კომპოზიციის მთლიანობაში მხატვრულად ჯდება წრიული ასომთავრული წარწერა, რომელიც ადასტურებს, რომ ეკლესია გურგენ მეფეს აუშენებია: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე გურგენ მეფეთა მეფემან აღვაშენე ესე წმიდა ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა ღმრთის მშობელისასა სალოცველად სულისა ჩემისა. წმიდაო ღმრთისმშობელო, ტალავარ მექმენ დღესა მას საშჯელისასა. ესე არიან ბჭენი უფლისანი და მართალნი შევლენან ამას. ყოველთა შემავალთა ლოცვასა მომიჯსენეთ. ქრნ იყო სკვ.“<sup>3</sup>

ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ჯობაძე მიიჩნევს, რომ ჩუქურთმებში ჩაქსოვილი ცხოველთა ბარელიეფების კომპოზიცია

1 *თაყაიშვილი ე.*, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

2 იქვე, გვ. 31.

3 *თაყაიშვილი* ასევე იმონმებს კარის მარჯვენა ქუსლზე არსებული სომხური წარწერის მარი ბროსესეულ წაკითხვას, რომელიც ასევე ამ თარიღს – 1006 წელს ადასტურებს.

სამოთხეს უნდა მინიშნებდეს (სურ. 81). ვახტანგ ჯობაძეს თავის განთქმულ წიგნში ჩვეული ოსტატობით აქვს შესწავლილ-აღწერილი ეს კომპოზიცია და მასზე გმოსახული ფიგურები: „იგი შედგება ოცი გადაბმული კვადრატისაგან, რომლებშიც ერთმანეთის მიყოლებით თავსდება რეალური თუ მითიური ცხოველები ანდა ფრინველები. მეორე კვადრატში (თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გავაყოლებთ თვალს) ერთის მაგიერ ორი ერთმანეთისკენ პირმიქცეული ფარშავანგია: შუალა კვადრატში ვაზის მტევანია შეკიდული. დასავლეთი კიდურა ცხოველი გამოქარულია და არ იკითხება. დანარჩენი ცხოველების დაცულობა რიგინია, თუმცა სიმცირისა თუ ფანტასტიკურობის გამო, ზოგი მათგანი დაბეჯითებით ვერ განისაზღვრება. მარცხნიდან მარჯვნივ აქ ვხედავთ: ფრთოსან ცხენს, პირშექცეულ ფარშავანგებს, ჯიხვს, კიდეც ერთ ჯიხვს, ფრთოსან დრაკონს, ლომს, მეორე ლომს, ფრთოსან ცხენს (?), სპილოს, მდედრ ირემს (?), ხარირემს, კუდაპრეხილ გრიფონს, მესამე ლომს, მესამე ჯიხვს, კვლავ ფარშავანგს, მეორე ფრთოსან ცხენს და გამოქარულ ცხოველს, რომელიც ველარ ამოიცნობა. ზოგიერთს კისერზე საყელო აქვს შემოხვეული, რაც მიგვანიშნებს, რომ ისინი სანადირო მამულის მკვიდრნი არიან.“<sup>1</sup> ვახტანგ ჯობაძე მიმოიხილავს ადრექრისტიანული იატაკის მოზაიკებს, განსაკუთრებით, სასუფევლის თემატიკას სირიაში, პალესტინასა და კილიკიის მოზაიკით მოფენილ იატაკებზე, და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქართველები ადრექრისტიანული ხანიდან მოყოლებული უამრავ მონასტერს ფლობდნენ ამ ქვეყნების წმინდა ადგილებში, ხოლო აქ მოსული ქართველ ქვის ოსტატებს ამ მოზაიკების თემები სამშობლოში მიჰქონდათ და ითვისებდნენ – იშხნის ამ კომპოზიციას სამოთხის სქემატურ და შემოკლებულ ვერსიად მიიჩნევს. ფიგურების სახელდება ჩვენ ვახტანგ ჯობაძისგან ოდნავ განსხვავებული გამოგვივიდა, მით უფრო, რომ მას რესტავრაციამდე ჰქონდა აღწერილი და, შეიძლება, ნანახიც არ ჰქონდა დიმიტრი ერმაკოვის მიერ 1877-78 წლებში (როდესაც იგი რუსეთ-თურქეთის ომის დროს სამხედრო ფოტოგრაფად მუშაობდა) გადაღებული ფოტო.<sup>2</sup> მისი ნეგატივი მინაზე ხელოვნების მუზეუმში ინახებოდა, საიდანაც წინა საუკუნის 90-იან წლებში არაჩვეულებრივი ფოტო დამიბეჭდა მუზეუმის ღვანლმოსილმა თანამშრომელმა – იგორ გინგელდორფმა.

1 *ჯობაძე ვ.*, დასახ. ნაშრომი, თბ., გვ. 232

2 Каталог фотографических видов и типов Дм. Ермакова, Тифлис, 1896

ეკლესიის ეზო და მიდამო ცარიელი იყო, მთელ სოფელშიც საოცარი სიმუდროვე სუფევდა, მხოლოდ შორს, ქუჩაში, ხის სკამზე, ახალგაზრდები ისხდნენ. – ვგრძნობდით, თვალყურს ადევნებდნენ ჩვენს საქმიანობას. მივხვდით, გამოცნაურების სურვილი არ გააჩნდათ არც ჩვენ შეგვიწუხებია, შეიძლება, ძეგლსაც მეთვალყურეობდნენ. ფაქტობრივად, ახალი დასრულებული იყო რესტავრაციის ძირითადი ნაწილი. მზე ჩადიოდა, მუშაობას რომ მოვრჩით, დავემშვიდობეთ იმხნის თვალნარმტაც ჩუქურთმებს და დავეშვიტეთ დამრეც გზაზე. ოლთისის ნაპირებთან უცებ ჩამობინდდა, მალლა მოჩანდა ჩამავალი მზით განათებული ქედები. მათ მიღმა დარჩა ლეგენდარული იმხნის საეპისკოპოსოს კათედრალი და ქართველთა პირველი მეფეთმეფის მიერ აგებული ულამაზესი ბაზილიკა. თითქოს ხევებში ჩანოლილი ჩრდილებიდან გვაცილებდნენ დიდი გრიგოლ ხანძთელისა და მისი დედის დისწულის, საბას აჩრდილები, რომელთა მიერ, ფაქტობრივად, მეცხრე საუკუნეში შექმნილმა იმხნის საეპისკოპოსომ მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე გაუძლო დროსა და ოსმალთა შემოტევას.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ჰერალდიკოსებმა უნივერსიტეტის გერბის ესკიზების რამდენიმე ვარიანტი შექმნეს. ყველა გამოქვეყნდა უნივერსიტეტის გაზეთსა და ინტერნეტში. ცხარე დისკუსია გაიმართა. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთაგან შეიქმნა დროებითი კომისია, რომელმაც ჰერალდიკის საბჭოს მიერ შემოთავაზებული მრავალი ესკიზიდან საბჭოზე განსახილველად შეარჩია სამი ვარიანტი.

2014 წლის 29 წლის სხდომაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა უნივერსიტეტის გერბი და დროშა.

გერბი, ფაქტობრივად, უცვლელად იმეორებს დიმიტრი შევარდნაძის კომპოზიციას. გერბის ბლაზონი ასეთია:

უნივერსიტეტის გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ მრგვალ ფარს. ლურჯ (C-100, M-50, Y-0, K-0) ფონზე გამოსახულია ვერცხლის ფურჩქემი, რომელიც ძუძუს ანოვებს ვერცხლის ნუკრს. ირმების უკან ოქროს (C-0, M-20, Y-60, K-10) სიცოცხლის ხეა. ფარს გარშემო ევლება ვერცხლის კუთხოვანი წნული ორნამენტი, რომელიც შედგება 24 ვერცხლის ფიგურისაგან. ფარის ლურჯ არშიაზე გამოსახულია ვერცხლის წარწერა ქართულ და ლათინურ ენებზე „ტფილისის უნივერსიტეტი“ და „UNIVERSITAS TPHILISENSIS.“წარწერები ერთმანეთის-

გან გამოყოფილია უნივერსიტეტის დაარსების თარიღით 1918 და დეკორატიული ნერტილებით. იმის გამო, რომ შევარდნადისეული ესკიზის დედანი არ მოგვეპოვება, ხოლო ნაბეჭდი არცთუ მკაფიო გამოსახულებები შემოგვრჩა, მხატვარ მიხეილ დარჯანასთან ერთად ჩავატარეთ კვლევა და შევადარეთ იშხნის მცირე ეკლესიის ბარელიეფები უნივერსიტეტის გერბის გასული საუკუნის 20-იანი წლების ნაბეჭდ გამოსახულებებს. აღმოჩნდა, რომ ფიგურების დიდი უმრავლესობა (12 ფიგურა) მხატვარმა გადმოიღო ტიმპანის მორთულობიდან, 9 ფიგურა აიღო სარკმლის მორთულობიდან, 3 ფიგურა (მარჯვნივ შებრუნებული ფრთოსანი ლომი, მონოცეროსი და ბუ) არ მოიძებნა იშხნის ეკლესიის რელიეფებზე (სურ. 76).<sup>1</sup>

დაკანონდა, რომ გერბზე სამი ფერია წარმოდგენილი: ლურჯია ფონი და ჩუქურთმების ხაზები, ვერცხლია (თეთრი) მთავარი და გარემორჩარჩოების ფიგურები, აგრეთვე – წარწერა, ხოლო ოქრო – სიცოცხლის ხე. დიმიტრი შევარდნადისეული ნახატი არ შეცვლილა, გერბს დაემატა წარწერა (ჰერალდიკური დევიზის სახეცვლილება) ქართულ და ლათინურ ენებზე: „ტფილისის უნივერსიტეტი: universitas tphilisensis“, ანუ წარწერა, რომელიც ჰქონდა უნივერსიტეტის პირველ ბეჭედს.

საზოგადოების მცირე ნაწილმა სწორედ ეს წარწერა გააპროტესტა, რადგან „მიიჩნია“, რომ „ტფილისი“ რუსიფიკატორულ პოლიტიკას უკავშირდებოდა. არადა, საქართველოს დედაქალაქს მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ტფილისი ერქვა მეოცე საუკუნის 30-იანი წლების მიწურულამდე, შესაბამისად, უნივერსიტეტსაც „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ეწოდებოდა.

არსობრივად, ჰერალდიკას ძველის, ტრადიციულისადმი განსაკუთრებული ერთგულება ახასიათებს, გერბი ხომ წარსულის ფერადოვანი მატრიანია! ამიტომ „ტფილისის“ შემოტანა უნივერსიტეტის გერბში რამდენიმე მოსაზრების გამო იყო საგულისხმო: ჯერ ერთი, როგორც ითქვა, იგი იმ ეპოქას მიანიშნებს, როდესაც უნივერსიტეტი დაარსდა (ასე ეწოდებოდა ჩვენს დედაქალაქს იმ დროს), მეორეც, ის წარსულისადმი პატივისცემას გამოხატავს. ამას გარდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს დასახელება იმეორებს უნივერსიტეტის პირველ ბეჭედზე ამოტვიფრულ წარწერას.

1 ფიგურების ბლაზონი ოფიციალურად არ დამტკიცებულა, ამიტომ ჩემეული წაკითხვისგანაც ამჯერად თავს შევიკავებ.

საზოგადოებაში გამოთქმული მოსაზრებების ავტორებს ავინყდებოდათ, რომ გერბი და მისი ელემენტები დროის ცვლილებას ნაკლებად ემორჩილებიან, პირიქით: ისინი მაშინ უფრო საინტერესოა, როდესაც წარსულის ამა თუ იმ მივინწყებულ მოვლენასა თუ ფაქტს გვახსენებენ. ამის საუკეთესო მაგალითია დიდი ბრიტანეთის სამეფო გერბი (სურ. 78), რომელსაც ორი ფრანგული წარწერა ახლავს (წვივსაკრავის ორდენის<sup>1</sup> და დევიზი: *Dieu et mon droit* – ქართულად: ღმერთი და ჩემი უფლება). არც ერთ ბრიტანელს, არც სამეფო ოჯახის წევრებს ფიქრად არ მოსდით ფრანგული ფრაზების შეცვლა.

---

1 „სირცხვილი მას, ვინც ამის შესახებ ცუდს გაიფიქრებს“ (*Honni soit qui mal y pense*). ეს ორდენი დიდი ბრიტანეთის უმაღლესი ჯილდოა, თუმცა მისი წარმოშობის ისტორია მკვლევართა კამათს იწვევს. ჯილდო 1348 წლის 23 აპრილს ინგლისის მფარველი წმინდა გიორგის სადიდებლად, კეთილი საქმის საკეთებლად და მხედრული სულის აღორძინების მიზნით გამორჩეული, ღირსეული ადამიანების შესაკავშირებლად დაუარსებია მეფე ედუარდ მესამეს. ერთი ლეგენდის მიხედვით, გრაფინია სოლსბერის მეფესთან ცეკვისას წვივსაკრავი დაფარდნია, რასაც გარემომყოფნი გაუმხიარულებია. მეფეს, როგორც ჭეშმარიტ რაინდს, აულია ძვირფასი ქვებით მორთული წვივსაკრავი, საკუთარ მარცხენა ფეხზე, მუხლის ქვემოთ მიუმაგრებია და საზოგადოებისთვის მიუმართავს: სირცხვილი მას, ვინც ამის შესახებ ცუდს გაიფიქრებსო! – ეს ფრაზა იქცა ორდენის დევიზად. სხვა ლეგენდის თანახმად, მე-12 საუკუნის მინურულს ჯვაროსნული ლაშქრობისას რიჩარდ პირველს წმ. გიორგი გამოსცხადებია და უნიშნებია, მის რაინდებს ფეხზე წვივსაკრავები გაკეთებინათ.

**მხედარი საქართველოს რესპუბლიკის გერბზე  
დემოკრატიული და სოციალისტური  
მმართველობის ეპოქაში**

რუსეთის იმპერიაში დასავლეთ ევროპიდან შესული ჰერალდიკა მალე სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობის ატრიბუტადაც იქცა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტიური პერიოდი XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ჰეროლდიის დეპარტამენტმა რუსეთის იმპერიის გუბერნიების, ოლქების, ქალაქების გერბების შექმნა და არსებული ჰერალდიკური ნამუშევრების მონესრიგება გადაწყვიტა. გუბერნატორებს დაევალიათ, ეზრუნათ მათ გამგებლობაში არსებულ ტერიტორიულ ერთეულებში შემავალი ქალაქების ჰერალდიკის სრულყოფაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ რუსეთის იმპერიის ცენტრში დასამტკიცებლად გაგზავნილი საქალაქო გერბების ესკიზები ადგილზე, ამიერკავკასიის მხარის მთავარ სამმართველოში მზადდებოდა. 1843 წელს მიიღეს საქართველო-იმერეთის გუბერნიების ერთიანი გერბი (სურ. 58), რომლის ფარის გულში მცირე ფარზე დატანილია გველეშაპის განმგმირავი ამხედრებული წმინდა გიორგი. დიდმონამე მხედარი ნოეს კიდობანსა და შავ ზღვასთან ერთად რუსეთის იმპერიის გუბერნიის ემბლემად იქცა. 1843 წელსვე დამტკიცდა საქართველოს ქალაქების გერბები (მაგალითად, იხ. სურ. 59, 60, 61), რომლებზეც წმ. გიორგი (საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის გადაკვეთილი ნაწილი – ნოეს კიდობნისა და შავი ზღვის სიმბოლოებთან ერთად) გამოჩნდა. მოგვიანებით, 1876 წელს, ხელახლა შეიქმნა ქართული ქალაქების გერბები, რომლებზეც სხვა ემბლემებთან ერთად მხედრის, ნოეს კიდობნისა და შავი ზღვის ნაცვლად, თბილისის გუბერნიის გერბიც (სურ. 62) წარმოჩინდა საერთო დეტალად (სურ. 63, 64). ასე აისახა რუსულ ჰერალდიკაში საქართველოს მიმართ სახელმწიფო იდეოლოგია: ბაგრატიონებს ებოძათ თავადთა გერბი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ ცნობილი წმ. გიორგი ჩვეულებრივი ტერიტორიის აღმნიშვნელი ემბლემების: შავი ზღვის, მტკვარ-არაქსის, მყინვარწვერისა და არარატის მთის გვერდით დაკარგული სახელმწიფოებრიობის მიმანიშნებელ სიმბოლოდ გადაიქცა.

XX საუკუნის 20-იან წლებში, რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, სახელ-

მნიფო სიმბოლოდ კვლავ ჩნდება მხედარი. 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე იგი გამოსახული შვიდი მნათობის ფონზე, თუმცა ამ ემბლემაზე, როგორც გერბზე, საუბარი ყველა მკვლევარს უძნელდება, რადგან იგი ჰერალდიკის პრინციპების სრული უგულებელყოფითაა შექმნილი. გერბის ესკიზის ავტორია იოსებ შარლემანი.<sup>1</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სახელმწიფო სიმბოლიკის შექმნის პროცესში კონსულტაციას უწევდნენ ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მუშაობა დაიწყო „მცოდნე პირთა“ ჯგუფმა,<sup>2</sup> რომლის რეკომენდაციის გათვალისწინ-

1 იოსებ შარლემანი 1880 წლის 6 (18) აპრილს პეტერბურგში დაიბადა, სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1917 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და 1941 წლიდან კი – მისი პროფესორი. შარლემანის სახელს უკავშირდება საქართველოში წიგნის გრაფიკის მნიშვნელოვანი წარმატებები. იოსებ შარლემანი 1957 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა.

2 ფინანსთა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ მოწვეულ მცოდნე პირთა კერძო თათბირის ოქმი (1918 წლის 24 ივლისი): „თათბირს თავმჯდომარეობდა: გ. დ. ჟურული. დაესწრნენ მინისტრის ამხანაგი კ. პ. კანდელაკი, პრ. ი. ჯავახიშვილი, ისტორიკოსი ე. ს. თაყაიშვილი, მხატვრები ბ. გაბაშვილი და დ. შევარდნაძე. ინჟ. გ. ქურდიანი, ზ. მაჩაბელი და ს. ქვარიანი.

თავმჯდომარე: რადგან საჭიროა მოხდეს ახალ-ახალი კონკურსი მას შემდეგ როცა მთავრობა დააკანონებს სახელმწიფო ღერბსა და ფულის სისტემას, ამიტომ სასურველია თათბირმა გამოთქვას თავისი აზრი ამ ორივე საგნის შესახებ.

– პრ. ჯავახიშვილი: საქართველოს ძველათ ერქვა გეორგია; ამ სახელით იცნობენ მას ევროპასა და აზიაში. მის მფარველად ითვლება თეთრი გეორგი და თვით საქართველოს დროშაზე გამოსახული იყო წმ. გეორგი, რომელსაც არ ჰქონდა დართული არც ჯვარი და არც შარავანდედი. ასეთივე იყო გეორგი III-ის ბეჭედზე გამოხატული წმ. გეორგი. ამიტომ სასურველია, რომ დღესაც საქართველოს ემბლემად დარჩეს თეთრი გეორგი, რომელსაც დიდ პატივს ცემს ქართველი ხალხი, ქართველთა ყოველი ტომი და ითვლება ჩვენი ქვეყნის უდიდეს მფარველად.

– დ. შევარდნაძე: ეთანხმება პრ. ჯავახიშვილს და სცნობს საჭიროდ, რომ წმ. გეორგის დართული ჰქონდეს 7 მნათობი, როგორც ემბლემა სრულიად საქართველოს ე.ი. 7 სამთავრო.

– პრ. ჯავახიშვილი: ღერბისა და ფულის კონკურსის გამოცხადების დროს აუცილებელი საჭიროა წინასწარ დაცულ იქნას კანონმდებლობითი წესი და შემუშავებული ემბლემა და ფულის სისტემა.

თათბირმა ერთხმად მიიღო პრ. ჯავახიშვილის წინადადება ბ. შევარდნაძის დამატებით და დაადგინა: ეუწყოს მთავრობას თათბირის

ნებით შეიქმნა და 1918 წლის 20 სექტემბრის კანონით დამტკიცდა სახელმწიფოს გერბი (სურ. 66).

მოგვიანებით უკვე საბჭოთა საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების კვალდაკვალ, ინტენსიურად დაიწყო მსჯელობა საბჭოთა საქართველოს ემბლემის შეცვლისა და დემოკრატიული რესპუბლიკის გერბის აღდგენის თაობაზე. 1990 წლის მინურულს კვლავ შარლემანისეული გერბი გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო გერბად (სურ. 67).

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. 1990 წლის შემოდგომაზე გამართულ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობის კრედო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა იყო. აქედან გამომდინარე, იგი, უპირველესად, ისეთ ქმედებას მიმართავდა, რომელიც ამ მიზანთან დაახლოებდა და, რაც მთავარია, შეძლებისდაგვარად საყოველთაოდ დეკლარირებულს გახდიდა ამ პოლიტიკას. ამიტომაც უახლესი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ განახორციელა, სახელმწიფო სიმბოლოებს შეეხებოდა.

ჰერალდიკისადმი მიძღვნილი ანალიტიკური ნაშრომები, საკუთრივ, საქართველოში, ძირითადად საგაზეთო სტატიები, გასული საუკუნის 90-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების კვალდაკვალ გაჩნდა. მათი უმრავლესობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოების აღდგენასთან დაკავშირებული საყოველთაო მსჯელობის (თუ არა – ვნებათაღელვის) გამომხატულება უფრო იყო, ვიდრე სამეც-

---

სურვილი თეთრი გიორგის საქართველოს ემბლემად მიღების შესახებ 7 მნათობით და ეთხოვოს, რაც შეიძლება მოკლე ხანში, მიღებულ იქნას და დაკანონდეს როგორც ემბლემა, ისე ფულის სისტემა.

გ. ქურდიანი ცნობს საჭიროდ, რაც შეიძლება დაჩქარებით, შემუშავდეს საქართველოს ღერბი, რადგან ამ დღეებში უნდა შეუდგეს ღერბის ქალღმერთის ბეჭდვას.

დ. შევარდნაძე ითხოვს მთავრობიდან გარკვეულ დირექტივებს ემბლემის შესადგენათ და ორი კვირის ვადას ღერბის საკონკურსოდ დასამზადებლად. კრება ეთანხმება ბ. შევარდნაძის წინადადებას. (ამავე სხდომაზე გაიმართა მსჯელობა ქართული ვალუტის შესახებ და გამოითქვა აზრი, რომ მას სახელად ეწოდოს თეთრი, ე.ი. ორაბაზიანი)“ (საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი, ფონდი 1891, აღნ. 1, საქმე 14).

ნიერო კვლევა, თუმცა ათეული წლების „ჰერალდიკური დუმისის“ შემდეგ ერთი მცირე წერილიც კი შეიძლება სერიოზულ მონაპოვრად მიჩნეულიყო.

საინტერესო წერილების სერია გამოაქვეყნა მკვლევარმა, სოლიკო ნუცუბიძემ, რომელიც ცდილობდა, აღედგინა 1918 წლის ამბები, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკა იქმნებოდა. იმ დროს, ძირითადად, გერბის ორი ვარიანტი განიხილებოდა. პირველზე გამოსახული იყო თეთრი გიორგი, ხოლო მეორეზე – მიჯაჭვული ამირანი. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები და თეთრი გიორგის ეწინააღმდეგებოდნენ, მისი რელიგიური ელფერის გამო.<sup>1</sup>

გაზეთ „უნწყებანში“ დასტამბულ წერილში დავით კლდიაშვილი, თანამედროვეთა მოგონებებისა და XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით, მიმოიხილავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბის მიღების ისტორიას. გერბის არაქრისტიანულ არსს იგი, უპირველეს ყოვლისა, სოციალ-დემოკრატების ათეისტური მსოფლმხედველობით ხსნიდა. ამის არგუმენტად იმონებდა 1918 წ. 26 ნოემბერს მენშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონს სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ, რაც იმას მიაწინებდა, თუ როგორ ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატები ქვეყანაში ყოველგვარი ქრისტიანულის აღმოფხვრას. ცხადია, ასეთ ვითარებაში ქვეყანა თავისი ისტორიისა და ტრადიციების შესაბამის ეროვნულ სიმბოლოს ვერც მიიღებდა.<sup>2</sup>

1990 წელს ზურაბ კიკნაძის წერილის „დროშა და ლერბი“<sup>3</sup> დაბეჭდვის შემდეგ სხვა ავტორების საგაზეთო წერილებშიც გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს გერბზე გამოსახულ მხედარს აუცილებლად სჭირდებოდა რელიგიური ელფერი. ამ აზრს იზიარებდა ნიკოლოზ ჩიქოვანი და თან დასძინდა, რომ უკეთესი იქნებოდა, წმ. გიორგი გამოსახული იყოს არა ნახევარ ანფასში, არამედ პროფილში, რაც უფრო შეესაბამება ჰერალდიკის კანონებს.<sup>4</sup> პაატა

1 ნუცუბიძე ს., თეთრი გიორგი და შვიდი მნათობი. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 4 იანვარი, 1994.

2 კლდიაშვილი დ., გაზ. უწყებანი, 26 იანვარი, 1994.

3 კიკნაძე ზ., დროშა და ლერბი. გაზ. საქართველო, 3, 1990 წ.

4 ჩიქოვანი ნ., კვლავ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, გაზ. თბილისი, 3 ნოემბერი, 1990 წ.

იაკაშვილი პუბლიცისტურ წერილში „ჰიმნი, დროშა და ღერბი“ განიხილავდა ჰიმნის, დროშისა და გერბის მნიშვნელობას სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში და ცდილობდა, დაესაბუთებინა დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის ეროვნული ხასიათი. მისი აზრით, თეთრი გიორგი, სამფეოროვანი დროშა და „დიდება“ უპირველესად იმიტომ იყო ფასეული, რომ ეს საქართველოს ისტორიაში პირველად არსებული სამართლებრივი სახელმწიფოს სიმბოლიკა იყო.<sup>1</sup>

ეროვნული სიმბოლიკის ძალზე ღრმა ფსიქო-ემოციურ, ისტორიულ და სემანტიკურ დატვირვთაზე ამახვილებდა ყურადღებას ლელა იაკობაშვილი და ცდილობდა, დაესაბუთებინა, რომ მისი საშუალებით ერი დაშიფრულ ენაზე მიანიშნებს მსოფლიოს იმის შესახებ, თუ ვინ არის თვითონ და რა კავშირის დამყარება სურს დანარჩენ სახელმწიფოებთან. ის, ვინც ეროვნულ სიმბოლიკას ქმნის, უნდა ფლობდეს ცოდნას იმ ისტორიული გენეზისის შესახებ, რომელიც მისი ერის სასიცოცხლო ინდივიდუალობას წარმოაჩენს, რათა შემდეგ სიმბოლოში გაამჟღავნოს.<sup>2</sup>

XX საუკუნის 90-იან წლებში გამოიკვეთა აზრი საქართველოს ახალი სახელმწიფო ატრიბუტიკის მიღების შესახებ, ამის თაობაზე ფიქრობდა ქვეყნის ხელისუფლებაც, რომელმაც საამისოდ სპეციალური კომისია შექმნა.

ქართულ პრესაში სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით საპირისპირო პოზიციის გამომხატველი სტატიებიც იბეჭდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გერბზე ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი სალოცავი – თეთრი გიორგია გამოსახული, იგი სრულიად საქრისტიანოს კუთვნილებაა და სხვაგანაც ისევე გავრცელებულია, როგორც ჩვენში. უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ ქვეყნის მთლიანობას სრულიად ვერ შეესატყვისება, სინამდვილის მხოლოდ ერთ მხარეს მოიცავს, მეორე მხარეს მთლიანად უყურადღებოდ ტოვებს და ქმნის გათიშვის საშიშროებას. მოკლედ, დროშასა და ჰიმნთან ერთად გერბიც შესაცვლელია, – ამ მოსაზრებას ავითარებდა ს. ქეთელაური თავის წერილში „დროშა, ჰიმნი, გერბი“.<sup>3</sup>

1 იაკაშვილი პ., ჰიმნი, დროშა და ღერბი“, გაზ. ახალგაზრდა ივერიელი, 25 აპრილი, 1992.

2 იაკობაშვილი ლ., ფერი, ეროვნული სიმბოლიკა და ქართული სახელმწიფოებრიობა, გაზ. კავკასიონი, 6 აპრილი, 1994.

3 ქეთელაური ს., დროშა, ჰიმნი, გერბი, გაზ. სიტყვა ქართული, 30 იანვარი, 1993.

საკმაოდ პოპულარული იყო აზრი სახელმწიფო გერბად ბაგრატიონთა სამეფო გერბის გამოცხადების თაობაზე. საქართველოს ისტორიული სამეფოს გერბის აღდგენას ქვეყნის ღირსების აღდგენის ნიშნად მიიჩნევდნენ ვ. რურუა და თ. ქორიძე წერილში „ყოველი საქრისტიანო დამიხსნია მოოხრებისაგან“, ამის დასტურად მოჰქონდათ რუსეთის მაგალითი, რომელმაც თავის გერბზე უკვე აღადგინა ბიზანტიური წარმოშობის ორთავიანი არწივი (გვირგვინებინადა).<sup>1</sup>

თ. ქორიძე სტატიაში „ნი ჰონ“ აკრიტიკებდა ფულის ნიშანსა და საქართველოს მოქალაქის პასპორტზე ბორჯღალოს გამოსახვის ფაქტს. მისი აზრით, საქართველოში უნდა აღდგეს ქრისტიანული სიმბოლოების მიხედვით შექმნილი გერბი – „სამეფო კვართიან დავითიან საქართველოსი“ და ხუთი ჯვრით შემკული დროშა „გორგასლიან-დავითიანი“.<sup>2</sup>

მკვლევარი მალხაზ აფრიდონიძე მაშინდელ სახელმწიფო გერბს ემბლემას უწოდებდა. ავტორი მიმოიხილავდა გერბის შედგენისა და ბლავონირების პრინციპებს და ასკვნიდა, რომ გერბი მაშინ არის გერბი, როცა ის თანამედროვის ცნობიერებაში ასახავს სოციალურ, სამართლებრივ ურთიერთობებს და სხვ. თუ ეს ასე არ არის, გერბი მხოლოდ ემბლემად რჩება.<sup>3</sup> იგივე ავტორი თავის ღია წერილში აკრიტიკებდა სახელმწიფო სიმბოლიკის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის პრინციპს, ამ ჯგუფის მუშაობასა და სახელმწიფო ატრიბუტიკის შესახებ საჯაროდ გამოთქმულ მოსაზრებებს.<sup>4</sup>

სახელმწიფო გერბის ცვლილების თაობაზე საზოგადოებაში და, შესაბამისად, ქართულ პრესაში მიმდინარე დისკუსიის ფონზე XX საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებით გახშირდა ვახუშტისეული დროშებისა და გერბების პოპულარული ხასიათის გამოცემები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის 14 ნოემბერს გაიხსნა. სესიაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ზვიად გამსახურდია. ამა-

---

1 რურუა ვ., ქორიძე თ. ყოველი საქრისტიანო დამიხსნია მოოხრებისაგან, გაზ. დრონი, 8 მარტი, 1994.

2 ქორიძე თ., ნი ჰონ, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 23 აგვისტო, 1994

3 აფრიდონიძე მ., სახელმწიფო ატრიბუტიკის განსაზღვრისთვის, მეტი პროფესიონალიზმი, ნაკლები ემოციურობა, გაზ. ახალგაზრდა ივერიელი, 14 აგვისტო, 1993 წ.

4 აფრიდონიძე მ., ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის მოსამზადებელ სამუშაო ჯგუფს, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 7 ოქტომბერი, 1994 წ.

ვე სესიაზე მიღებული კანონის „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ თანახმად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“. ერთ თვეში შეიცვალა სახელმწიფო გერბი,<sup>1</sup> დროშა და ჰიმნი.

რამდენიმე წლის წინ, 2004 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოს გერბის შესახებ, რომლის თანახმად, დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო გერბი (ავტორი მამუკა გონგაძე. სურ. 68).

2004 წელს, ფაქტობრივად, პირველად დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო, რომელსაც გარეგნულად ნამდვილად ჰერალდიკური ფორმა აქვს.<sup>2</sup>

1 „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ოქროსფერი ჩუქურთმით შემოსაზღვრული შვიდექიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორნამენტში ქიმების გასწვრივ ჩანწული აქვს შვიდი შავარშიიანი თეთრი ბოლნური ჯვარი. როგორც ჯვრების, ისე ვარსკვლავის ქიმების შიდა ველები ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია). ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზეც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი უპყრია, ხოლო მარცხენაში – ოქროსზოლიანი ფარი. თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი ნაღები, შემოსილია ვერცხლისფერუჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით, ჯავშნის ქვეშ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი. თეთრ გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ – ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავია. თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი“ (საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. 28 დეკემბერი, 1990 წ.).

2 „სახელმწიფო გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს, რომლის მენამულ ველზე გამოსახულია ოქროსჯვრიანი ბუნიანი ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული, ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი. ფარი დაგვირგვინებულია ივერიული (ქართული) გვირგვინით. ფარის მტკირთველი ორი ოქროს ლომი ვაზის სტილიზებული ორნამენტის საფუძველზე დგას. საფუძველზე გადმოტანილია ვერცხლ-მენამული სადვიზე ბაფთა (ავერსი – ვერცხლი, რევერსი – მენამული). ბაფთის ვერცხლის ველზე სევადისფერი ქართული მხედრული ანბანით წარწერილია დევიზი: „ძალა ერთობაშია“. ბაფთაზე, სადვიზე წარწერის თავსა და ბოლოში, გამოსახულია მენამული ჰერალდიკური ჯვრები“ (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო გერბის შესახებ. 1

ამრიგად, დიდმონამე და ძლევამოსილი მხედარი რუსულ წყაროებში პირველად XVII საუკუნეში ჩნდება („ტიტულიარნიკი“ – 1672 წ., კორბის დღიური – 1698-1699 წწ.) როგორც საქართველოს სახელმწიფო გერბი. საკუთრივ, საქართველოში მისი უფრო ადრინდელი ანალოგი არ შემონახულა, მაგრამ ხალხური მეხსიერება და ქართული ინტელექტუალური მემკვიდრეობა ინახავდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლო წმინდა გიორგი უნდა ყოფილიყო.<sup>1</sup> საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ რუსულ სახელმწიფო ჰერალდიკაში დიდ და მცირე საიმპერიო გერბზე წმ. გიორგი ჩანს საქართველოს სიმბოლოდ. ვახუშტის ატლასზეც (1735 წ.) საქართველოს გერბი გველემშაპის განმგმირავი დიდმონამე მხედარია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ) გერბზე, ქართველ მეცნიერთა რჩევით, მხედრის გამოსახვა მიანიშნებდა თავისუფლებაადღგენილი ქვეყნის იდეოლოგიურ კურსზე, რომელიც ძველი ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციების გაგრძელებას უნდა ითვალისწინებდეს. იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი ეკლესიისა და სახელმწიფოს დისტანცირებას გულისხმობდა. 1919 წლიდან სასწავლო პროგრამებიდან საღვთო სჯულის სწავლებაც ამოიღეს.<sup>2</sup> ფართო დისკუსია გაჩაღდა იმის თაობაზე, რომელი საგნით ჩაენაცვლებინათ გაუქმებული საღვთო სჯული. დამფუძნებელი კრების სხდომაზე სახალხო განათლების კომისიის წევრი გრიგოლ ნათაძე ასაბუთებდა „საღვთო სჯულის მაგიერ შეტანილი ყოფილიყო პროგრამაში რელიგიათა ისტორია და ეთიკა. ნ. ნანეიშვილს კი მიაჩნდა, რომ რელიგიის ისტორიასთან დაკავშირებულია რელიგიის წარმოშობის სხვა საკითხებიც, ეს პრობლემები კი მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიის ფილოსოფიასთან. ბოლოს კი სარწმუნოების ისტორია რელიგიის ფილოსოფიის ისტორიის სახეს მიიღებს“.<sup>3</sup>

---

ოქტომბერი, 2004 წ.)

- 1 მაგალითად, 1828 წელს გამოცემულ პირველ ქართულ გაზეთზე „ტფილისის ვედომოსტები“ გამოსახულია გერბი, ძლევამოსილი მხედრის გამოსახულებით (სურ. 65).
- 2 *ლილუაშვილი ე.*, ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 2006, გვ. 95.
- 3 საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 6, საქმე 1.

ქართველი საზოგადოებრიობის დიდ ნაწილს დაუშვებლად მი-  
აჩნდა ქართული ეკლესიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების  
უგულეებელყოფა. როგორც ზემოთ მოტანილი საარქივო დოკუმენ-  
ტიდან ჩანს, ნაწილობრივ, ამიტომაც ხელისუფლებამ ვერ გადაუხ-  
ვია ცნობილი ქართველი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის რჩევას და  
ამის გამო დათანხმდა სახელმწიფო გერბზე წმინდა მხედრის გამო-  
სახვას.

1990 წელს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
(1918-1921 წწ.) გერბის აღდგენა იმ რესპუბლიკის მემკვიდრედ გა-  
მოცხადებას ნიშნავდა, რომელიც 1921 წელს საბჭოთა რუსეთის წი-  
თელმა არმიამ დაიპყრო.

## საქართველოს საეკლესიო სიგელოვანი – საპატრიარქოს გერბი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში ქართულ ჰერალდიკაში კვლავ გამოჩნდა წმ. გიორგის გამოსახულება მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ახლად შექმნილ გერბზე (სურ. 69).

1977 წლის 25 დეკემბერს აღსაყდრების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა ეკლესიისა და ქართველი ერის ერთიანობის საუკუნეობრივი ტრადიცია და მიზნად დაისახა ამ ფენომენის გაძლიერება, ერის გაჯანსაღებასა და სულიერ ამაღლებაზე ზრუნვა. ამ მიზნის გრაფიკული განსხეულება უნდა ყოფილიყო საპატრიარქოს გერბიც.

საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულია მრავალი საინტერესო სამუშაო ვარიანტი, რომლებიც გერბის შექმნის პროცესში მზადდებოდა. თითოეულის ნამყვანი თემა წმინდა გიორგია. გერბის ესკიზზე მუშაობდნენ ალექსანდრე სარჩიმელიძე, ემირ ბურჯანაძე, ჯემალ ლოლუა, ელგუჯა ამაშუკელი, გურამ ბურჩუკური (სურ. 69<sup>1</sup>), ელგუჯა ბერძენიშვილი.<sup>1</sup> მხატვართა ჯგუფი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის რჩევებით ხელმძღვანელობდა. მხატვრებს თავიდანვე კონკრეტული ამოცანა დაესახათ: ჰერალდიკური კომპოზიციის მთავარი ფიგურა დიდმოწამე მხედარი ყოფილიყო.

მრავალი ნამუშევრიდან საპატრიარქოს სამხატვრო საბჭომ აირჩია ესკიზი, რომლის ავტორი იყო გურამ ბურჩუკური<sup>2</sup>.

- 1 საქართველოს საპატრიარქოს არქივი. საქალაქი 1676. დოკუმენტი 10646. თემა 106, 19
- 2 გურამ ბურჩუკური (1933-1986 წწ.) ქ.თბილისში დაიბადა. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სტალინის სახელობის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა. 1952-58 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. თეიმურაზ ყუბანეიშვილთან ერთად მისი პედაგოგი იყო ი. შარლემანი. გ. ბურჩუკური 1958-63 წლებში მუშაობდა კინოსტუდია "ქართულ ფილმში" დეკორატორად, მულტიპლიკატორად, მთავარ მხატვრად. მისი ინიციატივით, 1961 წელს კინოსტუდიაში დაიწყო დიაფილმების წარმოება. იგი 1963-80 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. ასწავლიდა საგნებს: შრიფტი, კომპოზიცია, ქსილოგრაფია, ოფორტი, ლინოგრაფიურა. აქტიური მონაწილეობა მიიღო სამხატვრო აკადემიაში ახალი კათედრის – სამრეწველო გრაფიკის კათედრის ჩამოყალიბების საქმეში.

სამწუხაროდ, არ შემონახულა გერბის ბლაზონი. ამ მასალის მომზადებაში დიდი დახმარება გამინია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მის უწმიდესობასა და უნეტარესობასთან, ილია მეორესა და მხატვარ ემირ ბურჯანაძესთან საუბარმა.

საქართველოს საპატრიარქოს გერბის თავდაპირველი დედანი, რომელიც საპატრიარქოს არქივში ინახება, შესრულებულია ქაღალდზე გუაშით. გერბის ფარი ნორმანულია (ჰერალდიკაში მას ინგლისურ ფარსაც უწოდებენ). ფარის ველი წითელია. მასზე მარცხნივ შებრუნებული, თეთრ ცხენზე ამხედრებული, შეაბჯრული წმინდა გიორგია გამოსახული. მხედარი შუბით განგმირავს ცხენის ფერხით გათხმულ გველეშაპს. გამოსახულება შესრულებულია შავი კონტურით. წითელი ფერი ჰერალდიკაში გამბედაობის, ვაჟკაცობის, უშიშრობის,<sup>1</sup> აგრეთვე, მხედრული მამაცობისა და დიდსულოვნების<sup>2</sup> სიმბოლოა. ცხენისა და მხედრის ფერი (თეთრი), ჰერალდიკური განმარტებით, უცოდველობასა და სისპეტაკეს მიანიშნებს,<sup>3</sup> წმ. გიორგისა და მისი ცხენის თეთრ ფერში გამოსახვა ლოგიკურია, მაგრამ აქ ფერის ჰერალდიკური სიმბოლიკის ძიება გამართლებული ვერ იქნება, რადგან გველეშაპიც თეთრ ფერსა და შავ კონტურშია გადაწყვეტილი. აქ უფრო გრაფიკოსის ხელწერა ჩანს, ვიდრე ჰერალდიკოსისა.

გერბი მკაცრ ჰერალდიკურ ჩარჩოებში ვერ თავსდება. მხატვარი, გერბის ტრადიციული ელემენტების ნაცვლად, საეკლესიო რეალობიდან აღებულ გამომსახველობით ხერხებს გვთავაზობს.

ფარის უკან გამოსახულია სერაფიმის ფრთები, რომლებსაც, ფაქტობრივად, ჰერალდიკურ ფარისმტვირთველთა ფუნქცია აკისრია.

---

1982 წლის იანვარში გურამ ბურჯუკური აკურთხეს დიაკვნად, ორი თვის შემდეგ კი – მღვდლად და მიანიჭეს მღვდელ-მონაზვნის წოდება. ამავვე დროს, გ. ბურჯუკურმა მუშაობა დაიწყო საქართველოს საპატრიარქოში მხატვარ-რესტავრატორად, ხუთი თვის შემდეგ კი, 1982 წლის 28 აგვისტოს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბრძანებით, საქართველოს ეკლესიაში თავდადებული სამსახურისათვის საპატრიარქოს სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე, მღვდელ-მონაზონი დავითი (ბურჯუკური) ალყვანილ იქნა ილუმენის, ხოლო 1984 წლის იანვარში კი – არქიმანდრიტის ხარისხში (საქართველოს საპატრიარქოს არქივი, თემა 11, დოკუმენტი 11223, ფურც. 8,16-20).

1 *Лакиер А.*, Русская геральдика. М., 1990, გვ. 33.

2 *Wade W. C.*, The Symbolisms of Heraldry or A Treatise on the Meanings and Derivations of Armorial Bearings. London, 1898, [ონლაინ წიგნი]; მის.: [www.digiserve.com/heraldry](http://www.digiserve.com/heraldry)

3 *Лакиер А.*, Русская геральдика. М., 1990, გვ. 33.

ზეციურ იერარქიაში ანგელოზთა შორის სერაფიმნი ყველაზე ალმატებულნი არიან.

ესაია წინასწარმეტყველთან, მე-6 თავის მე-2-3 მუხლებში, ვკითხულობთ: „და სერაფიმნი დგეს გარემო მისა. ექუსნი ფრთენი ედგნეს ერთსა, და ექუსნი ერთსა. და ორითა იფარვიდეს პირთა მათთა. და ორითა იფარვიდეს ფერკთა მათთა. და ორითა ფრინვიდეს. ღალადებდეს ერთი ერთისა მიმართ და ეტყოდეს. წმიდა არს. წმიდა არს. წმიდა არს. უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა მისითა.“

მაშასადამე, სერაფიმები საუბრობენ, გალობენ ღმერთს მორიგეობით, ასრულებენ უფლის ნებას. ისინი გონიერი, სულიერი არსებანი არიან. მათ აქვთ ფრთები. ეს მიანიშნებს მათ ზეციურ სამყაროში არსებობაზე, ძალაზე, ღვთაებრივ ძალმოსილებაზე. ორი ფრთით ისინი მოწინების ნიშნად სხეულს იფარავენ და ასე დგანან ღვთის გვერდით და მის ირგვლივ. მეორე წყვილი ფრთით ღვთაებრივი სიდიადის წინაშე მოკრძალების გამო, სახეს იფარავენ, ხოლო მესამე წყვილით დაფრინავენ. მათი დანიშნულებაა ღვთის სამსახური. სხვა ანგელოზებისგან განსხვავებით, ისინი არ წარიგზავნებიან მიწაზე, განეკუთვნებიან მხოლოდ უშუალოდ ღვთაებრივ სფეროს. ლოპუხინისეული ბიბლიის განმარტებების თანახმად, სამჯერ გამეორებით – „წმიდა არს. წმიდა არს. წმიდა არს“ – სერაფიმები გამოხატავენ წმინდა სამების საიდუმლოს.<sup>1</sup>

სადაც სერაფიმნი არიან, იქ კაცის თვალთაგან უხილავი ღმერთიც არის. გერბზე სერაფიმების ფრთების გამოსახვა უფლის სიახლოვის ნიშანია.

ფრთების უკან ლურჯი კონტურებით გამოსახულია ომოფორი, რომელიც ჰერალდიკური მანტიის ფუნქციასაც ასრულებს. ჰერალდიკაში ლურჯი სიდიადის, სილამაზისა და სიმსუბუქის,<sup>2</sup> აგრეთვე, სიმართლის<sup>3</sup> სიმბოლოა.

ომოფორი (ὁμοφῶρον ბერძნულიდან: მხრით სატარებელი) მღვდელმთავართა სამოსლის ნაწილია. ომოფორით შემოსვისას სა-

---

1 Толковая Библия или комментарий на все книги Св.Писания Ветхого и Нового Заветов. *Лопухина А. П.* [ონლაინნიგნი], განთავსებულია 2007 წლიდან; მისამართი: <http://lopbible.narod.ru/>

2 *Лакшер А.*, Русская геральдика. Москва, 1990, გვ. 33.

3 *Wade W. C.*, The Symbolisms of Heraldry or A Treatise on the Meanings and Derivations of Armorial Bearings. London, 1898, [ონლაინნიგნი]; მის.: [www.digiserve.com/heraldry](http://www.digiserve.com/heraldry)

სულიერო პირი კონდაკიდან კითხულობს ლოცვას: „მხართა ზედა ქრისტეს შეცთომილი კაცობრივი ბუნებაი აღიხვენ, ამალღდი და მიჰგვარე ღმერთსა და მამასა, ყოვლადგე ან და მარადის, და უკუნი-თი უკუნისამდი. ამინ“.<sup>1</sup> ომოფორი სიმბოლურად გზააბნეულ ცხვარს განასახიერებს, რომელიც კეთილმა მწყემსმა მხარზე შეისვა და ისე მიიყვანა სახლში.<sup>2</sup>

სასულიერო პირის მიერ ომოფორის მოსხმა და ღვთისმსახურება განასახიერებს ქრისტეს მიერ გზააბნეულთათვის ზეციური მამის სახლში დაბრუნებაში დახმარებას. ქრისტემ გზააბნეული ცხვრის იგავით მიანიშნა, რაოდენ ძვირფასია უფლისთვის თითოეული გზააბნეული ადამიანის სული და როგორ ეძებს ღმერთი ცოდვილ ადამიანებს, რათა ისინი თავისთან დააბრუნოს. გზააბნეული ცხვარი ცოდვილის მეტაფორაა, რომელიც გზის უცოდინრობის გამო ხშირად ბილიკს ასცდება და ფარას ჩამორჩება. მწყემსი მიანიშნებს ღმერთზე, რომელსაც იმდენად ედარდება ჩამორჩენილი ცხვარი, რომ მის გამო, მთელ ფარას, დანარჩენ 99 ცხვარს, დატოვებს და მის მოსაძებნად გაეშურება. ცხვარი დაღლილია. ამიტომ მწყემსი მხარზე შეისვამს მას. ასე ეხმარება ქრისტეს მადლი გადარჩენაში ცოდვილს, რომელსაც არ ჰყოფნის ძალა, დამოუკიდებლად გაიაროს ძნელი გზა.

ადამიანთა ცოდვათა ტვირთებად განმარტავს ამ იგავს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელიც. ქრისტემ იპოვა მომაკვდავი ცხვარი და საკუთარ მხრებზე შეისვა. ამით მან ყველა ჩვენი ავადმყოფობა და ცოდვა იტვირთა. მან გამოისყიდა ყოველივე ის, რის გამოც ჩვენ უნდა გვეზლო, და ტანჯვის გარეშე, მიგვიყვანა სახლამდე ანუ ზეცამდე.<sup>3</sup> ომოფორის გამოსახვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გერბზე მიანიშნებს, რომ ეკლესია, კეთილი მწყემსის მსგავსად, შეეშველება ამ ეკლესიის სამწყსოს, ქართველ ერს, სრულიად საქართველოს, და დაეხმარება უფლის სახლისკენ სვლაში. ომოფორის გამოსხვის ტრადიცია საქართველოში არსებობდა ქართველ მართლმადიდებელ საეკლესიო მოღვაწეთა გერბებზე, მაგალითად: იოანე ბოდბელის გერბი, ბოდბის წმ. ნინოს სახელობის მონასტერში (სურ. 70), ან ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის გერბი ალავერდის ტაძარში (სურ. 71).

1 სამღვდელმთავრო კონდაკი. ტფილისი, 1908, გვ. 29.

2 ლუკას სახარება, 15: 4-7.

3 Благовестник или толкование блаженнаго Теофилакта Архиепископа Болгарскаго на Святое Евангелие. ч. 3, Евангелие от Луки. Казань, 1907, гв. 195.

ომოფორზე დატანილი წმინდა ნინოს წითელი ჯვრები, მიუხედავად იმისა, რომ არაჰერალდიკურია, საგანგებოდ აღნიშნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უძველეს ტრადიციასა და ქრისტიანული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

გერბს აგვირგვინებს მიტრა.

გერბის გვირგვინით შემკობის ტრადიცია დასავლეთ ევროპაში XV საუკუნიდან გაჩნდა, მას თავდაპირველად დიდი ფეოდალები იყენებდნენ. სამეფო წარმოშობისა და სხვა დიდგვაროვანი მემკვიდრეობის მქონე ეპისკოპოსები ხშირად თავიანთ გერბებს ყარყუმის მანტის ფონზე გამოსახავდნენ და ფარის ზემოთ სამეფო გვირგვინსაც ათავსებდნენ, თუმცა ეს წესი მიუღებელი იყო ეკლესიისათვის, რომელსაც თავისი იერარქია და ჰერალდიკური ნიშნები აქვს. ყველა სასულიერო პირი ერთმანეთის სულიერი ძმაა და არ უნდა არსებობდეს მათ შორის განსხვავება, წარმოშობისა თუ ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. სასულიერო პირმა შეიძლება, თავის გერბზე გამოსახოს საკუთარი გვარის ესა თუ ის ჰერალდიკური ნიშანი, მაგრამ ყურადღება არ უნდა გაამახვილოს სოციალურ უპირატესობაზე; აქედან გამომდინარე, საეკლესიო გერბზე მიზანშეუწონელია გვირგვინის (ანუ ელემენტის, რომელიც სოციალურ იერარქიაზე მიანიშნებს) გამოყენება.<sup>1</sup> ამიტომაც საეკლესიო გერბებში გვირგვინის ადგილი მიტრამ დაიკავა.

ჰერალდიკური მიტრა თავსდება ყველა იმ პირის გერბზე, რომელთაც კათოლიკური, აღმოსავლური, ანგლიკანური ეკლესიების მიერ, თეორიულად თუ ფაქტობრივად, აქვთ მიტრის ტარების უფლება. მას ხმარობენ არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. მიტრის, როგორც აღკაზმულობის ელემენტის, ხმარება, რა თქმა უნდა, დიდი ხნით უსწრებს მის ჰერალდიკაში გამოყენებას. მისი უძველესი გამოსახულება მეთერთმეტე საუკუნის დამდეგის მინიატურებზეა შემონახული. წერილობით კი, პირველად იხსენიება პაპ ლეო მეცხრის 1049 წლის ბულაში.

მართლმადიდებლურ რიტუალში ლიტურგიულ თავსარქმელს არ ატარებდნენ მეთექვსმეტე საუკუნემდე, თუმცა აღმოსავლეთში ქრისტიანი სასულიერო პირები უფრო ადრე იყენებდნენ თავსაბურავს. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების ერთიანობის ხანაში მიტრას ატარებდა რომის ეპისკოპოსიცა და ალექსანდრიის ეპისკოპოსიც. უცნობია, ვინ მისცა მათ ამის უფლება. შესაძლე-

1 Heim B.B., Heraldry in the catholic church. Buckinghamshire. 1978, გვ. 34.

ბელია, ისინი უძველესი მღვდელმთავრის თავსარქმლის მიბაძვით მოიქცნენ ასე. არსებობს მოსაზრება, თითქოს რომის პაპ სილვესტრეს პირველმა ქრისტიანმა მეფემ, კონსტანტინემ, უბოძა თავსარქმელი. სიგელში, რომელიც მეფე კონსტანტინემ გაუფზავნა რომაელებს, ნათქვამია, რომ იგი სილვესტრეს, როგორც სულიერ მამას, სინმინდის თაყვანისცემის ნიშნად გვირგვინს უძღვნის. მაგრამ როდესაც სილვესტრემ, მოკრძალების გამო, უარი თქვა ამ საჩუქარზე, მეფემ თავიდან მოიხსნა სარტყელი, რომელსაც მეფეები ატარებდნენ და აიძულა იგი, მიეღო ძღვენი. მიტრა ევანგელეს სიმბოლოდაც ითვლება.<sup>1</sup>

მიტრა, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ბერძნების თავსაბურავიდან მომდინარეობს, ასეთ თავსარქმელს იყენებდნენ პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსები (უკან შეკრული ოქროსფერი ზონარი ამკობდათ იოანე ღვთისმეტყველს, წმ. მარკოზსა და იერუსალიმის ეპისკოპოს იაკობ მცირეს). დროთა განმავლობაში თავსაბურავი სიმალღეში წაგრძელდა და იქცა ზემო მხრიდან გახსნილ, ორი წამახვილებული ნაწილისგან შედგენილ ქუდად. ეს ორი წამახვილებული ნახევარი იესოს ჯვარცმიდან ორმოცდამეათე დღეს იერუსალიმში მოციქულებზე სულიწმინდის მოფენისას გადმოსული ცეცხლის ენების სიმბოლოა<sup>2</sup> („და ეჩვენეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი და დაადგრა თითოეულად კაცად კაცადსა მათსა ზედა“<sup>3</sup>). პირველად VI საუკუნეში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა იოანე კაბადოკიელმა შეამკო მიტრა ნაქარგებით და ამით მას სარიტუალო-საზეიმო ელფერი მისცა. წმინდანთა გამოსახულებები, უპირატესად, შუბლის მხარეს იყო მოთავსებული. ეს სიახლე დასავლეთშიც გავრცელდა. XII საუკუნემდე მიტრა დაბალი იყო. მოგვიანებით იგი იმდენად მნიშვნელოვანი ატრიბუტი გახდა ეპისკოპოსთათვის, რომ მასზე ფიცსაც კი დებდნენ. აღმოსავლეთ ეკლესიაში XI საუკუნიდან მიტრა საიმპერატორო გვირგვინთანაც გაიგივდა (ეპისკოპოსი – ხატი მეუფე ქრისტესი). საგულისხმოა, რომ XVII-XVIII საუკუნეების ქართველ კათოლიკოსთა საბეჭდავებზე ქრისტეს გამოსახულება დროთა განმავლობაში მიტრის გამოსახულებამ შეცვალა.<sup>4</sup> მისი სიმბოლიკა ზემოთ

1 Архиепископ Вениамин, Новая Скрижаль. Москва, 1992, გვ. 143.

2 Jones A. A., Illustrated dictionary world religions. Exeter, 1982, გვ. 153.

3 მოციქულთა საქმე, 2.3

4 ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბილისი. 1978, გვ. 106-107.

ნათქვამისაგან განსხვავებულად აიხსნება, თუმცა ეს ვარიანტიც, ეკლის გვირგვინთან და მკვდრეთით აღმდგარი იესოს საფლავში დაგდებულ სუდარასთან პარალელის გამო („და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თვისაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა“),<sup>1</sup> მოციქულებთან არის დაკავშირებული.

დროთა განმავლობაში მიტრას ფორმა შეეცვალა, ზემოთ დაიხურა, გაგანიერდა და მომრგვალდა. ამ ფორმის მიტრას იყენებს მართლმადიდებელი ეკლესია.

თავზე ჯვარდადგმულ მიტრას მართლმადიდებლურ ჰერალდიკურ ნიმუშებში ვხვდებით.

საქართველოს საპატრიარქოს გერბის მიტრა ეკლესიის ჯვრიანი გუმბათის სტილიზებული გამოსახულებაა, რომლის ყელსაც შვიდი სარკმელი აქვს. სარკმელთა რაოდენობა ეკლესიის შვიდ საიდუმლოს მიანიშნებს. მიტრისა და ომოფორის სილუეტი გუმბათიანი ეკლესიის ასოციაციას ქმნის.

გერბს აქვს დევიზი: ასომთავრული წარწერა „ჩვენთან არს ღმერთი“. მათეს სახარებაში წერია: „აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უნოდინან სახელი მისი ემმანუელ, რომელი არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი“.<sup>2</sup> – თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, „საქმეები გვიჩვენებს, რომ ეს არის ღმერთი, თუმცა ჩვენთან ცხოვრობს“.<sup>3</sup> მაშასადამე, ეს დევიზი, გარდა იმისა, რომ ადასტურებს სერაფიმის ფრთების გამოსახვით გრაფიკულად გაცხადებულ მინიშნებას ღვთის ახლოს ყოფნის შესახებ (გავიხსენოთ: სერაფიმები არ იგზავნებიან მიწაზე და ფიზიკურად არ განეშორებიან ღმერთს), იმ იმედსა და პასუხისმგებლობაზეც მიანიშნებს, რომელიც აკისრია ამ გერბის მფლობელს, უფალთან სიახლოვისა და მასთან ყოფნის გამო.

რატომ გამოისახა საქართველოს საპატრიარქოს გერბზე წმინდა გიორგი და არა – ქრისტეს კვართი? თუ ბაგრატიონების გერბზე დატანილი უფლის სამოსლის ემბლემა მიანიშნებს იმას, რომ ბაგრატიონთა გვარი ამ უდიდესი სინმინდის მცველი, ქრისტიანული რელიგიის დარაჯი იყო მაშინაც კი, როცა ამ გვარის წარმომადგენელი მეფეები ხშირად მაჰმადიანობას იღებდნენ, მაშინ რატომ არ გამოი-

1 იოანეს სახარება, 20:7.

2 მათეს სახარება, 1:23.

3 თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება წმ. მათეს სახარებისა. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შრომები, I, საქართველოს საპატრიარქო, 1989.

სახა თვით მართლმადიდებელი ეკლესიის გერბზე კვართი? იგი ხომ საქართველოში უპირველეს და უდიდეს ქრისტიანულ სასწაულთან არის დაკავშირებული და დაფლულია ჩვენი ეკლესიის უმთავრეს საკათედრო ტაძარში – სვეტიცხოველში; ამასთან ერთად, ის იმდენად მნიშვნელოვანი სიმბოლოა, რომ მასზე პრეტენზიას რუსეთის ეკლესიაც აცხადებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპის სხვა ქვეყნებზე?

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საპატრიარქოს გერბი ქართული ჰერალდიკური მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნიმუშია. მასზე მუშაობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით, მისი აღსაყდრებისთანავე დაიწყო. ჯგუფი, რომელიც გერბის შესაქმნელად მუშაობდა, რეგულარულად იღებდა პატრიარქისგან მითითებას იმის თაობაზე, რომ ჰერალდიკური გამომსახველობითი ხერხებით მასზე ასახულიყო ეკლესიის მჭიდრო ურთიერთობა ქართულ სახელმწიფოსთან, წამოწეულიყო ქრისტიანობის მნიშვნელობა ქართველი ერის გადარჩენის, ინდივიდუალობის შენარჩუნების, თვითდამკვიდრების პროცესში. გერბი უნდა ყოფილიყო საეკლესიო ფორმისა და შინაარსის, მაგრამ მას, ამავე დროს, უნდა ჰქონოდა ზოგადქართული აზრობრივი პლასტიც. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ათწლეულების წინ ჰქონდა დაკარგული და მის სახელმწიფოებრიობაზე საუბარი არათუ იდეოლოგიურად იყო აკრძალული, არამედ საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც კი, საბჭოთა რეჟიმის გავლენით, ნაწილობრივ, აქტიულობადაკარგულად ითვლებოდა, კათოლიკოს-პატრიარქისგან მხატვრებმა მიიღეს რჩევა, რომ საპატრიარქოს გერბზე გამოესახათ ისეთი ფიგურა, რომელიც რელიგიურთან ერთად ქართულ-სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის გამომხატველი იქნებოდა. ასეთი სიმბოლო წმ. გიორგი იყო.

წმინდა გიორგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წმინდანია არა მხოლოდ მართლმადიდებელ, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

დასავლეთ ევროპაში წამებული მხედარი განსაკუთრებით რაინდთა წოდების მფარველად ითვლებოდა. წმ. გიორგის წინამძღოლობით განხორციელებული სასწაულების გამო, მას სრულიად ქრისტიანული ლაშქრის მხედართმთავრად მიიჩნევდნენ. თავდაპირველად ქრისტეს ემბლემად მიჩნეული წითელი ჯვარი თეთრ ფონზე, მოგვიანებით მოიაზრებოდა, როგორც წმ. გიორგის გერბი. თეთრი ბაირალი წითელი ჯვრით (ან წითელი ბაირალი თეთრი ჯვრით) დასავლურ

იკონოგრაფიაში გავრცელებული ატრიბუტია ალდგომის სცენაში. ბაირალის ფერები ქრისტეს ვნებებს (თეთრი – ქრისტეს სინმინდე, ნითელი – სისხლი), ან ევქარისტიას (ხორცი და სისხლი) შეესაბამება.

წმ. გიორგის, როგორც რაინდთა მფარველს, მიეძღვნა არისტოკრატთა ათეულობით ორდენი და გაერთიანება. მათ შორის, პირველი ევროპული რაინდთა საერო ორდენი – უნგრეთის წმინდა მონამე გიორგის რაინდი ძმების საზოგადოება. „ამ გაერთიანებათა ნიშნები, უპირველესად, შემკული იყო გველის განმგმირავი წმინდანის გამოსახულებით და თეთრ ფონზე ნითელი ჯვრით“.<sup>1</sup>

ასეთივე საპატიო წმინდანი იყო გიორგი აღმოსავლეთში.

არც ერთი წმინდანის ცხოვრება არ ქცეულა იმდენი ლიტერატურული ნაწარმოების წყაროდ, როგორც ბოროტებასთან მეზრძოლი გიორგის გმირული თავგადასავალი. „განსაკუთრებით პოპულარულია წმინდა გიორგი ჩვენში, საქართველოში. ამ მხრივ, მას ალბათ ვერც ერთი ქრისტიანული ქვეყანა ვერ შეედრება. არც წმ. სამება ღმერთის, არც იესო ქრისტეს და არც ერთი წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმ. გიორგის სახელზეა აშენებული“.<sup>2</sup> როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „არ არიან ბორცუნი და მალაღნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“.<sup>3</sup>

წმ. გიორგის გამოსახულების ჰერალდიკურ ნიშნად გამოყენებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. ქართველ ჰერალდიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ გველშაპის განმგმირავი მხედარი საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოდ გამოიყენებოდა (უცხოური წყაროები, ვახუშტის რუკები, ბაგრატიონთა გერბების ნაწილი...).

განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომელიც წმინდა გიორგისადმი აქვს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, კარგად ჩანს მის მიერ 1985 წელს შექმნილ ლოცვაში, რომელსაც „მოკრძალებული თხოვნა“ უწოდა ავტორმა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს საპატრიარქოს გერბის ფარზე გამოსახვა წმინდა გიორგი, რომელიც ერთდრო-

---

1 *Медведев М.*, Георгий Победоносец: святой иконы и герой герба [ონლაინ-სტატია]. განთავსებულია 2009 წლიდან. მის.: [www.geraldika.ru](http://www.geraldika.ru)

2 წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში. თბ., გამომცემლობა „არმაზი-89“, 1991

3 *ვახუშტი ბატონიშვილი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV. თბ., 1973, გვ. 6.

ულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთკავშირის სიმბოლოა. „ისტორიული ტრადიციით, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის სახელმწიფოებრივ განვითარებაში საქართველოს ეკლესიას განსაკუთრებულად რთული და უაღრესად საპასუხისმგებლო ფუნქცია ეკისრებოდა; სახელმწიფოებრივი ძლიერების, მისი წყობილების იდეოლოგ-დამცველი იყო; ქვეყნის ერთიანობისათვის საზოგადოების ყველა ფენის გამაერთიანებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის აქტიური მონაწილე, გარეშე ძალთა წინააღმდეგ მებრძოლი და ეროვნული კულტურის დამცველ-ქომაგი, მისი განვითარებისა და წინსვლის, ეროვნული ცნობიერების ბურჯი იყო“.<sup>1</sup> ამ გერბში ზუსტად გადმოიკა მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის იდეა. გერბი მოგვიანებით ხატუნერის პრინციპების გავლენით შეიცვალა.

---

1 *პავლიაშვილი ქ.*, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. თბ., გამომცემლობა „გიორგი აფრიდონიძე“. 2000

## Heraldic Arabesques

The book considers the basics of creation of heraldics and the evolutionary route of its development in western Europe; retracing the analysis of common or distinctive features of secular and clerical heraldics, the seals of Georgian Catholicososes have been studied as artifacts with heraldic features and a conclusion has been reached, stating that the first features of Georgian heraldics appeared on the seals of the clergy.

Several important milestone artifacts have been selected from the heraldic heritage and a generalized conclusion was drawn regarding the appearance and reasons of the development of heraldry in Georgia, its role and importance in the development of Georgian culture and statehood.

The Role of Romanian theologian Anthim the Iberian in the creation of the Bagrationi Coat of Arms has been presented in the book from a new, different angle. In this regard, a sphere of work of Anthim the Iberian, such as heraldry, has been studied and introduced into the Georgian scientific literature. After the analysis of the samples of the Georgian coats of arms a conclusion has been made regarding the Georgian artifacts created as a result of merging and influence of European and Georgian cultures.

As a result of the analysis of introduction and removal of the robe symbolic within the chronological frame of reference, the ideological basis, stated (claimed) by the respective institutions of heraldry of the Russian Empire, in this particular case, have been considered.

The coats of arms of the first Georgian University and the Georgian Patriarchy have been studied for the first time in Georgian historiography.

The Development of Heraldics in Europe is divided into five periods. Similar periodization is based upon the historic-cultural processes that have been taking place in Europe.

Georgian science refers to three main stages of heraldry development. Naturally, the stages of development of Georgian heraldics do not coincide with the European. Crests appeared here after having gone through three evolutionary periods in Europe. Although, on the one side, it is still possible to draw parallels between the first period of Georgian heraldics and II and III periods of European heraldics, on the other. In coats of arms created in Georgia at that time religious themes stand out and symbolic allegorical features become prominent. It

is a well adapted form of expression of the state politics and worldview of the Georgian public of the period, effectively reflecting the aspiration of the `Minor Renaissance` epoch in Georgia. The first period of heraldry developed, undoubtedly, in close connection with the European culture. An attempt to introduce and establish the `noble art` of heraldry is a minor but important nuance in the history of Georgian-European relationship.

Still, the periods of development of heraldry in Georgia were based on the issue of state independence and not on the cultural-artistic style. The existing periodization is based upon the analysis of the origination of Georgian Coats of Arms, although from the beginning of XXI century, the art of coats of arms began to develop so intensively (namely, in the military sphere and territorial-administrative entities) that it would be expedient to add the fourth, post Soviet, stage to the periodization of the Georgian heraldry development.

The independent stage of development of heraldry in Georgia was so short that the gradation of heraldry display methods was missed. Georgian culture received ready heraldry clichés from Europe. Coats of arms created in the period of independence are not characterized by the excess of figures.

While tracing the heraldry common rules, the distinction of these norms from country to country points to the fact that the national models of heraldry, used to be created on the basis of culture and history of a particular nation, a thorough study of which is practically impossible without the consideration of the national heraldry.

Major works of the Georgian heraldry rest upon a cultural-worldview basis.

As it is known, the creation of heraldry is linked with the development and merging of three ideas. Initially, only simple private bearing of individual features or symbols came to existence. Later, an idea of decorative marking of the property appeared, which was realized by means of a seal, hallmark. Finally, finding means of personal identification and presentability of the warriors became necessary, when armour made it impossible to recognize them. Heraldics, which derived from the merging of these three cultural-domestic streams, got symbols and emblems from them and incorporated into a scientific system. Georgian heraldry has not gone through similar development stages. It, being on a certain step of development, appeared in Georgia, turning into an interesting part of the Georgian culture. The introduction of the coat of arms, as a cultural phenomenon, and gaining foothold is linked with the Christian religion, events taking place in the Georgian Church, attempts at the restoration of the

disintegrated state, cultural growth and the world view layers, which determine and follow the abovementioned processes.

The consideration of the important artifacts, created by the Georgian heraldry, allows us to express the view that the development of heraldry in Georgia, on one hand, is connected with the inflow of European culture, restoration of severed ties with the European countries and, on the other hand, with the Christian religious institutions. At various stages of development the principal basis for the creation of the Georgian heraldic works was the cultural-worldview background characteristic of the relevant epoch.

## Геральдические арабески

Грузинская геральдика развилась в результате взаимоотношений европейской и грузинской культур. В этом процессе ещё раз проявилась способность грузинской культуры воспринимать и усваивать лучшие достижения чужой цивилизации так, чтобы не утратить собственной самобытности. Я думаю, что с этой точки зрения актуальны изучение векового процесса грузинского герботворчества и соответствующие результаты данного исследования.

В книге я обозрел общие основы возникновения геральдики и проследил эволюционный путь её развития в Западной Европе; вслед за анализом общих или отличительных признаков светской и духовной геральдики изучил печати грузинских католиков как имеющие признаки геральдики артефакты и в результате исследования пришёл к заключению, что признаки грузинской геральдики появились впервые на печатях духовных лиц.

Из наследия грузинской геральдики я выбрал несколько имеющих, по моему мнению, этапное значение артефактов и на примере их изучения сделал обобщающие выводы о причинах возникновения и развития геральдики в Грузии, её роли и значении в деле развития грузинской культуры и государственности.

В квалификационном труде фактически впервые я по-новому показал роль румынского церковного деятеля Антимоза Ивериели в создании герба Багратиони. В связи с этим я изучил и ввёл в грузинский научный оборот такую сферу деятельности Антимоза Ивериели, как геральдика. В результате анализа первых образцов грузинских гербов я пришёл к заключению, что доступные грузинские артефакты были созданы под влиянием встречи грузинской и европейской культур. После ознакомления с хронологией нанесения и изъятия символа хитона с герба Багратиони стала ясна идеологическая основа, заявленная соответствующими геральдическими институтами Российской империи в этом конкретном случае.

